

სხანი უმკობელი

ნომერი 2010 №65
ფასი 5 ლარი

ისტორიები ელისო ვირსალაძე

რბი აბაღლოზელი

ფურა ლეჟავა
შოთა ბაბარინი

ფეისბუქის სახე
სოსე ანტონიო ვარბასი

ესეი
ბაიროითის დღიური
ლაშა ბუღაძე

სოლიდარობის კოლონეზი
ლევან ბარქანიშვილი

ლიტერატურა

ნიგეზი თბილისში

ISSN 1512-2220



9 771512 222006

ענף ענף



1 ნუთი - 1 თეთი



*126# OK

ტაილდის ჩახოვა შეუძლია
ღაიღის ყველა აბონენტს,
"თქვენი ქსელის" 5 ჩრეულ ნომრითა;

1 ნომრის აჩრევა/შეცვლა - 20 თეთი;
ზახის ნამონყების ღიხებულება - 5 თეთი;

☎ 7036 ჯუმბუღის აბონენტებისთვის
☎ (822) 770177
www.geocell.ge



ჯეოსელი



გარეკანზე: ელისო ვირსალაძე
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

სხალი შოკოლადი

N65, ნოემბერი 2010

მთავარი რედაქტორები:

ნინო ლომაძე, რატი ამალლობელი
არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი: პაატა შამუგია
კორექტორი: თამარ ღონღაძე

ნომერზე მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიგი გულედიანი, ნათია გულიაშვილი, ირმა ტაველიძე, დიანა ანფიმიადი, მიშა მდინარაძე, რატი ამალლობელი, პაატა შამუგია, ლელა გაფრინდაშვილი, არჩილ ქიქოძე, შოთა გაგარინი, მიხეილ ხუნდაძე, ლაშა ბულაძე, ემზარ ჯგერენია, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი, გურამ ნიბახაშვილი, დავით მესხი, ირინა ხუციშვილი, ლევან ხერხეულიძე
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე

დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

მენეჯერი: რუსუდან ფურცელაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა: ლელა შუბითიძე

კლიენტთა მომსახურების მენეჯერი:

ნათია რუსაძე

სარეკლამო განყოფილება: თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუცია: ზვიად შენგელია

გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სხვა გამომცემები: ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.

სტამბა: „ფაგორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952


ფურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან © "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

- 6 რედაქტორებისაგან
- 8 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვები** 10 სხვა რაღა დარჩა, სიჩუმე მხოლოდ?! *დავით ბუხრიკიძე*
- 14 მომავლის – კი და მარკეტინგის წარმოდგენა ჯერ კიდევ ძნელია *დავით ჩიხლაძე*
- რეცენზია** 20 ვთამაშობთ ლტოლვილებს *დავით ბუხრიკიძე*
- კომენტარები** 24 ტრანსფორმაცია: ოცი წლის შემდეგ *გიგი გულედიანი*
- ცხოვრების წესი** 26 მედიაორგანიზმი *ლელა გაფრინდაშვილი*
- 34 *კულინარია*
შეხვედრები და ბედნიერების სხვა რეცეპტები
დიანა ანფიმიადი
- 38 *მუსიკა*
სქიზისიდან პანაცეამდე *მიშა მდინარაძე*
- წერილი** 40 თეთრი ადამიანის ბილიკებით *არჩილ ქიქოძე*
- ისტორიები** 44 *ელისო ვირსალაძე*
პაუზის უფლება *რატი ამალლობელი*
- 50 *ზურა ლეჟავა*
„რაფაელ ზა რეშოტკოი“ *შოთა გაგარინი*
- 54 კოსმონავტი გელა კუპრაშვილი და ავანგარდული მოდის ასამბლეა *დავით ჩიხლაძე*
- 60 *მარკ ცუკერბერგი*
ფეისბუქის სახე *ხოსე ანტონიო ვარგასი*
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძე
- სპეცპროექტი** 67 ლოტი (...) *მიხეილ ხუნდაძე*
- ესეი** 74 სოლიდარობის პოლონეზი *ლევან ბერძენიშვილი*
- 80 მთარგმნელობითი ხელოვნებისთვის
კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია
- 84 სიკვდილის სტრატეგიები *ემზარ ჯგერენია*
- 86 ბაიროთის დღიური *ლაშა ბულაძე*



გათამაშება ჯივისის და წითელი A-ს ავთორიზებული

დააბროვით რაც შეიძლება მეტი ვაშლი 20 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე




ტელევიზორი METZ PUROS37



Mac book 13"



iPad WiFi 16 Gb



CD/DVD ბიბლიოთეკა



მთელი წელი „ქაქარაჟა კლინიკის“
მომსახურების საოჯახო პაკეტი



სამოსის დამზადება
დიზაინერთან



ნაძვის ხე და სათამაშოები



სპორტულ მაღაზიაში
საყიდვების ბარათი



ბაკურიანის საოჯახო საგზური

მოგაპრობა საოცნებო ადგილას





არაფერი პირადი! – მარკ ცუკერბერგის კრედო და მისი წარმატების რეცეპტია. შეიძლება ეს უფრო ვნებაა – სხვების ცხოვრებაში, ცნობიერში შეძრომის, საკუთარის სხვაში (და პირიქით) გაზავების („დაშეარების“) ვნება. მარკი თინეიჯერობის ასაკშივე მიხვდა, რომ ამ სამყაროში ყველაზე მეტს სწორედ ცნობისწადილის დაკმაყოფილებაში იხდიან. მან სერვისი (ბევრის აზრით კი, ილუზია) შექმნა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი, „ფეისბუქი“ ცხრამეტი წლისამ დააარსა. ცუკერბერგი დღეს სხვების გულწრფელობას, ფიქრებს, განწყობებს, სხვისი ცხოვრების პიკანტურ დეტალებს ჰყიდის. („ფეისბუქის სახე“ გვ. 60).

ახალციხეში, ბათუმსა და ფოთში ახალგაზრდებთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ ვიფიქრე, რომ საქართველოში დღემდე, სამწუხაროდ, ლინინ-ლინინით მხოლოდ ჭარბად წარმოებული „ტრადიციული ნორმები“ იყიდება. ათასგვარი საკმაზით და ლეიბლით, სხვადასხვა ინსტიტუციის ლოგოთი. „მიღებულ ნორმებზე“ ლელა გაფრინდაშვილი სტატიის „მედიოორგანიზმი“ საუბრობს და ირაკლი ჩარკვიანის რადიო შოუში სტუმრობას იხსენებს (გვ. 26), სადაც ირაკლი მსმენელს ასეთ რამეს ეუბნება: „ჩვენთან მიღებულია არა დემილი, არამედ – კონსტიტუცია, ქალბატონო, შეიძინეთ კონსტიტუცია, ის სამოქალაქო ცხოვრების ძირითადი წიგნია, როგორც საეკლესიო ცხოვრებისთვის – „ბიბლია“. სხვა კანონებიც უნდა შეიძინოთ და გამოიყენოთ ცხოვრებაში“.

„სხვა კანონებზე“ შოთა გაგარინი ზურა ლეჟავას ელაპარაკება. ავტორს „თვალუწვდენელ ჯურღმულებში მცხოვრები მარგალიტები“ აინტერესებს, იქ ეშმაკი და ბრმა მევიოლინე ცხოვრობენ, სიკვდილმისჯილ ჩექმასთან, ქურდობის ქალღმერთ ბოჰირი ვარაილაკჰმისთან ერთად („რაფაელ ზა რემოტკოი“ გვ. 50). ასეთებს კი მხოლოდ ზურა ლეჟავასთან შეიძლება შეხვდეთ, ცხადია „სხვა სინამდვილის“ თუ არ გეშინიათ და ჭეშმარიტების ექსკლუზიურობის არ გნამთ.

ოქტომბერში, საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებაც კარგად „გაიყიდა“. ცნობისმოყვარე „არტმოყვარეულებისათვის“ ეს თვე ნამდვილი ზეიმი იყო. ერთდროულად მიმდინარეობდა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა „არტისტერიუმი“ (გვ. 14), „თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი“ (გვ. 10), ბოლოს კი კლასიკური მუსიკის ფესტივალი თელავში (გვ. 44) და მნახველი არც ერთ მათგანს აკლდა.

„არტისტერიუმზე“ ოლეგ ტიმჩენკოს პერფორმანსს დიდი ხმაური მოჰყვა. პერფორმანსზე მსჯელობდა ყველა: ვინც ის ნახა და ისინიც, ვინც მას არ დასწრებია. განიხილავდნენ სულ სხვადასხვა კონტექსტში, რადგან როგორც ალბათ ყველა საინტერესო აქცია, „მანეკინიც“ იდეის სხვადასხვაგვარი წაკითხვის შანსს იძლეოდა.

ბოლოს მაინც ირკვევა, რომ ლინინ-ლინინით მხოლოდ „რეცეპტები“ იყიდება. ოლეგ ტიმჩენკოს „მანეკინის“ წარმატების ფორმულა დღეს უალტერნატივო „პროდუქტია“. სოლიდურად გამოწყობილი ფუნქციონერის აბსტრაქტული სახე, რომელიც „უკვე მართავს რეალობას ჩვენს გარშემო: ოდნავ საშობი, ხელშეუხებელი ჩინოვნიკი, დაღლილი ღიმილით, ბოდიგარდების გარემოცვაში.“ („ტრანსფორმაცია“ გვ. 24)

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge



სუთ★ანი
სესხები



სუთ★ანი სესხები

- ★ წელიწადში 1 თვე საშუალო პერიოდი
- ★ სესხი 1 დღეში
- ★ **Smart** ქულები საჩუქრად!
- ★ საუკეთესო მომსახურება
- ★ თქვენზე მორგებული %

☎ 27 27 27 | 📠 * 27 27 | www.tbcbank.ge



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



მიშა მდინარაძე

ნოთელი ზავზვი

რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო ბედნიერი? როცა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა (მაშინ 12 წლის ვიყავი), მეგონა, უზარმაზარი მითიური მონსტრი დავამარცხე, მონსტრი, რომლის რეალურად აღქმა იმ დროისთვის ძალიან მიჭირდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ის საშიშია, თანაც – ნოთელი. გავიდა ხანი და ზუსტად ისე, როგორც სიზმარში მცხოვრები არქეტები, კვლავ გამოჩნდა მონსტრი, ახლა უკვე გაცილებით უფრო რეალური და საშიში. ნუთუ ველარასოდეს დავამარცხებთ ურჩხულებს, რომლებიც სულში გვიძვრებიან და ყველაზე ძვირფასს, თავისუფლების განცდას გვართმევენ?!

გმირი გვჭირდება? არა, გმირის ძიებამ კერპთაყვანისმცემლობამდე მიგვიყვანა, თანაც ყველა გმირის აღსასრული მის ანტიგმირად გარდასახვაშია, მხსნელების ძიებამ დავგასუსტა, ამასობაში ისევე ჩრდილოეთიდან დაუბერა, დღეს სრულიად ვაცნობიერებ, რომ მონსტრი, რომელიც 12 წლის ასაკში დავამარცხე, თურმე ვკვებე და მოვამძლავრე, ჩემი თუნდაც ბავშვური, მაგრამ მაინც კომფორმისტული დამოკიდებულებით. ალბათ, პრობლემა სწორედ ამაშია – მე მაინც ნოთელი ბავშვი ვარ, რომელსაც უზარმაზარი სახელმწიფოს ფრთის ქვეშ ცხოვრება მოუწია, იქ კარგი იყო, ჩვენ ვერავინ მოგვერევა – ფიქრობდი მაშინ. მე, ისევე როგორც საზოგადოების უმეტესობა, თავად ვიყავი იმ საშიში ურჩხულის ნაწილი, რომლის მოკვლაც გადაწყვიტეთ, საკუთარი ნაწილის კვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მაგრამ მისი დამორჩილება აბსოლუტურად შესაძლებელია. როგორ? ვისწავლოთ ჩვენსავე ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, ვეძებთ ურჩხულებთან მეტრძოლი გმირები არა სხვებში, არამედ – საკუთარ თავში, უარი ვთქვათ მავნე მატერიალურ ჩვევებზე და ღრმად ჩავისუნთქოთ არა პოლიტიზირებული, არამედ ქართულ ტყეებში იონიზირებული თავისუფალი ჰაერი! როგორც კი საკუთარ მონსტრებთან პირისპირ აღმოვჩნდებით, ჩავხედოთ მათ თვალებში და ვუთხრათ: შენ აღარ არსებობ იმიტომ, რომ მე – შენი შემოქმედი – შევიცვალე და შენი აღარ მეშინია! მხოლოდ საკუთარი თავის შეცვლა ბედნიერებისკენ მავალი გზა და თუ ეს მოვახერხებთ, ჩრდილოეთიდან მოსული ყოველი ქარიშხალი სასიამოვნოდ მთარულ სიოდ მოგვეჩვენება.



ლელა გოჭრიძე

1893 წლის 5 იანვარს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „კვალი“ გამოვიდა. რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი მონინავე სტატიკაში აღნიშნავს: „გონებით დამშეულ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს გამოცემა, რომელიც მისთვის სასარგებლო საკითხავს თავის დროზე აწვდის და კვალდაკვალ მისდევს ყოველსავე მოვლენას, რომელიც კი საზოგადოების ყურადღების ღირსია... უგაზეთოდ, საჯაროდ ხმის ამოუღებლად და აზრის შეუჯიბრებლად ცხოვრება არამც თუ ძნელია, – შეუძლებელია...“

ჩვენ ვეცდებით, ჩვენსა და მკითხველს შორის მგრძობიარე სიმები გავაბათ, იმის სიხარულით გავიხაროთ, იმის მწუხარებით შევწუხდეთ. შევეცდებით, ყოველსავე მოვლენაზე უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა წარმოვსთქვათ, სამართლიანი აზრი დავადგინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვერდში ამოვუყენოთ და მეცნიერების ყურით ვუსმინოთ, მეცნიერების თვალი ვადევნოთ ქვეყნის ჩარხის ნაღმა-უკულმა ტრიალს“.

ამ წამონწყებას ფელეტონი მიუძღვნა აკაკი წერეთელმა: გაზეთის სათაურს პირველი ასო „კ“ რომ მოვაცილოთ ანუ „კანი გავაძროთ“, – „ვალს“ მივიღებთო. რედაქტორმა დაუდასტურა, რომ მათი „ვალი“ სესხს ან ვალს კი არ ნიშნავს, არამედ – სწორედ საზოგადო მოვალეობას და ვალდებულებას.

ამ ისტორიითაა შთაგონებული ჩემი ირაკლი ჩარკვიანთან შეხვედრის გახსენება, როგორც „კანის გაძრობის“ ერთი მაგალითი.



ექსპრეს ჯღინიანა

ბაიბაიხივი ჯანმრთელობაზე ზედა

ჩვენ გთავაზობთ:

- ✓ პროფესიონალი ექიმის კონსულტაციას
- ✓ ნებისმიერი სახის ლაბორატორიულ ანალიზებს
- ✓ ნებისმიერი სახის აცრას ევროპული და ამერიკული ვაქცინებით
- ✓ ინსტრუმენტულ გამოკვლევებს (ექოსკოპია, ეკგ)
- ✓ გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს ჰირველადი დახმარების ჩატარებას
- ✓ სხვადასხვა სახის მანიპულაციებს



ექსპრეს ჯღინიანა ჯი ჰი სი-ს აფთიაქებში

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24,
ჭავჭავაძის გამზ. 50, ყოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

ჰვირაში 7 დღე

სამუშაო საათები: 9.00 - 21.00

შაბათ-ჰვირა: 10.00 - 18.00



სხვა რატა დარჩა, სიჩუმე მხოლოდ?!

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის

ავტორი: ღაბით ბუხრიძე

„სამწუხაროა, მაგრამ დღევანდელი თეატრი სექტასავით ჩაკეტილია და რაღაც სტანდარტული ნესებით შემოსაზღვრული. თეატრი სულ უფრო ნაკლებად ეხმიანება დროსაც და სოციალურ მოვლენებსაც. მიჩვენია, ის ნაკლებად დახვეწილი იყოს, ოდნავ უხეში, თავქარიანი, მოურიდებელი. ცოტა თაღლითობისა და უფრო მეტად – თამაშის ელემენტებით,“ – ასე უცნაურად და ოდნავი ირონიით საუბრობს თანამედროვე თეატრის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში დიდი ლიტველი რეჟისორი ეიმუნტას ნეკროშუსი, რომლის „ჰამლეტიც“ თბილისის წლევანდელი საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა. მერა რა, რომ დაახლოებით თორმეტი წლის წინ დადგა; ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, როცა პოლიტიკისა და ძალადობის პოსტსაბჭოთა აჩრდილები ჰამლეტის მამის აჩრდილზე უფრო სასტიკნი და შეუბრალებლნი იყვნენ...

თუმცა, ვიდრე ნეკროშუსის ადდგენილ და თბილისში ნაჩვენებ თეატრალურ შედეგზე ვისაუბრებთ, მცირე რეფლექსია წლევანდელი ფესტივალის შესახებ.

უკვე ტრადიციული, მსხვილი ბიუჯეტი-

თა და დიდი ისტორიით ნახალისებული ევროპული თეატრალური ფესტივალები (ავინიონი, ედინბურგი, ვენა, ბერლინი, ტორუნი), ტოლსტოის პერიფრაზისა არ იყოს, ბედნიერი ოჯახებივით ერთმანეთს ჰგვანან. ამაში თითქოს გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება ჯერ კიდევ ნორჩ, თითქოს „ლარიბ“ (დაახლოებით 800 ათასი ლარი წლევანდელი ბიუჯეტი), მაგრამ პერსპექტივის ნიშნით აღბეჭდილ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, იგი სულ ორი წლისაა, მაგრამ თვითდამკვიდრების ჯანსაღ ამბიციას უკვე ამჟღავნებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ფესტივალის მრჩველთა საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციებსა და ფინანსურ შესაძლებლობებს შორის ლავირებდა. ამ სოციალური რეალობის შეფარდებით „გამონათობილი“ საფესტივალო პროგრამა კი ნამდვილად იძლევა საფუძველს დისკუსიისათვის – როგორ გავაჯანსაღოთ სოციო-პოლიტიკური კრიზისის ჟამს თანამედროვე თეატრალური სივრცე. ენერგიული და პროდუქტიული დირექტორის, ეკა მაზმიშვილის წყალობით თბილისის

დაახლოებით ორი კვირით (29 სექტემბერი – 15 ოქტომბერი) სტუმრობენ სახელგანთქმული რეჟისორები, ცნობილი თუ უცნობი თეატრები, კულტურით დაინტერესებული პროდიუსერები.

საერთაშორისო ფესტივალის სტანდარტს რამდენიმე სპექტაკლი ნამდვილად აკმაყოფილებდა. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მილანის სახელოვანი თეატრის „პიკოლო სკალას“ ისტორიული „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“ (თეატრალებისათვის ყველაზე მსუყე ლუკმა, რომლის ჩამოტანა ფესტივალის დირექციას საკმაოდ ძვირი დაუჯდა). გენიალურმა რეჟისორმა ჯორჯო სტრელერმა სპექტაკლი ჯერ კიდევ 1947 წელს დადგა და მას შემდეგ რამდენჯერმე აღადგინა. იგი ორჯერ წარმოადგინეს მარჯანიშვილის თეატრში, რაც, ცხადია, საკმარისი არ აღმოჩნდა აღზნებული პუბლიკისა თუ უბილეთო ახალგაზრდების დასაცხრომად.

უფასო არტისტულ „შემოსევას“ მარჯანიშვილის თეატრის შესასვლელთან და ბილეთიანი და თადარიგაჭერილი არტ-პუბლიკის მღელვარებას პოლიციის გაძლიერებული კორდონი და რკინის და-



„აწილ ზაღვი“

მცავი ჯვებრებიც ვერ აკავებდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ანტი-გლობალიზტების აქცია მიმდინარეობდა, ან ჩემპიონთა ლიგის ფინალი იმართებოდა ფეხბურთში.

ყურადღების ცენტრში მოექცა ორი „ჰამლეტი“ პატარა, მაგრამ თანამედროვე თეატრალური ტენდენციებით მდიდარი ლიტვიდან: პირველი – „პირქუში ლიტველი გენიოსის“ (როგორც ხშირად უწოდებს ხოლმე პრესა რეჟისორ ეიმუნტას ნეკროშუსს) „ჰამლეტი“, რომელმაც რუსთაველის თეატრში შეკრებილ მაყურებელს მცირე შოკი მოჰგვარა და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. მეორე, უფრო ავანტიურით ნაკვები ექსპერიმენტული „ჰამლეტი“ რომელიც შედარებით მოკრძალებული გენიალობის პრეტენზიითაა აღბეჭდილი. იგი ევროპაში მოდურმა რეჟისორმა, ოსკარას კორშუნოვასმა ვილნიუსის ახალგაზრდულ თეატრში დადგა.

დამაინტრიგებელი აღმოჩნდა ირანული მარიონეტული ოპერა „როსტამი და ზოჰრაბი“, რომელშიც ლამის ადამიანის სიმაღლის თოჯინები ფირდოუსის ეპოსის – „შაჰნამეს“ მთავარ ეპიზოდებს ნიჭიერი კომპოზიტორის, ლორის ჩექნოვერიანის მუსიკისა და რეჟისორ-სცენოგრაფის, ბეჰრუზ ყარიბფურის ფანტაზიით გვაზიარებენ. ბედის ირონიით, სადაც „მარიონეტული“ ირანია, იქ ისრაელის უდაბნოში მოცეკვავე ყვითელი და ნითელი ჯა-

რისკაცები“ უნდა ვახსენოთ. „ბნელ ბალში“ – ასე ეწოდება თანამედროვე ცეკვის თეატრის ერთადერთ ნიმუშს ფესტივალზე, რომელიც „კიბუცი დანს კომპანის“ შესრულებით, ბრწყინვალე კოსტიუმებით და ხარისხიანი საუნდის თანხლებით ვიხილეთ (ქორეოგრაფია, სცენოგრაფია და ტექსტი – რამი ბერი).

ჯორჯო სტრელერის ისტორიული მნიშვნელობის „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“ მარჯანიშვილში, შეიძლება ითქვას „მეორე თეატრალურ მოსვლას“ უფრო ჰგავდა. გადაპრანჭული პუბლიკით, სახელისუფლო თუ კულტურული ელიტის წარმომადგენლებით, გაძლიერებული პოლიციით შესასვლელში... და მაინც, მთავარი თავად წარმოდგენაა. ის, რაც პუბლიკამ სამი საათისა და სამი აქტის განმავლობაში იხილა „პიკოლო თეატრის“ შესრულებით, ძნელია, თუნდაც შთაბეჭდილებებით დახუნძლულ წერილში ჩაატო.

დიდი მსახიობი ფერუჟო სოლერი, რომელიც ლამის ყველა აქტიორული ტიტულის მფლობელი და იუნისეფის კეთილი ნების ელჩია, სპექტაკლში არლეკინის როლს, 50 წელია, თამაშობს(!) „კომედია დელ არტეს“ პერსონაჟების გარემოცვაში ის ცამეტი წლის წინ გარდაცვლილი რეჟისორის, ჯორჯო სტელერის უბრალო, მაგრამ დახვეწილი და ფერადი სპექტაკლის ხილული მედიუმი, რომელიც წარმოდგენის „პულსს“, საჭიროების შემთხვევაში, ანელებს ან კატასტროფულად აჩქარებს.

ლამის სრულყოფილებამდე აყვანილი რეჟისურა, აქტიორული ტექნიკა და სცენიური ნიღბებით მანიპულაცია შთაბეჭედავია, ხოლო იმპროვიზაციის, საოცარი კოსტუმებისა და სცენური მეტყველების სინთეზი „კომედია დელ არტეს“ ისტორიულ ტრადიციებს გვაზიარებს. ფერუჟო სოლერიმ არლეკინის როლი პირველად 1963 წელს შეასრულა, როცა სტრელერის ფავორიტი მსახიობი მასიმო მორეტი შეცვალა და ამ დღიდან მოყოლებული არლეკინი 2200-ჯერ (!) ითამაშა.

80 წელს გადაცილებული სოლერი ისეთი სიანცით და ენერგიით დაქრის სცენაზე, რომ ოცი წლის შეყვარებული ყმაწვილი გეგონებათ. და როცა ყველა გაუგებრობის შემდეგ, ბედნიერი შეყვარებულების ფონზე ფინალში მსახიობი

ნილაბს მოიხსნის, პუბლიკას უნებლიეთ აღმოხდება „ბრაგოო!“, რადგან ნილაბს მიღმა დალილი, ჭადარა მოხუცის დალილი სახეს დაინახავს. ამიტომ უთხრა სტრელერმა ერთ-ერთი სპეტაკლის შემდეგ: „ფერუჟო, ერთი უცნაური რამ ვერ ამიხსნია, თქვენ ბერდებით, თქვენი არლეკინი კი ახალგაზრდავდება. იქნებ მიოხრათ, როგორ ახერხებთ, ამას?“

თბილისის ფესტივალზე „დიდი“ და „პატარა“ „ჰამლეტი“ (ანუ ნეკროშუსის და კორშუნოვასის) შედარების ცდუნებას ისევე აღძრავს, როგორც რობერტ სტურუას კლასიკური „კავკასიური ცარცის წრე“ და ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ განხორციელებული რადიკალურად განსახვევებული იგივე პიესა „თავისუფალ თეატრში“. თუმცა ახალგაზრდა ლიტველი რეჟისორი ქართველი კოლეგისგან განსხვავებით ნეკროშუსს არც მეტაფორების სიმრავლეში ეჯიბრება და არც აქტიორულ სავარჯიშოებში.

ორ სრულიად განსხვავებულ ესთეტიკურ სამყაროს, რომელსაც რეჟისორები თხზავენ, გადაკვეთის წერტილები არ გააჩნიათ. უფრო ზუსტად, ისინი თითქოს პარალელურ რეალობებში არსებობენ. ერთგან თეატრის კულისებში გამეფებული საბედისწერო სიჩუმეა. მისი უხმაურო სამყაროს სასჯელის განაჩენი ისმის (მიუხედავად იმისა, რომ ელექტრომუსიკა ნამით არ ჩერდება); მეორეგან თანამედროვე სამყაროს აფეთქების ხმები მოისმის. ნეკროშუსი თანამედროვე თეატრს გამუდმებით ეძებს ქვეტექსტებში, მეტაფორებსა და პერსონაჟთა უცნაურ ქცევაში. იგი შექსპირში თანამედროვე ადამიანის კატასტროფას „კითხულობს“, გამუდმებით გვაბრუნებს სინდისის ქენჯნისკენ და დალუპული სამყაროს ნარჩენებში დიდი ვნებების ანტიკურ გამოძახილს ეძებს.

ოსკარას კორშუნოვასი ახალი თაობის ფორტინბრასს უფრო ჰგავს, რომელმაც იცის, რომ თანამედროვე ცინიკური სამყარო, ისევე როგორც, ელსინორის სასახლე კლავდიუსის, გერტრუდასა და ჰამლეტის გვამებისგან უნდა „განმინდოს“ და ამგვარი „ანტისანტიტარიული“ სამუშაოსათვის წარმატება უნდა მიიღოს... როგორც თავად ჰამლეტი იტყოდა: „არჩევანი უნდა ერგოს ფორტინბრასს“.

კორშუნოვასის „ჰამლეტი“ (ვილნიუსის საქალაქო თეატრი) კულისებში გათამა-



„არლაქინი, ორი ბაბონის მსახური“



შებულ ტრაგიკულ კლოუნდას ჰგავს, სადაც დაძრწინან გარდაცვლილთა აჩრდილები, სადაც არასოდეს აინთება სინათლე, მაგრამ სიკვდილი მუდამ თეთრი ნიღბითაა ჩასაფრებული. ის დამცინავად და მკაფიოდ განსაზღვრავს თამაშის წესს: როცა ზღვარი მაღალსა და დაბალს შორის ნაშლილია; როცა ჰამლეტის მამის აჩრდილი და კლავდიუსი თითქოს ერთმანეთს ავსებენ; როცა წითელი ხელსახოცებით (დამცინავი მეტაფორით „შეთხზული“ სისხლით) თანაბრად ითხვრებიან ოდნავ სასაცილო, თოჯინურ-ინფერნალური ოფელიაც, ნაცრისფერი, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ჰამლეტიც, როზენკრანც-გილდენსტერნის გროტესკული წყვილიც...

„ჩვეულებრივი“ და ყოფით დამძიმებული ჰამლეტის (დარიუს მეშკაუსკასი) რეფლექსია, ხელოვნური ვნება და ცივი ისტერია, დროდადრო, ექოსავით ედება დარბაზს. სამაგიეროდ, არაჩვეულებრივია რასა სამულიტეს ოფელია, რომლის სიგიჟის სცენა ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავია ეფექტური განათებებით, ფერთა და ახალი ტექნოლოგიებით მდიდარ სპექტაკლში. ვისაც გასულ წელს თბილისის თეატრალურ ფესტივალზე წარმოდგენილი, რეჟისორის „რომეო და ჯულიეტა“ ახსოვს, ცხადია, გაიხსენებს ამავე მსახიობის მიერ განსახიერებულ ჯულიეტას.

წლევანდელ ფესტივალზე საუკეთესო შეფასება და პუბლიკის აღფრთოვანება

მანც ნეკროშუსის სპექტაკლმა დაიმსახურა, რომელიც ერთ-ერთი მსახიობის გარდაცვალების გამო, კარგა ხნის მანძილზე სცენაზე აღარ იდგმებოდა. რეჟისორმა „ჰამლეტი“ 2004 წელს აღადგინა, თუმცა კრიტიკოსების აზრით, „ჰამლეტის“ რეინკარნაცია მანც როკ-მომღერლისა და არაპროფესიონალი მსახიობის, ანდრიუს მამონტოვასის ჰამლეტის როლზე მონვევას უკავშირდება. სხვათა შორის, ნეკროშუსი მას სტანისლავსკის „მსახიობის გარდასახვის ხელოვნების“ შესახებ ნაკითხვასაც კი ავალდებულებდა.

უცნაური რკინის ნივთებით, ჰაერში გამოკიდებული რკინის კბილანა ხერხით თუ გიგანტური საათის მექანიზმით „გაფორმებული“ სცენა უკვე პირველივე წუთიდან გვატყვევებს. ამ რკინაზე ყინულის ნატეხებს ჭაღივით ჰკიდებენ, ხოლო განსაკუთრებულად „საშიშ“ სიტუაციაში ამონებენ, გალესილია თუ არა. რეჟისორი ოდნავ ირონიულ, რიტუალურ და პირქუშ თამაშში თავიდანვე ჩაითრევს მაცურებელს: სცენაზე მამის აჩრდილი თეთრი ქურქითა და უხილავე მარხილით შემოდის, თითქოს ლოსებზე მონადირე ლაპლანდიელია, კლავდიუსი (ვიტაუტას რუმპასი) და გერტრუდა (დალია სტორიკი) კი – პირიქით, შავი ქურქებით მეცხრამეტე საუკუნის მდიდარ ვაჭრებს უფრო ჰგვანან. ამ ფონზე, მამონტოვასის ჰამლეტი ნამდვილი პანკია, შესაძლოა – როკერიც (გააჩნია როგორ შეხედავთ),

ხოლო მისი მეგობარი და მუდამ სცენაზე მყოფი ჰორაციო (რამუნას რიდოკასი) ხილული მედიუმივითაა, ახერხებს, ყველა დააკავშიროს ერთმანეთთან.

ამ პირქუშ, ოდნავ მისტიკურ და დამაელექტრობებელ სპექტაკლში, სადაც განუწყვეტელივ ისმის რიტუალური ხმები, დოლისა და დაფდაფების ხმა თუ ვერდის „ბედის ძალის“ მოტივი, პოეტურ გამონათებად აღიქმება მწვანე კაბაში გამოწყობილი, უცნაური პლასტიკის მქონე, ახტაჯანა და პოეტური ოფელია (ვიტორია კუოდიტი), რომლის სიგიჟე-სიკვდილის სცენა ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავია წარმოდგენაში.

დიდი ხნის განმავლობაში ნეკროშუსს არ სურდა „ჰამლეტის“ დადგმა, ალბათ, დანიის პრინცის ერთგვარად „გაცვეთილი“ ხატის გამო. თუმცა მამონტოვასმა საკუთარი ავტონომიით თუ უჩრობით იოლად დაამსხვრია ეს ხატი... ჩვენ ვიხილეთ შურისძიებით თუ ფილოსოფიური ირონიით შეპყრობილი პანკი-ინტელექტუალი, რომელმაც პრინციბის გამო უარი თქვა ვიტენბერგის უნივერსიტეტზე, ინგლისში გამგზავრებაზე, ოფელიას სიყვარულზე...

ყინული, რომელზეც ჰამლეტი ფეხშიშველი დგება და ცნობილ მონოლოგს წარმოთქვამს, მალევე დნება და წყლად იქცევა. ცეცხლის სტიქია ანადგურებს ავადმყოფური პატიმრობის სიმბოლოს – ტახტს, ხოლო მიწას, როგორც მტვერს, ისე აყრიან აქტიორები ერთ-



„სიყირო, ანუ პოლიტიკური პიესა“

მანეთს. მომწესხველი მეტაფორებისა და რეჟისორული ფანტაზიით აგებული მიზანსცენების მონაცვლეობაში ჩაივლის დაახლოებით ოთხი საათი, ვიდრე არჩევანი მეომარ ფორტიწბრასს არ ერგება. სწორედ იგი დაითრეებს ჰამლეტს ფინალში; დიდ ხანს, მარტო დარჩენილი ცხოველის ყმუილით და დოღზე რიტმული დარტყმებით.

ექსპერიმენტისა და ტრადიციის ერთგვარი „მორიგების“ მცდელობა თუ სურვილი იგრძნობა სპექტაკლში „მონატრება“, რომელიც პიარნუს (ესტონეთი) თეატრმა მარტინ ალგუსის პიესის მიხედვით დადგა. მას შორეულ ექოდ ეხმიანება რიეკას (ხორვატია) თეატრის სპექტაკლი „სამხეცე“, რომელიც ტენესი უილიამსის ცნობილი პიესის „მინის სამხეცეს“ გათანამედროვეობის მცდელობაა. თუმცა ვერ ვიტყვოდით, რომ იგი რამით გამორჩეულია.

ვიდრე დრამატული თეატრი საკუთარ გამოცდილებას შინაარსობრივი თუ ფორმალური ძიებებით გაამდიდრებს, ე.წ. ფიზიკური თეატრი, რომელიც უფრო თანამედროვე ცეკვის თეატრის „მოსაზღვრე ტერიტორიად“ შეიძლება ჩაითვალოს, ცდილობს, ჩარჩოები უფრო თამამად გაარღვიოს. ამის მაგალითია ფესტივალზე ისრაელის „კიბუცი დანს კომპანის“ მიერ წარმოდგენილი 70-წუთიანი კომპოზიცია „ბნელ ბაღში“, რომელიც ხმის, მუსიკის, ტექსტისა და ქორეოგრაფიის (ავტორი რამი ბერი) სინთეზია. თუმცა სადავო და

მოულოდნელი სვლებით. მაგრამ ეს თანამედროვე ცეკვის თეატრის თანამდევია.

თემურ ჩხეიძის „საექსპორტო“ სპექტაკლს „კოპენჰაგენი“, რომელიც მან სანკტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში დადგა (მთავარ როლებში ოლეგ ბასილაშვილი, მამა ლავროვა და ოლეგ დეგტიარი), პუბლიკა დიდი ინტერესით ელოდა. გადაჭედულ გრიბოედოვის თეატრში წარმოდგენილი, ინგლისელი დრამატურგის მაიკლ ფრენის პიესა 2000 წელს პრემია „ტონით“ დააჯილდოვეს, როგორც „წლის საუკეთესო პიესა“. ამდენად რეჟისორს სრული კარტ-ბლანში ჰქონდა, რათა დახვეწილი საფირმო რეჟისორული სვლები და ფსიქოლოგიური თეატრის ნიუანსები წარმოეჩინა. პრინციპში, ასეც მოხდა. თუმცა სახელოვანი ფიზიკოსის, ნილს ბორისა (ოლეგ ბასილაშვილი) და მისი მოსწავლის, ვერნერ ჰეიზენბერგის (ოლეგ დეგტიარი) თითქმის სამსაათიანი დუეტი თუ დუელი ტრადიციული, ფსიქოლოგიური თეატრის ტემპო-რიტმის გათვალისწინებით მაყურებლისათვის მაინც დამლელი და ოდნავ მძიმე გამოდგა.

განსაკუთრებული საუბრის თემაა ფესტივალზე ქართული პროგრამის ჩავარდნა. ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრში „დეკამერონი“ დროზე ვერ დაასრულა. დავით დოიაშვილის „სირანო დე ბერჟერაკი“, როგორც ამბობენ, მსახიობ ზურა ყიფშიძის ვარსკვლავურ ამბიციას შეეწირა, ხოლო ბესო კუპრეიშვილის ნახევრად თოჯინური „ჩემი ჰამლეტი“ მხოლოდ ნახევარი – 35 წუთიანი ქრონომეტრაჟით უჩვენეს. არადა, სამივე სპექტაკლი ქართული „შოუ ქეისის“ ძირითადი „გასაღები“ უნდა ყოფილიყო და მას უცხოელი სტუმრებიც დიდი ინტერესით ელოდნენ. ეს საგანგაშო ამბავს უფრო ნაგავს, მაგრამ ამგვარი უპასუხისმგებლობის ფაქტს და ფსიქოლოგიურ ანალიზს, ისევე როგორც ფესტივალის იმიჯის გარკვეულ შელახვას, ცალკე ობუსი უნდა დაეთმოს. და მაშინ, ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგი შეიძლება, თეატრალური წარმოდგენის დასრულება-არდასრულების საბედისწერო ამბით შეიცვალოს.

ფესტივალის ქართული პროგრამიდან უნდა აღინიშნოს გოგი ქავთარაძის „ხალხის მტერი“ (ჰენრიკ იბსენის მიხედვით) თუმანიშვილის თეატრში, სადაც ნოდარ მგალობლიშვილისა და გიორგი ნაკაშიძის

გამოჩენა მთავარ როლებში უკვე საინტერესო სოციალურ-პოლიტიკური აქცია იყო. თუმცა ვერ გეტყვით, რამდენად მნიშვნელოვანი გახლდათ არტისტული თვალსაზრისით. ამავე თეატრში წარმოადგინეს „შვიდი პატარა პიესა“ (რეჟისორი ზურაბ გენაძე). რუსთაველის თეატრში ვიხილეთ ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით დადგმული „დაბოლილი მთვარე“ (რეჟისორი გოგა თავაძე), რომლის განსხვავებული ვერსია „ბანანისა და კომპის პუდინგი“ იმავე რეჟისორმა მანამდე ბათუმის თეატრში დადგა. რუსთაველის ექსპერიმენტულ სცენაზე მაყურებელს შეეძლო, გიო მგელაძის „გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“ (ავტორის რეჟისურით) და თანამედროვე გერმანელი დრამატურგის როლანდ შიმელსფენიგის „ქალი წარსულიდან“ (რომლის პრემიერაც ფესტივალის დროს გაიმართა) ერთმანეთისთვის შეედარებინა და განსხვავებაც ეპოვა.

საინტერესო თეატრალური ექსპერიმენტი შეთხზა სამეფო უბნის თეატრში დათა თავაძემ (რომელმაც უკვე მიიპყრო თეატრალბის ყურადღება დავით გაბუნიას პიესის „სხვისი შვილების“ დადგმით). თანამედროვე გერმანელი დრამატურგის, მარიუს ფონ მაიენბურგის „მახინჯი“ სცენაზე ექსპრესიონისტული ქორეოგრაფიული შთაგონებით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე ბანალური დრამის გავლენით. როგორც გაირკვა, პიესა გოეთეს ინსტიტუტის შემოქმედებით-წამახალისებელი პროექტია ახალი ევროპული დრამის „ასათვისებლად“. ეს ტექსტიმც იგრძნობა და სპექტაკლის ფორმალურ-პლასტიკურ რეჟისურაში, რიმელსაც ფანტაზია ნამდვილად არ აკლია.

არაპესიმიისტური ფინალისთვის აღვნიშნავთ, რომ მომავალ წელს ფესტივალის დირექცია სახელოვანი ტაივანური ქორეოგრაფიული ანსამბლის Cloud gate-ს ჩამოყვანას აპირებს. საცეკვაო დასი ქართული ხალხური მუსიკის შთაგონებით და თანხლებით რამდენიმე წელია, მსოფლიოს თანამედროვე ევროპული და აზიური ქორეოგრაფიის შთაბეჭდვად და უცნაურ სინთეზს აცნობს. იმედია, მომავალ ფესტივალზე ბევრ უცხოურ „ჰამლეტთან“ ერთად, ხარისხიან, ქართულ სპექტაკლებსაც ვიხილავთ, ხოლო უპასუხისმგებლო სიჩუმე მათი დასრულების მოლოდინში დიდხანს არ გაგრძელდება.



მოგავლის – კი და მარკეტინგის წარმოდგენა ჯერ კიდევ ძნელია

არტისტერიუმი 3 თბილისში

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: ირინა ხუსიშვილი

ახალი ხელოვნების ესთეტიკა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ღირებულებით უმცირესობას და ანდერგრაუნდს წარმოადგენს ჩვენი ოფიციალური გემოვნებისთვის. და რაკი არანაირი მარკეტინგული ბაზისი და მიმოქცევა არ გაგვაჩნია, თანამედროვე ხელოვნება აქ მხოლოდ პროექტებისა და სუბსიდიების დონეზე შეიძლება, არსებობდეს. ასეთ შემთხვევაში, ისეთი საერთაშორისო ფორუმის გახსნა, როგორც არტისტერიუმია, არამხოლოდ უცხოელი მხატვრებისათვის ხდება მიმზიდველი და ეგზოტიკური, არამედ ადგილობრივი არტისტებისთვისაც სულისმოსათქმელ ერთკვირიან ოაზისად გამოჩნდება ხოლმე. თანამედროვე ხელოვნებაზე სპეციალიზებული გალერეები ჩვენთან

არ არის, თუ არის, იქიდან 2 მხოლოდ წელს ან შარშან გაიხსნა („გალერეა 9“ და „გალა გალერეა“), არტისტერიუმის კატალოგშიც არცერთი მხატვარი არ არის რომელიმე გალერეის მიერ წარმოდგენილი, როგორც საკუთრივ მისი არტისტი. შესაბამისად, არტისტებზე პასუხსაც არავინ აგებს, როგორც კლასიფიკატორი. და იმის საშიშროებაც არ იქმნება, რომ ასეთი ღია კარის ღირებულებების სიტუაცია რომელიმე არარსებულ მარკეტს სერიოზულ ფინანსურ არეულობას შეუქმნის.

„არტისტერიუმი“ უბრალოდ საერთაშორისო გამოფენაა მხატვრებისთვის, ერთი დიდი გალერეაა, სადაც მათ შეუძლიათ, ერთმანეთის ნამუშევრებს გაეცნონ, შექმნან დისკუსია თა-

ნამედროვე ხელოვნების საერთო მახასიათებლებზე და დამთვალეერებელს მრავალფეროვანი და ორგანიზებული გამოფენა შესთავაზონ. ამ ბოლო პუნქტს საგანმანათლებლო ასპექტიც შეიძლება, მიემატოს, რაც გულისხმობს მოუშვადებელი მაყურებლისთვის არტისტული კონცეფციების დეტალურ განმარტებებს, არტისტებთან საუბრების გამართვას, ორგანიზებულ ტურებს ექსპოზიციის გასაცნობად. სხვა თუ არაფერი, როდესაც მარკეტი არ არის, მაშინ, ალბათ, აუცილებელიც ხდება ამ დეფიციტის შევსება შემეცნებითი და საგანმანათლებლო პლასტიკით. ეს საკითხი 2008 წელს, პირველი „არტისტერიუმის“ დროს მონყობილ კრიტიკოსებისა და კურატორების მრგვალ



მიმონილვა

მაგიდასთან ნიუ იორკის პარსონსის დიზაინის სკოლის დეკანმა ლიდია მეთიუსმა წამოჭრა. მან მოიტანა მაგალითი, რომ თვით დღევანდელ ამერიკაშიც კი თანამედროვე ხელოვნების გამოფენებზე ხშირად საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ანდა, უბრალოდ, მეზობელ მოსახლეობას სთავაზობენ გიდი თანხლებული სპეციალური დავალიერების პროგრამებს. იმისთვის, რომ ასეთმა მასშტაბურმა გამოფენამ რეალური სოციალური ფუნქცია არ დაკარგოს, მან არა განყენებული და გაუგებარი ელიტარულობის იმიტაცია უნდა შექმნას, არამედ რეალურად უნდა დაიკავოს ადეკვატური ადგილი დღევანდელი საქართველოს რეალურ კონტექსტსა და საზოგადოებაში.

ამ კუთხით ძალზე მახვილგონივრული აღმოჩნდა მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოს დაუგეგმავი პერფორმანსი, როდესაც ის გახსნაზე ლიმუზინით და გაძლიერებული დაცვის თანხლებით მივიდა (იხილეთ გიგი გულედანის კომენტარი „ტრანსფორმაცია“).

შავკოსტუმინი სიკურიტის ფონზე მას რუხი ფერის კოსტუმი ეცვა. ასეთ დროს, როცა ასეთი კარნავალური მნიშვნელოვნებაა წინ წამოსული, არავის სცალია სხვა რამისთვის, გარდა ერთმანეთისა. ოლეგ ტიმჩენკოს პერფორმანსმაც სწორედ ამ თვითრეფლექსიურ მნიშვნელოვნებას გაუსვა ხაზი, მაყურებლებმა ალბათ მხოლოდ ის თუ ჩათვალეს, რომ ოლეგ ტიმჩენკო სეკურიტის და VIP-ს დასცინის; ანდა, საერთოდ, არაფერიც არ ჩათვალეს და იფიქრეს, რომ ოლეგ ტიმჩენკოს რაღაც სულელური აკვიატება ან განდიდების ფარული მანია აქვს. ამასთან, ისიც,

რომ ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევარი გარედან შემოსული უცხო სხეული იყო გამოფენის პროგრამისათვის, სწორედ ჩვენში არსებული თანამედროვე ხელოვნების რეალურ სტატუსზე პირდაპირ მიუთითებდა.

როდესაც მხატვარი ასე ლაკონურად და ზუსტად ახერხებს შექმნას შინაარსობრივი წინააღმდეგობებით და ამბივალენტური ირონიით აღჭურვილი, მაგრამ მწყობრი სტრუქტურით აგებული პერფორმანსი, ეს მხოლოდ მისი სამხატვრო რეალიზაციის მასშტაბზე მიუთითებს. ასეთი პერფორმანსის მერე ყველაფერი ისტორიის მიღმა დარჩენილ ნახატს ჰგავს, ამბად განხორციელებას ძალაუფლების რაღაც სიმულაკრისა თუ სტრუქტურის. მისი წლებანდელი „სამკაულის“ გამოფენის მსგავსად ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევრებში დეკორატიული პომპეზურობისა და უწყინარი კლოუნადის მიღმა ხშირად ავთენტური ავანგარდისათვის დამახასიათებელი მძაფრი სოციალური კრიტიკა და საგანთა ღვთაებრივი სოლიპსიზმი იმალება.

ასეთი სტრუქტურალისტური პერფორმანსის მერე ამერიკელი არტისტის ლედოს პერფორმანსი უბრალოდ თეატრალურ წარმოდგენად მოჩანდა. ლედო 2008 წელს თბილისში იყო და წელს უკვე მეორედ იღებდა მონაწილეობას ამ თბილისურ გამოფენაზე. ლედოს პერფორმანსი არის ბუტოს ტიპური წარმოდგენა, რომელიც მართლაც ძალიან უხდება საგამოფენო სივრცეს, ან ქუჩას, უფრო მეტად, ვიდრე თეატრის სცენას მოუხდებოდა. ბუტო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადა იაპონიაში და თანამედროვე

და პოსტმოდერნისტული ქორეოგრაფიის და საცეკვაო თეატრის განუყოფელ ნაწილად იქცა. მოძრაობების უკიდურესი შენელების გზით მისი ფილოსოფია ეყრდნობა სხეულის მიმართ მაქსიმალური ყურადღებისა და დეტალური გაცნობიერების მიღწევას, ერთგვარ სხეულებრივ საკრალურ დესტრუქტურიზაციას, რაც მაყურებელზეც შესაბამის ეფექტს ახდენს. ასეთი შენელებული მოძრაობების დროს მოცეკვავის სპონტანური ტრაექტორიები თითქოს ძალზე ხანგრძლივი, მოსაწყენი და დამღლევი უნდა გახდეს, სინამდვილეში კი, პირიქით, აქ დრო საერთოდ კარგავს ფუნქციას და ყველაფერი ერთ მოულოდნელ და სიზმარივით სწრაფ ისტორიად გადაიქცევა. როგორც წესი, ბუტო ხშირად ტაბუდადებულ თემებს იყენებს საკუთარ ამოსავალ წერტილად. ამ შემთხვევაშიც არტისტმა სკამიდან დაიწყო მოქმედება და პირდაპირი მინიშნება გამოიყენა – ონანიზმი და პრივატული ეროტიკული ტერიტორია. მიუხედავად ამისა, მას, და მერე უკვე სკამზე დატოვებულ ხელოვნურ ფალოსს, რამდენიმე ფოტოკამერა დაჟინებით უთვალთვალებდა. თეთრი გრიმით დაფარული ლედო ცდილობდა გაქცეოდა ამ გაუჩერებელ კონტროლს, არამხოლოდ კამერების, არამედ მის თავს ზემოთ წამომართული იარაღებისაც. ერთ ფოტოგრაფ გოგონას უცბად გამოეკიდა კიდეც, სულ ოდნავ მოუმატა ტემპს და ეს ახალგაზრდა ქალი დამფრთხალი გაიქცა და ცდილობდა, ხალხში დამალულიყო. მოკლედ, მართლა რაღაც სიზმარს დაემსგავსა ეს ყველაფერი. ზოგს, ალ-



ბათ, ეგონა, რომ ეს პანტომიმა იყო, სინამდვილეში კი მათ ბუტოს ოსტატის შესანიშნავი ნამუშევარი იხილეს. თუ წლევანდელი „არტისტერიუმის“ გამოფენის თემას „წარმოიდგინე მომავალი“ გავითვალისწინებთ, ლედო აქ მეტი შინაგანი თავისუფლებისა და საზოგადოებისგან ინდივიდის დადანაშაულების შემცირებისკენ მოგვიხმობდა. ევროპის სახლში ფოტოგამოფენის დროს აივანზე ერთად აღმოვჩნდით და ვკითხვე, მიაჩნდა თუ არა მას ბუტოდ, რაც თბილისში წარმოადგინა. მან მიპასუხა: – ოჰ, დიახ, მაგრამ ბოლო დროს ვცდილობ, უფრო ვიდეო არტი გავაკეთო, – თითქოს მოზებურებული ჩანდა ამით და რაღაც ახლის მოლოდინში იყო.

ნამუშევარი, რომელიც ცენტრალურ ოთახში კედელს მიღმა არსებულ პატარა სივრცეში აღმოჩნდა, განსაკუთრებულ ხაზგასმას იმსახურებს, როგორც ყველაზე ფერწერული და ყველაზე გაბედული ექსპონატი. ბერლინელმა მხატვარმა ჰაინერ მულენბროკმა პროვოკაციული და უაღრესად ცოცხალი ნამუშევარი შესთავაზა თბილისურ გამოფენას. „სექსი საოჯახო ხელსაქმე ხდება“ – ასე ერქვა მის ფოტო ინსტალაციას, რომელიც პირდაპირი არტიფაქტების კოლექცია იყო ინტერნეტში ნანახი სექს-ჩატებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალებისა და დიასახლისების პრივატული ეროტიკული ალბომებიდან. ჰაინერ მულენბროკი საკუთარი თავის ძიების, იდენტურობის თემას ეხება, ხოლო მისი კედელი სათვალთვლო ტელევიზიის დახურული სისტემის მონიტორების იმიტაციით წითე-

ლი და ლურჯი სპექტრის შესანიშნავ ფერწერულ პანოს ქმნიდა. ამ ფერებს იყენებდა ამერიკული ბურლესკი და პინ-აპი 50-იან წლებში, ხოლო დღეს აქ უბრალოდ დიასახლისი ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი ქალები არიან წარმოდგენილნი, რომლებიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ საკუთარი სასიცოცხლო ერთუზიანობის აყლილი თავიანთი ბინებიდან ანონიმურ შიშველ სხეულებს, საკუთარ დეკორაციებს და არამასობრივ ეროტიკულ დიზაინს სთავაზობენ ინტერნეტის ასევე ანონიმურ და უხილავ მსოფლიო მომხმარებელს. სტატისტიკის მიხედვით ინტერნეტის გამოყენების 95 პროცენტს სწორედ ეროტიკულ მოტივაცია შეადგენს. ერთნი უთვალთვალდებენ, მეორენი კი, ლედოს კონცეფციისგან განსხვავებით, სწორედ ამ თვალთვალის მოსურნენი არიან. მოწყენილობისა და ერთფეროვნების ფონზე საკუთარი თავის პოვნის და დადგენის სურვილი, როგორც ჩანს, ისევე აკრძალულ და საშიშ ტერიტორიებს ეხება. ასეთი თემატიკა ყოველთვის მიუღებელი და დეკადენტური იყო და დღევანდელი რეაბილიტაციების მიუხედავად, მაინც ასეთად რჩება თანამედროვე ხელოვნების კრისტალური მორალური სიცარიელითა და ნეტარი სისუფთავით შეპყრობილობის ფონზე. ისევე, როგორც ოკულტურა (ოკულტისტური და უხილავის თემატიკით მკვეთრად განპირობებული ხელოვნება, სადაც კენეტ ანგერი ერთადერთ აღიარებულ არტისტად რჩება) ანდა მაქსიმალურად არამატერიალური, ტელეპათიური არტი (რაც მარინა აბრამოვიჩის

და კიდევ რამდენიმე ერთეული არტისტის მნიშვნელოვანი ინოვაციაა თანამედროვე ხელოვნებაში), სექსუალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ღია დამოკიდებულება მიუღებელ ტონად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალობის ყველაზე მძაფრი და უკიდურესად ბრუტალური სახეებით დატვირთული 70-იანი წლების ვენის აქციონიზმი (ოტო მიული, ჰერმან ნიჩი) რამდენიმე წელია, ლუვრის დონეზეც ქმნის უკვე პრეცედენტს. შეიძლება ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ თანამედროვე ხელოვნებას, მიუხედავად და შედეგად პოსტმოდერნისტული უსაზღვრო ღიაობისა, უჭირს დაუბრუნდეს ავთენტური და არქეტიპული სიმბოლოების დიდი ხნის წინ დავიწყებულ სამყაროს. სიმბოლოების ენის გარეშე კი ეს თემატიკა, რასაც სექსუალობა და ადამიანისთვის ასე უმთავრესი თვითიდენტიფიკაცია ჰქვია, სულ უფრო აკრძალული, ტაბუირებული და გაყალბებული გამოდის.

წლევანდელ არტისტერიუმზე, როგორც ადრე, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამერიკელების ოთახი, წარმოდგენილი ვიდეო-ნამუშევრები კი ძალზე მხიარული, დამაფიქრებელი და ესთეტიკურად რაფინირებული აღმოჩნდა. შილა პეპი ქოხის მსგავსი ინსტალაცია-ქსელი შექმნა საქსოვი ძაფების, რომლის სხვადასხვა კუთხეებში ადგილობრივი ხანშიშესული ქალები იყვნენ ჩართულნი ქსოვის პროცესში, პოსტკომუნისტური ნოსტალგიის მწუხარე ან მოწყენილ ჩვეულ თბილისურ სამოსში გამოწყობილნი. თავიდან დამაბნეველი იყო მათი დანახვა, თითქოს აქ არაფერი ესაქმებოდათ და რომე-



ლიმე პროვინციული ბიბლიოთეკის თუ სადღაც შემორჩენილი უქმად მყოფი დანესებულების სივრციდან იყვნენ აქ მოხვედრილი. შეიძლება, ეს ასეც იყო, მაგრამ ამერიკელმა არტისტმა რეალობის ჩვენება შესანიშნავად მოახერხა, და არა მხოლოდ მათი რეალობის, არამედ საერთოდ არტისტიკური მისი ადგილობრივი კონტექსტის. ასეთივე იოლი განწყობის იყო ივენ როთის ვიდეო „გრაფიტის ანალიზი 3.0“ – მიუხედავად სტრუქტურული და ენობრივი დატვირთულობისა, ის ძალზე სასიამოვნო სანახავი იყო. როგორც 2 წლის წინ, ამერიკელების ისევე კურატორებმა ლიდია მეთიუსმა და ლორი ლაზერმა წარმოადგინეს.

ქარვასლის გარდა „არტისტიკური-მი“ კიდევ 7 საგამოფენო სივრცეში იყო ექსპონირებული – გალერეა „აკადემია პლუსში“, ევროპის სახლში, სამხატვრო აკადემიაში, გოეთეს ინსტიტუტში, ლიტერატურის მუზეუმში, „გალა გალერეაში“ და „ნიუ არტ გალერეაში“. ასევე, გამოფენაზე ჩართუ-

ლი იყო რამდენიმე გაერთიანება ესტონეთის ლითოგრაფიული ცენტრის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის და პოლონეთის არტისტების. წარმოდგენილი იყო წელს ფოთში არტაქტივის მიერ მოწყობილი ხელოვნების რეგიონული ვორკშოპის ვიდეო-დოკუმენტაცია და თბილისის ისტორიის მუზეუმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტი „კავკასიელები“.

საგამოფენო ტერიტორიის შესასვლელში მაყურებელს ზაზა ბაზელის ნამუშევარი „რიტმი: ზღვა, მზე“ ხედებოდა, როგორც მომავლის წარმოდგენის გამჭვირვალე შესაძლებლობა – წყლის ზედაპირზე არეკლილი მზის სხივები საუკეთესო ქარვას ქმნიდა ამ ბუნებრივი და თითქოს არამატერიალური მასალისაგან და როგორც ვიდეო გამოსახულების ერთადერთი ხედი, შეგვახსენებდა, რომ ნებისმიერი საშუალება, თვით ვიდეო ჩანაწერიც, ბუნებრივი სტიქიების უბრალო და მშვენიერი პროდუქტია. მართალია, ცეცხლისა და წყლის ანტიკური სტი-

ქიები აქ თვალშისაცემად არ ჩანდა, მაგრამ ცხადია, ეს ნამუშევარი რაღაც მთავარ კომპონენტებზე მიგვითითებდა – ბუნებაზე და ტექნოლოგიაზე ერთდროულად. ეს მხატვარი საქართველოს თანამედროვე ხელოვნების სცენაზე, თუ არ ვცდები, პირველად გამოჩნდა და „არტისტიკური-მი“ კურატორის – მაგდა გურულის სრულიად მართებული საექსპოზიციო შერჩევა და ყურადღება დაიმსახურა. მეორე ნამუშევარი, „დროშა“ ასევე ფრაგმენტის მეთოდით არის წარმოდგენილი, როგორც დროშის ერთი კალთის მონაკვეთი. ამერიკელი პოპ არტისტის – ჯასპერ ჯონსის ამერიკის დროშიდან დანყებული ეს საგანი უკვე საბოლოოდ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილად შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც პოსტმოდერნიზმის თვითრეფლექსიურობისა და ამბივალენტურობის აქტიური სიმბოლო – როგორც ჩარჩო, სურათი, ნიშანი და თვითკმარი საგანი ერთდროულად. ასეთი დადგენილი საგნის მხოლოდ ერთი ნაწილის



ჩვენება, ხაზს უსვამს რომანტიკულ განწყობას, რომ დროშა, მიუხედავად ყველაფრისა უნდა ღელავდეს და მისი კალთა ტალღებს უნდა იკეთებდეს. ან ეს ფრაგმენტი მხოლოდ ადამიანური ნოსტალგიაა დროშის განვლილი და დავინყებულები მღელვარე ისტორიისადმი.

დროშის თემატიკას რაც შეეხება, ის, ფაქტობრივად, მთლიანად ავსებდა „გალა გალერეაში“ წარმოდგენილ ბერლინში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი მხატვრის უოტ'სის პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ქართულად დაახლოებით ასე, „გაჭრისთვის“ ერქვა. ეს, ძირითადად, სარკეებზე შესრულებული ნამუშევრების სერია იყო, სადაც, ალბათ, რევოლუციური, საბჭოთა დროშის მსგავსი სილუეტი იკითხებოდა, ხოლო დანარჩენი ექსპონატები სხვადასხვა აქტივისტურ სლოგანებზე და ლოზუნგებზე მინიშნებებს წარმოადგენდა. მაყურებელი ამ სარკეებში საკუთარ თავს ხედავდა, თითქოს მხატვარი პუბლიკის სინდისს იწვევდა, რამდენად გულახდილები იყვნენ ისინი ჰუმანობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში, ან შეიძლება, ყოველგვარი პოლიტიკური დაძაბულობების წყაროდ თვითონ ადამიანის ეგზისტენციალურ საკითხს აყენებდა.

თანამედროვე ხელოვნების მდგომარეობა დღევანდელ მსოფლიოში ასეთია – მხატვრების უმეტესობა კონცეპტუალური ბაზისზე დაყრდნობით უბრალოდ ფილოსოფოსობს, ან უარესი, პოლიტიკურ დეკლამაციებს აკეთებს.

დასანანია, რომ კატალოგი არ არის აღჭურვილი ქართულენოვანი ტექს-

ტით. ერთი მხრივ, ეს მიანიშნებს, რომ ის განკუთვნილია ექსპორტისათვის მაშინ, როდესაც ჩვენს ზემოხსენებულ კონტექსტში ასეთ გამოფენას უფრო იმპორტის მოტივაცია უნდა ამოძრავებდეს. ქართულ ენაზე დამთვალეობები მხოლოდ მისასალმებელ სიტყვებს ნახავს, მაგრამ ვინც ინგლისური არ იცის (ასეთი კი ბევრია თვით მონაწილე მხატვრებს შორისაც) ვერაფერს გაიგებს ჩინელი არტისტის ინგმეი დუანის კონცეფციის შესახებ. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ნაწარმოებების უმეტესობას ესაჭიროება გზამკვლევი მის კონცეპტუალურ, მართლაც რომ, ლაბირინთებში გასარკვევად, მაშინ ეს წიგნი დღევანდელი საქართველოს სიტუაციისთვის მხოლოდდა მორიგ მისტიფიცირებულ არტეფაქტად დარჩება. ინგმეი დუანთან ერთად ასეთი დესკრიფციული ტექსტები აქვს პარკ ბიუნგ უკს, ბრუს ალანს, არნო კონტრერასს, ლუიჯი კოპოლას, ზურა ჯიმკარიანს და სხვ.

თუმცა, როგორც ყოველთვის, ამ კომუნიკაციის დეფიციტს მაინც ავსებდა თანმდევი თეორიული პროგრამა-სესია, რომელიც მთელ დღეს გრძელდება ხოლმე. ამჯერად ეს იყო 4-5 ოქტომბერს გამართული თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა ნინო ჭოლოშვილის კურატორობით. თითხმეტი გამომსვლელი, რომელთა შორის იყვნენ შვეიცარიის „კუნსბიულეტენის“ მთავარი რედაქტორი კლაუდია იოლესი,

ბელგიელი კურატორი და კრიტიკოსი ბარბარა ვანდერლინდენი, ისრაელის დიგიტალური ხელოვნების ცენტრის დირექტორი იელ დენონი და სხვ. მიმოიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა – თუ რამდენად სჭირდება ბიენალე თბილისს;

„არტისტერიუმის“ წლევანდელ გამოფენაზე ასევე საუკეთესო იყო ალიმ რიჟინაშვილის, ილიკო ზაუტაშვილის („არტისტერიუმის“ დირექტორი), ალი ბრამველის, ლევან ჭოლოშვილის ნამუშევრები. კარგი იქნება, თუ აქ უახლესი ქართული მხატვრობიდან რომელიმე პროგრამით წარმოდგენილი იქნება აბსტრაქციონისტა პირველი ჯგუფი ისევე ილიკო ზაუტაშვილის, გელა ზაუტაშვილის, გია ეძგვერადის, ლუკა ლასარეიშვილის, გია მგალობლიშვილის და, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბანძელაძის შემადგენლობით. ასეთი პროგრამული რეპრეზენტაციები, ზემოხსენებული დისკუსიების გაფართოებასთან და ბეჭდური ატრიბუტიკის გაზრდასთან ერთად მხოლოდ მოეხმარებოდა საქართველოს თანამედროვე ხელოვნების კონტექსტის გამდიდრებას და დახვეწას, მის დაახლოებას ფართო საზოგადოებასთან და ცალკეული, ხშირად განზე დარჩენილი ან ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მხატვრებისა თუ სამხატვრო სკოლების აუცილებელ კლასიფიკაციასა და ქრონოლოგიურ დისკურსებს მომავალი საგანმანათლებლო, საარქივო და სამეცნიერო მიზნების გაიოლებისთვის. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ხელოვნება დღეს ყველგან პრიორიტეტია საერთაშორისო დიალოგების ასაშენებლად.

smartclub

საჩუქარი თიბისი ბანკის
ერთგული კლიენტებისთვის!



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

❗ იხილეთ რა არის SMART CLUB?

ეს არის ექსკლუზიური შესაძლებლობები, დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, საჩუქრები და სიურპრიზები - იმისთვის, რომ უბრალოდ, ხართ თიბისი ბანკის კლიენტი!

❗ ვის შეუძლია გახდეს SMART CLUB-ის წევრი?

კლებში განწევრიანება შეუძლია ნებისმიერ კერძო პირს, რომელიც უკვე არის, ან სურვილი აქვს გახდეს თიბისი ბანკის მომხმარებელი.

❗ რა უპირატესობით სარგებლობენ SMART CLUB-ის წევრები?

კლების წევრები საბანკო მომსახურებით სარგებლობისას, ბანკისგან საჩუქრად მიიღებენ SMART ქულებს, რომლებსაც შემდეგ, პარტნიორ ობიექტებში, სასურველ საჩუქრებზე გადაცვლიან.

კერძოდ, SMART CLUB-ის წევრებს საბანკო ბარათით გაკეთებული თითოეული შენაძენი, ბანკში დაგროვილი დანაზოგი, თუ აღებული სესხი ახალ, დამატებით სარგებელს მოუტანს!

განსაკუთრებით აქტიურ წევრებს კი, კლები მიიწვევს საგანგებოდ მათთვის მოწყობილ ღონისძიებებზე - „ექსკლუზივებზე“. ამასთან, ისინი საჩუქრად მიიღებენ ბილეთებს მსოფლიო პრემიერებზე კინოთეატრებში, თეატრალურ პრემიერებზე, ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ სანახაობებზე და სხვა.

❗ ბინდა გაიგო უფრო მეტი?

ეწვიე SMART CLUB-ისთვის შექმნილ სპეციალურ ვებ-გვერდს: www.smartclub.ge, შემოგვიერთდი Facebook-ის გვერდზე: [TBCSmartclub](https://www.facebook.com/TBCSmartclub), ან დარეკე თიბისი ბანკში: **272727**.



ტოსტერი
GOODWILL
16,599
Smart ქულა

ჭაუბი
MANGO
4,900
Smart ქულა

წიგნი
GPC
2,900
Smart ქულა

საბავშვო
ჭურჭელი
GPC
5,100
Smart ქულა

კაბა
BENETTON
6,500
Smart ქულა



შთაბამისი ლტოლვილებს

დოკუმენტური თეატრი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე

ავტორი: ლაშო ბუხრიკიძე

არაერთი რეჟისორისა თუ მსახიობისგან გამიგონია, რომ „დოკუმენტური თეატრის“ შექმნა გაცვეთილი თეატრალური რეალობის ჩანაცვლების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა რეჟისორთა მცდელობა, გარკვეული სუბკულტურის ან იზოლირებულ გარემოში მოქცეული პერსონაჟების ენა მაქსიმალურად ზუსტად გაეცოცხლებინათ სცენაზე, წარმატებული მაინც არ აღმოჩნდა. შესაძლოა, იმის გამოც, რომ რეალობით „გატანჯულ“ მაყურებელს სულაც არ სურს ორი საათის განმავლობაში ისევე საკუთარი პრობლემები იხილოს.

მიმდინარე სეზონში რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გაბედული პროექტი განხორციელდა: ბრიტანელმა რეჟისორმა ქალბატონმა ალექ ბლაითმა 2008 წლის ომის შემდეგ, ცხინვალისგან ლტოლვილი კონკრეტული ადამიანების შესახებ ერთი შეხედვით უზრალო, მაგრამ სანტერესო დოკუმენტური ფორმის სპექტაკლი დადგა. სხვათა შორის, ეს წარმოდგენა თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში უჩვენეს და მაყურებლისა თუ უცხოელი სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ვგავართ ახლა, ჩვენ ლტოლვილებს?!“ არის ვერბატიმის ფორმით შექმნილი სპექტაკლი, რომელიც რუსთაველის თეატრის, ბრიტანეთის ნაციონალური თეატრის და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი პროე-

ქტის ნაწილია. ეს პროექტი უკვე მეორე წელია ხორციელდება კომპანია BP-ის მხარდაჭერით. ვერბატიმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სიტყვა-სიტყვით“, „ზუსტად“. ეს ერთგვარი ინოვაციური ფორმაა, სადაც რეჟისორი რეალური ადამიანების საუბარს ეცნობა, მათ შეხედულებებს, ემოციებს და დამახასიათებელ ფრაზებს აღწერს. შემდეგ კი მათ ისტორიებს დოკუმენტურ-მხატვრული ფორმით აცნობს მაყურებელს.

ვერბატიმის ფორმით სპექტაკლის შექმნის იდეა პირველად 2009 წლის გაზაფხულზე გაჩნდა. ეს უნდა ყოფილიყო ახალი და განსხვავებული ჟანრი როგორც ქართველი მაყურებლისათვის, ისე თეატრში მომუშავე მსახიობებისათვის. ახალი ფორმის სპექტაკლის შექმნის მიზნით, ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პოპულარული რეჟისორი ალექ ბლაითი მოიწვია, რომელიც ამ ჟანრს კარგად იცნობს. რეჟისორი საქართველოს პირველად 2009 წლის შემოდგომაზე ეწვია და თავისი სპექტაკლისათვის შეარჩია დენილები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ აგვისტოს ომის გამო სახლ-კარი მიეტოვებინათ.

ერთი კვირის განმავლობაში რეჟისორი გორსა და წეროვანში დენილებისაგან ინტერვიუებს იწერდა. შედეგად შექმნა ცოცხალი შთაბეჭდილებებით სავსე ისტორიები, რომლებიც ამ ადამიანების იმე-

დებსა და პრობლემებს ასახავს. პრემიერა სახელწოდებით „ვგავართ ახლა, ჩვენ ლტოლვილებს?!“ რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში გაიმართა: მსახიობები სცენიდან იმეორებენ ლტოლვილთა ისტორიებს, რომლებსაც ყურსასმენებით ისმენენ. წარმოდგენაში რუსთაველის თეატრის ცნობილი და ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, თემიკო ჭიჭინაძე, ქეთევან სვანიძე, ლამა ოყროშიძე, ედმონდ მინაშვილი.

გამოყენებულია ქართული ხალხური და ლელა თათარაძის სიმღერები. ვიზუალური მასალა და ომის ამსახველი ფოტოები კიდევ უფრო ამძაფრებენ და აზუსტებენ სათქმელს. მსახიობები ცდილობენ, გაიმეორონ არა მარტო სიტყვები, არამედ საუბრის მანერა – იქნება ეს პაუზა, აქცენტი, ჩახველება თუ ხმის ტემპრი. ამ ერთი შეხედვით მარტივმა მიზანძვამ, რასაც თეატრალურ ენაზე შეიძლება „ეტიუდები“ ვუნოლოთ, კიდევ უფრო გააცოცხლა დენილთა ცხოვრების ამსახველი სცენები.

სპექტაკლი „ვგავართ ახლა, ჩვენ ლტოლვილებს?!“ ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით 2010 წლის ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში უჩვენეს და ბრიტანელი მაყურებლისათვისაც კი გასაგები აღმოჩნდა.

THE

RESTAURANT

THE

მისამართი: ჩუბნის ჩიტი 6
 ტელ.: 43 89 50 / 43 89 51



ჩესტოხანი "ოვადი" გთავაზობთ:

- მაღალი დონის მომსახურებას და უმდიდრეს გახეობს
- გემიიულ უჩიებს, დესერტს და ღვინის ფაქიოთ აჩრევანს

ჩესტოხანი "ოვადი" იდეალური ადგილია
 თქვენთვის და თქვენი სტუმრებისათვის



დაბრუნება „ჩრდილოეთის ვენეციაში“

„ოთახნახევარი, ანუ სენტემენტალური მოგზაურობა სამშობლოში“ – ასე უწოდა ფილმს მეოცე საუკუნის დიდი პოეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, იოსებ ბროდსკის შესახებ ცნობილია რუსმა რეჟისორმა და შესანიშნავი ანიმაციური ფილმების ავტორმა ანდრეი ხრუანოვსკიმ. ფილმი 2009 წელსაა გადაღებული და პრესტიჟული პრიზებით და პრემიებით დაჯილდოვდა რამდენიმე ცნობილ ფესტივალზე: კარლოვი-ვარში (სპეციალური პრიზი „დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე“), ვიბორგსა და რიგაში. გარდა ამისა, 2010 წელს მიენიჭა რუსული კინემატოგრაფის ყოველწლიური პრემია „ნიკა“ (საუკეთესო სცენარისა და საუკეთესო რეჟისურისათვის). ფილმის სცენარის ავტორია დოკუმენტური კინოსა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, იური არაბოვი, ოპერატორი – ვლადიმერ ბრილაკოვი. მთავარ როლებს ცნობილი რუსი მსახიობები – სერგეი იურსკი (ბროდსკის მამა) და ალისა ფრინდლიხი (ბროდსკის დედა) ასრულებენ. თავად ბროდსკის როლს კი სამი შემსრულებელი ჰყავს. ფილმის ერთ ეპიზოდში ჩნდებიან დიმიტრი მოსტაკოვიჩი და ანა ახმატოვა. კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ“ და კომპანია „სილქენტმა“ ფილმის „ქართული პრემიერა“ კინოთეატრ „რუსთაველში“ მოაწყვეს, რომელსაც თავად რეჟისორიც ესწრებოდა. სხვათა შორის, ეს თბილისის მე-11 საერთაშორისო ფესტივალის ერთ-გვარი წინასწარი ჩვენება და პრეზენტაციაც იყო, რადგან ბატონ ხრუანოვსკის ფილმს დეკემბერში, ფესტივალის სპეციალურ პროგრამაში უჩვენებენ. უცნობი ბიოგრაფიული დეტალები პოეტის ემიგრაციული ცხოვრებიდან, ლენინგრადის „კომუნალკების“ სულის-შემზუთველი, მაგრამ უცნაურად პოეტური ატმოსფერო, დიდი ისტორიულ-კულტურული ქალაქის ბაღებისა და არხების მაგია, ერთდროულად სამიში და კარიკატურული საბჭოთა ბიუროკრატიული სისტემისა და 60-70-იანი წლების რეტრო-ატმოსფერო, გაზავებული ფაქიზად ნაკეთი ანიმაციური ასოციაციებით. ეს ფილმს სიურრეალისტური პოეზიის ელფერს აძლევს. ბროდსკი ცდილობდა, მეორე ვენეცია ეპოვა ლენინგრადში და მხოლოდ დიდი ხნის განშორების შემდეგ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში.



ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გარია ჟორიაშვილი

პალიატიური ზრუნვა, როგორც ქველმოქმედება და ვალდებულება

პალიატიური მზრუნველობის და ჰოსპისების საერთაშორისო დღეს, 9 ოქტომბერს, მის ოფიციალურ საიტზე 50-მდე ქვეყანაში დაგეგმილი ღონისძიება იყო დარეგისტრირებული. ევროპის განვითარებული ქვეყნების გარდა, ტკივილის შემსუბუქებაზე ზრუნვის მნიშვნელობა ამ დღეს ოფიციალური უესტით სამხრეთ აფრიკის რეგიონებში და კენიამაც გამოხატეს. წელს ამ ქვეყნების რიცხვს საქართველოც მიემატა და წლევანდელი სლოვანის Sharing the Care (ვიზრუნოთ ერთად) გაზიარება სცადა. ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“, პირველი ლედის და მუსიკალური კომედიის და დრამის თეატრის ერთობლივი ორგანიზებით, 9 ოქტომბერი საქველმოქმედო საღამოს სახით აღინიშნა. კეთილი ნების გამოხატვა სტუმრებს არა მხოლოდ ფულის გადარიცხვით, არამედ თეატრის ფოიეში გამოფენილი იმ ნახატების შექმნის სახითაც შეეძლო, რომლებიც 13-მა ქართველმა მხატვარმა ორგანიზატორებს ამ დღისთვის უფასოდ გადასცა. ისევე როგორც საღამოს მეორე ნაწილში, სიმღერისა და კლასიკური ნაწარმოებების შესრულებისთვის მონაწილეებმა ჰონორარზე თქვეს უარი. საქართველოში სიკვდილიანობის ყოველწლიური მაჩვენებელი 42000-ია. აქედან, საერთაშორისო გამოცდილებით ითვლება, რომ გარდაცვლილთა დაახლოებით 60%-ს, ანუ 25000-მდე ადამიანს, ამა თუ იმ ხანგრძლივობით, ესაჭიროება ტკივილის შემსუბუქება. მაშინ როცა ასეთი მომსახურება, მიუხედავად ბოლო წლებში გარკვეული საკანონმდებლო აქტივობისა, ძალიან დაბალია. საქართველოს ჰოსპისებში სტაციონარული მომსახურება დღეს მხოლოდ 49 ადამიანს შეუძლია მიიღოს. „ღია საზოგადოება — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ქეთი ხუციშვილი ფიქრობს, რომ ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძალიან დაბალია პალიატიური მზრუნველობის საჭიროების გააზრება, ისევე, როგორც კერძო ბიზნესის სექტორში. ასეთი ტიპის საღამოები კი კარგი საშუალებაა, ერთი მხრივ ჩვეულებრივ მოქალაქეებს გაეგებინოთ და მეორე მხრივ კერძო ბიზნესის წარმომადგენლები დავაინტერესოთ, რომ მათი ზრუნვა და სიკეთე მათ გვერდით მყოფ ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ყველაზე კრიტიკულ დროს დასჭირდეს — სიკვდილამდე ტკივილის შესამსუბუქებლად.



ავტორი: ნათია ბულიაშვილი

სხალი შოკოლადი

დაბიუტი

მალა

მნარტობა

ფოტოგრაფია

ილუსტრაცია

2010



ჟურნალი „სხალი შოკოლადი“ აცხადებს
ახალგაზრდა შემოქმედთა კონკურსს – „დაბიუტი“

„დაბიუტი“ უკვე მესამედ იმართება და კონკურსის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი
დებიუტანტი ავტორები. სხვა მრავალ პრიზთან ერთად, კონკურსის მთავარი პრიზი ჟურნალ
„ცხელ შოკოლადთან“ თანამშრომლობის გაგრძელებაა.

კონკურსი სამ ნომინაციაში გაიმართება:

პუბლიცისტიკა / ფოტოგრაფია / ილუსტრაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.shokoladi.ge



ტრანსფორმაცია: ოსი წლის შემდეგ

ავტორი: გიგი გულადანი

1991 წლის ერთ თოვლიან დღეს, კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის წრეზე, ორმა მანეკენმა შიგნიდან გამომსხვრია ვიტრინის შუშები, გაარღვია ოთხმოცდაათიანებისთვის დამახასიათებელ პოსტ-პერესტროიკულ ტანსაცმელში გამოწყობილ მოქალაქეთა რიგები, კიბეებით ქუჩაში ავიდა და გაუჩინარდა.

კოლმეურნეობის მოედნის „პადზემკიდან“ მანეკენების გაქრობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა, იმდენად, რამდენადაც გაქცეულებს იმ დღეს ქუჩაში გამოსული ხალხისგან განსხვავებულად ეცვათ და ფეხით მოსიარულეებს წესით ვერ უნდა შერეოდნენ.

მანეკენებს უფრო სოლიდური შესახედაობა ჰქონდათ. სოლიდური, რა თქმა უნდა, ოთხმოცდაათიანების გაგებით, რაც იმას გულისხმობს, რომ ძნელი იყო მათი ჩაცმულობის მიხედვით მათივე საქმიანობის ზუსტი დასახელება.

ერთ მანეკენს ეცვა მუქი ფერის პალტო, საიდანაც წითელი პერანგი მოუჩანდა, ზედ გადმოკიდებული ოქროს ცეპით. მეორე მთლიანად სიმუქეში იყო გამოწყობილი და კლასიკური შემთხვევა იქნებოდა კიდევ, რომ არა ყვითელი ჰალსტუხი და თავს უკან შეკრული პატარა ნანწავი. ორივე მანეკენს ეკეთა შავი სათვალე.

როგორც უკვე აღვნიშნე, მაშინდელ თბილისში ასე გამოწყობილ ადამიანებს მხოლოდ ტელევიზორში თუ ნახავდით და ისინი ერთდროულად განასახიერებდნენ: ახლად გამოჩეკილ საქმოსნებს, ჯერარშემდგარ ბანკირებს, რაღაც პონტში ჩამორჩენილ ჯაზმენ-ბლუზმენებს, საბჭოთა ანდერგრაუნდიდან სულ ახლახან გამომძვრალ ბოჰემას, სხვადასხვა ჯურის შარლატანებსა და, რაც მთავარია, რომანტიკოს განგსტერებს. ეს იყო კაპიტალისტი კაცის დამახინჯებული არქეტიპი, რომელიც სწორედ ასე გადმოვიდა ვიტრინიდან ქართულ ინფანტილურ რეალობაში.

მანეკენების ამბავი კი, ყველასთვის მოულოდნელად, თბილისის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალ „არტისტერიუმზე“ გაგრძელდა. და ის, რომ ეს რაღაცის გაგრძელება იყო და არა ცალკე მდგომი მოვლენა, მხოლოდ მას შემდეგ მივხვდით, რაც ჟურნალისტმა თეონა ჯაფარიძემ ნიკო ცეცხლ-

ძისა და ოლეგ ტიმჩენკოს 1991 წლის „პადზემკის პერფორმანსზე“ მომიყვა.

2 ოქტომბრის „არტისტერიუმის“ გახსნა უკვე იმ სტადიაში იყო, როცა ექსპოზიციები შემოვლილია, ფურშეტი დარბეული, სასმელი დალეული და პუბლიკა დარბაზიდან დარბაზში სმაურიანი გადაადგილებით ერთობა.

ხალხის მოძრაობის მოზომილი ტემპი რაღაც მომენტში აიწვია. თავები დაკვირვებით ტრიალდებოდა კოსტუმებში გამოწყობილი ბოდიგარდებისკენ, რომლებსაც ცენტრში ჰყავდათ მოქცეული საშუალო სიმაღლის გამხდარი, სოლიდურად ჩაცმული მამაკაცი. დაბნეულობას ის იწვევდა, რომ ეს ადამიანი არ იყო „ცნობილი სახე“, რომელიც შეიძლება ქართული ნიუსებიდან დაგხსომებოდათ. მიუხედავად ამისა, ბოდიგარდების სიმრავლე, სტუმრის თავდაჯერებული ჟესტიკულაცია და მიმიკა „ცალსახად“ მიუთითებდა მის უსერიოზულეს ბიუროკრატიულ წარმომავლობაზე. დაცვის კვალდაკვალ, მისტიკურ ჩინოვნიკს პუბლიკის ჩურჩული მიყვებოდა. დარბაზიდან კორტეჟის გასვლისას, გავიგე როგორ გადაულაპარაკა ჩემს გვერდით ვიღაცამ ვიღაცას: „ე, ნახე რა ქნა ოლეგამ?“

იქიდან გამომდინარე, რომ ოლეგ ტიმჩენკო არაა „ცნობილი სახე“, მისი პერფორმანსი პუბლიკის ნაწილისთვის სინამდვილედ იქცა. მეორე ნაწილი მიხვდა თამაშს, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ გათამაშებას ჰქონდა მესამე რეალობაც: „ტიმჩენკოს ჩინოვნიკი“, 1991 წელს, კოლმეურნეობის „პადზემკიდან“ გაქცეული მანეკენი იყო.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რას აკეთებდა ის ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე – სწავლობდა თუ არა უცხოეთში, ჰქონდა თუ არა „ბიზნესები“ ან „ნილები“, რომელ პარტიაში ან სამსოში იყო, იბრძოდა თუ არა აფხაზეთში, ცოცხალია თუ არა მისი ძმაკაცი მანეკენი?

ერთადერთი, რაც მასთან რამდენიმეწამიანი კონტაქტის შედეგად შეიძლება, თამამად ითქვას, არის ის, რომ „პადზემკის ვიტრინის“ გაუგებარი მანეკენი ბოლო ოც წელიწადში კონკრეტულ პერსონაჟად ჩამოყალიბდა. ის უკვე მართავს რეალობას ჩვენს გარშემო: ოდნავ საშიში, ხელშეუხებელი ჩინოვნიკი, დაღლილი ღიმილით, ბოდიგარდების გარემოცვაში.

გეორგ ბაზელიუსის გამოფენა

02.11. - 02.12.2010

გეორგ ბაზელიუსი

1965 - 1992 წწ. ბაჭყალი ბიჭვინა

უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის (ifa)
გამოფენას წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი
საქართველოში და საქართველოს ეროვნული
მუზეუმი

გამოფენის გახსნა: 2.11.2010, 18:00

შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი

ლადო გუდიაშვილის ქ.№1



3.11.2010, 16:00

გეორგ ბაზელიუსი

ჰაინც პეტერ შვერფელის დოკუმენტური
ფილმი

2004, 52 წთ., გერმანულ ენაზე ქართული
სუბტიტრები

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
აუდიტორია

ფურცელაძის ქ.№1



ლონისძიებაზე დასწავლა თავისუფალი!



მელიაორბანიზმი

ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი

ამ წერილით ირაკლი ჩარკვიანთან ჩემი პირველი შეხვედრა მიხდა, გავიხსენო. მით უფრო, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც ხუთი წლის წინ, ზამთრის სუსხიან დილას, გვანუხებდა, დღემდე აქტუალურია: ომი და საომარი რიტორიკა, სახელმწიფო მოხელეთა უპასუხისმგებლო და ავტორიტარული ქმედებები, არჩევანის თავისუფლება და თავისუფალი არჩევნები, ფუნდამენტური და სამოქალაქო უფლებები.

„მეფეს შოუში“ გამართული ინტერაქცია კარგად აჩვენებს, თუ როგორი მნიშვნელოვანია მედიის მიერ სოციალური სინამდვილის, როგორც ორგანიზმის, სრულფასოვანი ასახვა და როგორი ნაკლოვანია მედია, რომელიც „საშუალო სტატისტიკური ადამიანისთვის“ წერს/მაუწყებლობს. ასეთი პოზიციის მიმდევრებმა, ალბათ, არც კი იციან, რომ დემოკრატიისთვის მხოლოდ კონკრეტული ადამიანი არსებობს და არა – საშუალო სტატისტიკური. თავისუფალ მედია-სივრცეში ყოველი მოქალაქის ხმა/პოზიცია უნდა ისმოდეს და გათვალისწინებულ იქნას ისევე, როგორც ჩინოვნიკების, მათი მეგობრების და ოჯახის წევრების.

ქალიშვილობა და დემოკრატია

იმ დღეს ისე ციოდა, რომ „მწვანე ტალღისადმი“ ჩემი ერთგულება რომ არა, სახლიდან ფეხს არ გავადგამდი. ამას ისიც დაემატა, რომ ირაკლი ჩარკვიანი „მეფეს შოუში“ სასაუბროდ მიხმობდა თემაზე „ქალიშვილობა: ტაბუ რელიგიური ელფერი“.

გადაცემის დაწყებამდე ერთმანეთი გავიცანით და რადგან უკვე 2005 წლის დეკემბერი იყო, ჩვენს საუბარს უფრო დაძაბული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე – მშვიდი და განონასწორებული. მასპინძელი ზომაზე მეტად ბობოქრობდა. არც მე შევხვდი მწყაზარი და მოდუდუნე. როგორც კი იგი მსჯელობას წამოიწყებდა, მეორე წინადადებიდან მე ვაგრძელებდი და – პირიქით. ცოტა ხანში დიდი ალიაქოთი ავტეხეთ. ჩვენი გაშმაგება პირველი ლედის ერთმა ინტერვიუმ გამოიწვია, მაგრამ ამაზე ბოლოს!

ეთერში გასვლის დროს მივხვდით რომ „სიმზურვალე“ უნდა დაგვეძლია და ქცევის წესებზე მაინც უნდა შევთანხმებულიყავით.

12 საათზე ირაკლი მსმენელს მიესალმა, მე წარმადგინა და პრობლემაში „შესვლა“ თავისივე პატარა ესეთი დაიწყო: „ბავშვობიდან ქალის საშოსთან დაკავშირებული პრობლემები ყველა ღირსეული და უღირსი ბიჭის განხილვის საგანია. პრიორიტეტული და დაფასებული სწორედ ის ბიჭი ხდება, რომელმაც ნახა ეს იდუმალეზით მოცული „ბერმუდის სამკუთხედი“, რომელიც მხოლოდ ქალებს აქვთ და მათ შორის – ბიჭების დედებსაც. ეს საშინელი, კომფუზის მომგვრელი ფაქტია“. ამ ეტაპზე, როგორც წესი, ბიჭებს შორის საუბრები წყდება და სხვა თემებზე გადადის.

პირველად, როცა ქალიშვილთან მქონდა ურთიერთობა, ვერაფერი ვიგრძენი ტკივილის გარდა. ჩემი სანოლი სისხლით იყო მორწყული და ჩემი პირველი სიყვარული გულამოსკვნილი ტიროდა. იმას კი არ მეკითხებოდა – მიყვარდა თუ არა, არამედ იმას – რა ეთქვა მშობლებისთვის? ყველაზე მეტად მამის ეშინოდა. ორივემ გადავწყვიტეთ, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც გაეუშხელდით, – ეს იყო დედამისი, მხოლოდ მას გაუხსნიდა გულს.

მიღებული გადანყვეტილებით გულდამშვიდებულებმა კიდევ რამდენჯერმე გავიმეორეთ ის, რაც ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ცივად და უსიყვარულოდ იყო აღწერილი. სინამდვილეში კი ეს ღვთაებრივი აღგზნება არაფერს შეედრება ამქვეყნად. როგორც დიდებული საჩუქარი, სრულფასოვანი სიყვარული მხოლოდ რამდენჯერმე გეძლევა ცხოვრებაში და სხვა ყველაფერი იმ დიდი გრძნობის ლანდები და ანარეკლებია.

როცა პირველ სიყვარულზე ვწერ, მე ყოველთვის პირველი სექსუალური გამოცდილება მიდგას თვალწინ, რადგან სექსუალური ვნების, მიმზიდველი კანის, სურნელის გარეშე ძნელად წარმოსადგენია სიყვარული.

ასე რომ, ქალიშვილობა და მასთან გამოთხოვება სულაც არაა ადვილი არც დემოკრატიულ დასავლეთში და არც –

აღმოსავლეთში, სადაც ქალებს ჯერ კიდევ უწევთ ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის.

ნება მომეცით, მოვწყდო მსოფლიო კონტექსტს და ქართველ ქალს დავაკვირდე დიდი ლუბით და დავინახო ის აკრძალვები, რომელიც უშლის მას ხელს სრულფასოვან ინტელექტუალურ ნინვლაში ისევე, როგორც ყველა ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ ეშინია საკუთარი აზრის გამოთქმის, მათი საჯარო დეკლარირების. მე უნდა გავადვიოთ თქვენში მეფე, რომელიც ათი ათასჯერ მეტს შეძლებს, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ. ჩვენი მეფე დღეს ლიბერალური დემოკრატიაა!!! რა შუაშია აქ ქალწულობა?

ჩვენი დემოკრატია ხომ ქალწულია და ხალხის მიერ თითქმის ხელუხლებელი.

ჩემი შოუს მიზანია: არ გვეშინოდეს გამოთქმის, გამხელის, მამის და ვისაუბროთ ისეთ თემებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ტაბუირებულია. ამ გზით უნდა მივალნოთ მედიოკრაზმს.“

ამ საინტერესო შესავლის შემდეგ, მე „ქალწულობის“ და „ქალშვილობის“ დაკავშირებას შევეცადე. საგარაუდოა,

მინები). ჩვენ უნდა მივიღოთ ეს ღირებულებები, რომლებიც აქამდე მხოლოდ მექანიკურად ჩავაკერეთ ქართულ სინამდვილეში და ამიტომ პოსტოპერაციული ტკივილები გვაქვს და შეიძლება, განმეორებითი ქირურგიული ჩარევა დაგვჭირდეს.

უკვე პირველი მსმენელი შემოგვიერთდა. ძალიან ლელავდა, რადგან ის, რაზედაც ჩვენთან საუბარს აპირებდა, მისი პირადი განსაცდელი იყო: თავს ებრძოდა, შიგადაშიგ ხმა უკანკალებდა და ტიროდა, მაგრამ მაინც მოახერხა საუბარი:

„მე ჩემს თავზე ვილაპარაკებ, თუ ნებას მომცემთ. ოცი წელია გათხოვილი ვარ, მყავს ერთი შვილი. ვისთანაც ვცხოვრობ, არასოდეს არ მინდოდა ის ადამიანი. მან ძალა იხმარა, ამიტომ დავრჩი. ჩემი ოჯახის კი არ მრცხვენოდა, არამედ ხალხის. რომ გამემხილა, ასეთი უბედური არ ვიქნებოდი. ჩემი დედ-მამა ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ეგონათ, რომ მიყვარდა. შემძულა დედამთილმა, როგორც მისი შვილის „შემბმელი“. როცა დაფეხმძიმდი, ამ კაცმა აბორტი გამაკეთებინა, რომ სახლში ამ მდგომარეობაში არ

ჩვენი მეფე დღეს ლიბერალური დემოკრატიაა!!! რა შუაშია აქ ქალწულობა?

ჩვენი დემოკრატია ხომ ქალწულია და ხალხის მიერ თითქმის ხელუხლებელი. ჩემი შოუს მიზანია: არ გვეშინოდეს გამოთქმის, გამხელის, მამის და ვისაუბროთ ისეთ თემებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ტაბუირებულია. ამ გზით უნდა მივალნოთ მედიოკრაზმს.

რომ სწორედ ღვთისმშობლის უმანკოება არის ის სათავე, საიდანაც გოგონებისთვის ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობის აკრძალვა მოდის. სწორედ იგი განაპირობებს ქალების დაქვემდებარებას და უფლებობას:

„არჩევანის თავისუფლება და თავისუფალი არჩევნები ურთიერთდაკავშირებულია. თუ მე, როგორც სუბიექტი არა ვარ თავისუფალი, – ვერასოდეს ვიქნები თავისუფალი მოქალაქე. ვინც საქართველოში ცხოვრობს და არ არის „ბრმა“, აქვს დაკვირვების და ანალიზის უნარი, ის მიხვდება, რომ ქალის ბედს ჯერ კიდევ ქალწულობა, ბიოლოგია განსაზღვრავს. ამის გამო ინარჩუნებს თავს უამრავი სხვა ჩამორჩენილობები, მაგალითად – მოტაცება“.

ირაკლის გაუკვირდა, რომ ბოლოდროინდელი ევროპეზაციის ნაკადის მიუხედავად, მოტაცება, როგორც ქორწინების არქაული და ველური ფორმა, კვლავ სიცოცხლისუნარიანია. ნუთუ ჩვენ ვერ გავიგეთ, არ მივიღეთ დასავლური ღირებულებები? ამაზე მე ვუპასუხე, რომ ლიბერალური, დემოკრატიული იდეები დასავლეთში დაიბადა, რომლებიც ჩვენ უნდა გავიზიაროთ, ვთარგმნოთ. რათა დემოკრატია „ჩემოკრატია“ არ გვეგონოს, ხოლო ევროპა – „ევროპე-მონტი“ (კოტე ყუბანეიშვილის და ემზარ ჯგერენაიას ტერ-

მივეყვანე.

10 წელი არ მყავდა შვილი. „სახარების“ კითხვა დაეწიყე. ახლა ბიჭი მყავს და ის რომ არა, თავს ჩამოვიხრჩობდი“ (ტირის!).

ირაკლი ნუგეშად დაიღვარა:

„თქვენ განუყრელად იყავით ღმერთთან და მანაც სიყვარული დაგიბრუნათ. თქვენ გაუძელით გამოცდას. ბოლომდე უნდა გწამდეთ ცხოვრების. ყველას მინდა ვუთხრა, რომ შეუძლებელია შეგიყვარდეთ ადამიანი, რომელიც არ გიყვართ ან რომელმაც თქვენზე იძალადა. მომიკითხეთ შვილი. კარგია რომ მოგვიყვებით ეს ყველაფერი. შეკავებული ინფორმაცია და ემოცია დემონია, აკუმულირებული უარყოფითი ენერგიაა, რომელიც გებრძვის, როგორც მარა ებრძოდა ბუდას“.

მეც დავამშვიდე და ვუთხარი, რომ ცხოვრება გრძელდება და ყველა, ვინც თქვენს ისტორიას მოისმენს, აუცილებლად თანაგიგრძნობთ და დაინახავს, რომ თქვენ უკვე გამოსხვედით მსხვერპლის როლიდან და ამით ბედნიერი უნდა იყოთ.“ გაუხარდა ნუგეშისცემა და დაგვემშვიდობა.

მუსიკალური პაუზის შემდეგ ვაჟი მსმენელიც შემოგვიერთდა. მისი აზრით, ქალიშვილობასთან დაკავშირებული ვე-

ლური შემთხვევები ბიჭების ბრალია. ისინი მშვენივრად ხედავენ, რომ ეს სულელური ტრადიციული ნორმაა, მაგრამ თვითონ ცოლად მანაც უბინოებს ეძებენ:

„გლობალიზაციას ვერ ვერ ავუწყვეთ ფეხი. ინფორმაციულმა ვაკუუმმა განაპირობა უფროსი თაობის ჩამორჩენილობა. რა თავისუფლებაზეა ლაპარაკი, როცა მამა ზრდასრულ გოგოს 7 საათის შემდეგ გარეთ არ უშვებს?“

ამით მშობლების კონსერვატიზმსა და ავტორიტარიზმს მივაღიქვით, ამიტომ გვერდი ვერ ავუარე ქალების დაქვემდებარების საკითხს:

„ჩვენ ვცხოვრობთ მშობლების ოჯახში, მათზე ვართ ეკონომიკურად, ემოციურად, მენტალურად დამოკიდებული. ჩვენ გვჭირდება საკუთარი სივრცე, რათა მოვიპოვოთ საკუთარი ადგილი. ვირჯინია ვულფი ამბობს, რომ სანამ ქალს არ ექნება საკუთარი ოთახი, – იგი ვერაფერს სერიოზულს ვერ შექმნის.“ ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ასეთი „ოთახი“ აუცილებელია პირად და საჯარო სფეროში.

გლობალიზაციის პროცესი ქალს ახალ, ავტონომიურ ად-

პროგრესულიც და ჩამორჩენილიც. ჩვენი თვითშეფასება ცალმხრივია, თუ მთლიანობაში არ შევიცანით საკუთარი თავი. დადებითის იდეალიზება ინვესს ინტელექტუალურ კარჩაკეტილობას და სიბრმავეს, ნარცისიზმს.“

შემდეგმა მსმენელმა ეთნოგრაფიული წყაროები მოიშველია და აღნიშნა, რომ ქალწულობის ინსტიტუტს ეკონომიკური საფუძვლები აქვს. მისი საშუალებით ვაჟის ოჯახი სარძლოს ინარჩუნებდა, რადგან ქორწინება ორ ოჯახს შორის ეკონომიკური ხელშეკრულება იყო:

„ქმრის ოჯახისთვის ქალი ახალ მუშახელს, უფროსების მომვლელს წარმოადგენდა. სიყვარულზე და განქორწინებაზე საუბარი არ იყო. დროთა ვითარებაში, როცა წყვილები ცალკე იცხოვრებენ, ეს დრომოჭმული შეხედულებაც აუცილებლად შეიცვლება. თავისუფალი ეკონომიკა შეცვლის ტრადიციულ ნორმებს. „თავისუფლება“ და „თავისუფალი ბაზარი“ ახალ ტრადიციას აყალიბებს. ურბანულ კულტურაში ცვლილებები ხდება, ხოლო სოფლად პატრიარქატული ოჯახი უფრო მომგებიანია ეკონომიკურად.

„ბახდა, სტრიპტიზი... საქართველოს ყოველთვის უჭირდა საკუთარი სიშიშვლის დანახვა.

იდეოლოგიას უნდათ, რომ საქართველო არ „გაიხადოს“, არ ჩაიხვას სასურაო კოსტუმი და ტრადიციული, ილუმას და ნინოს სამოსი ატაროს. სანამ ქვეყანა საკუთარ ტანს არ დაინახავს, მანამ დემოკრატიული ცხოვრება ვერ დაიწყება“.

გილს კი არ სთავაზობს, არამედ სექსუალიზებულ, დეკორატიულ იმიჯს, რომელმაც უნდა გაალამაზოს მამაკაცური წესრიგი. ტრადიციულ დედის ხატს ვენებისაღმძვრელი ლამაზმანის ხატი დაემატა. მოდერნიზაცია ქალებისთვის მოდელიზაციად გაფორმდა.

ხომ ვხედავთ, როგორ შევწროვდა მედიასივრცე, იმისათვის, რომ „ჯეობარი“ დაწყებულიყო, დაიხურა „ფსიქო“, – განსჯის, ალტერნატიული ხედვების, ანალიზის ასპარეზი.“

რადგან „რუსთავი 2“-ის ეს პროექტი ვახსენე, მსმენელთა ნაწილი იმ ისტერიკაზე ალაპარაკდა, რომელიც შოუს მონაწილეთა სითამამეს მოჰყვა: ზოგი დახურვას ითხოვდა, ზოგი – ახალგაზრდების დასჯას. ირაკლის ამ ამბავმა საღერღელი აუშალა:

„გახდა, სტრიპტიზი... საქართველოს ყოველთვის უჭირდა საკუთარი სიშიშვლის დანახვა. იდეოლოგიებს უნდათ, რომ საქართველომ არ „გაიხადოს“, არ ჩაიხვას საცურაო კოსტუმი და ტრადიციული, ილუმას და ნინოს სამოსი ატაროს. სანამ ქვეყანა საკუთარ ტანს არ დაინახავს, მანამ დემოკრატიული ცხოვრება ვერ დაიწყება“.

აქ უკვე მეც ფრთები გავშალე:

„ამ ტანში არის ლამაზიც და უშნოც, მიმზიდველიც და გულისამრევიც, განუმეორებელიც და ორდინარულიც,

ამავე მსმენელმა განმარტა, რომ „ჯეობარი“ ვუაიერისტული ვნებების კომერციალიზაციის მაგალითია. გოგი გვახარიას ინტელექტუალური შოუ ტელევიზიას შემოსავალს ვერ მოუტანდა. გაიხსენა ნიკა ტაბატაძის განცხადება, რომ მის მიზანს წარმოადგენს რეკლამის დამკვეთთა და თანამშრომელთა დაკმაყოფილება, ანუ ჩვენი, მოქალაქეების, ადგილი მის ღირებულებებში არ არის.

ირაკლი ასეთმა პოზიციამ ძალიან გააღიზიანა:

„გოგი მაგ არხის ერთადერთი ნათელი წერტილი იყო, რომელიც შემეცნებით სურვილს გვიკმაყოფილებდა. კულტურა პრიორიტეტი უნდა იყოს ყველა ნორმალური, ცივილიზებული ქვეყნისათვის, რადგან იგი ერთ ადამიანს კი არ ავითარებს, არამედ მთელს ხალხს. სანამ ამაზე არ იქნება აქცენტი, მანამ ეს ქვეყანა იქნება ველური და ასეთი ხელისუფლება ყოველთვის წააგებს არჩევნებს. სიბნელეს სინათლე ჯობია, – უკეთესია შედეგი.“

გადაცემის ბოლოს ახალგაზრდა ქალი შეგვეხმიანა. აღშფოთებული იყო ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, მეგრელიშვილის კომენტარით, რომელიც მან ახალ შრომის კანონთა კოდექსთან დაკავშირებით გააკეთა – ქალს, როგორც პოტენციურ დედას, სამსახურში არასდროს ავიყვანო. ამ შეურაცხმყოფელ განცხადებაზე ირაკლიმ პრეზიდენტის

სხელი შოკოლადი

ნომერი 2010 №65
ფასი 5 ლარი



ისტორიები ელისო ვირსლაძე

რბი ანდლოზელი

ზურა ლეჟავა

შოთა ბაბარინი

ფინსუპის სანა

ზოსა ანდონიო მარასი

ესეი

ბაიროიტის დღიური

ლუბა ზულაძე

სოლიდარობის კოლონეზი
ლევან ბერძენიშვილი

ლიტერატურა

ნიზნავი თბილისში

ISSN 1512-2220



გამოიწერეთ „სხელი შოკოლადი“
წელიწადში მხოლოდ 49 ლარად

ყურნალს, გამოსვლის დღესვე, თქვენს სამუშაო ადგილას მოგაწვდით

საკონტაქტო ინფორმაცია:
822 23 37 31, 899 48 62 41
gamocera@shokoladi.ge

კომენტარი

მუქარაც გაიხსენა: უცხო გემი როგორც კი გამოჩნდება, – ჩავძირავ ან გავანადგურებო. სახელმწიფო მოხელეთა უამრავი ასეთი უპასუხისმგებლო, წინდაუხედავი განცხადება გაეიხსენეთ.

გადაცემის თემას რომ დავბრუნებოდით, ქალმა ძალადობის პრობლემაზე საუბარი წამოიწყო, მაგრამ დაგვამუნათა: ამ საკითხზე საუბარი ჩვენს კულტურაში არ არის მიღებული.

ამ პოზიციამ მოთმინება დააკარგვინა ირაკლის და ჩაერთო საუბარში:

„ქალბატონო, არ არის ასე! ჩვენთან მიღებულია არა დუმილი, არამედ – კონსტიტუცია, შეიძინეთ კონსტიტუცია, ის სამოქალაქო ცხოვრების ძირითადი წიგნია, როგორც საეკლესიო ცხოვრებისთვის – „ბიბლია“. სხვა კანონებიც უნდა შეიძინოთ და გამოიყენოთ ცხოვრებაში“.

ამ მნიშვნელოვანი და ძალიან საჭირო მოწოდებით დავემშვიდობეთ მსმენელს. თუმცა წინ შუახნის მამაკაცის ანეკდოტი გველოდა:

„საქართველომ წარმოშვა ძლიერი ლიდერები. სტალინი, ბერია, გამსახურდია. შევარდნაძეც კი შეგვიძლია მივაკუთვნოთ მათ რიცხვს, იმ პერიოდამდე მაინც, ვიდრე მას არ შეიპყრობდა ძალაუფლების დაუძლეველი წყურვილი. ამ ლიდერთა თვალთახედვა ცდებოდა საქართველოს ფარგლებს. ჩემი ქმარიც მათ კატეგორიას განეკუთვნება. ის აგრძელებს ამ ტრადიციას. ამ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ხელი. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში აღდგეს ხელისუფლებისადმი პატივისცემა, კანონი ნაკლები სიხშირით ირღვეოდეს და ხალხმა როდესმე ისწავლოს გადასახადების გადახდა. პასუხისმგებლობის გრძნობა აქ უაღრესად ნაკლებია... მე ვფიქრობ, რომ ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდეს. აქ არ არის ლაპარაკი პირდაპირ ფაშიზმზე ან რალაც მაგადაგვარზე. თუ ვინცოცაა, მან გამოავლინა რაიმე სახის ექსტრემისტული თვისებები, მაშინ მას ამის შესახებ მიუთითებენ. დღეს ხომ ყველა ჩვენ გვიყურებს...“

ხუთი წლის შემდეგ ეს ტექსტი გაასკეცებული ინტერესით

„ქალბატონო, არ არის ასე! ჩვენთან მიღებულია არა დუმილი, არამედ – კონსტიტუცია, შეიძინეთ კონსტიტუცია, ის სამოქალაქო ცხოვრების ძირითადი წიგნია, როგორც საეკლესიო ცხოვრებისთვის – „ბიბლია“. სხვა კანონებიც უნდა შეიძინოთ და გამოიყენოთ ცხოვრებაში“.

„გარდაცვლილი მიხოს ცოლმა ტელევიზორის ყურება შეწყვიტა და გაბრაზებული ქმრის სასაფლაოსკენ გარბის: უნდა ამოვთხარო – რამდენი პოზა ყოფილა და ერთში ამომხადა სულიო“.

მსმენელი ჩვენგან აშკარად განრისხებულ შეძახილებს ელოდა, მაგრამ სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა, როცა ირაკლიმ მოკლე კომენტარი გააკეთა:

– რა ექნა კაცს, თუ ერთი პოზა იცოდა მხოლოდ?

მე კი სული კბილით მეჭირა, მაგრამ ეთერში მუსიკა შემოვიდა და ჩვენც მის ფონზე დავემშვიდობეთ მსმენელებს.

მკასრი ხელი

სტუდიიდან ისევ სამზრეულოს დავუბრუნდით და გავაგრძელებთ დილით დაწყებული საუბარი სანდრა რულოვის ინტერვიუზე, რომელიც მას, 2004 წლის თებერვალში, დანიური ჟურნალისთვის მიუცია (ციტირებულია შემდეგი სტატიის მიხედვით „Georgia On His Mind - George Soros's Potemkin Revolution“, by Amb. Richard Carlos, Sunday, 23 May 2004).

მაშინ წამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოსა და პრეზიდენტის შესახებ პირველ ლედის ასეთი აზრი ექნებოდა:

იკითხება, რადგან ის, რისი ვარაუდიც 2005 წელს არ შეგვეძლო – უკვე მოხდა. თუმცა, ქართულ „თავისუფალ“ მედიას ამაზე მაშინვე რომ ემსჯელა და დასკვნები გამოეტანა, შეიძლება, ხელისუფალთა თავაშვებული ქმედებათაგან რომელიმე აგვეცილებინა.

ირაკლის მეორედ და უკანასკნელად ნაახალწლევს შევხვდი. პოსტსაბიუროს სტრესით დაქანცული ქალაქელები კაფეებს შეესივნენ და მეც ერთ-ერთ მათგანში შევძვერი. ერთმანეთი მოვიკითხეთ და რადგან მეპატრონე „რადიო თავისუფლებას“ უსმენდა, – ჩვენც ყურები ვცქვიტეთ: „სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიხეილ მინძაევმა განაცხადა, რომ ოსი სამართალდამცველები დააპატიმრებენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს და თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, თუ ისინი, როგორც თვითონ განაცხადეს, შობის დღესასწაულზე კონფლიქტის ზონაში ჩავლენ“.

მთელი კაფე ხარხარებდა, მაგრამ ძნელი იყო ამოცნობა: თვითგამოცხადებულებს დასცინოდნენ თუ საკუთარ ხელისუფლებას. ირაკლის სიტყვები კი კარგად დამამხსოვრდა: „თამაშობენ ბიჭები!“



ჯი.მარტი
G.mart

www.gmart.ge

როცა ყოველ გზამკვლევაზე

სუპერმარკეტის ჯი.მარტი ქაიხაძე

ცოტნე დადიანის ქ. ტელ. 242 314

სუპერმარკეტის ჯი.მარტი ცენტრალი

ვაგზლის მოედანი 2 ტელ. 200 314



BURBERRY SPORT


ახალი არომატები 20-35 წლის მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. ენერგიული და თანამედროვე ახალგაზრდებისთვის. არომატი სუფთა და გრილი, ციტრუსოვანი, ჯინჯერის სიმძაფრით.

PUMA ANIMAGICAL

პუმას ახალი წყვილი სუნამო (გრილი-ხილოვანი ან მოტკბო-გრილი) ახალგაზრდა, აქტიური, ცნობისმოყვარე მამაკაცებისა და ქალებისთვის.

NAOMI CAMPBELL

ნაომი კემპბელის ახალი სუნამო ქალებისთვის.



შეხვედრები და ბედნიერების სხვა რეცეპტები

ავტორი: ლიანა ანჯიფიანი

როდესაც ჩემი თვითმფრინავი თესალონიკის აეროპორტში ეშვება, პირველი, რაზეც ვფიქრობ, ისაა, რომ ძალიან მშობი, შემდეგ უკვე მახსენდება დიდი ხნის უნახავი ჩემი ოჯახი და მათთან შეხვედრის სიხარული, რომელიც სულ რაღაც ნახევარ საათში მელოდება (ანუ მას შემდეგ, რაც მეზაყე დიდხანს და გულდაგულ შეამონმებს ჩემს შებოლილ სულგუნთან – ჭადის ფქვილიან – აჯიკიან – კუპატიან და კიდევ ათას ქართულ სიმდიდრიან ჩანთებს, (ტანსაცმელში გახვეული ღვინო ჩემოდანში იმალება), ცოტას ნაიზულუნებს, მერე ჩემს ბერძნულ პასპორტსაც თვალს გადაავლებს, მშვიდობით ჩამოსვლას მომილოცავს და მეც გორგოლაჭიანი ურიკის თრევით უკვე მერამდენედ დავიწყებ

გასასვლელის ძებნას. საშინელი ორიენტაცია მაქვს, „სულ სხვა მხარეს ვეძებ გასასვლელს“.

გარეთ გამოსულს დამხვდება ჩემი დიდი ბერძნული ოჯახი – დედა, ჩემი და – ელზა, სიძე იორლო, ძმა – გიორგი, რძალი – ნატალია და ბავშვები – კირიაკოს, ელპიდა, ვიქტორია, დიმიტრი და ვალერი.

მონატრებული ჩახუტებების, დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი კოცნებისა და ჩემი ვიზუალური მდგომარეობის შეფასების მერე (დედა მეტყვის, რომ ისევ გავხდი, ჩემი ფერი არ მოსწონს და ვერაფრით ვისწავლე ასაკის შესაფერისად ჩაცმა), ყველანი გავეშურებით იქ, სადაც ყოველთვის მივდივართ ჩემი აეროპორტში დახვედრის შემდეგ –



ეს კირია მარიას ტავერნაა, თესლონიკიდან ნახევარი საათის მერე, ჩვენი პატარა ქალაქის გარეუბანში. თესალიაში ვარ და აბა, გემრიელი სადილის გარეშე როგორ შეიძლება!

ჯერ მთლად არ მოშუადღევებულა, კიდევ შეიძლება, სიცხის არ შეგეშინდეს, მანქანის ფანჯრიდან თავი გაყო და გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ზეთისხილის, ბლის, ატმის, ციტრუსების ბალები და ჩანიკნიკებული ვენახები ათვალიერო. შემდეგ სანახაობა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს – გზის ორივე მხარეს გასაშრობად გაფენილი ოქროსფრად აელვარებული საქიშმიშე ყურძენი, შემდეგ პატარა ბერძნული სოფელი, მერე ისევ ბალები, მერე რომელიმე ანტიკური ტაძრის ან ქალაქის ნანგრევები, ახლა მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის მამის, ფილიპეს სასახლეს ჩავუარეთ, მერე ისევ ბერძნული სოფელი და აი, კირია მარიას ტავერნაც გამოჩნდა.

გზაში, რასაკვირველია, ჩემი სიძის მოყოლილ ანეკდოტებზე ვიცივით (სვანების არ იყოს, პონტოელი ბერძნები ყველაზე მეტ ანეკდოტს ყვებიან პონტოელ ბერძნებზე), პოლიტიკაზე კამათსაც ვასწრებთ და სულ უფრო მეტად გვპივდება.

ტავერნა ვაზის ხეივანით გადახურული პატარა ეზოა, ლურჯად შეღებილი ხის მაგიდები და თეთრი სკამები, თეთრ-ლურჯი კუბოკრული გადასაფარებლები, თეთრი ხელსახოცები, ყველა მაგიდაზე ოჯახური ზეითუნის ზეთი, ლიმონის ძმარი, მარილი, წინაკა და ჩემი ყველაზე საყვარელი საკითხავი ბესიკ ხარანაულის „ამბა ბესარიონის“ შემდეგ – რესტორნის მენიუ – ლიტერატურა, რომელიც არასდროს მბეზრდება.

ჩაეხედოთ:

ტრადიციული მწვადის ასორტი – ღორის, საქონლის, თხის, ცხვრის, კურდღლის მწვადები, ასეთივე ასორტი ფრინველის ხორცისაგან;

ტოლმა ვაზის ფოთოლსა და ლიმონის წვეწმი (ბერძნებმა მოიგონეს ტოლმა, იშ!)

ლანგუსტები ზეითუნის ზეთსა და ლიმონის წვეწმი, კურდღლის სტიფადო, ცხვრის ფრიკასე, ლორითა და ყველით ამოვსებული პომიდვრები, თეთრი ლობიოს წვნიანი, ფარშირებული ყაბაყი, ყაბაყისა და გოგრის ყვავილების წვნიანი, ისპანახი ხორცში, ფარშირებული კალმარები, რვაფეხა ღვინის სოუსში გარეული ტახის ჩაშუშული ნანადირევის ხორცი გრილზე შინაური იოგურტი და ა.შ და ა.შ

ხვდებით ხომ, რა დღეშიც ვარ? ეს ყველაზე სასიამოვნო წუთებია, ოჯახური თათბირი, ბერძნულ, ანუ ხმაურიან სტილში გადანყვეტილი მცირე კამათი და შეკვეთა მიცემულია. ახლა მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია. დროის გაყვანას



ისევ საუბრით ვცდილობთ, მე ხომ ფილოლოგი ვარ და მთელი 4+6 წელი უნივერსიტეტში იმის მოსმენას მოვანდომე, რომ „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჟთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა“, ზუსტად იგივე ფაკულტეტი, ოღონდ ბერძნული ფილოლოგიის განხრით, თესლონიკში, ჩემს სიძეს აქვს დამთავრებული და, ალბათ, მასაც მოუსმენია მსგავსი შინაარსის ტექსტი ბერძნული ენის შესახებ. ჰოდა, კამათის თემაც გვაქვს, რა ადვილია ღრმად ფილოსოფიურ საკითხებზე გაცხარებით მსჯელობა მაშინ, როცა ძალიან გშია და ბერძნულ-ქართული ტემპერამენტი მოსვენებას არ გაძლევს.

თითქოს მადაზე მოსაყვანად დამატებითი საშუალებები გვჭირდებოდეს – მაგრამ ჩვეულება, ხომ იცით – ერთი სირჩა უზო, ბერძნული ყველი და ზეთისხილი – ანუ ის, რასაც კულინარიულ ენაზე აპეტაიზერი ჰქვია, ხოლო ქარ-

თულად ასე უღერს: „ჩაუფინოთ, ჩაუფინოთ!“

უზო ბერძნული არაყია, ანისულის, სასიამოვნო სუნი და ულამაზესი შეფერილობა აქვს, ჩემი ქმარი ვალერიანის წვეთებს ეძახის და არ სვამს, მე კი ზუსტად ამ ბალახების გემოს გამო მიყვარს. ყველიც ბერძნულია – მანური, თხის ან ცხვრის მაგარი ყველი (ცხვრის ყველზე სულ საწყალი ციკლოპი მახსენდება, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა რომ ყველის მარაგი გაუნადგურეს და ერთადერთი თვალის გარეშეც დატოვეს, ჩვენი მასპინძელი ამჯერად გადაჩა, რადგან სრულიად მშვიდობიანი განზრახვით ვესტუმრეთ).

არ ვიცი, რას შევადარო ზეთისხილი გამოყენებისა და შენახვის ვარიანტების რაოდენობით – ბერძნული ეროვნული სიამაყე. შავი, მწვანე, მოლურჯო ზეთისხილი, ზეთისხილის მწნილი, ზეთისხილის მურაბა, ზეთისხილის პასტა, ზეთისხილი სხვადასხვა ბოსტნეულთან ერთად . . . ზეთისხილი ზამთარში, ზაფხულში და შემოდგომაზე.

რა დროს ზეთისხილია, მასპინძელი თანდათან ქარგავს ჩვენს სუფრას ნაირ-ნაირი კერძებით. ამ დროს ჩემი სიძის მსჯელობა ლინგვისტური საკითხებიდან კულინარიულისაკენ ინაცვლებს. ის ამბობს, რომ, როდესაც მთელი მსოფლიო ცეცხლზე შემწვარ ნანადირევს და მცენარეთა ბოლქვებსა და ძირხვენებს ჭამდა, ამ დროს ძველი ბერძნები თევზის სუპს და ხორცის ლეზელს ამზადებდნენ, მე ოქრომრავალი კოლხეთის კულინარიული მიღწევებით ვამაგრებ ჩემი გუნდის კარს და ასე, ცოტა ხანში კი ყველანი ვჩუმდებით, მხოლოდ შიმშილს და გემრიელ საკვებს შეუძლია, შეწყვიტოს ბერძნების კამათი ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხების შესახებ.

მე სალაით ვინცებ, მიყვარს მსუბუქი უვერტიურა შედარებით მძიმე პირველი ნაწილის წინ, პრინციპში, საქვეყნოდ ცნობილი ბერძნული სალაით, რომელსაც ბერძნები გლეხურს უწოდებენ, დიდი არაფერი, ჩვეულებრივი სალაითა, განსაკუთრებულს მას თხის ყველი – ფეტა, ცივი გამონურვის პირველხარისხოვანი ზეთუნის ზეთი და ზეთისხილი ხდის და ლიმონის წვენი და ახლადმოკრეფილი ბერძნული რეჰანი ახალისებს.

აქვე სხვა „სიმსუბუქენიც“ არის წარმოდგენილი, რამდენიმე სახის სალაით, რომელიც სოუსად ან თანმსლებ კერძად შეიძლება, გამოიყენოთ, ხორცს ან ფრინველს მიატანოთ. მაგალითისათვის „ძაძიკი“ – ეს კერძი ქართველ ბერძნებთანაც ძალიან პოპულარულია, ჩემი დმანისელი ბებო მიკეთებდა ზაფხულობით. რეცეპტი მარტივია და შედეგი ძალიან სასიამოვნო:

ძაძიკი

გვჭირდება რამდენიმე ცალი კიტრი, ერთი ჭიქა განურული მანონი, ნივრის სამი-ოთხი კბილი, მეოთხედი ლიმონის წვენი, ერთი ჩაის კოვზი ზეთუნის ზეთი, ნედლი პიტნის რამდენიმე ფოთოლი.

გაფცქვნილი კიტრი გავხეხოთ, მანონში გავხსნათ გაწყლელი ნიორი, ზეთი, ცოტა მარილი, ლიმონის წვენი, წვრილად დაჭრილი პიტნა და ამ მასაში ავურიოთ გახეხილი კიტრი.

ამგვარად მომზადებული ძაძიკით შეგიძლიათ, გრილზე შემწვარი ტკბილი წინაკა, პომიდორი ან ბადრიჯანი გამოტენოთ, ბოსტნეულისათვის მწარე წინაკით შეზავებულ ყველის სოუსსაც გამოიყენებთ.

რაც შეეხება მთავარ კერძებს, ისევე, როგორც ქართული, ბერძნული სამზარეულოც ძალიან კალორიულია, რაც, ძირითადად, ხორცის პროდუქტების ხარჯზე ხდება. ევროპაში, ალბათ, ისეთ გემრიელ მწვადის ასორტს ვერსად გასინჯავთ, როგორც რომელიმე ტიპურ ბერძნულ ტავერნაში. ჩვენ კი შედარებით მსუბუქი კერძი გვაქვს, თევზის წვნიანი, რომელიც სამი სახეობის თევზისგან არის მომზადებული



და მგზავრობის შემდეგ სასიცოცხლო ძალებს შესანიშნავად აღადგენს. თევზს და ზღვის პროდუქტებს სხვა სახითაც მივირთმევთ – შემწვარი სარდინები ლიმონის სოუსში, ღვინოში მომზადებული რვაფეხა და ცივად მორთმეული კალმარები.

ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას ძალიან მხატვრული და ფერადოვანი კერძი იწვევს, რომელიც ჯერ არ გამისინჯავს, ეს შემწვარი გოგრის ყვავილებია, გოგრის ყვავილები შეიძლება, წვნიანშიც შეგხვდეთ, ან სულაც ასეთ მდგომარეობაში:

ბრანულაზი ყაბაყისა და ბობრის ყვავილისაგან:

საჭიროა – გოგრის ყვავილი 10 ცალი, 2 ცალი დიდი ზომის ყაბაყი, ბერძნული ყველი „კეფალოტირი“, გახეხილი – ერთი ჩაის ჭიქა, ზეთუნის ზეთი – ერთი სუფრის კოვზი, თხის მანონი – 2 კოვზი, მარილი, რიღანი (ბერძნული რეჰანი), ცოტა ლიმონის წვენი, ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, მწვანე წიწაკა.

გაცხელებულ ტაფაზე მოვხრაკოთ გახეხილი ყაბაყი, ჩავამატოთ წვრილად დაჭრილი გოგრის ყვავილი, დავუმატოთ გახეხილი ყველი, მანონი, მარილი, წიწაკა, რეჰანი, შევასქელოთ პურის ფქვილით, გავაკეთოთ ბურთულები. ამოვავლოთ ფქვილში, შევწვათ ზეთუნის ზეთში, მოვასხათ ლიმონის წვენი და თხის მანონი.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა პურის შესახებ. ამ სადილზე ჩვენ ორგვარი პური მოგვართვებს – ჩვეულებრივი, თეთრი პური სეზამის მარცვლებით და შინგამომცხვარი რუხი პური – ზეთისხილით, ბერძნებს ძალიან უყვართ პური და მის მრავალგვარ სახეობას აცხოებენ, რელიგიური დანიშნულებისათვის, სადღესასწაულოდ თუ ჩვეულებრივი, ოჯახური სადილებისთვის განკუთვნილს. პურის გარდა, ტრადიციული ბერძნული ცომით მომზადებული სხვადასხვა სახის ღვეზელი გვაქვს – ყველითა და ისპანახით, ხორციითა და თეთრი ლობიოთი და ბოლოს დესერტი, ხილითა და სხვადასხვაგვარი ბერძნული ტკბილეულით. რაც დავწერე, ყველაფერში რომ შემედავოთ, იმაში მაინც ვერ დამარწმუნებთ, რომ ბერძნულ ტკბილეულს რამე სჯობს – მსგავს შემთხვევებში საშინლად სუბიექტური ვარ.

აი, თუნდაც ასეთი მარტივი რეცეპტი:

ბერძნული ნამსხვრუკები ნუშით:

ერთი კვერცხის გული, 400 გრამი დარბილებული კარაქი, 1 ჭიქა შაქარი, ყავის ჭიქით კონიაკი შიგ გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა და მწიკვი ვანილი აფურიოთ ერთმანეთში, შევაზილოთ ფქვილი, რამდენსაც შეიზელს, მზადდება რბილი ცომი და ემატება 200 გრამი მოხალული ნუში. (ნუში წინასწარ წყალში იხარშება, ეცლება კანი, იჭრება, იხალება)

ცომის გუნდებს ვაძლევთ ნახევარმთვარის ფორმას, ვაცხოვბთ აირლუმელში, ცხელ-ცხელს ვაყრით შაქრის პუდრს და ვტოვებთ მთელი ღამე ასე. დილით შეგიძლიათ მიირთვათ.



ისეთ ხასიათზე ვარ, ბუზუკი და ლირა კი არა, მანქანის საყვირების ხმაც კი ამაცეკვებს. სანამ შინ წავიდოდეთ, ნაყინსაც დავაყოლებდი, თუმცა, ალბათ, გადავიფიქრებ, თავი სხვა გემრიელი შეხვედრებისთვის უნდა შემოვიანახო, თანაც ბევრი ტკბილი გულს ამიმსუყებს და საზიანოა.

სამაგიეროდ, ყველაფერს კურნავს ოჯახური შეხვედრების განსაკუთრებული გემო და სურნელი, მონატრების ვანილიანი კრემით მორთული და სიხარულის ცრემლებით დანამული.

თუ ძალიან დატკბილული ფინალი გამომივიდა, მომიტევეთ, ინებეთ, ერთი ჭიქა ბერძნული მწარე ყავა ამ ყველაფრის გასანეიტრალებლად.



საინტერესო კანაცეაჲ Lux Aurumque & officium novum

ავტორი: მიშა მდინარაძე

საინტერესოა, დღის რომელ მონაკვეთში კითხულობთ „ცხელ შოკოლადს?“ ამაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. მე, ალბათ, ასე მომიწევს მისალმება – დილაშუადღესალამომშვიდობის!

მოისმინეთ წინა ნომერში რეკომენდირებული ორი ალბომი? კოლექტიური მოსმენა კოლექტიურ განხილვას მოითხოვს. ამიტომ მომწერეთ, თქვენი აზრი ძალიან საინტერესოა ჩემთვის.

ჰო, ერთი კარგი ამბავი ჩანართის სახით: გახსოვთ, წინა ნომერში გითხარით მუსიკის მოსმენა რიტუალია–მეთქი, ბევრ ჟანგბადს მოითხოვს და ასე შემდეგ... მოკლედ, სიგარეტის მონევას თავი დავანებე და მგონი, ჟანგბადის მომატებულმა რაოდენობამ მუსიკალური გემოვნება შემიცვალა. ცოტა ხანში ქალაქგარეთაც გადავალ და მოკლედ, მუსიკის მოსმენას შეიძლება, საერთოდაც, თავი დავანებო!

ვხუმრობ, ჰო, ვხუმრობ, აბა რა! უმუსიკოდ ცხოვრება ვის გაუგია, თანაც ჩვენს საუკუნეში, რომელშიც სრულიადაც აღარაა აუცილებელი მუსიკოსები ერთ შენობაში იყვნენ იმისთვის, რომ მუსიკალური ნაწარმოები შეასრულონ!

ახლა ერთი გრანდიოზული მუსიკალური მოვლენა გამახსენდა, რომელიც 1998 წლის ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე შედგა: ოთხმა გუნდმა ოთხ სხვადასხვა კონტინენტზე შეასრულა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია ერთი დირიჟორის, სეიჯი ოძავას ხელმძღვანელობით, რომელიც ორკესტრთან ერთად ქალაქ ნაგანოში იმყოფებოდა. გუნდები მის დირიჟორობას პირდაპირი სატელევიზიო ეთერის საშუალებით ადევნებდნენ თვალს. რამდენადაც ვიცი, ასეთი ტიპის ვირტუალური შესრულება შემდეგ აღარ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ამ მასშტაბებისა მაინც. იმ შესრუ-

ლების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ელექტრონული მედია, ტექნოლოგიები ისე განვითარდა, რომ 185-მა ადამიანმა რომლებსაც წარმოდგენაც კი არ აქვთ ერთმანეთის არსებობის შესახებ, ერთად შეასრულეს Eric Whitacre-ის საგუნდო ნაწარმოები.

ერიკ უაითეიკრი ძალიან საინტერესო თანამედროვე კლასიკოსია რომელსაც საკმაოდ ფართოდ იცნობენ დასავლეთში. სამწუხაროდ, ჩვენში ეს გვარ-სახელი სრულიად არაფრის მთქმელია. დღეს მის საკმაოდ საინტერესო პროექტზე მოგიყვებით, რომელშიც, სხვათაშორის, თავისუფლად შეგიძლიათ, ჩაერთოთ. პროექტის სახელწოდებაა Eric Whitacre virtual quaire. კომპოზიტორმა youtube-ზე შექმნა გვერდი, სადაც განათავსა საკუთარი ნაწარმოების პარტიტურა და მიმართა საიტის მომხმარებლებს, სურვილის შემთხვევაში, სახლში ჩაენერათ მათ-



OFFICIUM NOVUM-ის მოსმენა, ალბათ, ბევრ თქვენგანს დააფიქრებს იმ გზაზე რომელიც სქიზისიდან პანაცეამდე გასავლელი, ერთად შევუდგეთ ამ გზას და ვფიქრობ, მუსიკა კეთილ სამსახურს გაგვიწევს საკუთარი თავის და გასავლელი გზის შესწორებაში.

თვის სასურველი პარტია ნაწარმოებიდან. ასე მიიღო მან 185 გამომხატურება 12 ქვეყნიდან და შეიქმნა lux aurum-que-ს ინტერნეტ-ვერსია. ამ პროექტში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სქიზისის დაძლევა, სრულიად დისოციალიზებული საზოგადოებები ამ ერთგვარი მუსიკალური მანიფესტის საშუალებით თითქოს კართარზისამდე მიდის. ვიდეოში რომლის ლინკსაც სვეტის ბოლოს აუცილებლად შეხვდებით, თქვენ ნახავთ იმ ადამიანების სახეებს, რომლებსაც ამ ნაწარმოების შესრულების გარდა, თითქოს არაფერი საერთო არ გააჩნიათ. ისინი განსხვავდებიან ეთნიკური, რელიგიური, შესაძლოა, სექსუალური ორიენტაციის კუთხითაც, თუმცა ამ ყველაფრის შემჩნევა ძალიან გაგიჭირდებათ ნაწარმოების მოსმენისას. ეს ერთი ორგანიზაციაა. არ მბეზრდება ამ ადამიანების სახეების ყურება...

ამასობაში, განვიმეზულა კიდეც, წვიმა განსაკუთრებულ თვისებებს სძენს მუსიკის მოსმენას. ნაწარმოები, რომელზეც ვსაუბრობთ, ერიკ უაითეიკრის 2010 წლის ალბომში მოისმენთ, რომელსაც light and gold ქვია, მისი ოფიციალური რელიზი 18 ოქტომბერს

გამოვიდა და მისი შეკვეთა სხვადასხვა სადისტრიბუციო საიტებზე უკვე შესაძლებელია. www.ericwhitacre.com თუ დაინტერესებული ხართ, ესტუმრეთ ამ გვერდს, სადაც დეტალურად გაეცნობით პროექტში მონაწილეობის სქემას.

2010 წლის 17 სექტემბერს კიდეც ერთი შესანიშნავი ალბომი გამოვიდა სერიიდან ჟან გარბარეკ ანდ ჰილიარდ ენსემბლე, რომელთა პირველი ერთობილივი ნამუშევარი 1994 წელს გამოცა სახელწოდებით officium. იან გარბარეკს, ალბათ, ჩემი წარდგენა არ სჭირდება. ერთ რამეს გეტყვით მხოლოდ – ეს ერთადერთი საქსოფონისტია, რომელსაც ვუსმენ, რადგან თავად ინსტრუმენტი საშინლად არ მიყვარს. გარბარეკმა შეძლო და საქსოფონის ფლერადობას ჩამოაშორა ფსევდოსენტიმენტალიზმი, რომელიც სტერეოტიპული გახდა ამ ინსტრუმენტისთვის, მისმა სწორზაზოვანმა, ზოგჯერ უხეშმა ბევრამ ინსტრუმენტს განუმეორებელი ხმოვანება დაუბრუნა. Hilliard ensemble არის ბრიტანული კვარტეტი, რომელიც, ძირითადად, შუასაუკუნეების და რენესანსის ეპოქის კლასიკურ საგუნდო მუსიკას ასრულებს, თუმცა ისინი ასევე თანამშრომლობენ ისეთ თანამედრო-

ვე კომპოზიტორებთან, როგორებიც არიან არვო პიარტი და გია ყანჩელი. მუსიკა, რომელსაც მოისმენთ ალბომში officium novum წარმოადგენს დროით-სივრცითი კონტრაპუნქტის ნათელ მაგალითს, შუასაუკუნეების თეოფილური მისტიციზმით სავესე მუსიკა, რომელიც თითქოს დამძიმებულია კონფესიური მმართველობის ბნელი მხარეებით, ინდულგენციებით მიღებული გასამრჯელოსა და კაცობრიობისათვის ინკვიზიციით მიყენებული უზარმაზარი ზიანით, ამავე დროს სინანულითა და უკიდევანო მოკრძალებით პირდაპირ ეხეთქება გარბარეკის – ინდივიდის პერსონალურ წინააღმდეგობებს.

officium novum-ის მოსმენა, ალბათ, ბევრ თქვენგანს დააფიქრებს იმ გზაზე რომელიც სქიზისიდან პანაცეამდე გასავლელი, ერთად შევუდგეთ ამ გზას და ვფიქრობ, მუსიკა კეთილ სამსახურს გაგვინებს საკუთარი თავის და გასავლელი გზის შეცნობაში. დღეს ამით დავამთავროთ და ბმულებს მივხედოთ, რომლებიც საშუალებას მოგცემთ, უკეთ გაეცნოთ რეკომენდირებულ მუსიკას.

<http://www.youtube.com/watch?v=gGsrpEn70Ao>
<http://www.youtube.com/watch?v=Qc9MVCjrkRc>



თეთრი აღამიანის ბილიკებით

ავტორი: არჩილ ქიქოძე

ბერდვოჩინგი ტურიზმის ფორმაა, რომელიც ფრინველების ხილვას, მათზე დაკვირვებას გულისხმობს. იგი განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებშია გავრცელებული, პოპულარულია ამერიკაშიც. მე სულ ერთხელ შევხვდი სამხრეთელ – იტალიელ ბერდვოჩერს, რომელიც იმ ახალგაზრდა მოხალისეთა შორის იყო, რომლებიც წლებადნელ სექტემბერში ბათუმის სიახლოვეს და დარიალის ხეობაში გადამფრენ ფრინველებს ითვლიდნენ. იმ იტალიელსაც ზარმაცი დამკვირვებლის სახელი ჰქონდა. ისე კი ბერდვოჩერები დაუღალავი და მოუსვენარი ხალხია, იშვიათ ფრინველთა ძიებაში ბევრს მოგზაურობენ და საქართველოშიც ჩამოდიან. მე უკვე მრავალი წელია უცხოელთა გამყოლობით ვარ დაკავებული, უკანასკნელი ორი წელი „მეჩიტებებსაც“ ვემსახურები. ისინი

ფრინველებს აკვირდებოდნენ, მე – მათ. და მომეჩვენა, რომ ჩემი დაკვირვებებისგან შეიძლებოდა, საინტერესო საკითხავი გამოსულიყო. ავდექი და დავნერე, ოღონდ ეს ამბები ძალიან მოსაწყენი რომ არ გამომსელოდა, მეორე მთხრობელად ბავშვობის ერთ-ერთ საყვარელ ლიტერატურულ გმირს ვუხმე და იმასაც მივხვდი, რომ საყვარელი ლიტერატურული გმირები მხოლოდ ბავშვობაში არსებობენ...

– სპარსეთის ყურის ომი რომ დაიწყო, მეც იქვე ვიყავი. ერთ-ერთ საამიროში გადამფრენ ფრინველებთან დაკავშირებულ პროექტს ვახორციელებდი. გადამწვარი და აფეთქებული ნავთობის საბადოების კვამლი ჩემი თვალით მინახავს – უზარმაზარ შავ ფარდასავით იყო. მაშინ “სი-ენ-ენ“-ზე ნავთობში

ამოთხრილი ფრინველების კადრები გავიდა, რომლებმაც მთელი დასავლეთი შეძრა. უცნაურია, არა? იქ ხალხი ილუპებოდა, ევროპაში კი ფრინველთა დასახმარებლად მოხალისეები იკრიბებოდნენ. სიუჟეტის ტელევიზიით გასვლის მეორე დღესვე მირეკავს ჩემი ბოსი ბრიუსელიდან და მეუბნება, – ათი ათასი მოხალისე უკვე მზადაა, რომ ფრინველთა საშველად თქვენკენ გამოემგზავროს. რამე უნდა ვიღონოთ!

მე ვპასუხობ, რომ ყველაზე იაფი და ლოგიკური ნავთობისგან დაზარალებული ფრინველების დახოცვა იქნება, – განა ასე არ ვიქცევით ხოლმე ევროპაში მსგავსი სიტუაციების დროს?

ამაზე ბოსი მეუბნება, რომ ახლა სხვა სიტუაციაა, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება სპარსეთის ყურისკენაა მიპყრობილი, მოკლედ, ფრინველები უნდა გავრეცხოთ(?).



ფული პრობლემა არაა, – სასწრაფოდ ამატებს ბოსი, – ამ საქმისთვის უკვე უზარმაზარი თანხაა მობილიზებული, შემონირულობები მატულობს. შენზე ახლა ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული...

ასე დაიწყო ჩვენი სამუშაო. ერთმა არაბმა უფლისწულმა გამოგვიყო ვებერთელა შენობა, სადაც ათი ათას მოხალისესთან ერთად ფრინველების რეცხვა დაიწყო. ყველა სარეცხი საშუალება მოვსინჯეთ და ერთერთმა სხვებზე მეტად გაამართლა. როგორც კი ტელევიზიებით გავიდა კადრები, სადაც ჩანდა, რომ ამ საშუალებას ვხმარობდით, სასწრაფოდ დამიკავშირდა ყველა სარეცხი საშუალების მწარმოებელი და უზარმაზარ თანხებს მთავაზობდნენ, ოღონდ კი მათი სითხეები გამომეყენებინა, თან მოლეკულურ პროცესებზე და ქი-

მიურ შემადგენლობებზე მელაპარაკებოდნენ, მაგრამ სინამდვილე ის იყო, რომ ეს საშუალება უკეთ აცილებდა ფრინველებს ნავთობს, ვიდრე – დანარჩენები... ჰო, ეს ყველაზე უცნაური სამუშაო იყო, რაც კი გამიკეთებია. ჩვენ ფრინველებს ვრეცხავდით და ყოველდღე მსოფლიოს არხებზე გვაჩვენებდნენ. გვერდით კი ომი იყო...

სიტკა ჩარლის მოსწონდა ამ ჩასუქებული უშუური ბელგიელის სმენა. ის ყველაზე უცნაური თეთრი ადამიანი იყო, ვისთან ერთადაც ბილიკზე ევლო. ბელგიელს მთელი ცხოვრება ფრინველებზე დაკვირვებაში და მათ შესწავლაში ჰქონდა გატარებული. ეტყობა, ცოლიც სათავისო ჰყავდა, ასე იტყოდა ხოლმე, – შვილიც კი არ ვიყოლიეთ, ამ საქმეს რომ არ მოვცდებოდითო. ყველაზე უკეთ ბელგიელი არაბულ ქვეყნებს, იქაურ ბუნებას,



ფოტო: არჩილ ქიქოძე

ჰო, ეს ყველაზე უცნაური სამუშაო იყო, რას კი ზამიკეთებია. ჩვენ ფრინველებს ვრეცხავდით და ყოველდღე მსოფლიოს არხებზე გვაჩვენებდნენ. გვერდით კი ომი იყო...



ხალხს და ადათებს იცნობდა, ძალიან ბევრი წელი ეცხოვრა იქ და საკუთარი დაკვირვებებიც ჰქონდა. არაბებმა უდაბნოსთან კავშირი განწყვიტესო, – ამბობდა. ასსოვდა ის დრო, როცა უდაბნოს შვილები ჯერ კიდევ ლატაკები, თვითკმარები და სტუმართმოყვარეები იყვნენ. – დღეს უდაბნო აღარაა მათი სახლი, მათი სამშობლო. ერთი მუჭა მომთაბარე ბედუინების გარდა, არაბებმა აღარა იციან უდაბნოსი და ერთ დღეს, როცა მათი ნავთობი დამთავრდება (ის კი აუცილებლად დამთავრდება), უკვე მტრულ მხარედ ქცეულ უნაყოფო ქვიშასთან მოუწევთ პირისპირ დარჩენა.

ბელგიელს სიტკა ჩარლი უხმოდ, გაუნძრევლად უსმენდა და იმისთვის თუ წამოიწყო თავის ადგილიდან, რომ მინავლული კოცონისთვის ახალი შეშა მიეშველებინა.

სიტკა ჩარლი ინდიელი იყო – ინდიელი გამყოლი. თავის მარხილითა და ძაღლებით თეთრკანიან ოქროსმადიებლებს ემსახურებოდა და თეთრი მღუმარებით მოცულ ჩრდილოეთის ტრამალებზე ფოსტასაც დაატარებდა ხოლმე. გამყოლების გამყოლი იყო ჩარლი და თუკი ზოგიერთი მისი თვისტომი მასზე ნაკლებად არ ფლობდა ბილიკის სიბრძნეს, სიტკა ჩარლი ნამდვილად ერთადერთი ინდიელი იყო, ვინც თეთრი ადამიანის სიბრძნესაც ჩასწვდა და მისი ძლიერების საიდუმლო – თეთრი ადამიანის ღირსების კოდექსი ამოხსნა. ამას ბანაკის კოცონებთან თეთრი ადამიანების სმენით მიაღწია. თვითონ იშვიათად იტყოდა რამეს.

– ერთხელ გადამფრენ ფრინველებს ვიჭერდი საამიროებში, ნომრიან ბეჭდებს ვუკეთებდი და ვუშვებდი. დედალი


გავაზი დავიჭირე (შევარდნის ნაირსახეობაა, რომელიც არაბულ ქვეყნებში განსაკუთრებით ფასობს. განვრთნილი გავაზებით ნადირობა მდიდარ არაბთა საყვარელი გასართობია), რომელშიც ერთი არაბი ადგილზე მთავაზობდა 850 000 ევროს. იქვე, იმ კაცის თვალწინ ავაფრინე ჰაერში, გავუშვი...

სიტკა ჩარლი დგება და უხმოდ ართმევს ბელგიელს ხელს. იმას არ ფიქრობს, აზვიადებს ან მატყუებსო ეს უცნაური ამბების მოხრობელი კაცი. სიტკა ჩარლის აღარაფერი უკვირს. მან უკვე იცის, რა არის უდიდესი ჯადოქრობა – კანონი და ღირსება – აი, თეთრი ადამიანის ძლიერების არსი.

მეორე წელია, სიტკა ჩარლი უცნაურ ბილიკებზე დადის დიდი ჭოგრიტებით შეიარაღებულ ყველაზე უცნაურ თეთრ ადამიანებთან ერთად, ბავშვებზე თუ ხარობენ პა-



სიტკა ჩარლი ღებვა
და უხომდ ართმევს
ხელგიელს ხელს.
იგას არ ფიქრობს,
აზვიადებს ან
მატყუებსო ეს
უსნაური ამბავის
მთხრობელი კასი.
სიტკა ჩარლის
ალარაფერი უკვირს.
მან უკვე იცის, რა
არის უდიდანი
ჯადოქრობა – კანონი
და ღირსება – აი,
თეთრი ადამიანის
ქლიჩაების არსი.



ფოტო: არჩილ ქიშიძე

ტარა და დიდი ჩიტების დანახვაზე. ვისთან ერთად არ უვლია ჩარლის და ვისი ამბები არ მოუსმენია ბანაკის კოცონთან, მაგრამ ესენი არავის გვანან, ამათ არაფერი აინტერესებთ ფრთოსნების გარდა, არაფერს კითხავენ სიტკას მისი ტომის წარსულის, ანმყოს ან ადათების შესახებ. ჩარლი მათთან ერთად კარგად გრძნობს თავს, რადგან კითხვებისგან დაისვენა – აბეზარი კითხვებისგან, რომლებსაც მის მხარეში მოსული თითქმის ყოველი თეთრი ადამიანი სვამს, თითქოს იმიტომ, რომ შემდეგ თავად გასცეს მათზე პასუხი. ეს კითხვები საომარ ბილიკებზე და მიწიდან ამოთხრილ ან ამოსათხრელად გამზადებულ ტომაჰავებზეა, ანდაც დიდი სიხარულით ერთხმად არჩეულ ბელადებზე, რომელთა სკალპებს, როგორც წესი, სულ ცოტა ხანში ისევ

ერთხმად ითხოვს ხოლმე სიტკა ჩარლის ტომი...

სიტკა ჩარლის მე აბსოლუტურად ვეთანხმები. ბერდვორინგის გილობის ერთ-ერთი დიდი პლუსი ის არის, რომ ეს აბსოლუტურად კონკრეტული ამოცანაა. ტურისტმა ზუსტად იცის, რისთვის ჩამოდის და ფულს იხდის იმაში, რომ ნახოს იშვიათი ფრინველები (ეს, პირველ რიგში, ენდემურ – მხოლოდ კავკასიონისთვის დამახასიათებელ სახეობებს ეხება). იშვიათი გამოჩაკლისის გარდა, სხვა მას არაფერი აინტერესებს. ჩემს თვალწინ უცხოელი მეჩიტეების ჯგუფმა სამი საათი გაატარა ვარძიაში, ისე, რომ არცერთ გამოქვაბულში არ შეუხედავს, არც ძეგლის ასაკი და წარმოშობა უკითხავს და მხოლოდ ვარძიის კლდეების ბინადარი ფრთოსნები ათვალაინა.

მაგრამ ეს რთული საქმეცაა – გარეული ფრინველი, რომელიც არ არის ერთ ადგილზე უძრავად დაბმული, აუცილებლად უნდა მოინახოს და თუმცა ბერდვორჩერები საუკეთესო ოპტიკით არიან შეიარაღებული („სვაროვსკის“ და „ლეიკას“ ტელესკოპები – ფასი 3000 ევრო და ზევით), არასოდეს არსებობს გარანტია, რომ კლიენტი ფრინველს ნახავს...

მაისში ჩამოსულმა გერმანელებმა საღმის ნაცვლად ის მითხრეს – ხომ იცი, ჩვენი მთავარი სამიზნე რაც არისო? კავკასიური შურთხი, კავკასიური როჭო და დიდი კოჭობა (მხოლოდ კავკასიის და მისი შემოგარენისთვის დამახასიათებელი ფრინველებია). გვაძლევ გარანტიას, რომ იქნებაო?

>>> ბაზრძილება გვ. 92

კაუზის უფლება

ავტორი: რატი ამაღლობელი
ფოტო: მარია ქორიაშვილი



თელავი, ევროპა და კლასიკური მუსიკა

ევროკავშირს, როგორც ევროპის ქვეყნების კონსენსუალური ერთობის იდეას, რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს.

მის აუცილებლობაზე და გარდუვალობაზე ჯერ კიდევ ვოლტერი წერდა. საღვთო ომის დასრულების შემდეგ თითქოს ცხადი გახდა, რომ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებების მიუხედავად, ევროპა შეიძლება გამხდარიყო საერთო კულტურული ღირებულებების საიდენტიფიკაციო სივრცე, რომელსაც განსხვავებულთა ერთიანობა და შეთანხმება ქმნის. ვფიქრობ, რომ საერთო ევროპული იდენტობებისა და აღქმების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წილი კლასიკურ ევროპულ მუსიკაზე მოდის.

კლასიკური მუსიკა, როგორც სამყაროსა და საკუთარი თავის აღქმის ევროპული მოდელი, თავის წიაღში ყოველთვის ატარებდა განსხვავებულთა ერთიანობის, ერთიანი ევროპისა და კაცობრიობის იდეას. ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მუსიკალურ აზროვნებაში ევროკავშირამდელი ევროკავშირია, არამარტო ქვეყნების, არამედ – ადამიანების კავშირი.

ორკესტრის დაბადება

*„ბულბულს ორკესტრი
მირჩევნია სიმფონიური“
კ. გამსახურდია*

17 ოქტომბერს თელავში კლასიკური მუსიკის ფესტივალი სწორედ ბეთჰოვენით გაიხსნა. შესრულდა მისი მეშვიდე სიმფონია და სამმაგი კონცერტი, რომელსაც მსოფლიოში სახელგანთქმული ვირტუოზი სოლისტები ასრულებდნენ.

თელავმა ბეთჰოვენის სამმაგი კონცერტი, ელისო ვირსალაძის, პაველ ვერნიკოვის და ნატალია გუტმანის უზადო შესრულებით მოისმინა. საფესტივალო ორკესტრს, ანდრეს მუსტონენი დირიჟორობდა. ახალგაზრდულ ორკესტრში „სიმფონიეტა“, რომლის შემადგენლობის საშუალო ასაკიც 25 წელს არ აღემატება, ახალგაზრდა ქართველ შემსრულებელთა გვერდით, როგორც ეს ბე-



თჰოვენისეული მუსიკის იდეას შეეფერება, მათი თანატოლი ევროპელი და აზიელი მუსიკოსები უკრავდნენ: ჯეიმს ეილვარდი, ნადინ ვან მერვე, პიერ ბაუზერი, რიან ჰოფმანი, ნოემი გიორი, სანდრა სიმონ მონჟე, ჩულ გინ პაკი. ასევე, ახალგაზრდა ორკესტრში იყვნენ გამოცდილი და გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები, თამაზ ბათიაშვილი და ნოდარ ჟვანია.

თელავში, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ბეთჰოვენის შესრულებისას ორკესტრი დაიბადა, სამმაგი კონცერტის დროს სცენაზე ჩიტი შემოფრინდა და ორკესტრის თავზე დაფრინავდა. თელავში ერთად უკრავდა „ორკესტრი“ და „ბულბული“.



ინციდენტი

ფესტივალის გახსნაზე ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიასა და მის სამმაგ კონცერტს შორის გია ყანჩელის „Ex Contrario“ შესრულადა, სოლისტები პაველ ვერნიკოვი და ანდრეს მუსტონენი გახლდნენ, მუსტონენი პარალელურად ორკესტრსაც დირიჟორობდა.

მიუხედავად იმისა, რომ „Ex Contrario“-ს მუსიკალური ქარგა თავად ავტორის ადრეული მელოდიური ქსოვილებით იმოსებოდა, ნაწარმოები საკმაოდ საინტერესო და ყანჩელისეული პაუზებით აღსავსე გამოდგა, რომელშიც რამდენიმეჯერ მკვეთრად და განწირულად ჩაახველა

მსმენელმა, მსგავსი ხველებანი და ხველათა ხველა არაერთხელ გამხდარა მიზეზი რამდენიმე წამით მსმენლის მუსიკალური სივრციდან გამოქეცებისა. ალბათ, მრავალ ჩვენგანს ჰქონია მსგავსი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების სმენისას, ჩვენს ახლოს მჯდომი ჩვენივე მსმენელი-კოლეგა, ოხვრითა და ხვნეშით, ხვრინვითა და ისტერიული ხველით ახშობს ორკესტრსა და ჩვენს შორის არსებულ ექსკლუზიურ სივრცეს. გამოვცხადეთ და ისიც ვალიაროთ, რომ ჩვენც მოგვწონოლია ყელში სპაზმური ხველის შეტევები. ეს მსმენლის ერთგვარი ბუნებრივი უკუჩვენებაა, მე ვიტყვოდი, ნებისმიერი კონცერტის თანმდევი სევდა,

ისტორია

ადამიანური სევდა, გინდაც ნაკლი, რადგან ნებისმიერი მსმენელი, პირველყოვლისა, ადამიანია და არა „EMI“-ის ხმის ჩამწერი სტუდია. ეს კი, როგორც ჩანს, უკვე კლასიკოსად ქცეულ კომპოზიტორს დაავინყდა. ნაწარმოების დასრულებისთანავე იგი აიჭრა სცენაზე და მხველებელთა ლეგიონი ორ ენაზე ბარაქიანად გამოლანძღა, ჯერ ქართულად მერე კი საკუთარი ბრაზიანი ტექსტი რუსულადაც თარგმნა. გავკადნიერდები და ბატონ გიას ერთ სრულიად გულუბრყვილო რჩევას შევბედავ, როგორც მისი მუსიკის ქომაგი და კეთილის მსურველი: იქნებ, მან, საკუთარ ნაწარმოებებში, სადაც უხვადაა პაუზები, თავადვე ჩანეროს ხველა, როგორც მუსიკალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, როსინი თავის გენიალურ „კონკიაში“ ოპერის პირველ ნაწილს სასტვენის ხმით ასრულებს, მოცარტის „დონ ჟუანში“ ლეპორელო ბაგეებით უცნაურ ბგერით კომბინაციებს გამოსცემს, რომელიც ლეპორელოს, როგორც ვოკალური ხასიათის, განუყოფელი ნაწილია. „ჯადოსნურ ფლეიტაში“ კი ღამის დედოფლის გენიალური არია, კივილისა და ისტერიკის ზღვარზეა მისული, მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, სადაც ადამიანური ხმები, თუნდაც, ერთი შეხედვით, არაამალღებულები, ყოველდღიურობის საგნები, დახვეწილი მუსიკის შემადგენელი ერთეულები გამხდარან.

იქნებ, თანამედროვე მუსიკამ ხველებასაც მოუხერხოს რამე?

იქნებ, ხველებაც იქცეს მუსიკად?

სალამო ისევ ბეთჰოვენით დასრულდა, ბედნიერი იყო, ალბათ, ბეთჰოვენი, ბატონო გია, მას არათუ ხველა, არამედ, როგორც თვითმხილველები გადმოგვცემენ, მეცხრე სიმფონიის დასრულების შემდეგ აპლოდისმენტებიც არ ესმოდა.

20 ოქტომბერი, ღმერთების მონატრება

არ მსურს გადაჭარბება, მაგრამ 20 ოქტომბერი, მგონი, ისტორიული დღე იყო, ისტორიული შესრულებით ბრამსის სიმებიანი კვინტეტისა და შუბერტის საფორტეპიანო კვინტეტის, ცნობილი Forellenquintett-ის სახელით.

თუ კლასიკურ მუსიკაში ღმერთების შუქ-ჩრდილები ეცემა რომელიმე სასახლის აუზს, ან, გალაკტიონის ენაზე რომ ვთქვათ: – „ამგვარი სითეთრით შუბლი უელავდა ვენერა მილოსელს“, შუბერტისა და ბრამსის რომანტიზმში უკვე ღმერთებისაგან მიტოვებული ადამიანი გამოჩნდა, თავისი სიღრმით და ღმერთების მონატრებით.

20 ოქტომბერს თელავში შუბერტის შესრულებისას, ელისო ვირსალაძეს უელავდა თვალები და ეს თვალები

სრულიად განუყოფელი იყო იმ მუსიკისგან, რომელშიც ღმერთები და ადამიანები ერთმანეთს იხსენებენ და ხვდებიან.

ელისო ვირსალაძე

„ო, უბრალო ხმებისთვის არასოდეს მეცალა“

გალაკტიონი

ამ სახელის გაგონებისას უკვე მუსიკა ჟღერს. რამდენიმეჯერ თქვენთვის გაიმეორეთ ჩურჩულით, საკმარისია თუნდაც ერთხელ და დაკვირვებით, აი, ასე – ელი-სო ვირსალაძე და თავად დარწმუნდებით ამაში.

მუსიკას, რომელიც მენატრება და მაკლია, ელისო ვირსალაძე ასრულებს, არამარტო ასრულებს, არამედ, გარკვეულწილად, ქმნის, როგორც ბგერის, ხმოვანების, ჟღერადობის გროსმაისტერი.

ე.ნ. „დედლიანების“ ეპოქაში, როდესაც რამდენიმე საიტი, „facebook“, და „skype“ მუდმივად გახსნილი აქვს ადამიანს და გამუდმებით რალაცას ამონებებს, ძირითადად, ალბათ, – საკუთარ თავს, სულ რაიმე ტიპის ინფორმაციის გაგზავნასა და მიღებაშია – განსაკუთრებით რთულდება გარინდება, ყოველდღიური ამაოებისგან მოწყვეტა. პაუზის უფლების მოპოვება, ისეთი პაუზის, რომელიც არცერთი სისტემის რიტმს არ ექვემდებარება. ელისო ვირსალაძის შესრულება ამგვარ „ლუფტს“ ჰგავს, ასეთ პაუზას – ყოველდღიურობასა და ყოველდღიურობას შორის, პაუზას, რომელშიც „სხვა ხმები ისმის“, არა „უბრალო“. ასეთ პაუზაში ჩანან ეპოქები და ადამიანები, პაუზა, რომელიც გვათავისუფლებს და პაუზა, რომელიც სავსეა ჩვენივე თავით.

Crescendo

ორკესტრი, როგორც განსხვავებულთა და ინდივიდუალობათა ერთობის სიმბოლო, რომელიც ქმნის ჰარმონიას, რიტმსა და მელოსს, დღესაც უნივერსალურის მეტაფორად რჩება. მუსიკა, რომელიც საათის, საათნახვერის განმავლობაში ისმის და შენს აღქმებს ხვეწს, შეუძლებელია, ბოლომდე აღიქვას, ის თითქოს ხელიდან გისხლტება, ცდილობს მის მოხელთებას და აცნობიერებ, რომ მთელი ეს ჯადოსნობა ადამიანების ხელებშია მოქცეული, კონცენტრირებული. არიან ადამიანები, რომელნიც სრულებით ფლობენ იმას, რისი აღქმაცა და დატევაც თითქმის შეუძლებელია. ასეთი ადამიანები უკრავდნენ თელავში. ასე უკრავდა ელისო ვირსალაძე და რა გასაკვირია, რომ იგი ფლობს მუსიკის საიდუმლოს, რადგან მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა მას, რასაც ჩვენ 40-45 წუთი ვათხოვეთ ყური.



„რაფაელ ზა რეზოტკოვი“

ავტორი: შოთა ბაბარინი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი





ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ მოვხვდი ციხეში. პირველად ვიყავი თეთრკბილებიანი ლაქი მენი, კეთილსინდისიერი მოქალაქე, კარგი მაგალითის მიმცემი, რომელსაც არასრულწლოვანი პატიმრებისთვის ცხოვრება უნდა ესწავლებინა და წარმატების ფორმულები ეციჟინა. მეორედ გაკოჭილი შემეყვანეს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის მტერი, ადამიანი, რომლის იზოლაცია აუცილებელია გარშემომყოფთა უსაფრთხოებისთვის. ვალიარებ, პირველს მეორე სჯობდა. პირველისგან განსხვავებით, მეორედ თავი მძღნერად არ მიგრძენია. თუმცა, მაინც კარგია, რომ ორივე ამპლუა მოვსინჯე. განსხვავებული პერსპექტივა ყოველთვის საინტერესო და აუცილებელიცაა მეტ-ნაკლებად ზუსტი შეფასებებისთვის.

ოთხ კედელში ერთი დღეც საკმარისია, რომ მიხვდე – პატიმრობაში პიროვნება უბრალოდ ქრება. აი, ასე, თვალსა და ხელს შუა, როგორც ქვიშა პეშვიდან, სადღაც ინრიტება. საბოლოოდ, მისგან რჩება მხოლოდ ნომერი და რაღაც ჩანანური ვილაცის ანგარიშში. არავის აინტერესებს, ვის უყვარს ან სძულს იგი, როგორ გამოიყურება ან რას აკეთებს ცხოვრებაში. საერთოდაც, არავინ აგდებს აინუნში, თუკი, რა თქმა უნდა, რაღაც ხათაბალას არ იკისრებს.

საკანში ცხოვრება წყდება. „კედელი მყარია, დღე – როგორც წელი, ამ წლის დღეები – გრძელზე-გრძელი“ (ოსკარ უაილდი). მგონი, არასოდესაა გრძნობების გავარჯიშება ისე სასიცოცხლოდ აუცილებელი, როგორც – ციხეში. უნდა გაჟღერდეს, უნდა გშურდეს, უნდა გახარებდეს, უნდა გატირებდეს, უნდა გიყვარდეს. რა მნიშვნელობა აქვს – ვინ. უნდა შეიყვარო, თუნდაც, ობობა, აი, ის, ქსელს რომ ხლართავს ჭერზე შენი ნარის გასწვრივ და სქესობრივი აქტის შემდეგ შეყვარებულს ჭამს. სხვა გზა არ გაქვს, უნდა შეიყვარო და თუ ისე შეიყვარებ, რომ თავად თხოვ შემჭამეო, მაშინ შანსი გაქვს, გადარჩე.

მე დიდხანს არსად გამოგუქეტივარ უმიზეზოდ და ჩემი ნების წინააღმდეგ (თუ არ ჩავთვლით თსუ-ს მაღლივ კორპუსში გატარებულ ოთხ წელს), მაგრამ იმ საღამოს, საკანში, ვგრძნობდი, რომ ეს გაქრობა, სიცარიელის მორევში შაქრის ნატეხივით გახსნა თითქოს უკვე განმეცადა. განმეცადა კულნია, „რომელიც უკვე აღარ არის მხოლოდ თავისი ყოფილი კიდურის დაფეხვილი, ნახევრად სიცოცხლენამქრალი, ლპობაშეპარული ხორცის ნაგლეჯი, არამედ არის საეიზიტო ბარათი, სახელი, გვარი, მამის სახელი, ეროვნება და, თუ გნებავთ, პროფესიაც“. განმეცადა ზღაბათუსტის ციხის რეზინის ხელჯოხები. განმეცადა მეზობელი ელვირას იმპორტული უნიტაზის მაცდური ელვარება, როცა თავად იძულებული ხარ, საკუთარ აბაზანაში რეზინის ბოტებით იბანავო, რომ დენმა



მომენი, არასოდესაა გრძნობების ბავარჯიშება ისა სასიძოვსლოდ აუხილიაბალი, რომორს – სიხეში. უნდა გპულდის, უნდა გპურდის, უნდა გახარებდის, უნდა გატირებდის, უნდა გიყვარდის. რა მნიშვნელობა აქვს – ვინ. უნდა შეიყვარო, თუნდაც, ობობა, აი, ის, ქსელს რომ ხლართავს ჭირზე შენი ნარის ბასწვრივ და სქესობრივი აქტის შემდეგ შეყვარებულს ჭამს.

არ გგლიჯოს. განმეცადა ციხიდან ახალ-გამოსული ზარღრას სასონარკვეთა, 25 მანეთისთვის „უდავკა“ რომ ჩამოაცვა ტაქსისტს და ამ ბასრი სიმით ძვლამდე ჩაჭრა ტყავიცა და ხორციც. განმეცადა „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში...“ განმეცადა, დიახაც, განმეცადა და არა – ნამეკითხა. კითხულობ მარკესს, ვერბერს, კოტე ჯანდიერს. ხოლო ზურაბ ლეჟავასნაირ მწერლებს – განიცდი.

ზურაბ ლეჟავას წიგნს პირველად მგონი 2007 წელს გადავეყარე. ეს იყო მისი პირველი კრებული „ისტორიანი და მზვერავი“. მაღაზიაში, ჩამოფასებული წიგნებისთვის განკუთვნილ კალათში ეგლო. ერთ ლარად ვიყიდე, ისე, სასხვათაშორისოდ. თუმცა ნაკითხვისთანავე სხვა სამეზობლო შევეურჩიე ჩემს თაროზე. ჩარლზ ბუკოვსკისა და ჩაკ პალანიკს შორის მოვათავსე. ეკუთვნის და იმიტომ. ქართულ ლიტერატურულ ლანდშაფტებზე შეუმჩნევლად ამოწვერილმა ამ წიგნმა გამაოგნა და ერთი ნახვით შემეყვარა ავტორი. დავიწყე სხვა ნაწარმოებების ძებნა. ინტერნეტში მივაგენი. უფრო სწორად, მეგობარმა გამომიგზავნა ციფრული ვერსია მისი ნოველისა „იყიდეთ ჩვენი სულები“, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავარკვეე, ჟურნალ „არილიში“ იბეჭდებოდა.

2009 წელს ბაკურ სულაკაურის მიერ დაბეჭდილი მეორე წიგნი – „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში“ – ჩემთვის ნალდი დღესასწაული იყო. 15 მოთხრობა + „იყიდეთ ჩვენი სულები“. როცა ცდილობ, ისაუბრო ზურაზე, როგორც შემოქმედზე, მისი ტექსტების გულწრფელობაზე და ფორმალისტური საკმაზების გარეშე მომზადებულ ნატურალისტურ ხელოვნებაზე, რომელიც ერთ ვინრო სცენაში თუ ხრინწიან ამოცახილში მთელ სამყაროს იტევს, შანსი არაა, ტომ უეიტსი ან ფიროსმანი არ გაგახსენდეს. მაგრამ ეს შედარება ზაზა ბურჭულაძემ დამასწრო. შედარება ზუსტია, ისევე, როგორც ზაზას სხვა რეპლიკა ზურა ლეჟავასთვის მიძღვნილი წერილიდან – თვალები ტრაკში უნდა გქონდეს, რომ მისი წიგნი ვერ შენიშნო.

ეგრეა, ტაციაობა ანალოგიებზე. რას იზამ, ქვეყანაზე არც ისე ბევრია ასეთი,

ცხოვრების ფსკერზე გართხმული შემოქმედი, რომელსაც დაბალ წყლებზე უზრუნველად მცურავებისთვის ნამდვილი მარგალიტები ამოაქვს მათთვის თვალუწვდენელი ჯურღმულებიდან. ცოტაა ვინც, ნებით თუ უნებლიეთ, უპირობოდ მიიღო პოსტმოდერნული იმპერატივი და ცხოვრება ხელოვნებასთან აბლანდა. ვინც წაშალა ზღვარი ავტორსა და პერსონაჟს შორის. ალბათ, ეს ალქიმი აქცევს ზურას „შესაგრძნობ“ ავტორად. ავტორად, რომელსაც შეუძლია, კითხვისას შიზოფრენიკად გაქციოს. ისტერიულად გაცინოს და სვეტზე დაყუდებული ბერივით კარგა ხნით დაგადუმოს წამის შუალედში.

ჰო, ასეთი ავტორი ცოტაა, მცდელობები კი – იცოცხლე. საერთოდ, აუტსაიდერობა მოდაშია. მით უმეტეს შემოქმედებით წრეებში. თუმცა, რატომღაც ეს აუტსაიდერები ხალხის ყურადღებას ელტვიან, ზუსტად იმ ხალხის, რომელსაც, რომ ჰკითხო, არაფრად აგდებენ. ჩვენთვის ისტებლიშმენტის წინააღმდეგ ყოფნა ამ ელიტაში მოხვედრის ასპროცენტური გარანტიაა. მგონი, საერთოდაც ასეა: გმირები, რომლებიც დგანან წესრიგის, დავარცხნილი სამყაროს მხარეზე, რეპრეზენტირდებიან როგორც აუტსაიდერები. მაგალითად, თუ იღებენ ფილმს გმირი პოლიციელის შესახებ, ეს პოლიციელი აუცილებლად უნებში ხულიგანი, „ბინძური ჰარი“ იქნება. უნებში ხულიგანი, რომელიც სინამდვილეში წესრიგის და კანონის ციტადელია და არასოდეს ჩადის „ნაღდ ბოროტებას“. პრობლემა იმაშია, რომ „ბინძური ჰარის“ ავტორები არასოდეს არიან ნამდვილად ბინძურები. მეტიც, ისინი თავად არასოდეს არიან პერსონაჟები. ზურა ლეჟავა კი პერსონაჟია. იგი თავად გახლავთ ქვრივი ობობა და ობობას შეყვარებულიც, ეშმაკიც და ბრმა მევიოლინეც, რომელსაც სიმს მოჰპარავენ, სიკვდილმისჯილი სახელად ჩექმა და ხუმრობაც, რომელიც სიკვდილს ამარცხებს, ქურდობის ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკშიც და ჟორა-სემიჩკაც, რომელიც სიკეთემ განაიარაღა. და საერთოდ, თუ ზურა ლეჟავას მიგნება გინდათ, მისი პერსონაჟების კვალს უნდა გაჰყევთ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მოვიქციე:

აი, ხიდი სადაც რუსთაველიდან მომავალმა, საჭიდაო ტრიკოებში გამოწყობილმა სქელკისერა და დაბლვერილმა სპორტსმენებმა ჩაიარეს, აი, ბალი სადაც თავის დროზე საერთაშორისო სპორტის ოსტატმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეშვიდე სპარტაკიადაზე ოქროს მედლის მომპოვებელმა მოფარკავე ქალბატონმა ალათია მამაცაშვილმა ზედ საჯდომზე დაარჭო დაცვის ბიზონს ბასრი ქოლგა. აი, რესტორანი, რომლის შესასვლელშიც ფეხებგაპარსული რომელიღაც ლეგიონერები დაუყენებიათ კარისკაცებად. აი, ზურა, ქუჩის გადაღმა...

ჯიბებში ხელეზანყობილი დგას. საშუალო სიმაღლის, გამხდარი, წმინდად გაპარსული. მორიდებული მიმიკა აქვს და რაღაცნაირად დადის, გრაციოზულად, როგორც ძველ ფილმებში. მორიკონეს საუნდტრეკით უნდა წარმოიდგინო. უცნაური გამოხედვა აქვს, სიმშვიდისმოძგერელი. ვერც კი იფიქრებ, რომ ამ კაცმა თექვსმეტი წელი განსაკუთრებულად მკაცრი რეჟიმის საპრობილეში გაატარა. გაატარა და გადარჩა. გრძნობებს ავარჯიშებდა. ძერწავდა, ხატავდა, წერდა. ადვილი არ იყო, მაგრამ ასერხებდა. ნახატებიდან ფხეკდა საღებავს, რომელსაც სქლად დადებულს, სპეციალურად შეუგზავნიდა ხოლმე ძმა. სკულპტურებს პურისგან ზელდა. მასლოუს პირამიდაში შემოქმედებითი თვითრეალიზაცია სულ ბოლო სართულზეა, ჰოდა ჩვენს ისტერიულ (მაგრამ რაციონალურ!) სოციალურ ინჟინრებს შეუძლიათ, მთელი ეს პირამიდა უკან გაიკეთონ „ბაზრის უჩინარი ხელით“. მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც ყოველდღიურ ულუფას ხელოვნებაში ცვლიდა. ძვირფასებო, თქვენ ვერასოდეს გექნებათ მასსავით უშფოთველი თვალები.

ორიოდ კათხა ლუდის შემდეგ წინ მეორე აღმოჩენა მელოდა. ზურამ თავის ნამუშევრებთან მიგვიყვანა. თოკზე ტილოები ეკიდა, მაგიდაზე ხის ნაკეთობები ეწყო. „ბევრი მათგანი გადახატულია“, – მეუბნება ზურა, – „ესენი უფრო იყიდება“. ნივთს რომ გაყიდის, მეორედაც იდენტურს აკეთებს, კომერციული მოსაზრებით.

>>> ბაბრძილა ბვ. 94



კოსმონავტი გელა კუპრაშვილი და ავანგარდული მოდის ასამბლეა

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: გურამ ნიხაზაშვილი

გელა კუპრაშვილი პირველად რომ ვნახე, კოსმონავტს მივამსგავსე. ჩაცმულობაში კოსმონავტის არაფერი ჰქონდა, განწყობით იყო ასეთი, თითქოს რაღაც ფანტასტიკურ იდეალს მისდევდა, საიდანაც მაღალი მოდაც კი ერთ ხმაურთან და უგემოვნო დაბლობად მოჩანს. ყოველთვის საკუთარი აქსესუარებით დამშვენებული ტანსაცმელი ეცვა – ხელოვნური ბენვის ქურთუკი, ყვითელი და შავი კოპლებით, ორგანზას გამჭვირვალე და ორნამენტებიანი პერანგი, პატარა მუსლიმური ნაქსოვი ქუდი, ყოველთვის იპარსავდა თავს და ყოველთვის ცხოვრობდა მარტო, მუდმივი პარტნიორის გარეშე.

22 წლის დიზაინერი გელა კუპრაშვილი ბალტიისპირეთიდან ახალი დაბრუნებული იყო საქართველოში. 1994 წელს ის მეორე არხის „დუბლი 2“ რედაქციის ბიჭებთან მეგობრობდა და სწორედ ტელევიზიის წინ დაიწყო ჩვენი ნაცნობობაც. ცოტა ხანში გელამ ავანგარდული მოდის ასამბლეის დაარსება გადაწყვიტა. ეს უბრალოდ, ჩვეულებრივი და თავდაჯერებული სიმშვიდით გამოგვიცხადა და დაამატა, რომ ეს გრანდიოზული მოვლენა იქნებოდა საქართველოსთვის. ჯერ არც სპონსორი არსებობდა, არც არანაირი დაფინანსების მოლოდინი – მაგრამ მან თქვა, რომ ეს უნდა გააკეთოს და მორჩა! გელა განდი (ეს მისი ბოლოდროინდელი ფსევდონიმა; ინდოეთსა და აზერბაიჯანში ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებულს შეარქვეს) ყოველთვის ასეთი იყო, ის ამბობდა, ოცნებობდა... ვინ წარმოიდგენდა, რომ 1995 წლის შემოდგომაზე მისი ეს ოცნება დიდუბეში „ექსპო-ჯორჯიას“ უზარმაზარ ტერიტორიას შეაესებდა, თანაც რამდენიმე დღის განმავლობაში.

გელა განდიმ მაშინ გადაწყვიტა, რომ ავანგარდული მოდის პირველი ასამბლეის კონცეფცია მე უნდა შემექმნა. სოროსის ფონდში ახალგაზრდა კოორდინატორი ეკა მაზმიშვილი დიდი გულისყურით და მონდომებით მოეკიდა ამ ნაშრომს. გელას სხვებიც ჰყავდა გვერდით, დათო მაისურაძე, ყინულის ფესტივალს რომ აწყობს ხოლმე, მისი მეგობარი დიზაინერები გიორგი ნადირაძე, ნინო ახვლედიანი და ირმა პატარავა, პირველი რადიო, „დუბლი 2“. დანარჩენი უკვე გელამ თვითონ მოახერხა დამოუკიდებლად. ჩემს კონცეფციას ერქვა „ვენერას მიწა“ და იდეა იყო მოდის და ფეშენის დემისტიფიკაცია. ამ კონცეფციის განხორციელება შეუძლებელი გახდა, ის უფრო თეორიულ მხარდაჭერად დარჩა.

ეს უნდა ყოფილიყო ალტერნატიული მოდის ფესტივალი, სადაც დადგენილი უნიფორმებისა და ტრაფარეტული სნობიზმის ჰეგემონია გაქრებოდა. თბილისის ისედაც არასოდეს ჰქონია მაღალი მოდის კულტურა და მით უფრო – ბაზარი, ამიტომ „ამას“ პროექტი არა მოდასთან დაპირისპირების მცდელობა, არამედ უკვე დამოუკიდებელი სოცო-კულტურული პერფორმანსის ჩანასახი იყო. განსაკუთრებით თვალშისაცემი 90-იანი წლების საქართველოში, სადაც ყველა მონატრებული იყო დიდი ხნის განშორებულ ცხოვრებისეულ სიამეებს და ჯერ არც დასავლეთის ალტექსუალი დღესასწაული ჩანდა. ავანგარდული მოდის ფესტივალი თბილისის ახალგაზრდა მოსახლეობას შუა ქალაქში ფერად და ხმაურთან დაკავშირებული აქტივობა და გონებს შეეძლოთ მოენიათ სიგარეტი, ბიჭებს შეეძლოთ ევლოთ ჯგუფებად და შორიდან თვალი ედევნებინათ მათთვის. გარდა ამისა, მართლაც ამ

ფესტივალმა გააერთიანა მხატვრები, პოეტები, დიზაინერები და მუსიკოსები, ვინც მაშინ თბილისის და საქართველოს ახალ კულტურას ქმნიდა.

გელა განდიმ პირველმა ჩამოიყვანა თბილისში თანამედროვე ვარსკვლავი, ინგლისელი არტისტი ენდრიუ ლოგანი, რომელიც პერფორმანსთან ერთად შესანიშნავ სამკაულებს აკეთებს. თბილისში ავანგარდული მოდის ასამბლეაზე ასევე იმყოფებოდნენ ანდრეი ბარტენევი და პეტლიურა მოსკოვიდან, შოზო შიმამოტო და ჰიროკო უსუი იაპონიიდან. ვინც დღეს მოდის სამყაროში რამეს აკეთებს თბილისში, უმეტესობა სწორედ ამ ფესტივალთან იყო დაკავშირებული და ხშირ შემთხვევაში, სწორედ აქედან დაიწყო მათი კარიერა.

ნათია მაქაცარია, ალბათ, 15 წლის იქნებოდა პირველი ასამბლეის დროს, სალი გვენეტაძე 12 წლის ასაკში გამოვიდა ამ ფესტივალზე. აქ შედგა ზალიკო ბერგერის პირველი ჩვენება, ჯერ კიდევ პირველ კურსზე რომ სწავლობდა. გელა განდიმ მრავალ ასეთ ახალგაზრდას გაუხსნა მაშინ ეს ჭრელი და დამაფიქრებელი სამყარო, მშვენიერი ფორმების ძიებისა და ცხოვრებაში ფერების შემოტანის პერსპექტივა.

გელა განდი 1990-93 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა მოდელირებას და დიზაინს. შემდეგ ვილნიუსში გააგრძელა სწავლა, იონე ბურდას დიზაინის სკოლაში, იქ ერთი სპექტაკლიც კი გააფორმა „გამარჯობა სონია, ახალი წელია“, რომელიც ვილნიუსის დრამის თეატრში დაიდგა. გელა განდი, იური გაგარინს რომ თავი დაგვანებოთ, რაღაცით ამერიკელ მწერალს ჰენრი მილერსაც მოგაგონებდათ – გარეგნობის გარდა, ხასიათითაც.







მისთვის ხელოვნება იყო ყველაფერი, რაც მის საარსებო სივრცეში მოექცეოდა – კოქტილის ჭიქა კაფეში, სოფლის უბადრუკი გზა, უცნაური გარეგნობის ზედმეტად სტილიზებული გოგონა, პოეტების შეკრება ღვინის ჭიქასთან – ყველას რაღაცას ჩუქნიდა, რაღაც აქსესუარს, რაიმე ნივთს სამასხოვროდ. და ეს ნივთები ყოველთვის გამორჩეული და ხარისხიანი იყო, საჩუქრად რომ უნდა გაიმეტო სინამდვილეში, ისეთი.

ასეთი არის მისი, როგორც ხელოვანის გზა. ერთადერთი გამოყენება, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოიპოვება, არის ბერლინში და შტუტგარტში 2005 წელს განხორციელებული ფოტოგამოფენები იფას გალერეაში. ბერლინელი კრიტიკოსი ნელე სასი წერს: „ქართველი ფოტოგრაფის გელა კუპრაშვილის ნამუშევრებში წინა ხაზზე გამოდის პერფორმაციული ელემენტი, სადაც ის ახდენს ჯარისკაცის, გურუსა და სხვა ასეთი ფიგურების განსახიერებებს. მისი ნამუშევრების ეფექტი იმაშია, რომ სურათის სახელწოდება არასოდეს ემთხვევა მასში ასახულ სცენას“.

სანამ გელა განდი პილიგრიმოზას სრული მასშტაბით დაიწყებდა, მანამდე მან თბილისს სამი გრანდიოზული ავანგარდული მოდის ფესტივალი აჩუქა, რომელიც მთლიანად მის მხრებზე იდგა – როგორც არტისტის და არა – ბიზნესმენის ან მენეჯერის მხრებზე. მან შექმნა ბრწყინვალე ლოჯისტიკა და არტისტული კონცეფცია ერთდროულად.

1998 წელს თბილისში ჩემი და გელა განდის მოწვევით იაპონელი არტისტი შოზო შიმამოტო ჩამოვიდა, რომელმაც 50-იან წლებში ცნობილი იაპონური ავანგარდის ჯგუფი „გუტაი“ დააფუძნა. ამ ისტორიულ სამხატვრო მოძრაობას კრიტიკოსები ჯექსონ პოლოკის აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის პარალელურს უწოდებდნენ. მოგვიანებით კი მან დააფუძნა ახალი ჯგუფი სახელწოდებით „არაიდენტიფიცირებული ხელოვნება“ (AU), სადაც 200-მდე ხელოვანია გაერთიანებული და რომელიც ყოველგვარი ფორმალური აკრძალვებისა და წესების გარეშე მუშაობს. შოზო შიმამოტო ცნობილია

საკუთარი ამნეს პერფორმანსებით, როდესაც ის დიდი სიმაღლიდან მიწაზე ისვრის საღებავით სავსე ქილებს და ასე ქმნის ექსპრესიონისტულ, აბსტრაქტულ უზარმაზარ ტილოებს.

70 წლის ასაკში კიოტოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა ინფარქტი გადაიტანა. მაშინ იაპონელმა ექიმმა ასეთი რეცეპტი გამოუწერა, რომ მსგავსად 1000 ქალაქის წეროს ტრადიციისა, რომლებსაც ჰიროსიმასა და ნაგასაკის დღეებში დალუპულთა ხსოვნისათვის ცაში უშვებენ, შოზო შიმამოტოს უნდა შეეგროვებინა 1000 ახალგაზრდა გოგონა, რომლებიც თანახმა იქნებოდნენ, მისთვის გაეხადათ და შიშვლებს ემუშავათ მისი ცოცხალი ნახატებისთვის და პერფორმანსებისთვის. და თუ ეს ასე მოხდებოდა, ლეგენდარული იაპონელი მხატვარი სიცოცხლეს დაიბრუნებდა. დაახლოებით 6 წლის წინ მის ასეთ პერფორმანსებში უკვე 500-მდე ახალგაზრდა იაპონელ ქალს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა.

თბილისის ავანგარდული მოდის ასამბლეაზე შოზო შიმამოტო საკუთარ ასისტენტ გოგონებთან – მხატვარ ლოკო ჰიროკო უსუისთან და კომპოზიტორ საჩიე იამამიტასთან ერთად ჩამოვიდა. ლოკო ექსცენტრული ახალგაზრდა ავანგარდისტია, რომელიც მთელი ცხოვრება პლასტმასის ერთჯერად ჭიქებს აგროვებს, მათ წრიულად, სიმეტრიულად განალაგებს, სტეპლერით კრავს და უზარმაზარ სკაფანდრებს აგებს. საკუთარ თავს ასეც უწოდებს „კაპ არტისტ ლოკო“ – „ერთჯერადი ჭიქების არტისტი ლოკო“. მისთვის ეს ერთმანეთთან და კოსმოსთან დამაკავშირებელი ლოკატორები და რადარებია, რომლებიც გარემოში არსებულ ბგერებს აძლიერებს. ადამიანები, ვინც მის პერფორმანსებში ასეთ სკაფანდრებს გაიკეთებენ, ერთმანეთთან უხილავ, ბგერით კავშირს დაამყარებენ. საჩიე იამამიტას საკუთარი ნამუშევრები არ ჩამოუტანია, მან უბრალოდ ამნეს პერფორმანსში მიიღო მონაწილეობა.

მანამდე ერთად დავდიოდით რკინიგზის სადგურის ბაზრობაზე ამ ჭიქების საყიდლად. იქ რომ მივედით, დახლთან

მომუშავე ქალებს ძალიან გაუკვირდათ ნაციონალურ იაპონურ სამოსში გამოწყობილი ადამიანების დანახვა. შოზო შიმამოტომ, რომელიც გელა განდევით მუდმივად თავგადაპარსული იყო, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ყველას მდაბლად დაუხარა თავი ბაზარში და მთარგმნელის საშუალებით ითხოვა, მის თავზე რამე დაეხატათ ან დაენერათ. ესეც მისი ერთ-ერთი მუდმივი და სამარკო პერფორმანსია, სადაც მიდის, თავზე აწერინებს იქაურ მასპინძლებს ან შემთხვევით გამვლელს. ბოლოს ერთმა ქალმა გაბედა და „საქართველო“ დაანერა თავზე.

ლოკოს, 27 წლის იაპონელ გოგონას, რომელიც ნამდვილი ავანგარდისტი იყო ყველა საკუთარი ესთეტიკური კრიტერიუმითა და ფილოსოფიით, თბილისის ფესტივალის ხმაურიან დღეებში საღამოს 10 საათის მერე გარეთ ვერ ნახავდით. პარიზში მას შეეძლო, მხატვარ ნატოსთან ერთად შიშველი პერფორმანსები ეკეთებინდა ქუჩაში და ეს უღამაზესი იაპონელი ქალი გვეუბნებოდა: როდესაც მზე ჩადის, ადამიანები ბარებში კი არ უნდა დახეტიალობდნენ, უნდა იძინებდნენ და მომავალი დღისთვის ემზადებოდნენო. ის ყოველთვის ლამაზ, წითელი ფერის კიმიონოში იყო გამოწყობილი მისი მეგობარი საჩიესაგან განსხვავებით, რომელსაც ევროპულად ეცვა. დღეს ლოკო გათხოვილია იტალიაში, 2 ბავშვი ჰყავს და მისი მეუღლე ანდრეა მარდეგანი შოზო შიმამოტოს ასოციაციას ხელმძღვანელობს.

მე ნამდვილად არ მახსოვს რომელიმე არტ ივენტზე ამდენი ხალხი ყოფილიყოს შეკრებილი. „ექსპო-ჯორჯიას“, ანუ იმდროინდელი „ვედეენხას“ ცენტრალურ ტერიტორიაზე მაყურებელთა ტრიბუნები გავსებული იყო, როგორც ფეხბურთის მატჩის დროს; ხალხი ისე ელოდებოდა პერფორმანსს, თითქოს გლადიატორთა ბრძოლა უნდა გამართულიყო, პროჟექტორების შუქზე და შემოდგომის სუსხში ლოკოს ყველა მოდელი საბანაო კოსტუმებით გამოვიდა და თავზე უზარმაზარი სკაფანდრები ეკეთათ.



მარკ სუპერბერი

ფეისბუქის სახე

ავტორი: ხოსე ანტონიო ვარბასი
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძე

© სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“ 20 სექტემბერს, 2010



მარკ ცუკერბერგმა ფეისბუკი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ოთახში, ექვსი წლის წინ შექმნა. იმ დღის შემდეგ მასში 5 მილიონი ადამიანი გაწევრიანდა, რომელთაგან 879 მისი მეგობარია. ეს საიტი ერთგვარ ცნობარს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მკვიდრისთვის და ამასთანავე, კერძო პირებს საჯარო იდენტობის შესაქმნელად საჭირო სივრცეს სთავაზობს. დარეგისტრირდები და შენს შესახებ ინფორმაციას განთავსებას იწყებ: ტვირთავ ფოტოსურათებს, აღნიშნავ მონაცემებს შრომითი ბიოგრაფიიდან, წერ, რატომ გაღიზიანებს სწორედ ახლა „რაიტ ეიდის“ სააფთიაქო ქსელში შემოთავაზებული რბილი, ჟელესური კანფეტები, ან რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პერსპექტივა არსებობს. ზოგიერთი ინფორმაციის ნახვას მხოლოდ შენი მეგობრები შეძლებენ, ზოგს შენი მეგობრების მეგობრებიც ნახავენ, ზოგი კი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. ფეისბუკის პოლიტიკა პირადი ინფორმაციის საკითხში ბევრ მომხმარებელს აბნევს: კომპანია წესებს ხშირად ცვლის და თითქმის ყოველთვის იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო მეტი ინფორმაცია უფრო მეტი გზით იყოს ხელმისაწვდომი.

ფეისბუკის პროფილის მიხედვით, მარკ ცუკერბერგს სამი და ჰყავს: რენდი, დონა და ერიელი; სამივე მისი მეგობარია. მის მეგობრებს შორის მშობლები, კერენ და ელდერდ ცუკერბერგებიც არიან. ვიგებთ, რომ მას ექსეტერის აკადემია დაუმთავრებია და ჰარვარდის უნივერსიტეტში უსწავლია. მარკი მსახიობ ენდი სემბერგის ფანი გახლავთ, საყვარელ მუსიკოსებს შორის კი როკ-ტრიო „გრინ დეის“, რეპერ ჯეი ზედს, ტელიორ სვიფტსა და შაკი-

რას ასახელებს. ის 26 წლისაა.

ცუკერბერგის ინტერესებია: „მინიმალიზმი“, „რევოლუციები“ და „სურვილების გაქრობა“. მას მოსწონს ორსონ სკოტ კარდის სამეცნიერო-ფანტასტიკური საგა „ენდერის თამაში“, რომელიც გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვის, ენდრიუ (ენდერ) უიგინის ამბავს მოგვითხრობს: ის ელექტრონული თამაშების – კომპიუტერული ომების დიდი ოსტატია და მოგვიანებით გააცნობიერებს, რომ ნამდვილ ომშია ჩაბმული. მარკ ცუკერბერგი თავის პროფილში სხვა წიგნებს არ ასახელებს.

მათ, ვინც მარკს ფეისბუკზე დაუმეგობრდა, ხელი მიუწვდებათ მისი ელექტრონული ფოსტის მისამართსა და მობილური ტელეფონის ნომერზე. ნებისმიერ მათგანს შეუძლია ცუკერბერგის ფოტო-ალბომების დათვალიერება, მაგალითად, „თხის შენვა 2009“-ის, რომელზეც მის ეზოში მონყობილი წვეულებაა აღბეჭდილი. მათ იციან, რომ ივლისის დასაწყისში ჰოლივუდელი თუ უოლ სტრიტელი მაგნატებისა და ტექნოლოგიების სფეროს ტიტანებისთვის „ელენ ენდ კამპენის“ მიერ ორგანიზებული ყოველწლიური შეკრებიდან დაბრუნებული მარკი ფეისბუკზე ბარი დილერს დაუმეგობრდა. მალევე ცუკერბერგმა თავის გვერდზე დაწერა: „რომელიმე საიტზე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟის ნახვა თუ შეიძლება? (ტელევიზორი არ მაქვს)“.

ავგისტოში ფეისბუკს ახალი ფუნქცია – „ადგილები“ დაემატა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ადგილმდებარეობა ნებისმიერ დროს დააფიქსირონ. ამის შემდეგ ცუკერბერგის მოძრაობისთვის თვალის მიდევნება მეტად იოლი იყო. 29 აგვისტოს, ატლანტიკის სტანდ-

არტული დროით, ლამის 2:45-ზე ის მანჰეტენის ცენტრში, „ეის ჰოტელში“ იმყოფებოდა. ფეისბუკის ოფისში, პელოუ ელტოუში, მარკი დილის 7:08-ზე დაბრუნდა. 31 აგვისტოს, საღამოს 10:38-ზე, ის და მისი შეყვარებული მაუნტინ ვიუში, „Taqueria La Bamba“-ში ვახშობდნენ.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ცუკერბერგი ზედმეტად ბევრ ინფორმაციას გასცემს. თუმცა ეს მხოლოდ საკითხის ერთი მხარეა. მისი მთელი ბიზნესი პირადი ცხოვრების, საიდუმლოს გამჟღავნებისა და საკუთარი თავის სრულად წარმოჩენის ჩვენებულ ცვალებად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. რაც უფრო მეტი ინფორმაციას განათავსებს ხალხი ფეისბუკზე, საიტის შემქმნელებს რეკლამის შემკვეთები მით მეტ ფულს გადაუხდიან. ცუკერბერგისა და ამ წარმატებული წამოწყების სამომავლო პერსპექტივების საბედნიეროდ, მისი ბიზნეს-ინტერესები იდეალურად თანხვედბა მისსავე ფილოსოფიას. თავის გვერდზე, ბიოგრაფიული მონაცემების განყოფილებაში ის მარტივად წერს: „ვცდილობ, სამყარო უფრო ღია, გახსნილ ადგილად ვაქციო“.

როგორც ჩანს, სამყაროც საპასუხო ნაბიჯებს დგამს. დღეს ფეისბუკი უდიდეს სოციალურ ქსელს წარმოადგენს ინდონეზიიდან კოლუმბიამდე. მსოფლიოში ყოველი მეთოთხმეტე ადამიანი ამ ქსელშია დარეგისტრირებული. ამასობაში კი ცუკერბერგი სილიკონ ველის მეფე-ბიჭუნა ხდება. თუ ფეისბუკის წილები გაიყიდება, ის დედამიწის ზურგზე ერთ-ერთ უმდიდრეს კაცად, ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერად იქცევა. „ვენითი ფერის“ ოქტომბრის ნომერში მარკ ცუკერბერგი პირველ ნომრად არის დასახელებული ყველაზე გავლენიანი ადამიანების ყოველწლიურ



როცა საშუაროს თემა არ აინტერესებს, უბრალოდ, გვირდით იხილება და აბოზს: „ჰო, ჰო...“ ზოგჯერ პასუხის გაცემისთვის ისე დიდხანს ჩუმდება, თითქოს შეკითხვა საერთოდ არ გაბორონს. სუპერბერგს, ჩვეულებრივ, უჩივიან, რომ ის „როზოცია“. როგორც მისმა ერთმა უახლოესმა მეგობარმა მითხრა, „ის ზედმეტად დაკრობარაბებულია“.



რეიტინგში, რუპერტ მერდოკი და „გუგლის“ მფლობელი სტივ ჯობსი კი სიაში მის ქვემოთ იმყოფებიან. ჟურნალის განცხადებით, ის „ჩვენი ახალი კეისარია“.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნად გლობალური გახსნილობის მიღწევას ისახავს, ცუკერბერგი წინდახედული, თავშეკავებული ადამიანია, რომელიც პირად ცხოვრებას უფრო ხილვით ატარებს. მას პრესის წარმომადგენლებთან საუბარი არ უყვარს და ამას ძალიან იშვიათად აკეთებს; არც საჯარო გამოსვლები ხიბლავს, არადა, ამ თხოვნით სულ უფრო ხშირად მიმართავენ. ზაფხულში, სილიკონ ველიში, კომპიუტერის ისტორიის მუზეუმის მიერ ორგანიზებულ ლონისძიებაზე გამოსასვლელად გამზადებულ, კულისებში მდგომ მარკს ერთ-ერთი სტუმარი მიუბრუნდა და სცენაზე გამოსვლამდე დარჩენილ წუთებში ჰკითხა: „არ გიყვართ ასეთ ლონისძიებებში მონაწილეობის მიღება, არა?“ ცუკერბერგმა მას მოკლედ მოუჭრა: „არა“, მერე კი ბოთლიდან წყალი მოსვა და მზერა რომელიღაც შორეულ წერტილს მიაპყრო.

მეტად უხერხული სიტუაცია ახლა იქმნება. ცუკერბერგი, უფრო სწორად, მისი უკანონო, ჰოლივუდური ორეული სადაცაა, დევიდ ფინჩერის „სოციალურ ქსელში“ გამოჩნდა, რომ-

ლის სცენარიც აარონ სორკინს ეკუთვნის. ფილმმა ნიუ იორკის კინოფესტივალი გახსნა და ეკრანებზე უკვე გამოვიდა. ის მსოფლიოს საზოგადოების დიდ ნაწილს მარკ ცუკერბერგს გააცნობს. ფეისბუქის პროფილები ხომ თამაშის ელემენტებს შეიცავს: თავად ირჩევს იმ დეტალებს, რაც გასურს, მეგობრებს გაუზიარო და იმასაც თავად წყვეტ, ეს დეტალები ვის უნდა გაუზიარო. ცუკერბერგი კი, ვისაც გასულ ზაფხულს რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე, ახლა სრულიად საპირისპირო მოვლენის წინაშე აღმოჩნდა: ყველა დეტალის საჯაროდ გაცხადება მას არ აურჩევია. ის ფილმის ნახვას არ აპირებს.

ცუკერბერგი, ან ზაკი, როგორც თითქმის ყველა ნაცნობი უწოდებს, ფერმკრთალი, საშუალო ტანის ახალგაზრდაა, მოკლე, ხვეული, ყავისფერი თმითა და ცისფერი თვალებით. მისი სიმაღლე დაახლოებით 5,8 ფუტია, მაგრამ უფრო მაღალი ჩანს, რადგან დგომისას წელში გამართულია და მკერდი გამონეული აქვს, თითქოს ზემოდან ძაფებით იჭერდნენ. მარკის სტანდარტული ჩაცმულობაა: ნაცრისფერი მაისური, ცისფერი ჯინსი და კედები. ურთიერთობისას თავშეკავებული და დამაბნეველია, მისი საქციელი კი მორცხვობისა და თავებ-

დობის უცნაურ ნაზავს წარმოადგენს. როცა საუბრის თემა არ აინტერესებს, უბრალოდ, გვერდით იხედება და ამბობს: „ჰო, ჰო...“ ზოგჯერ პასუხის გაცემამდე ისე დიდხანს ჩუმდება, თითქოს შეკითხვა საერთოდ არ გაეგონოს. ცუკერბერგს, ჩვეულებრივ, უჩივიან, რომ ის „რობოტია“. როგორც მისმა ერთმა უახლოესმა მეგობარმა მითხრა, „ის ზედმეტად დაპროგრამებულია“. ხანდახან მარკი მართლაც ისე ლაპარაკობს, როგორც მესენჯერში – მოკლე-მოკლედ, მონოტონურად; შეუძლია, უტიფრად და ქედმაღლურად გაგრძნობინოთ, რომ ყოველთვის იცოდა რაღაც, რაც თქვენ არ იცოდით. მიუხედავად ამისა, პირისპირ საუბრისას საკმაოდ მომხიბლავია და სცენაზეც თავს სულ უფრო კომფორტულად გრძნობს. კომპიუტერის ისტორიის მუზეუმში მარკი უჩვეულოდ ენერგიული, ყურადღებიანი და თვითნაწილით გატაცებული იყო, შეიძლება ითქვას – გალაღებულიც კი. ფეისბუქზე პირადი ინფორმაციის მართვის მექანიზმზე საუბრისას საკუთარი მაგალითი მოიყვანა, რასაც მის პასუხებში ხშირად ვერ ნახავთ („მობილურის ნომრის გაზიარება მხოლოდ ფეისბუქის ყველა მომხმარებლისთვის რომ შემეძლოს, ამას არ გავაკეთებდი, მაგრამ რადგან შემიძლია, ის მხოლოდ

„ზაკი: ჰო, თუ ინფორმაცია დაგჭირდა ვინმეზე პარპარდში, მითხარი. 4000 იმეილი გაქვს, სურათები, მისამართები...“

მეგობარი: რაა? როგორ მოახარხებ?

ზაკი: ხალხი ამას თვითონ აკეთებს, არ ვისი, რატომ, „ვენდოზიან“. დაბილი სირაბი.“

ზაკი ამტკიცებს, რომ მისი პიროვნება იმის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს, ვინც მეორე პურსზე იყო. თუმცა მან შესანიშნავად ისიც, რომ ეს ასე იქნება.

ჩემს მეგობრებს გავუზიარო, ამას ვაკეთებ“. ცუკერბერგი თვითონონიულიც ჩანდა. როდესაც ჰკითხეს, ხალხშიც ის კაცი იყო თუ არა, ვინც მეგობრების წრეში, მან ასე უპასუხა: „ჰო, სწორედ ის მოუქნელი კაცი ვარ“.

მარკ ცუკერბერგი ნიუ იორკის შტატში, დობს ფერიში, გორაკზე ნამომართულ სახლში დაიბადა. ამ სახლის ნახევარ-სარდაფში მამამისს, ედუარდ ცუკერბერგს, ვისაც პაციენტები „უმტკივნეულო ექიმი ზედის“ სახელით იცნობენ, სტომატოლოგიური კაბინეტი აქვს (მის ვებ-საიტზე ვკითხულობთ: „ჩვენ მშობრების გულსაც კი ვიგებთ“). კაბინეტში 160 გალონის ტევადობის აკვარიუმი დგას, იქაურობა კი სავსეა საზღვაო თემატიკაზე შექმნილი პატარა სათამაშოებითა თუ ხელნაკეთი ნივთებით, რომლებიც ექიმ ცუკერბერგისთვის პაციენტებს მოაქვთ. მარკის დედა, კერენი ფსიქიატრია, რომელმაც საექიმო პრაქტიკა იმის გამო შეწყვიტა, რომ შვილებისთვის მოეწოდებდა და ქმართან ოფისის მენეჯერად ემუშავა.

ედუარდმა, რომელიც ციფრული რენტგენის ერთ-ერთი პირველი მომხმარებელი გახლდათ, კომპიუტერული პროგრამა Atari BASIC საკუთარ ვაჟსაც გააცნო. სახლი და სტომატოლოგიური კლინიკა კომპიუტერებით იყო სავსე. 1996 წლის ერთ მშვენიერ დღეს მან განაცხადა, რომ შეტყობინების უკეთესი გზის მოძებნა სჭირდებოდა, ვიდრე პაციენტის მოსვლისთანავე მიმღებში მომუშავე თანამშრომლის ყვირილი იყო: „პაციენტი მოვიდაა!“ მარკმა კომპიუტერული პროგრამა შექმნა, რომლის საშუალებითაც სახლისა და ოფისის კომპიუტერებიდან მათ მომხმარებლებს ერთმანეთისთვის შეტყობინებების გაგზავნა შეეძლოთ და მას

„ზაკნეტი“ უწოდა. თავისი არსით ის „ემერიკა ონლაინის“ იმ მესენჯერის პრიმიტიულ ვერსიას წარმოადგენდა, რომელმაც დღის შუქი მომდევნო წელს იხილა. პროგრამის მეშვეობით მიმღების თანამშრომელი ედუარდს უკავშირდებოდა ხოლმე, ბავშვები კი ერთმანეთს ეხმებოდნენ. ერთ საღამოს, როცა დონა ქვედა სართულზე, თავის ოთახში მუშაობდა, ეკრანზე უცნობი ფანჯარა გაიხსნა: კომპიუტერი დამლუპველ ვირუსს შეიცავდა და 30 წამში ყველა პროგრამა წაიშლებოდა. როცა მექანიზმმა წამების ათვლა დაიწყო, დონა ზედა სართულისკენ გაიქცა ყვირილით: „მარკ!“

ბავშვები კომპიუტერულ თამაშებს თამაშობდნენ, მარკი კი მათ ქმნიდა. ჩვენი საუბრების დროს ყველაზე გატაცებით ცუკერბერგი მაშინ ალაპარაკდა, როცა საუბარი მის სიყმაწვილის დროინდელ თავგადასავლებსა და პროგრამისტულ წარსულზე ჩამოვარდა. ამ დროს ყურებამდე იღიმებოდა, სიტყვებს ერთმანეთში ურევდა, თვალები კი ერთიანად ანთებული ჰქონდა. „მხატვარი მეგობრები მყავდა. მოდიოდნენ, ნახატებს ხატავდნენ, მე კი ამ მასალისგან თამაშებს ვქმნიდი,“ – მითხრა მან. 11 წლის ხდებოდა, მშობლებმა კომპიუტერის მასწავლებელი რომ მოუძებნეს – პროგრამისტი დევიდ ნიუმენი, ვინც სახლში, მარკთან სამუშაოდ კვირაში ერთხელ დადიოდა. „მას განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა“, – მითხრა ნიუმენმა, – „ზოგჯერ ისიც კი მიჭირდა, რომ მისთვის მეჯობნა.“ (ნიუმენმა ცუკერბერგის კვალი დაკარგა და ძალიან გაოცდა, როცა საუბრის დროს შეიტყო, რომ ფეისბუქი მის ყოფილ მოსწავლეს შეექმნა). მალევე მარკმა მერსი კოლეჯთან გახსნილ კომპიუტერის კურსზე დაიწყო

სიარული ყოველ ხუთშაბათ საღამოს. როდესაც მამამ პირველ გაკვეთილზე მიიყვანა, ინსტრუქტორმა ედუარდს შეხედა, შვილზე მიანიშნა და უთხრა: „გაკვეთილებზე მისი მოყვანის უფლება არა გაქვთ“. ედუარდმა ინსტრუქტორს აუხსნა, რომ მოსწავლე ის კი არა, მისი ვაჟი იყო.

მარკს კომპიუტერების გარდა არაფერი აინტერესებდა. ეკსტერში ის მოფარიაკვეთა გუნდის კაპიტანი გახდა, დიპლომი კი ლათინურ ენასა და ანტიკურ ლიტერატურაში აიღო. თუმცა კომპიუტერს მის ცხოვრებაში ყოველთვის მთავარი ადგილი ეჭირა. ეკსტერში სწავლის ბოლო წელს, სავალდებულო ნაშრომის სახით, პროგრამა დაწერა, რომელსაც სინაპსი უწოდა. მეგობართან ერთად შექმნილი სინაპსი პანდორას ადრეულ ვერსიას წააგავდა – ეს პროგრამა მსმენელთა მუსიკალურ გემოვნებაში გასარკვევად ხელოვნურ ინტელექტს იყენებდა. ასეთი პროგრამის არსებობის შესახებ ინფორმაცია ტექნოლოგიურ ბლოგებზე გავრცელდა და მალევე „ემერიკა ონლაინმა“ და „მაიკროსოფტმა“ სინაპსის შექმნის სურვილი გამოთქვეს, მისი შემქმნელი თინეიჯერი კი თავისთან მიიწვიეს. მარკმა ორივე შემოთავაზებაზე უარი განაცხადა.

ამის ნაცვლად, 2002 წლის შემოდგომით ცუკერბერგმა ჰარვარდში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა. კემბრიჯში ჩასვლისას უკვე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პროგრამისტის რეპუტაცია ჰქონდა. ხანდახან ის იმ მაისურს იცვამდა, რომელზეც პატარა მაკაკა ეხატა და ეწერა: „პროგრამისტი მაიმუნი“. მარკი ებრაელთა სტუდენტურ ორგანიზაციაში „Alpha Epsilon Pi“-ში განეწვრიანდა, ერთ პარასკევს კი, ღამის წვეულებაზე,

მეორეკურსელმა ახლანდელი შეყვარებული პრისილა ჩენი გაიცნო – ჩინური წარმოშობის ამერიკელი ბოსტონის გარეუბნიდან. საუბარი მათ იმ დროს წამოიწყო, როცა სააბაზანოში შესასვლელად რიგს ელოდნენ. „მოსაწყენი და თან ცოტა გარეკილი ბიჭი იყო“, – მითხრა ჩენმა, – „მახსოვს, ლუდის ქიქები ჰქონდა, რომლებზეც ეწერა: „pound include beer dot H“. ეს C++ პროგრამირების ენის ტეგია. საუნივერსიტეტო ხუმრობას ჰგავს, მაგრამ უდიდამოსა და მხოლოდ კომპიუტერის სპეციალისტებისთვის გასაგებს“.

ცუკერბერგი მარტივ, იოლად მისაჩვენებელ პროგრამებს ოსტატურად

იგონებდა. მან მეორე კურსზე სწავლის პირველივე კვირაში შექმნა „ქორსმეტჩი“ – პროგრამა, რომელიც სტუდენტებს იმის საშუალებას აძლევდა, რომ სხვა სტუდენტების არჩევანის მიხედვით გამოეთვალათ და გაერკვიათ, რომელ გაკვეთილებს დასწრებოდნენ. მალევე მოიგონა „ფეისმეშიც“: მომხმარებლები ორი ადამიანის ფოტოს ხედავდნენ და ლილაკზე დანაკაპუნებით აღნიშნავდნენ, მათი აზრით, რომელი უფრო მაგარი იყო. ეს ერთგვარ სექსუალურ თამაშს წარმოადგენდა. სასწავლებლის ადმინისტრაციამ ამ პროგრამის გამოყენება სწრაფად აკრძალა. შემდეგ სამმა უფროსკურსელმა –

მათემატიკოსმა სტუდენტმა ქენისიდან დაივია ნარენდრამ და გრინვიჩელმა ტყუპებმა კემერონ და ტაილერ უინკლვოსებმა ცუკერბერგს დახმარება სთხოვეს იმ საიტის შექმნაში, რომელზეც ისინი უკვე მუშაობდნენ. მას „ჰარვარდ ქონექშენი“ ერქვა.

ცუკერბერგი ნარენდრასა და უინკლვოსებს დაეხმარა, მაგრამ მათი პროექტი მალევე მიატოვა და საკუთარი საიტი შექმნა, რომელსაც ბოლოს ფეისბუკი უწოდა. საიტმა უდიდესი წარმატება მოიპოვა, მეორე კურსის ბოლოს კი ცუკერბერგმა ჰარვარდში სწავლაზე უარი თქვა, რათა ის სრული დატვირთვით აემუშავებინა.



მარკ სუჰარბაბაგი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი პიროვნება იმის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს, ვინც მეორე კურსზე იყო. თუმცა მან შესანიშნავად იცის, რომ ეს ასე იქნება და სულ მალე ეკრანებზე „სოციალური ქსელის“ გამოცვლის გამო უფრო და უფრო მეტი ადამიანი გაავლავს ამ პარალელს.

მარკის თქმით, ეს ორი სოციალური ქსელი თავისი არსით ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა. ნარენდრასა და უინკლვოსების ქსელში აქცენტი პარტნიორის გაცნობაზე კეთდებოდა, მისი პროექტის მიხედვით კი, მთავარი ადამიანებს შორის ურთიერთობა იყო. ამ დროს უინკლვოსები ამბობენ, რომ მარკმა მათი იდეა მოიპარა და საიტის ამუშავება განზრახ შეაფერხა. მაღალი, მხარგანიერი და კომუნიკაბელური ტყუპები, რომლებიც პეკინის ოლიმპიადის მონაწილეები არიან, აკადემიურ ნიშბოსნობაში ჩემპიონები იყვნენ. ახლახან ოქსფორდში ორივემ მაგისტრის ხარისხი მოიპოვა ბიზნესის ადმინისტრირებაში. „მან მოგვპარა დრო, მოგვპარა იდეა, მოგვპარა მისი განხორციელების შესაძლებლობა“, – მითხრა კემერონმა ცოტა ხნის წინ. ექვსი წელია, სასამართლოში ამ საკითხს განიხილავენ – თითქმის იმ დროიდან, როცა ფეისბუქი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ბოლოს მოდავე მხარეები შეთანხმებამდე მივიდნენ: როგორც ამბობენ, ცუკერბერგი ნარენდრასა და უინკლვოსებისთვის 65 მილიონი დოლარის გადახდას დათანხმდა, მაგრამ ახლა ისინი გაცილებით მეტს ითხოვენ, რადგან თვლიან, რომ ფეისბუქის წარმომადგენლებმა შეაცდინეს და სინამდვილეში ბევრად მეტი ეკუთვნით.

სასამართლოში ნარენდრასა და უინკლვოსებთან დასაპირისპირებლად მომზადებისას ფეისბუქის იურისტებმა ცუკერბერგის კომპიუტერში ყველა ინფორმაცია გადასინჯეს და მესენჯერის დიალოგებს წააწყდნენ, რომლებიც იმდროინდელი უნდა ყოფილიყო, როცა ის ჯერ კიდევ ჰარვარდში სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ IMS-ის საშუალებით მოპარვის ფაქტი ვერ

დასტურდებოდა, იმ პირების გადმოცემით, რომლებმაც ზემოთ ნახსენები საუბრები წაიკითხეს, მათში ცუკერბერგი მოღალატე, ვერაგ და გულქვა ადამიანად მოჩანდა. ადვოკატების მცირე ჯგუფმა და ფეისბუქის ადმინისტრატორებმა ეს საუბრები ორსაათიან შეხვედრაზე განიხილეს 2006 წლის იანვარში, ჯიმ ბრეიერის ოფისში, რომელიც ფეისბუქის უდიდესი ინვესტორი ფირმის, „Accel Partners“-ის მენეჯერი და აქციონერი გახლავთ.

ტექნოლოგიურმა საიტმა შილიცონ Alley Insider-მა რამდენიმე საუბრის ტექსტი ხელში ჩაიგდო და გასულ გაზაფხულზე გამოაქვეყნა დიალოგი ცუკერბერგსა და მის ერთ-ერთ მეგობარს შორის, სადაც იკვეთება, თუ როგორ აპირებდა ის ჰარვარდ ქონექშენტანს გასწორებას.

„მეგობარი: აბა, გადაწყვიტე, რას უზამ იმ ვებ-საიტზე?“

ზაკი: გადავუვლი ზაკი: ალბათ წელსვე“

Silicon Alley Insider-ის მიერ მოპოვებულ სხვა დიალოგში ცუკერბერგი მეგობარს უხსნის, რომ ფეისბუქის კონტროლმა მას საშუალება მისცა, ნებისმიერი ჰარვარდელი სტუდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია მოეპოვებინა.

„ზაკი: ჰო, თუ ინფორმაცია დაგჭირდა ვინმეზე ჰარვარდში, მითხარი.“

ზაკი: 4000 იმეილი მაქვს, სურათები, მისამართები

მეგობარი: რა? როგორ მოახერხე?

ზაკი: ხალხი ამას თვითონ აკეთებს

ზაკი: არ ვიცი, რატომ

ზაკი: „მენდობიან“

ზაკი: დებილი სირები“

სარწმუნო წყაროს თანახმად, კიდევ არის ისეთი გამოუქვეყნებელი დიალოგები, რომლებიც ცუკერბერგისთვის სამარცხვინო და საზიანოა. გასაუ-

ბრების დროს ბრეიერმა მითხრა: „იმ ყველაფერზე დაყრდნობით, რაც 2006 წელს ვნახე – მას შემდეგ, რაც მარკის გვერდით ძალიან ბევრი დრო გავატარე – მას, როგორც ფეისბუქის მმართველს, ისეც ძველებურად ვენდობი“. ბრეიერმა, რომელიც ფეისბუქის ხელმძღვანელობის წევრი გახლავთ, დაამატა: „ის ბრწყინვალე პიროვნებაა, ვისაც, ყველა ჩვენგანის მსგავსად, შეცდომები აქვს დაშვებული“. როდესაც ცუკერბერგს ამ დიალოგების შესახებ ვკითხე, რომლებიც ინტერნეტში უკვე გამოქვეყნებული იყო და საკუთარი თვალთ მქონდა ნანახი, მიპასუხა, რომ ამ ყველაფერს ძალიან ნანობს. „თუ ისეთი სერვისის შექმნას აპირებ, რომელიც საზოგადოებაზე დიდ ზეგავლენას მოახდენს და ბევრი ადამიანი გენდობა, მაშინ საჭიროა, რომ მონიჭული იყო, არა? ვფიქრობ, გავიზარდე და ბევრი რამ ვისწავლე“, – მითხრა მან.

მარკ ცუკერბერგი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მისი პიროვნება იმის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს, ვინც მეორე კურსზე იყო. თუმცა მან შესანიშნავად იცის, რომ ეს ასე იქნება და სულ მალე ეკრანებზე „სოციალური ქსელის“ გამოსვლის გამო უფრო და უფრო მეტი ადამიანი გაავლავს ამ პარალელს. ფილმში მისი დამამცირებელი პორტრეტი მოცემული – გაუცინარი, არასანდო, სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ახალგაზრდის სახე, რომელსაც მაყურებელი ძნელად თუ დაივინწყებს. მარკმა მითხრა: „ვფიქრობ, ბევრი შეხედავს იმ ტიპს, აი, 19 წლის რომ ვარ, იმას... და იტყვის: „ხედავ, თურმე როგორი ყოფილა... ალბათ, ახლაც ასეთი იქნება“.

სკანსპროექტი


ლოტი (...)

ავტორი: მიხეილ ხუნდაძე



ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი „ლოტი“ 2005 წელს საოცრად განსხვავებული, აგრესიული ხედვით გამოჩნდა ქართულ სივრცეში. ხუთკაციან ჯგუფს, ჯერ კიდევ სტუდენტებმა დესტაბილიზაცია შემოიტანეს საზოგადოებაში – მის გამყარებულ მორალსა თუ ეთიკაში. მათ მიერ განხორციელებულ ნებისმიერ აქტს საზოგადოება გალიზიანებით პასუხობდა. მათ ზურგზე მორალისტების ჯოხები ტყდებოდა – რაც აბსოლუტურად გასაგები რეაქციაა სტატიკური საზოგადოების მხრიდან. მაგრამ სად იყვნენ ის, ასე ვთქვათ, ინტელექტუალები და მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც მათი დაცვა ევალუბოდათ? რატომ მათაც ვერ გაუგეს, თუ რისი ჩვენება უნდოდათ ახალგაზრდებს, როდესაც ისინი, სადიპლომო ნამუშევრის ფარგლებში, ერთმანეთს აფურთხებდნენ?

ჯგუფ „ლოტის“ ნევრები დღეს ევროპაში სწავლობენ და მუშაობენ. როდესაც ყველა მათი გამოგზავნილი ტექსტი ერთად შეიკრა და ჩვენი ერთობლივი ნამუშევრის სახე გამოჩნდა, ისევ ამ „დანყევლილი ადამიანური კეთილდღეობის“ თემა წამოიჭრა – იმ „ზღაპრული კეთილდღეობის“ ჩანერგვის მცდელობა ადამიანში, რომლის განხორციელებასაც დასავლეთში, უკვე სახელმწიფო ცდილობს თავისი ანონიმური ძალებით.





გიორგი ბაბოშიძე

აკადემიის დამთავრებისას მიხვდით, რომ ერთი ეტაპი დასრულდა და ჩვენს ცხოვრებაში სიახლის შემოტანა იყო საჭირო, გარემო უნდა გამოგვეცვალა. დასავლეთში წასვლა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ გვინდოდა, კულტურა, რასაც მანამდე ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთებითა და ინტერნეტით ვიცნობდით, შიგნიდან გამოგვეცადა. ჩემთვის დასავლურ კულტურასთან შეხება არ ნიშნავს მის შეზღუდულ ჩარჩოებში მოქცევას. თვითონ ეს ფენომენი მუდამ გაფართოებისკენ მიისწრაფვის და ცდილობს, საკუთარ ჩარჩოებს გასცდეს – ის ღირებულებები, რაზეც დასავლური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სისტემა დგას, მთელ სამყაროში გაავრცელოს. ეს მცდელობები სხვადასხვანაირია, და ხშირად თითქოს უმნიშვნელო უწყინარ აქტებს ამოფარებული, მკაცრად იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს. დასავლური კულტურა ცდილობს, არ დატოვოს აუთვისებელი არც ერთი პატარა სივრცეც კი, სადაც ადამიანის თავისუფალი მოქმედება შესაძლებელია.

ამ აღწერილ კულტურულ შრეებში, რა თქმა უნდა, ხელოვნებაც იგულისხმება და არა მარტო იგულისხმება, არამედ ის სტრატეგიულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უბანია, რომლის კონტროლსაც სახელმწიფო ცდილობს. ხელოვნება ხომ ის სივრცეა, სადაც თავისუფლება იბადება. თავისუფლება კი სისტემის მიერ შეთავაზებულ და ნაკარნახევ იდეოლოგიურ

ჩარჩოებს არ ცნობს, ამიტომ ის საფრთხის მატარებელია.

თანამედროვე ხელოვნება სისტემის შიგნით ალტერნატივას აჩენს. ამიტომ, როგორც მხატვრისთვის, ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ პროცესების ეპიცენტრში ვიყო და ვცადო, რეალურად გავაანალიზო ის საფრთხეები და ცდუნებები, რასაც კულტურა დაშვებ მხატვარს უქმნის საკუთარი ვალდებულებებისა და პოზიციის ფორმირებისას. მე ვცდილობ, კულტურის მიერ შემოთავაზებული იმიჯები თუ აქციები კრიტიკულად გავიაზრო.

აქ ყოფნამ შესაძლებლობა მომცა, საკუთარ თავს და იმას, რასაც აქამდე ვაკეთებდი, დისტანციიდან დავკვირებოდი. ამ ფიზიკური დისტანციიდან უკეთ დავინახე, როგორ აღიქვამს უცხო სხეულს დასავლური კულტურა, განსაკუთრებით ისეთ სხეულს, რომელიც არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემის მიმართ თავის თავში კრიტიკულ პოზიციას ატარებს. ამ დროს ხვდები იმასაც, თუ რა ძალა აკარგვინებს კრიტიკულ აზრს უცხო სივრცეში მოხვედრილ სუბიექტს, რომელსაც ამ იდეების ტარების პრეტენზია გააჩნია.

როდესაც ნამუშევარი კრიტიკულია და შექმნილია არადასავლელი („განვითარებადი“ ან „მესამე სამყაროს ქვეყნის“) მხატვრის მიერ, დასავლური კულტურა ავტომატურად რთავს

იმ სივრცეში, სადაც ახალი თაობა იწყებს საკუთარი თავის დამკვიდრებას, საზოგადოებაში საკუთარი როლის, პასუხისმგებლობის და ფუნქციის გააზრებას, განათლება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უბანია. და სახელმწიფო აქტიურად მოქმედებს, რომ ჩანასახშივე შეძლოს კრიტიკული ნარატივების შესაძლო ნაკადის კონტროლი.

ეს თავდაცვის მექანიზმს. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ინსტიტუციისა თუ პიროვნების მიერ ნამუშევრის შეფასებაში – ცნობიერად თუ არაცნობიერად ეს ძალები ნამუშევარს ეგზოტიკურ ნაწარმოებებად იაზრებენ და პასიურ როლში გადაყვანით არსებული სისტემის სამსახურში აყენებენ. ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმად მაყურებელს ამ დროს ნამუშევრის ვიზუალურ მხარეს სთავაზობენ, რაც ნაწარმოების მთავარ ღირებულებად მის ფორმალურ მხარეს აქცევს. ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ნამუშევრის არსს უკანა პლანზე წევს.

კულტურული გარემოსთვის თავდაცვითი „იმუნიტეტის“ შექმნაში წამყვან როლს ინსტიტუციები ასრულებენ და აქ სახელმწიფო სასწავლებლებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. იმ სივრცეში, სადაც ახალი თაობა იწყებს საკუთარი თავის დამკვიდრებას, საზოგადოებაში საკუთარი როლის, პასუხისმგებლობის და ფუნქციის გააზრებას, განათლება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უბანია. და სახელმწიფო აქტიურად მოქმედებს, რომ ჩანასახშივე შეძლოს კრიტიკული ნარატივების შესაძლო ნაკადის კონტროლი. სწორედ ეს არის დასავლეთში (და მსოფლიოშიც) განათლების სისტემის ძირეული ხარვეზი – ის მთლიანად არსებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სამსახურში დგას (გამონაკლისი შეიძლება, დამოუკიდებლად მოაზროვნე პროფესორის სახით არსებობდეს). მოკლედ, სასწავლო ინსტიტუციები ცდილობენ, სტუდენტი, როგორც „ნედლი მატერია“ აქციონ ფორმად, რომელიც მთლიანად არსებული ბაზრის კრიტერიუმებს მოერგება.

დღეს საქართველო დასავლური განათლების მოდელზე მორგებას ცდილობს. ამიტომაც მგონია, რომ არსებობს საფრთხე მან დასავლური განათლების სისტემის ყველა ხარვეზი გაიმეოროს. რადგან ჩვენთან სისტემა ფორმირების პრო-


ცესშია, მისი ქვედა დინებები, რომელიც რეფორმათა პარალელურად არსებობს, ჯერ კიდევ ადვილად შესამჩნევია. ეს სიტუაცია სტუდენტებისთვის კარგი საშუალებაა, არსებული პროცესები კრიტიკულად გაიაზრონ და საკუთარი თავი არსებულ რეალობაში განახორციელონ.


ჯგუფი „ლოტი“

ჯგუფი LOTT ადრინდელი ფორმით აღარ არსებობს. ჯგუფის ყველა წევრი ევროპის სხვადასხვა ქალაქშია მიმოფანტული და დამოუკიდებლად მუშაობს. დღეს, ერთობლივ აქციებზე მუშაობა ფიზიკურად შეუძლებელია. ამ ეტაპისთვის ჯგუფის თითოეული წევრი ცდილობს, ინდივიდუალურად გააგრძელოს მუშაობა, რაც მომავალში ერთმანეთთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის აუცილებელ პირობას შექმნის. ქართულ სივრცეში, სადაც რამდენიმე წელი ერთად ვმუშაობდით, ინდივიდუალურად განსხვავებული კონტაქტებისა და ინფორმაციის მიღების საშუალება შეზღუდული იყო. ჯგუფში, ალბათ, ინფორმაციის დეფიციტი გაჩნდებოდა, რაც სხვადასხვა თემათა განსჯისა და მათი განსხვავებული შეფასების შესაძლებლობას გააქრობდა. ჯგუფის მუშაობა ფორმალური და უინტერესო გახდებოდა. ამიტომ, გადაწყვეტეთ დროებით დავშლილიყავით და ყველას ცალ-ცალკე დაგვეგროვებინა ის გამოცდილება, რაც მომავალში ერთად მუშაობას გაცილებით პროდუქტიულს გახდიდა.

დღეს მაინტერესებს, როგორ შეიძლება ვიმუშაო, როგორც მხატვარმა, გალერეის გარეთ არსებულ სივრცეში. ვარ ჟურნალ SOMEONEISTYPING-ის გამომცემელ-რედაქტორი.

აკადემიის სტუდენტებს კი ვურჩევ იმას, რასაც მე შშირად მირჩევდნენ ხოლმე და რისი პრობლემაც ჯერ კიდევ მწვავედ დგას აკადემიაში – ისწავლონ ინგლისური, რაც შეიძლება მაღე!!!





ელენე გეორგიანი ვიქტორია ნავერინი

მართალი გითხრათ, არ მინდოდა სწავლის გაგრძელება. უბრალოდ, ვიზის მისაღებად სადმე უნდა ჩამებარებინა. ჩავაბარე და წამოვედი. იმდენად დამღლევი და გამომფიტველი პროცესი აღმოჩნდა ვიზის მიღება, რომ წამდვილად არ მახსოვს, რას ველოდი ევროპისგან იმ დროს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ევროპის იმიჯი, ევროპული ცხოვრების სტერეოტიპი – სუფთა ქუჩები, ლამაზი არქიტექტურა, მშვიდი სახეები, ერთი სიტყვით კომფორტი, საერთოდ არ მიზიდავდა. თუმცა, ვალიარებ, რომ არის რაღაც მომხიბვლელი ე.წ. „მშვენიერ ცხოვრებაში“. ერთი სიტყვით, მიზანი იყო ის, რომ რეალურად დამენახა, თუ რა იდგა ამ მშვენიერების უკან. ამიტომ, ჩემზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია დეკორაციას, რომელშიც ჩამოსვლისთანავე აღმოჩნდი.

მომენტალურად ფილიპ დიკის მოთხრობა **TIME OUT OF THE JOINT** და შემდეგ ამ მოთხრობის ეკრანიზაცია „ტრუმენ შოუ“ გამახსენდა, სადაც გმირს უწინდება კითხვები და ეჭვი ეპარება იმ რეალობაში, რომელშიც ცხოვრობს. მაგრამ ძირითადად, არაეკრანიზებულ, ანუ რეალურ „ტრუმენ შოუში“ ადამიანებს კითხვები არ უწინდებთ და მიჰყვებიან დინებას, სჯერათ, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს და ყველა იმას იმკის, რაც დათესა. ზოგი ღმერთზეა დამოკიდებული, ზოგი სამსახურზე. საერთო ჯამში, ყველას ერთი რამ აერთიანებს – შიში, რომ დაკარგავენ იმას, რაც აქვთ.

კითხვის დასმას, გარემოს კრიტიკულად შეფასებას რისკიც მოჰყვება – შეიძლება, უცებ ყველაფერი დაკარგო. ამიტომ ადამიანებს ურჩევნიათ, ჰქონდეთ ის, რაც აქვთ.

თანამედროვე ადამიანმა საკუთარი თავი მატერიალურად რომ უზრუნველყოს, ბევრ დამობოზებულ უწევს ნასვლა. ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ უნდა, უბრალოდ, სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. საბოლოოდ კი გამოდის, რომ რუტინიდან თავის დასაღწევად ფიქრის დრო აღარ რჩება.

აქ ცხოვრებამ საშუალება მომცა, რეალობა ცხადად დამენახა. ვიცი, საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ამაში გასარკვევად ბევრად დიდი დრო დამჭირდებოდა. აქედან უფრო ადვილია დაინახო ის, რაც საქართველოში რეალურად ხდება. აქვე დავრწმუნდი იმაში, რომ დაბრუნება ძალიან მნიშვნელოვანი, აუცილებელია.

ერთ-ერთი უმთავრესი ცვლილება, რაც ჩემში მოხდა ის არის, რომ ადამიანებთან ურთიერთობის ახლებური უნარი შევიძინე. ჩემთვის ურთიერთობის საფუძველი პატივისცემა, ნდობა და „იმედი“ გახდა, რისთვისაც ადამიანი უნდა ცხოვრობდეს, რათა ერთმანეთის ცხოვრება ნაბიჯით მაინც წასწიონ წინ, უკეთესი სოციალური რეალობისკენ, რომელიც ადამიანის თავისუფლებებზე დგას.

ფიქრობ, რომ ჯგუფ **LOTT**-ის დროებით დაშლა პრინციპული აქცია იყო და იმის ნიშანია, რომ **LOTT**-ის მუშაობა გრძელდება.

როდესაც წინააღმდეგობა ჩნდება და იბადება კითხვა, რომელიც პროფესორს, სკოლას, ინსტიტუციას უპირისპირდება, ანუ ჩნდება იმის სურვილი, რომ უფრო ღრმად გაეჩვენო არსებული რეალობაში, უნდა იქნას აკადემიის იდენტური სიტუაციის აწყობა – პროფესორი გარბის და კითხვაზე პასუხს არ გვამს; ან არ იცის, რა გიპასუხოს, ან ეშინია, რომ ისე ვერ გიპასუხებს, რომ საკუთარი ცხოვრების აწყობილ წესს არ ავნოს.

ერთმანეთს ბოლომდე ვენდეთ და წინ პირველ რიგში საერთო ინტერესი, მიზანი დაყავყენეთ და არა – პირადი ინტერესი. არ ვიცი, მომავალში რა როგორ იქნება, დღეს LOTT-ის სახე შეცვლილია, მაგრამ ჩვენ ისევ ვმუშაობთ ერთად, არის საერთო პროექტები, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ სათაურდება როგორც LOTT-ის პროექტი. LOTT-ის არსებობა მნიშვნელოვანი იყო იმ კონტექსტში, სადაც ჩამოყალიბდა.

ხუთივეს საერთო მიზანი გვაქვს. სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრება არ გვაძლევს ადრინდელივით ერთად აქტიურად მუშაობის საშუალებას, მაგრამ როგორც გითხარი, დრო რომ გავა, LOTT დაბრუნდება, თუმცა შეიძლება – სხვა სახელით.

ერთი შეხედვით, საქართველოსა და შვეიცარიაში სწავლების მიდგომები განსხვავდება – როგორც ტექნიკური, ისე პროფესიული თვალსაზრისითაც. ცოდნის მიღების გაცილებით მეტი შესაძლებლობა გვაქვს. ყველა დეპარტამენტს სწავლების განსაკუთრებული, საკუთარი მეთოდი აქვს. რამდენიმე პროგრამა ჩვენი თბილისის სამხატვრო აკადემიის იდენტურიც კია – ინფორმაციის მონოდების ფორმით, ტემპითა და მეთოდით.

დეპარტამენტი, რომელშიც მე ვსწავლობ (CCC - critical curatorial cybermedia) ალტერნატიულ მეთოდს გვთავაზობს, რომელიც დასაწყისში ნამდვილად შთაბეჭდილი იყო. პედაგოგის დამოკიდებულება სტუდენტისადმი რადიკალურად განსხვავებულია – პროფესორთან საუბარი, დისკუსია თანაბარ პირობებში მიმდინარეობს, არ იგრძნობა „იერარქია“, სრული თანამშრომლობა: როგორც სტუდენტი „სარგებლობს“ პროფესორით, პროფესორიც ისევე „სარგებლობს“ სტუდენტით.


მაგრამ, მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ვიდრე დისკუსია მოცე-

მული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ, როდესაც წინააღმდეგობა ჩნდება და იბადება კითხვა, რომელიც პროფესორს, სკოლას, ინსტიტუციას უპირისპირდება, ანუ ჩნდება იმის სურვილი, რომ უფრო ღრმად გაეჩვენო არსებულ რეალობაში, უნდა იქნას აკადემიის იდენტური სიტუაციის აწყობა – პროფესორი გარბის და კითხვაზე პასუხს არ გვამს; ან არ იცის, რა გიპასუხოს, ან ეშინია, რომ ისე ვერ გიპასუხებს, რომ საკუთარი ცხოვრების აწყობილ წესს არ ავნოს. ამიტომ გვინდა, რომ დისტანცია, ტოლერანტობა და ლიბერალიზმი რეალობასთან არშეხების სტრატეგიაა.

საქართველოში სტუდენტებმა, ალბათ, თავიდანვე უნდა იცოდნენ ის, რომ მიზნის მიღწევამდე ბევრი წინააღმდეგობა შეხვედბათ. ხშირად გინეგს გეგმის შეცვლა და ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საწყისი მუხტი შედეგს არც ემთხვევა. პირველად თუ ვერ მიიღებ იმას, რასაც ითხოვ, მოითხოვე მეორედ, მესამედ, ოლონდ მიზანში დარწმუნებული უნდა იყო – რას ითხოვ, რისთვის მუშაობ! ვფიქრობ, სტუდენტებმა აკადემიაში თანამოაზრეები უნდა იპოვნონ და მათთან ერთად მუშაობის გამოცდილების აზრს ღრმად ჩასწვდნენ. ამის გარეშე, კარიერას, ჩემი აზრით, ფასი არა აქვს.

უენევის ხელოვნების და დიზაინის სკოლაში მაგისტრატურის მეორე კურსზე ვსწავლობ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროგრამას ჰქვია CCC (critical curatorial cybermedia). ვმუშაობ სადიპლომო დისერტაციაზე, რომლის თემაც არის კოლაბორაცია – არტჯგუფები, კოლექტივები, როგორც ხელოვნებაში, ასევე სხვადასხვა სფეროში.

კვლევის დიდი ნაწილი ეთმობა ჩვენი ჯგუფის LOTT-ის გამოცდილებას.





მელანო სოსაძე

ყოველთვის ერთი პრობლემა მაქვს – კედაბობი ჩემი ნამუშევრის განხილვას ინყავს და ამთავრებს მხოლოდ ფორმის კრიტიკით. არადა, ვფიქრობ, ხელოვნების მთავარი მიზანია, კითხვები წამოჭრას სოსილურ პრობლემებზე და ღირებულებების გადაფასებას შეეცადოს.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი ძირეული პრობლემა, რაც განვითარებად ქვეყნებს აქვთ, არის შეზღუდული მიმოსვლა და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობა.

რაც დასავლეთში ჩამოვედი, მოლოდინისა და შეხედულებების გადაფასება ხშირად მიხდება – ის რეალობა, რომელიც აქ დამხვდა, განსხვავებული აღმოჩნდა ჩემი წარმოდგენებისგან. თუმცა, მთავარი ფასეულობები იგივე დარჩა.

ინფორმაციულ წყაროებში ჩვენ ვეროპის იდეალურ, ილუზორულ სახეს გვიხატავენ. სინამდვილეში კი, საკითხის ფუნდამენტურ პრობლემებზე ღიად საუბრისას ხვდები, რომ „ვეროპა“ ნელ-ნელა ხიბლს კარგავს. განვითარებული დასავლეთი, ჩემი აზრით, ზედაპირულად მონწერიგებული, გამართული სისტემის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც ადამიანის უფლებები თითქოს დაცულია, სადაც თითქოს ყველა თანაბარუფლებიანია და ყველას აქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ეს, უბრალოდ, მოჩვენებითია. სოციალური ისევე კლასებად არის დაყოფილი და თავის გადარჩენას ყველა სხვისი უკან დაწვეთ ცდილობს.

ამიტომ, არ მინდა განვითარების გზაზე მდგომი საქართველო იმ სისტემის უბრალო ასლი გახდეს.


მიუხედავად იმისა, რომ LOTT-ს ერთობლივი პროექტები არ აქვს, ურთიერთობა და დისკუსიები არასდროს შეგვიწყვეტია. გვინდა, ისევე ერთად ვიმუშაოთ. მოსალოდნელია სხვა, ახალ არტისტებთან თანამშრომლობაც.

რაც შეეხება აქაურ სასწავლებელს, გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ მრავალი

პრობლემა ჟენევის სასწავლებელში თბილისს მაგონებს. თუმცა, ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში შესაძლებლობებისა და პირობების შედარება შეუძლებელია. ჟენევაში, რაც მთავარია, ძალიან ადვილია კონტაქტის დამყარება სხვადასხვა ხელოვანთან თუ კრიტიკოსთან. ჟენევაშიც და თბილისშიც ყოველთვის ერთი პრობლემა მაქვს – პედაგოგი ჩემი ნამუშევრის განხილვას ინყებს და ამთავრებს მხოლოდ ფორმის კრიტიკით. არადა, ვფიქრობ, ხელოვნების მთავარი მიზანია, კითხვები წამოჭრას სოციალურ პრობლემებზე და ღირებულებების გადაფასებას შეეცადოს. ამაზე აქ, ისევე როგორც თბილისში, მსჯელობა იშვიათად ხდება. ძირითადად სწავლება ფორმალურ ანალიზზეა დამყარებული, რაც უმთავრესად არტ-ბაზრის

მოთხოვნებს შეესაბამება. ხელოვნების მყიდველი მდიდარი ადამიანია, რომელსაც არანაირად არ სჭირდება კრიტიკული ნამუშევარი იმ სისტემაზე, რომელსაც თავად არის კარგად მორგებული. განსხვავებულ არტისტს კი, რომელიც კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, მარკეტი არ ცნობს.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ვურჩევდი, ბრმად არ დაუჯერონ აკადემიის პედაგოგებს და ეცადონ, სხვადასხვა წყაროებიდან მოიპოვონ ინფორმაცია. დაივიწყონ მხოლოდ ფორმაზე ზრუნვა და იფიქრონ იმაზე, თუ რისი თქმა უნდათ თავიანთი ნამუშევრით, რა არის მათი პოზიცია. კარგია, თუ იმაზე, რაც აკადემიაში არ მოსწონთ, ღიად ისაუბრებენ და ყოველთვის ეცდებიან, იდეების გარშემო გაერთიანდნენ.



მსმ



სოლიდარობის კოლონეზი

ავტორი: ლევან ბარკენიშვილი

მე ისეთ ქვეყანაში დავიბადე და ისეთ, უკაცრავად ვარ ამ სიტყვისთვის და, საზოგადოებაში გავიზარდე, რომელსაც თავის თავზე მეტისმეტად დიდი წარმოდგენა ჰქონდა და ვერ იჯერებდა, რომ ოდესმე რამე მოუვიდოდა. საბჭოთა კავშირი ისევე, როგორც მისი ერთგული მოსახლეობა, მყარად იყო დარწმუნებული თავის ისტორიულ ხელშეუხებლობაში; იმდენადაც კი, რომ 1989 წელს, ხალხი 9 აპრილის შემდეგაც კი განუზრელად (კომუნისტების საყვარელი ტერმინი იყო) ითხოვდა კომუნისტურ პარტიაში მიღებას. ალბათ, ფიქრობდნენ, კარგი მომენტია – როცა უჭირო, მაშინ შევალ და გავაძლიერებო, ან ახლა მაინც ხომ ვერ მეტყვიან უარსო. მაღლიერი კომუნისტური პარტია ცილებდა ამ ხალხს იმ იმედით, რომ როცა ძალას მოიკრებდა, ამ საეჭვო ადამიანებისგან იოლად „გაიწმინდებოდა“.

ადამიანები, რომლებიც გაბედავდნენ და იტყოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ათ წელიწადში, ოც წელიწადში ან საერთოდ, ოდესმე, დაინგრეოდა, ზედაპირულ, უსაფუძვლო და ავადმყოფ მეოცნებებად მიიჩნეოდნენ. შესაბამისად, ვისაც სსრკ-ს უკვდავების სჯეროდა, ჭკვიანებად ეწერებოდნენ. წარმოიდგინეთ, რა ზუსტად ჰქონია რუსთაველს საზეო მიჯნურობაზე ნათქვამი: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიანო!“ ესე იგი, ყოფილა რაღაცები, რასაც გეგმაზომიერი ჭკვიანები ვერ მიხვდებიან, თუმცა საბჭოთა ხალხზე არც რუსთაველის ავტორიტეტი ჭრიდა. ახლაც ჩამესმის ყურში ერთი მაშინდელი მეცნიერისა და შეთავსებით – მნიშვნელოვანი პარტიული ბოსის – დამცინავი ხმით წარმოთქმული სიტყვები, რომელთაც თავის დროზე, 1979 წელს, რესპუბლიკური პარტიის იატაკქვეშა ჟურნალ „სამრეკლოშიც“ მოეძებნა ადგილი; „ნუ, რა არის ასეთი თქვენი რუსთაველი?!“

მოკლედ, საბჭოთა მოსახლეობის 99 მთელი და 99 მეასედი პროცენტისათვის საბჭოთა კავშირი ისევე უკვდავი იყო, როგორც ყველა იდეის მამა მარქსი, რევოლუციის გენია ლენინი, ომის გენია სტალინი, უდიდესი

მწერალი მაქსიმ გორკი, დიდი პოეტი დემიან ბენდი და რომან „ცემენტის“ ავტორი თევდორე გლადკოვი. ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ყველა ბენდიერი იყო ამით. საქართველოში ინტელიგენცია სწორედაც რომ არ იყო ამ უკვდავებით ბენდიერი, მაგრამ ერთ-ერთი ქართული ანდაზის მიხედვით, რომლის დაცინვაც სხვა ხალხურ ანდაზებთან და უნარ-ჩვევებთან ერთად ვერ მოასწრო ილია ჭავჭავაძემ (თუმცა, აშკარად აპირებდა), თავზემთ ძალა არ იყო. იმ ეპოქის მთავარი სიბრძნე თავმოყრილი იყო ჭეშმარიტად ხალხური გაქანების ფამილარულ-ესქატოლოგიურ ფრაზა-შესიტყვებაში: „შენ მოერევი, ბიჭო, რუსს?!“



**კოლონელები
არანახულმა
ერთსულოვნებაჲ მოიხსვა,
ერთ წალიწადში
„სოლიდაროზის“
წავრახის რიხხვამ
ათ მილიონს მიაღწია
ქვეყანაში, რომლის
მოსახლეობა იმ
მომენტისთვის 36
მილიონს შეადგენდა.**

და ვინ დააჯერებდა ამ ხალხს, რომ „რუსს“ უიარალოდ მოერეოდა რამდენიმე ათასი გაფიცული პოლონელი მუშა?

სულხან-საბა ორბელიანის სტილს რომ დავეცესხოთ, გაფიცვა ხუთნაირი არსებობს: იტალიური, შეტყვევითი, თავდაცვითი, პოლიტიკური და პოლონური (ამ უკანასკნელს ხანდახან „საოკუპაციოსაც“ უწოდებენ).

იტალიური ისეთ გაფიცვას ჰქვია, როდესაც მშრომელები პატიოსნად ცხადდებიან სამუშაო ადგილებზე და მუშაობის ნაცვლად თავიანთ თანამდებობრივ ინსტრუქციებს ზედმიწევნით პუნქტუალურად ასრულებენ უაზრო პარაგრაფების ჩათვლით (მაგალითად, მედლები არ უპასუხებენ ტელეფონს, რადგან, თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით, ასეთი რამ მათ არ ევალებათ). ჩვეულებრივ, ასეთი პროტესტი შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ვარდნას იწვევს. „იტალიური“ მას იმიტომ ეწოდა, რომ პირველად იტალიაში გამოიყენეს 1904 წელს. თავად მარადიულად გაფიცული იტალიელები ასეთ მოქმედებას „თეთრ გაფიცვას“ უწოდებენ.

შეტყვევითი ისეთი გაფიცვა, რომლის დროსაც გაფიცულები შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. თავდაცვითი გაფიცვის დროს კი გაფიცულები ისეთ სიახლეებს უპირისპირდებიან, რომლებიც, მათი შეფასებით, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუარესებას გამოიწვევს.

პოლიტიკური გაფიცვის დროს გაფიცულები პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს აყენებენ (მთავრობის გადადგომა, კანონმდებლობის შეცვლა და ა.შ.). თავისი ხასიათის გამო ამგვარი გაფიცვა ხშირად აღწევს საერთოეროვნულ მასშტაბებს და მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ისტორიისა და საზოგადოების ცხოვრების გარდამტეხ მომენტებში.

პოლონური გაფიცვა, ესაა საწარმოს დაპყრობა მუშების მიერ. სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ პრაქტიკაში შევიდა პოლონეთში – მართლაც, ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთში ერთმანეთს გადაეჯაჭვა გა-



„სოლიდარნოსტის“ ერთ-ერთი პირველი მანიფესტაცია, ლუბლინის, პოლონეთი 1980

ფიცვის შეტევითი, პოლიტიკური და პოლონური ვარიანტები.

სოლიდარობა სოციოლოგიის ტერმინია, ესაა ერთობა, ინტეგრაცია, ინტეგრაციის დონე და ტიპი, რომელსაც ავლენს საზოგადოება ადამიანების მიმართ. ამავე დროს, სოლიდარობა პოლიტიკური ტერმინია (პოლონურად Solidarność, სრული დასახელებაა დამოუკიდებელი თვითმმართველი პროფკავშირი „სოლიდარობა“, პოლონურად Niezależny Samorządny związek zawodowy „Solidarność“) – ესაა პროფკავშირების გაერთიანება, რომელიც 1980 წელს შექმნა ლეხ ვალენსამ ლენინის სახელობის გემსაშენ ქარხანაში, გდანსკში, პოლონეთში და რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, საშინელი და სასიკვდილო დარტყმა მიიყენა ბოროტების იმპერიას – საბჭოთა ბლოკს და

მსოფლიო კომუნისტურ სისტემას.

1980 წელს პოლონეთის კომუნისტურ ხელმძღვანელობას და, შესაბამისად, პოლონელი კომუნისტების საბჭოთა კურატორებს ცხელი პოლიტიკური ზაფხული დაუდგათ. ივლისში ორი პოლონური ქალაქი, სვიდნიცი და ლუბლინი მოიცვა მასობრივმა მჯდომარე გაფიცვამ. პირველი გაფიცვა ლუბლინის მეზობელ პატარა ქალაქ სვიდნიკში დაიწყო 8 ივლისს ქარხანაში, რომელიც პოლონეთისა და მთელი აღმოსავლური სამხედრო ბლოკისთვის შეველმფრენებს ამზადებდა; გაფიცვა სწრაფად გადაედო მეზობელი ლუბლინის ქარხნებს. რკინიგზის ქსელი და 150 ქარხნის 50,000 მუშა გაიფიცა. შერჩეული იყო ახალი ტაქტიკა (ზემოხსენებული „პოლონური“ ვარიანტი): გაფიცულები სამსახურ-

ში გამოცხადნენ, მოახდინეს ქარხნის ტერიტორიის ოკუპაცია და შტრაიხბეხერების გამოყენება შეუძლებელი გახადეს. ორი კვირის თავზე კომუნისტურმა მთავრობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და გაფიცული მუშების საკმაოდ მოკრძალებული ეკონომიკური და ზომიერი პოლიტიკური მოთხოვნები (თავისუფალი პროფკავშირების არჩევნები, კომუნისტების პრივილეგიების მოსპობა, მმართველი ბიუროკრატის შემცირება) ნაწილობრივ დააკმაყოფილა. გაფიცვა შეწყდა, მაგრამ მთავრობის მოულოდნელი სისუსტისა და გაფიცული მუშების წარმატების ამბავი მთელს პოლონეთს მოედო.

14 აგვისტოს ქვეყნის აღმოსავლეთში გაფიცვის ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ პოლიტიკური ხანძარი პოლონე-



„საჯარო აღსარება“, გდანსკი 1980



იონან კავალ მიორის ვიზიტი პოლონეთში, 1988

თის ჩრდილოეთს მოედო. მჯდომარე გაფიცვა დაიწყო ბალტიის ზღვისპირა ქალაქ გდანსკში (ყოფილ თავისუფალ ქალაქ დანციგში) – ვლადიმირ ილიას ძე ლენინის სახელობის გემმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე. მუშები მოითხოვდნენ დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნის უფლებას, 1970 წელს გდანსკში დახოცილი მუშების სამახსოვრო მონუმენტის აგებასა და მათი ორი თანამშრომლის, ანა ვალენტინოვიჩისა და ლებ ვალენსას სამსახურში აღდგენას. სწორედ ლებ ვალენსა, რიგითი მუშა, ელექტრიკოსი აღმოჩნდა სხვა აქტივისტებთან ერთად გაფიცვის სათავეში. ყველაფერ ამას სრულიად მოულოდნელი გაგრძელება აღმოაჩნდა, პოლონელმა ინტელექტუალებმა იკისრეს შუამავლობა მუშებსა და ხელისუფლებას შორის, 18 აგვისტოს დაიწერა ღია წერილი, რომელსაც ხელი მოაწერა პოლონური ელიტის სამოცდაოთხმა წარმომადგენელმა – სახელგანთქმულმა მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა და მეცნიერებმა. წერილის მთავარი აზრი იყო პოლონეთისთვის შეტაკებებისა და სისხლისღვრის აცილება, საბჭოთა სამხედრო ინტერვენციის არდაშვება, 1956 წლის ბუდაპეშტისა და 1968 წლის პრაღის ტრაგედიების თავიდან არიდება. ცნობილი ინტელექტუალები, ისტორიკოსი ბრონისლავ გერემეკი და ჟურნალისტი ტადეუშ მაზოვეცკი 22 აგვისტოს გდანსკში ჩავიდნენ და წერილი ვალენსას გადასცეს. მუშებისა და ინტელექტუალების ერთობლივი

კომუნისტური სისტემა არა მხოლოდ თავდაღებულ აღამიანთა გმირობამ და გამძლეობამ, არამედ ფილოსოფოსთა ნააზრევამს, კერძოდ კი, ერთი აღამიანის ნააზრევამს დაანებრია.



პოლონელი ფილოსოფოსი ლეჰაჰ კოლაკოვსკი

მეცადინეობით 31 აგვისტოს დაიბადა „სოლიდარობა“. ეს სახელი იმიტომ შეირჩა, რომ ხაზი გაესვათ ინტელექტუალების, მუშებისა და გლეხების ერთიანობისთვის (გლეხები მთელი პოლონეთიდან გაფიცულებს უფასოდ ამარაგებდნენ სურსათ-სანოვაგით და ასე გამოხატავდნენ გაფიცვისადმი

თავიანთ სოლიდარობას). ეს განწყობა მთელ პოლონეთს გადაედო, პოლონელები არნახულმა ერთსულოვნებამ მოიცვა, ერთ წელიწადში „სოლიდარობის“ წევრების რიცხვმა ათ მილიონს მიაღწია ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა იმ მომენტისთვის 36 მილიონს შეადგენდა.



ლეს ვალენსა სტუდენტებთან შეხვედრის დროს, ლუბლინი 1981



პროფკაპიტრიზის საპროტესტო აქცია, გდანსკი, 1988



ასე ბაჩნდა
 გამონათქვამები
 „ბრწყინვალე
 დაკრძალვათა ხუთწლიანი“,
 „საი კუბოს ხუთწლიანი
 გებგა“; ზოლოს და ზოლოს,
 ავად ენაფოსრებულმა
 საზოგადოებამ
 კოლიტვიუროსა და
 სეკაში სპორტის ახალი
 არაოლიმპიური სახეობას
 აღმოაჩინა „ქატაფალქებით
 სრბოლის“ სახელწოდებით.

ყველამ იცოდა, რომ ამ საყოველთაო პოლონური ერთსულოვნების, არნახული ნაციონალური ეიფორიის უკან იდგა კოპერნიკისა და კოსტიუშკოს მშობელი ხალხისთვის ახალი სულის ჩამდგმელი, ისტორიაში ყველაზე დიდი პოლონელი კაროლ იოზეფ ვოიტილა, რომელსაც მსოფლიო რომის პაპის, იოანე პავლე მეორის სახელით იცნობდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მსოფლიო ლიდერი ისტორიაში – თავისი პაპობის პერიოდში მან მოიარა 129 ქვეყანა. მშობლიური პოლონურის გარდა ზედმიწევნით კარგად იცოდა იტალიური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ესპანური, პორტუგალიური, უკრაინული, რუსული, ხორვატული, ესპერანტო, ძველი ბერძნული და ლათინური ენები. თავისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტი ახალარჩეულმა პაპმა სამშობლოში გამართა. იოანე პავლე მეორე პოლონეთში ჩავიდა 1979 წელს. მისმა უაღრესად თამამმა სიტყვამ, რომელიც პაპმა ხალხის უზარმაზარი მასის წინ წარმოთქვა ქალაქ ჩენსტოხოვაში სათავე დაუდო პოლონელთა ახალ სოლიდარობას. ან კი როგორ ვერ მოახდენდა თანამემამულეებზე გავლენას რომის პაპი, თუკი კათოლიკური სამყაროს სულიერმა მოძღვარმა თავის ხალხს უთხრა, ღმერთი ცვლილებებს ელის მიწაზე და შემდეგ სპეციალურად ხაზი გაუსვა, ღმერთი ცვლილებებს ელოდება ამ მიწაზე.

შემდეგი სვლა კომუნისტებმა გააკეთეს: 1981 წლის 13 დეკემბერს პო-

ლონეთის ხელმძღვანელმა გენერალმა ვოიციხ იარუზელსკიმ საგანგებო ვითარება მოიმიზეზა და ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა შემოიღო, რასაც თან ახლდა „სოლიდარობის“ აკრძალვა და მისი ლიდერების დაპატიმრება. იარუზელსკი დღემდე დარწმუნებულია, რომ სამხედრო მდგომარეობის შემოღებით თავისი სამშობლო საბჭოთა ინტერვენციას გადაარჩინა (ბედის ირონიით, 2010 წლის აპრილში იარუზელსკი პოლონეთის პრეზიდენტს, ლეს კაჩინსკის სთხოვს, მეც წამიყვანე კატიწშიო, მაგრამ კაჩინსკი იარუზელსკის თავის თვითმფრინავში ჩასმაზე უარს ეტყვის...)

1989 წლის დასაწყისში პოლონეთის ხელისუფლებას მაინც მოუწია „სოლიდარობასთან“ დიალოგზე წასვლა. დაიწყო ისტორიული მოლაპარაკება, რომელზეც ოპოზიციის დელეგაციას ბრონისლავ გერემეკი ხელმძღვანელობდა. ამავე წლის ივნისში პირველ თავისუფალ არჩევნებზე „სოლიდარობამ“ არნახულ წარმატებას მიაღწია. შეიქმნა პირველი არაკომუნისტური კოალიცია. პოლონეთში კომუნიზმი დამთავრდა.

საქართველოს განათლების სისტემაში უკანასკნელ წლებში მიმდინარე ქეშმარიტ თუ ფსევდო გარდაქმნებს სხვა ნამდვილ და ყალბ ღირებულებებთან ერთად ემსხვერპლა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საყვარელი ერთი ცნობილი პარადოქსული სტერეოტიპიც მო-



ლეს პალმანსა საკრძანსო აქციაზე. შარვა 1980

ძრაობისა და უძრაობის ილიასეული დაპირისპირების შესახებ (თერგი და მყინვარი, ანუ გოეთე – „დიდი გეტე“ და ბაირონი „მგზავრის წერილებიდან“). პარადოქსული კი ის იყო, რომ ნოვატორ, ზომიერად კონსერვატორ და ულტრაკონსერვატორ მასწავლებლებსაც (არადა, უმრავლეობა ხომ სწორედ ასეთი, ანუ ულტრაკონსერვატორი იყო) ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო ვითარება მაინცდამაინც მოძრაობისა და რევოლუციის ქომაგობას აკისრებდა.

ბოლოს და ბოლოს, დაპირისპირებამ უძრაობასა და მოძრაობას შორის საკლასო ოთახების დახურული სივრციდან ღია სივრცეში, ანუ რეალურ ცხოვრებაშიც გამოაღწია. ხანგრძლივი უძრაობის შემდეგ (რომელმაც

დამისახურა შესანიშნავი, უაღრესად ზუსტი, შთამბეჭდავი და ჭეშმარიტად მრავლისმთქმელი რუსული სახელი „Застой“), როგორც იქნა, მოვიდა მოძრაობის პოტენციის შემცველი წლები, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით წავიდნენ იმქვეყნად, ანუ იმ ქვეყნად, რომლის არსებობაც არც ერთს არ სწამდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნები და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურული გიგანტები. „მოულოდნელმა“ (ბრწყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ პოლიტიურის წევრთა აბსოლუტური უმეტესობა იმდროინდელ საბჭოთა საშუალო სასიცოცხლო ასაკს კარგად გადაცილებული იყო) სიკვდილიანობამ კრემლში ისეთ დონეს მიაღწია, რომ კაბინეტებში

ვერ დაეტია და სასწრაფოდ ენაში გადაინაცვლა ანტისაბჭოთა, ბოროტი და ღვარძლიანი ხუმრობებისა და კლასობრივად გაუმართლებელი სარკასტული მეტაფორების სახით. ასე გაჩნდა გამონათქვამები „ბრწყინვალე დაკრძალვათა ხუთწლელი“ („Пятилетка Пышных Похорон“, შემოკლებით ППП ან ЗП), „სამი კუბოს ხუთწლიანი გეგმა“ (იგულისხმებოდა სამი ლიდერი, სამი გენერალური მდივანი); ბოლოს და ბოლოს, ავად ენამოსწრებულმა საზოგადოებამ პოლიტიურისა და ცეკაში სპორტის ახალი არაოლიმპიური სახეობაც აღმოაჩინა „კატაფალკებით სრბოლის“ სახელწოდებით.

>>> ბაბრქილევა გვ. 102



მთარგმნელობითი ხელოვნებისთვის

ავტორი: ქონსტანტინე (ქოქო) გამსახურდია

თარგმანი, როგორც ხელოვნების დარგი, თითქმის ისეთივე ძველი ჩანს, როგორც თავად კაცობრიობა, ამეტყველებული დიფერენცირებულ ენებზე. ცნება „თარგმანი“ ნიშნავს არა მარტო რაიმე ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანას, არამედ გამოუთქმელის, იდუმალის გამოთქმას ადამიანურ ენაზე. ადამიანი ხომ იმთავითვე მდგარა სულიერ-ფიზიკური რეალობით განსაზღვრული ისეთი მოვლენების წინაშე, რომელთა აზრიც და რაობაც არ ესმოდა. არქაული სამყაროს მისტერიებში მიჩნეული იყო, რომ ღმერთები ნიშნების ენაზე ელაპარაკებიან ადამიანებს, და მათი გადმოთარგმნისთვის საჭირო იყო ისეთი მისანი, ანუ იეროფანტი, რომელიც არა მარტო ძვრეტდა მოვლენას, არამედ შეეძლო მისი სიტყვაში მოქცევა და განმარტებაც. მაგრამ არქაულ სამყაროში ეს სამივე უნარი იშვიათად იყო ერთმანეთთან კომბინირებული. ტროას დაცემის ისტორიაში მეტად სიმპტომატურია, რომ ტროელთაგან არავის შეეძლო კასანდრას ავისმომასწავებელი ხილვების თარგმანება. ძველ საბერძნეთში ადამიანმა

ჯერ კიდევ სოკრატულ რევოლუციამდე დაიწყო თარგმანება-განმარტების კანონზომიერებებში გარკვევა და მისი დისციპლინად ჩამოყალიბება. თარგმანი ანტიკურ ეპოქაში ეტიმოლოგიურად იყო დაკავშირებული ღმერთ ჰერმესთან, ხოლო ჰერმენევტიკა ნიშნავდა თარგმანსაც და განმარტებასაც. ალბათ სამუდამოდ დაიკარგებოდა კაცობრიობისთვის პელაზგი მისნების მითოსურ-კოსმიური ხილვები არსებული ზეპირი გადმოცემის სახით, ჰესიოდეს, ჰომეროსს და სხვა ავტორებს რომ არ მოექციათ სისტემაში და სიტყვიერად არ გაეფორმებინათ. ამრიგად, პელაზგურ-მინოსური მითოსი, შელინგის მიერ საბიზმად წოდებული, აღორძინდა ბერძნული ენის სამოსელში ჯერ არქაულ, უფრო მეტად კი – კლასიკურ საბერძნეთში.

თუმცა ასეთი თარგმანება უმალ კულტურული ქმნადობის სფეროს განეკუთვნება. უფრო კონკრეტული თვალსაზრისით თარგმნას თავისი თეორია, კანონიკა და პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც თარგმ-

ნის თეორიას შეეხება, მითითებულია, რომ ძველ სამყაროში იყო ოთხი ენა: 1. საკრალური ენა განმარტებოდათ პროფანებს და ძველ მისტერიებში ხელდასხმის კანდიდატებს. თუკი რუსთველის გამოთქმას მოვიშველიებთ, ეს იყო „საღმრთოდ გასაგონი“ მეტყველება; 2. სალიტერატურო ენა ეთარგმნებოდათ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომელთაც თარგმანების გარეშეც ეამებოდათ პირველი სფეროდან შთაგონებულის მოსმენა, თუკი „ვარგ კაცთა“ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ; 3. საუნყებო ენა ეთარგმნებოდათ ჩვეულებრივ ადამიანებს; 4. საურთიერთობო ენა ეთარგმნებოდა საქმიან ხალხს.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვა „თარგმანი“ მომდინარეობს აქადური „თარგუმანუ“-დან. როგორც ცნობილია, აქადური ენა სემიტური ენების ჯგუფს განეკუთვნება. ამასთან, პირდაპირ კავშირშია ფაქტი, რომ კანცელარია როგორც ბაბილონში, ისე აქემენიდურ ირანში, სელევკიდებთან, პართიაში და თვით სასანურ ირანშიც კი უკვე ახალი წელთაღრიცხვის შემდგომ სემიტურენოვანი იყო. თარგ-

მანის საუკეთესო ნიმუშია ბისუტუნის სამენოვანი წარწერა მეფე დარიოსისა აქადურ, ძველპარსულ და ელამურ ლურსმნულზე შესრულებული. წარწერის საკმაოდ მოზრდილი ტექსტი, სადაც დარიოსი თავისი გამეფების ისტორიას ყვება, იმდენად უნაკლოდაა თარგმნილი ძველპარსულად და ელამურად, რომ ამ ფაქტორმა გიოტინგენელი სწავლულის, გეორგ გროტეფენდისთვის ლურსმნული დამწერლობის გაშიფვრისას გადამწყვეტი როლი ითამაშა. ელინიზმის ეპოქაში კი, სადაც ბერძნული კულტურა ეთნოპოლიტიკურ საზღვრებს გასცდა, ხოლო კლასიკური ბერძნული ბოსფორიდან ეგვიპტემდე და შავი ზღვიდან

ტას ან რიგვედას ჰიმნების თარგმნა ძველბერძნულად. ამ მხრივ, ალბათ, ერთადერთი გამონაკლისია 72 ალექსანდრიელი სწავლულის მიერ ძველი ალექსანდრიის სეპტუაგინტად ნოდებული წიგნების თარგმნა ბერძნულად, რასაც განსაკუთრებული რელიგიურ-კულტურული მოტივაცია ედო საფუძვლად. მეორე გამონაკლისია, ალბათ, ლივიუს ანდრონიკესეული ჰომეროსის „ოდისეას“ ლათინური თარგმანი, იგივე „ოდისეასი“. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ალბათ, იმაშია საგულგებელი, რომ ძველ დროში ხსენებული ტექსტების მნიშვნელობა იმ ზომამდე წინ წამოწეული არ ყოფილა, როგორც ახალ დროში: ისინი ხომ სხვა მსგავს ნაწარ-

წარმოთქვეს სიტყვამძღვარმა რიტორებმა, ესქინემ და დემოსთენემ. და მე აქ მოვიქეცი არა როგორც თარჯიმანი, არამედ როგორც რიტორი, დავიცავი რა აზრი და ფორმა... თუმცა გამოსახვის იმ ხერხებით, რაც ჩვენი ენისთვისაა შესაფერისი“. ამავე აზრს ავითარებდა ბიბლიის ლათინურად მთარგმნელი წმ. იერონიმეც, უპირატესობას ანიჭებდა რა თავისუფალ და საზრისის შესაბამისად თარგმნას სიტყვასიტყვით თარგმანთან შედარებით. იგი წერდა: „მე არა მარტო ვაღიარებ, არამედ თავისუფლად ვაცხადებ, რომ ბერძნული ტექსტის თარგმნისას – აქ არ ვგულისხმობ საღვთო წერილს, სადაც სიტყვათმიმდევრობა უკვე მის-

არქაული სამყაროს მისტიკაში მიჩნეული იყო, რომ ღმერთები ნიშნების ენაზე ელაპარაკებოდნენ, და მათი გადმოთარგმნისთვის საჭირო იყო ისეთი მისანი, ანუ იეროფანტი, რომელსაც არა მარტო ჟვრეტდა მოვლენას, არამედ შეიქმნო მისი სიტყვაში მოქცევა და განმარტება.

ინდოეთამდე გადაჭიმული სივრცის სამეტყველო კონინედ იქცა, გაჩნდა ბილინგვური სამეფო წარწერები პარალელური ტექსტებით – ერთ-ერთი მათგანია არმაზის კარგად ცნობილი ბილინგვა. მაშინდელი უნივერსალიზმის და ეკუმენიზმის ფაქტორის გამო ითარგმნებოდა თვით ღმერთების სახელებიც კი, ასე მაგალითად, კომაგენურ წარწერაში ზევსი არის აჰურა მაზდა, აპოლონი – მითრა, აფროდიტე – ანაჰიტა, არესი – ვერეთრაგნა და ა.შ. მაგრამ ბილინგვურ და ტრილინგვურ წარწერებს პრაქტიკულ-პოლიტიკური და ისტორიული დანიშნულება ჰქონდა. რელიგიურ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმნა უფრო ახალი დროის ფენომენია. ძველ სამყაროში არავის მოსვლია თავში აზრად ჰომეროსის „ილიადას“ თარგმნა არამეულ ან ძველპარსულ ენებზე, ასევე ავეს-

მოებებთან ერთად დღეს საყოველთაო განათლების ნორმის ნაწილი გახდა. გარდა ამისა, ტერმინი „მსოფლიო ლიტერატურა“ ნონსენსი იქნებოდა არქაული ადამიანისთვის. მაგრამ ყველა ერი, ვისაც ნაციონალური ლიტერატურა გააჩნია, ყველაზე გვიან, მე-20 საუკუნიდან მაინც ცდილობს, თავის ენაზე თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა გაამდიდროს ძველადმოსავლური და კლასიკური სამყაროების შედეგებით. რაც შეეხება თარჯიმნობას, ანტიკურ სამყაროში იგი ითვლებოდა ფრიად არაშემოქმედებით საქმიანობად. ციცერონისთვის თარჯიმნის საპირისპირო იყო რიტორი. ამიტომაც ის თავის თხზულებაში, რომელიც რიტორიკის საკითხებს მიუძღვნა, წერდა: „მე ვთარგმნე აღმატებული სიტყვები, რომელიც ერთმანეთის საპირისპიროდ

ტერია – ერთ სიტყვას არა სხვა სიტყვით, არამედ ერთ საზრისს სხვა საზრისით გადმოვცემ“. რამდენადაც ბარბაროს ხალხთა ენები მეტწილად სალიტერატურო ენები არ ყოფილა, მათ სიადვილეს ყოველთვის ხაზს უსვამდნენ პანელინისტი მწერლები. გავრცელებული შეხედულებით, ბარბაროსის გრძნობა მარტივი იყო, აზროვნება – განუფითარებელი, ცხოვრება მათ ქვეყნებში – ერთფეროვანი და მოსაწყენი. ამგვარი განწყობის ერთგვარი გამოცახილია მოგვიანებით სერვანტესთან, რომლის დონ-კიხოტიც ხშირად თავის ან, უფრო სწორად, ავტორის შეხედულებებს გამოთქვამს ხოლმე სხვადასხვა საკითხებზე. ერთგან იგი დასძენს, რომ ადვილი ენებიდან თარგმნა – იგულისხმება ყველა ენა ბერძნულისა და ლათინურის გარდა – არ მოითხოვს არც გონების დაძაბვას, არც ენაშტევრობას.

აქედური სიტყვიდან თარგუმანუ მოდის არა მარტო ქართული თარგმანი, არამედ არაბული თარგუმან, სპარსული თარგუმან, ფრანგული დროგუმენ, ტრუხემენ, იტალიური ტურკომანო, დრაგომანო, საშუალო გერმანული თრაგემუნტ ან თრუგემუნტ, საიდანაც წარმოსდგა შემდგომში სიტყვა თრიგენ ან თრუეგენ – „მოტყუება“. ლინგვისტურად მონათესავე სიტყვების ამ ოჯახთან ასევე დაკავშირებული ჩანს გერმანული დოლმეჩერ – „თარგმანი“ და იმავე მნიშვნელობის მქონე რუსული ტოლმარჩ. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში თარგმანება ნიშნავს განმარტებას, კომენტარს. იქვე ვკითხულობთ ამონარიდს მამათა სწავლებიდან, სადაც ყურადღება გამახვილებულია იმ სიფრთხილესა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც

დაკვირვება: სახარების, ფსალმუნის და ღვთისმსახურების ტექსტების ქართულ ენაზე გადმოტანამ სათავე დაუდო ქართული კულტურნაციის შექმნას. ანტიკური ქართლის კულტურას ქრისტიანობის შემოსვლამდე გააჩნდა ძლიერი ბერძნულ-ირანული და სემიტური პლასტიკები, რომელიც, შესაძლოა ითქვას, მის გარეგან სამოსს, პერანგს წარმოქმნიდა. ეს პროცესი დაახლოებით ანალოგიურად მიმდინარეობდა აღმოსავლეთში, როგორც ოიკუმენში ევფრატამდე, ისე ევფრატს გადაღმა, ჰინდუკუშის ქედამდე: ამის მაგალითებს ვხვდებით სირიაში, პართიაში, მესოპოტამიაში, ლევანტეს სანაპიროზე, სომხეთში. ის ერთადერთი, რაც მაშინდელ ქართულ ცნობიერებას სრულყოფილად გამოხატავდა, იყო ადგილობრივი წარმართული რელიგია, ასტრალურ

ქტორით ხდება. გავიხსენოთ იოანე მერჩულეს გამონათქვამი იმ საერთო-კულტურულ სივრცეზე, სადაც „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ჟამნი ფსალმუნს გულისხმობს, ანუ ქართული ფსალმუნის მთანმინდელე-ბამდელ ვერსიას და ასევე ქართულად თარგმნილ წირვას, წმ. იოანე ოქროპირისეულს, ანდა წმ. ბასილი კესარიელისეულს. აქედან ცხადად ჩანს მთარგმნელობითი აქტის უდიდესი მნიშვნელობა – ენის ლიტერატურულობას ეპიგრაფიკასთან და საისტორიო-ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურასთან ერთად ხომ უცხო ენებიდან თარგმნილი საღვთისმეტყველო, ჰომილიტიკური, ფილოსოფიური და სხვაგვარი ლიტერატურა განსაზღვრავს. ფსალმუნის, სახარებების და მთლიან

თანამედროვე მესნიერულ კრიტიკაში

მთარგმნელის სტილი სალკე ფენომენადაა აღიარებული.

ამ შემთხვევაში საკითხავია, თუ რამდენად ადეკვატურია იგი ორიბინალთან.

მთარგმნელმა უნდა გამოიმუშავოს, რათა ბოროტის, სუპოსტატის ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეს საღვთო ტექსტების განმარტებისას: „არა გასწავოს შენ ეშმაკმან და თავით თვისით სთარგმნო იგი და სთქუა, ვითარმედ: ესე არს ძალი სიტყვისაი ამის და სხუებრ არა ეგების თქუმად“.

ქართული ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ენა, თავისი ისტორიის მქონეა. მისი ქმნალობა, რაც ყველაზე ცოტა, 3-4 ათას წელიწადს მოითვლის, განუყოფელია ქართული ეთნოსის, მატერიალური თუ სულიერი კულტურის და, აგრეთვე, სახელმწიფოებრიობის ისტორიისგან. ისეთმა მოაზროვნებმა, როგორებიც იყვნენ ჰუმბოლდტი და ჰერდერი, ენა გამოაცხადეს ერის თაურმდგენად, ხალხის ერაღქმნის განმსაზღვრელ ფაქტორად, ხოლო ენები – ცაცობრიობის ისტორიის ამგებ ძალებად. იმავეს დადასტურებს საქართველოს ისტორიაზე

კულტებზე დაფუძნებული, რომლის ცალკეული ფრაგმენტებიც შენარჩუნებული უნდა იყოს საქართველოს მთის რელიგიურ კულტებში და გარდამოცემებში, მაგრამ მათი ჩანერა არ მომხდარა ანტიკურ ხანაში. ასევე არც მახდებანობა, არც ელინისტური კულტები არ ყოფილან მნიგნობრული რელიგიები ქრისტიანობის და იუდაიზმის გაგებით. ენის გალიტერატურულების გარეშე შეუძლებელია ანალიტიკური მიდგომა და რეფლექსია, რის შედეგადაც ცალკეული სიტყვები, ბრუნვების თუ უღლების ფორმები მთლიანობიდან გამოცალკევდება და ცალკე, კონტექსტის გარეშე იქნება განხილული. ასეთ პირობებში წარმოუდგენელია სისტემური გრამატიკის არსებობა და თარგმნის ხარისხის სერიოზული შეფასება.

არტანუჯელი ბაგრატიონების აღზევებასთან ერთად ქართლის, ანუ საქართველოს დეფინიცია ენის ფა-

ნად ბიბლიის ნიგნების ქართულად თარგმნა უკვე შემდგომი ეტაპი იყო, რამაც კულტურნაციის ქმნალობის პროცესი სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ეს როდია საღვთო წერილში მოთხრობილი ინფორმაციის ქართულ ენაზე გადმონერა.

თუ რა მეთოდით ითარგმნებოდა ქართულად საღვთო წერილი, ამის თაობაზე გიორგი მთანმინდელის „დავითნის“ ანდერძში ვკითხულობთ: „ჩუენ რომელი ჯერ იყო ჩაგვირთავს, და რომელი ჯერ იყო დაგვიკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოუვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა“. ეს ნიშნავს, რომ იგი ახერხებდა როგორც დედნის ძირითადი აზრის შენარჩუნებას, ისე სემანტიკური ნონასწორობის პრინციპის დაცვას, თუკი გურამ რამიშვილის ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ.



რადიო

თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარალი, საშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურაკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



სიკვდილის სტრატეგიები

ავტორი: ემზარ ჯგერენია

სიკვდილი ბანალური მოვლენაა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ერთხელაც „გამოგვიძახებენ“ და, რაც უნდა ვეცადოთ, მასზე უარს ვერ ვიტყვით. ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, ვისთვისაც ცხოვრების ძირითადი ორიენტირი წარმატებაა, ყველა საშუალებით ვცდილობთ, როგორმე გადავავადოთ საკუთარი ცხოვრების დასასრული. ვადის გადაწვას კი სხვადასხვა საშუალებით ვცდილობთ: დავრბივართ, დიეტას ვიცავთ, „ფიტნეს კლუბებში“ ოფლით ვიხვეთქებით და საცურაო აუზებში ვალბობთ საკუთარ სხეულს, რათა კიდევ რამდენიმე წუთი გამოვგლიჯოთ „ცელიან კაცს“, რომელიც ჩვენთან ურთიერთობაში ანგარიშს არ უწევს არც ჩვენს ასაკს, არც სქესს, არც სტატუსს, არც ძალაუფლების ხარისხს, არც ჩვენს საბანკო ანგარიშებს, არც რელიგიურ თუ ნაციონალურ იდენტობას. და რაც მთავარია, ვმუშაობთ, რათა ნაკლები დრო გვქონდეს სიკვდილზე ფიქრისათვის: „დავშოპინგობთ“, ახალ იდეებს ვემონებით, მანუგეშებელ თეორიებს ვთხზავთ და მაინც,

სადღაც გულის სიღრმეში გვჯერა, რომ „კვდება სხვა და არა - მე“.

სიკვდილი განსაკუთრებით „საწყენია“ პროგრესის ილუზიაში მყოფი თანამედროვე ადამიანისათვის. ხომ შეიძლება, ერთხელაც მეცნიერებმა ისეთი წამალი გამოიგონონ იმ სენის წინააღმდეგ, რომელიც ჩემთვის სასიკვდილოა; ხომ შეიძლება, ერთხელაც მეცნიერებამ დაამარცხოს სიკვდილი? რატომაც არა, უბრალოდ, მე არ გამიმართლა, მე ვერ მოვესწარი ამ დროს. მაგრამ ადამიანი ყოველ დროსა და ეპოქაში ასე როდი ფიქრობდა.

ყოველ ეპოქას „სიკვდილის მოშინაურების“ საკუთარი სტრატეგია აქვს. ეს სტრატეგიები მითოსურ, რელიგიურ, კვაზიმეცნიერულ, ფილოსოფიურ ნარატივებშია გამოხატული. ასე მაგალითად: შუა საუკუნეების ქრისტიანული ნარატივის თანახმად, სიკვდილი არც არსებობს. უფრო სწორად, მწიერი ცხოვრების დასასრული თავისებური „გამოსაცდელი პოლიგონია“, რომლის დასრულების შემდეგ იწყება ნამდვილი სიცოცხლე, ჭეშმარიტი არსებობა. შუა საუკუნეების ტექსტები აღსავსეა სიკვდილის ინსცენირებებით. „ცხოვრების“ პერსონაჟებმა ხშირად წინასწარ იციან საკუთარი აღსასრულის დრო და ამ დროისათვის ემზადებიან. იბარებენ თავიანთ მონაფეებს და უკანასკნელ დარიგებას აძლევენ მათ. ასე კვდება, მაგალითად, ქართული ლიტერატურული ჟანრის, „ცხოვრების“, ერთი პერსონაჟი: „ხოლო ან ესრეთ იყო სრულიადი განსლვაჲ მისი ჴორცთაგან. რამეთუ განირთხნა წმიდანი იგი ფერჴნი მისნი წესიერად, რომელთა ღმრთის-მსახურებისათჳს მრავალი შრომაჲ თავს-იდევს, და ჴელნი სანატრელნი, მწერალნი საღმრთოთა მოძღურებათანი, უმანკოსა მას და უბინოსა გულსა ჴედა თჳსსა დაიჯუარედნა, და მცირედ ოფლნი გარდაეცნეს, რომელნი-იგი ღმრთის-მსახურებისათჳს მრავალგზის დასთხინა, ესრეთ ჴუარი პირსა დაიბეჭდა, რომელი-იგი მარადის სასოდ და ზღუდედ აქუნდა. და კუალად დადვა წმიდაჲ იგი მარჯ[უ]ენ თჳსსავე ადგილსა და თქუა სიტყუაჲ დასასრულისაჲ, რომელი-იგი, ვითარცა შარავანდედი მზისაჲ, წარიძლუნა უფლისა მიმართ, ვითარმედ: „ჴელთა შენთა, უფალო, შევჴვედრებ სულსა ჩემსა!“ და ესრეთ, დიდად რაჲმე აღმოიფჴვნა, ერთგზის ხოლო, და მისცა წმიდაჲ სული თჳსი წმიდათა ანგელოზთა“.

ან კიდევ: „ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვაჲ ჴორცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ. და აუნყა უფალმან აღსრულებაჲ ნებისა მისისაჲ, ვითარცა თქუა დავით, „რამეთუ ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინეს და აცხოვნეს იგინი“.

მაშ, სიკვდილი საშინელება არ არის. სიკვდილს ქრისტიანი ისე ელოდება, როგორც მექორწილენი ელოდებიან სუფრაზე მიპატიჟებას. ერთადერთი შიში, რომელიც ამ ეპოქის ადამიანს თანგავს, არის ჯოჯოხეთის, ღვთის სამსჯავროს შიში. ამ სამსჯავროს წინაშე, შუა საუკუნეების გაგების თანახმად, ადამიანი წარდგება როგორც ინდივიდი; მას არ ჰკითხავენ, თუ რომელი ერის შვილია ის, რომელი სოციალური კლასის წევრია, ქალია თუ მამაკაცი, ან რა განათლება აქვს მას. ქრისტიანი კვდება, როგორც უნიკალური არსება, რომლის პასუხისმგებლობა მხოლოდ პიროვნული პასუხისმგებლობაა

და რომელსაც შემოძარცვული აქვს „ამა სოფლის“ „დროებითი ტანსაცმელი“: ენა, მამული, სოციალური სტატუსი და ა.შ.

კომუნისტურმა იდეოლოგიამ ისევე, როგორც ადრე – ნაციონალიზმმა, ცხოვრების საზრისი და, შესაბამისად, სიკვდილისადმი დამოკიდებულება არსებითად შეცვალა. ინდივიდი, პიროვნება, აქ წარმოდგენილია, როგორც ნაციონალური და კლასობრივი „ხის“ ერთ-ერთი ფოთოლი („საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“). კომუნისტური და ნაციონალური საზრისები, ამ აზრით, ერთმანეთს კვეთენ, თუმცა, კომუნისტური დისკურსის თანახმად, რევოლუციონერი კვდება არა ნაციისათვის, არამედ კონკრეტული სოციალური ფენის ინტერესებისათვის და მას, განსხვავებით ქრისტიანული დისკურსის ადამიანისაგან, არ აქვს „უკვდავი სული“. ადამიანის არსებობა წყდება მინიერი ცხოვრებით. რაც მისგან რჩება, არის მხოლოდ გვამი და ამ გვამის მიერ სიცოცხლეში ჩადენილი კლასობრივი გმირობა. თუმცა კომუნისტი იმეორებს ქრისტიანული საზრისის ინვარიანტს – კოსმოპოლიტიზმს. პირველი ტალღის კომუნისტი პოეტები სწორედ ნაციონალიზმს უპირისპირდებიან. ასე მაგალითად, ერთ-ერთი პოეტი წერს:

„შენ დიქტატურის თუ ხარ მომღერალი/კაცობრიობა იყოს ბედნიერი: /ტყვიით განგმირული შუბლი გენერლის/პოეზიაა შენთვის მშვენიერი./მანაც იმარჯვებ თუ არ გადარჩები/კაცობრიობა არის შენი ერი,/ მტრის დახვრეტა, კლასის განაჩენი/პოეზიაა შენთვის მშვენიერი“.

ან კიდევ: „ხდება ერების გარდაცვალება,/კვდება რუსეთი, კვდება გრენადა.../გინდა, იხილო შენ მუზეუმი/ კაცობრიობის ურიცხვ ენათა.სადაც კიდია კოსტუმი, ფარი/ყოველ კუთხიდან, ყოველ ერების,/ სადაც კიდია თვით ნიკო მარი – ვით პრეზიდენტი მკვდარი ენების.../ ვოლგა...ხუანძე... ლენა.... ამური.../და წყალვარდნილი ნიაგარისა,/არა „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი“/და ეროვნული მტკვარის დუდუნი/შენს პოემაში მოისმის ზღვათა/და მდინარეთა მძლავრი გუგუნი“

....გლუხმაც გადაჭრა მიჯნის პრობლემა,/მაგრამ პროფესორს ანუხებს ეხლაც/მიჯნა სომხებთან სად იმყოფება./ თვით პროფესორი ჯავახიშვილი, /და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“,/კაციაჩამია კოტეტიშვილი –/პლეადა წუმკალ შოვინისტების“.

მაგრამ „ერების გარდაცვალება“ არ მოხდა. უფრო მეტიც, ნაციონალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა კლასობრივ თეორიაზე (ხშირ შემთხვევაში ქრისტიანობაზე, ან შეეზარდა ქრისტიანობას, როგორც ეს მოხდა ჩვენთან) და ნაციონალიზმის კომუნისტიზმზე გამარჯვების პროცესი თვით კომუნისტიზმის შიგნით დაიწყო. მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო ერთგვარი „ნაციონალური კომუნისტიზმის“ ფორმირებას. „კაპიტანი ბუხაიძე“ უკვე არ კვდება მხოლოდ კლასობრივი და ინტერნაციონალური ინტერესებისათვის. ის კავკასიის მთებში წევს და „საბჭოთა საქართველოს“ მტრებისაგან იცავს.

კომუნისტური რევოლუციის გმირები ბოლშევიკურ ლიტერატურაში ხშირად ქრისტიან მონაშენებს და მოციქულებსაა შედარებული.

„დაზოცილ ამხანაგებს/საშვილიშვილო ხსენება/

ჩვენს პირველ მოციქულებსა/საკაცობრიო საქმისთვის/ ბრძოლაში დაცემულებსა./საფლავიც აპყვავებით/ მამაცად დალუპულებსა/სიმართლის სადარაჯოზე/ დაცეხილ-დაკუნულებსა.“

წმინდანისა და რევოლუციონერის სემანტიკურად ახლოს მდგარი სიტყვებით აღნიშვნა მხოლოდ ქართული ბოლშევიკური მწერლობისათვის როდია დამახასიათებელი. მეორე მსოფლიო ომამდელი ევროპელი ინტელექტუალების დიდი ნაწილი, როგორც დღეს იტყვიან, „აფანატებდნენ“ სტალინზე და საბჭოთა კავშირზე. მათ შორის იყო ანდრე ჟიდიც. საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ის შეხვდა ოსტროვსკის: „ოსტროვსკიზე უღრმესი პატივისცემის გრძნობის გარეშე ლაპარაკი არ შემიძლია. ჩვენ რომ სსრკ-ში არ ვყოფილიყავით, ასე ვიტყვოდი: „ეს წმინდანია“. რელიგიას არ შეუქმნია უფრო მშვენიერი სახეება. აი, თვალსაჩინო დადასტურება იმისა, რომ წმინდანებს მხოლოდ რელიგია არ წარმოშობს. საკმარისია, გამსჭვალავდეს მხურვალე რწმენა, თუმცა მომავალში რაიმე საზღაურის მიღების იმედი არც გქონდეს, არაფერს ელოდე, გარდა მკაცრი მოვალეობის მოხდის შეგნებით კმაყოფილებისა.“

თანამედროვე კაპიტალიზმში, რომელსაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ ხოლმე („საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება“, „მომხმარებლური საზოგადოება“, „ინფორმაციული საზოგადოება“ და ა.შ.) ადამიანისაგან სრულ ფიზიკურ და სულიერ მობილიზაციას მოითხოვს, და მოითხოვს მხოლოდ ერთი მიზნით: რაც შეიძლება კარგად გაყიდოს საკუთარი თავი შრომის ბაზარზე. ჯანმრთელობა, მასმედით ნაკარნახევ ფიზიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა შრომის ბაზარზე წარმატების საწინდარია. ამიტომაც, რომ მთელი „განათლებული“ კაცობრიობა „დაჯოგინგობს“, რათა საკუთარი სხეულის ფორმისა და მდგომარეობისაგან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი მიიღოს. ასეთ საზოგადოებაში სიკვდილი უბრალოდ სიკვდილი კი არ არის, არამედ „წარუმატებლობა“. ამიტომ მიცვალებულები, სიკვდილის პირას მყოფნი, ღრმად მოხუცები საჯარო სივრცეს უნდა მოვარიდოთ, და ღმერთმა ნუ ქნას, საყვარელი ადამიანი თუ გარდაგვეცვლება, სამსახურსა და საზოგადოებაში ამის შესახებ არაფერი უნდა ვთქვათ, თორემ „წარუმატებელ“ ადამიანად ჩაგვეთვლიან და სამსახურსაც დაგვატოვებინებენ.

თანამედროვე ადამიანი „ბოდისთვის“ წამებული ადამიანია“.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ აქ არ არის, საქართველოში ეს არ ხდება, მაგრამ ნუ გეშინიათ, ყველაფერი წინ გვაქვს.



სტატია ქვეყნდება პროექტის „განსაბჭოება“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერი ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



რიკარდ ვანდერი

ბაიროითის დღიური

ავტორი: ლაშა ბულაძე

I

„რიჰარდს მიძიმე ღამე ჰქონდა“, „რიჰარდს კარგად ეძინა“, „რიჰარდს ფხიზლად ეძინა“, „რიჰარდს შუალამისას გაეღვიძა“, „რიჰარდმა შფოთიანი ღამე გაატარა“, „რიჰარდი თავის ტკივილმა გააღვიძა“...

ვაგნერის ცოლის, კოზიმას დღიურში ყველაზე ხშირად ეს ფრაზები გვხვდება.

კოზიმა ვაგნერმა 1869 წლის 1 იანვარს, შვილის, ზიგფრიდის გაჩენიდან რამდენიმე დღეში დაიწყო დღიურის წერა და 14 წლის მანძილზე წერა, ვაგნერის სიკვდილის დღემდე – 1883 წლის 13 თებერვლამდე. ასე რომ, მისი დღიურის სახით ვაგნერის ცხოვრების პედანტურად აღწერილ ქრონიკასთან გვაქვს საქმე.

ვაგნერი ვენეციაში მოკვდა. სარკის წინ იდგა, კისერზე ბაფთას ისწორებდა და ამ დროს გულის შეტევა დაემართა. მისი ბოლო სიტყვები იყო: **Mein Uhr** (ჩემი საათი). კოზიმა ხუთი შვილით და ქმრის კუბოთი დაბრუნდა ბაიროთში, ვაგნერი (მისივე ანდერძის თანახმად) ვილა „ვანფრიდის“ ბაღში დაკრძალა (ბოლოს მასაც აქ დაკრძალავენ, ნახევარი საუკუნის შემდეგ) და ქმრის ბოლო წლების გრანდიოზული ქმნილების – ბაიროთის ფესტივალის გაძღოლას შეუდგა. შავები სიცოცხლის ბოლომდე, 1930 წლის 1 აპრილამდე არ გაუხდია (ყველა ფოტოზე ასეთია: თავზე ვეებერთელა შავი შლაპა ახურავს, ხელში კი შავი ქოლგა უჭირავს); იყო მკაცრი და ენერგიული. გუსტავ მალერიით დაწყებული, კაიზერ ვილჰელმით დამთავრებული, ყველა მას ეპირფერებოდა. კოზიმა სათუთად უფროთხილდებოდა ყველაფერს, რაც რიჰარდ ვაგნერის მსოფლმხედველობას, სახელს, ბიოგრაფიასა და შემოქმედებას უკავშირდებოდა. ამ მხრივ, მას უდავოდ ეკუთვნის პირველი ადგილი კომპოზიტორთა ცოლების სიაში. გაიხსენეთ კონსტანცე ვებერი, მოცარტის ცოლი, და მერე უფრო დააფასებთ ვაგნერის ქვრივს (კონსტანცემ მაშინლა აღიარა თავისი

ვოლფგანგის გენიალურობა, როცა ამ უკანასკნელზე მისმა მეორე ქმარმა, მოცარტის პირველმა ბიოგრაფმა, დაწერა წიგნი! ხოლო იმ სასაფლაოზე, სადაც მოცარტი დამარხეს, მისი სიკვდილიდან, არც მეტი, არც ნაკლები, ათი წლის შემდეგ ავიდა – დაიკარგებოდა საფლავი, აბა რა იქნებოდა!). ან თუნდაც ალმა მალერი (გუსტავ მალერის ცოლი) – კაცს მაინცდამაინც გრანდიოზული მერვე სიმფონიის წერის დროს დაადგა რქები! დეპრესიაში ჩავარდნილ კომპოზიტორს მერე ზიგმუნდ ფროიდთანაც კი მოუწია მისვლა, ხოლო ერთ წელიწადში, საერთოდ, გარდაიცვალა კიდევ.

კოზიმა კი იცით, როგორი ქალი იყო? როცა ვაგნერის სიკვდილის შემდეგ მომავლავი მამა ჩამოუვიდა ბაიროთში (თან ვინ! მამაც არის და მამაც – თავად ფერენც ლისტ!), ვილა „ვანფრიდში“ კი არ მოიყვანა, განცალკევებით უქირავა სახლი და მომვლელ-მსახურებიც იქ გაუგზავნა. მიზეზი თავადვე აუხსნა მოხუც მშობელს: ლისტ რომ ვაგნერის სახლში გარდაცვლილიყო, ამ შემთხვევაში „ვანფრიდი“ მის სახელთანაც იქნებოდა დაკავშირებული – ლისტს თავის წილ ისტორიულობას შემოიტანდა ვაგნერების „ბუნაგში“ – „ვანფრიდის“ ისტორიის ერთპიროვნულ მფლობელად კი რიჰარდ ვაგნერი უნდა დარჩენილიყო. მამამ უდრტივინელად და აუღელვებლად მიიღო ქალიშვილის არგუმენტი და ცოტა ხანში მშვიდადაც გარდაიცვალა. მას ხომ მეტისმეტად

უყვარდა ვაგნერი – ფაქტობრივად, მან გაუყვალა გზა, როგორც კომპოზიტორს. არ გეგონოთ, თითქოს კოზიმას ძვირფასი მშობელი არ ჰყვარებოდა. დღიურებშიც ამას წერს: ყველაზე ბედნიერი მაშინ ვარ, როცა ჩემს გვერდით ეს ორი ადამიანია – რიჰარდი და მამაო, უბრალოდ, ქმარსაც და მამასაც ისე უყურებს, როგორც ისტორიის სუბიექტებს და დღიურშიც კი არ ტოვებს ნიშას სენტიმენტებისთვის. კოზიმას შემთხვევა ერთგვარ მეთოდადაც შეიძლება, გამოგვადგეს – როგორ დავიცვათ, ვუერთგულოთ და ვუდარაჯოთ გენიალური ქმრის შექმნილ სამყაროს.


თუმცა ყოველთვის ასეთი როდი იყო – ვიდრე დღიურის წერას დაიწყებდა, მანამდე ვაგნერის არა, მაგრამ აი, ვერდის ოპერებისთვის დამახასიათებელი ინტრიგაში კი ნამდვილად გაება.

ოლონდ მთელ ამ „იტალიურ ოპერას“, საბოლოოდ, ვაგნერთან ქორწინება მოჰყვა:

კოზიმას ქმარი ჰანს ფონ ბიულოვი გახლდათ – მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი დირიჟორი და ვაგნერის ოპერათა უპირველესი შემსრულებელი. ამ კაცს, შეიძლება ითქვას, აბოღებდა ვაგნერზე – სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ყველგან მისი მუსიკის პროპაგანდას ეწეოდა და ვაგნერისგანაც შესაბამის დამოკიდებულებას გრძნობდა: ვაგნერი ყველგან ამბობდა, მხოლოდ ჰანს ფონ ბიულოვს ძალუძს ჩემი მუსიკის გაცოცხლებაო. მაგრამ, ბიულოვისდა სამწუხაროდ, მის მუსიკალურ კერპს (უფრო სწორად კი – ღმერთს) მისივე ნორჩი ცოლი – კოზიმა შეუყვარდა. რა დასამალია და, ვაგნერი აქამდეც აღმოჩენილა ამგვარ უხერხულ სიტუაციაში: წლების წინ მას თავისი მეგობარ-მეცენატის მეუღლე, მათილდე ვეზენდონკი შეყვარებოდა („ტრისტან და იზოლდე“ სწორედ ამ „აკრძალული“ რომანის ნაყოფია), თუმცა წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ვაგნერმა აღარ მოისურვა ტრისტანად ყოფნა და უნებურად, მისთვის საძულველი იტალიური ოპერის მსგავს ხათაბალაში გაეხვია: ერთი მხრივ, მას საშინლად არ უნდოდა ერთგული დირიჟორის დაკარგვა (რადგან ეს კაცი ისევე უყვარდა, როგორც მისი ცოლი... ან, ჰა, ცოტა ნაკლებად), მა-



კოსიმა ვაგნერი



ფერდინანდ ლისტი

ხალხის ალაპარაკდა – ლისტის ქალიშვილი ვაგნერთან ლალატობს თავის ქმარსო. მოჭორავითა ქოროს ხამა ბიულოვის ყურადღებამ დაიღწია, თუმცა არ აუღელვებია: ცოლის ლალატს კიდევ დაიჯერებდა, მაგრამ ღმერთისას (ვაგნერისას) – არავითარ შემთხვევაში. ვაგნერი წყობიდან გამოიყვანეს მიუნხენურმა ქორებმა, მან თავის მთავარ მშველელსა და თავყვანისმცემელს, ბავარიის ახალგაზრდა მეფე ლუდვიგ მეორეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარ ბიულოვებისა და მისივე ღირსების დაცვა სთხოვა.

გრამ მეორე მხრივ, უკვე აღარც კოზიმას გარეშე შეეძლო ცხოვრება. ხალხიც ალაპარაკდა – ლისტის ქალიშვილი ვაგნერთან ლალატობს თავის ქმარსო. მოჭორავითა ქოროს ხამა ბიულოვის ყურადღებამ დაიღწია, თუმცა არ აუღელვებია: ცოლის ლალატს კიდევ დაიჯერებდა, მაგრამ ღმერთისას (ვაგნერისას) – არავითარ შემთხვევაში. ვაგნერი წყობიდან გამოიყვანეს მიუნხენურმა ქორებმა, მან თავის მთავარ მშველელსა და თავყვანისმცემელს, ბავარიის ახალგაზრდა მეფე ლუდვიგ მეორეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარ ბიულოვებისა და მისივე ღირსების დაცვა სთხოვა.

მეფემაც დაიცვა – მართალია, ქორაობის ამკრძალავი კანონი ვერ გამოუშვა, მაგრამ ხალხს საჯაროდ გამოუცხადა, ამგვარი საუბრებით, უპირველეს ყოვლისა, მე მტკენთ გულს, მარტო ვაგნერს და ბიულოვს არაო. სინამდვილეში თავად დარჩა გულნატკენი: მეფე ფიქრობდა, რომ კომპოზიტორი ლოენგრინის გედევით უმნიველო იყო ამ საქმეში, საბოლოოდ კი გამოირკვა, რომ, მართალია, უნებლიეთ, მაგრამ მასაც ტყუილი უთქვამს და თავისი ბავარიელებისთვისაც უსამართლოდ უსაყვედურია – ქორიკანათა ქორო არ ცრუოდა: კომპოზიტორ ვაგნერს დირიჟორ

ბიულოვის ცოლთან ჰქონდა რომანი. ოჯახის დანგრევის შემდეგ, „ღმერთისგან“ ნალალატევი, საბრალო ბიოლოგი სწრაფადვე გაეცალა მიუნხენს, თუმცა მისმა მუსიკალურმა ათეიზმმა არცთუ ისე დიდხანს გასტანა: ვაგნერმა იგი მალევე დააბრუნა უკან, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცზე უკეთ ვერავინ უდირიჟორებდა მის ოპერებს. მიუხედავად იმისა, რომ ბიულოვი საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაინც დაბრუნდა, რადგან ზუსტად იცოდა, რომ თუკი მას სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებდა რამე, ეს ისევე ვაგნერის მუსიკა იქნებოდა. არა, ბიულოვი ნამდვილად არ ყოფილა უღირსი კაცი – ამ ადამიანს მთელი გაერთიანებული გერმანია ისე იცნობდა, როგორც შეუპოვარ, უკომპრომისო და მაღალზნობრივ ადამიანს (აქ მისი თითქმის ისევე ეშინოდათ, როგორც ბისმარკის), ეს, უბრალოდ, ვაგნერი ფლობდა რალაც უნიკალურ ძალას: ყოველთვის ისე გამოდიოდა, რომ სწორედ მისგან დაზარალებულები გრძნობდნენ თავს დამნაშავეებად და არა — პირიქით. ასე, მაგალითად, ოტო და მათილდე ვეზენდონკებს ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო სულაც არ უნდოდათ „ტრისტანის“ მიუნხენურ პრემიერაზე ჩამოსვლა (არც ქმარს ეპიტანავებოდა საკუთარი თავის ამოცნობა მეფე მარკში და არც მათილდე – იზოლდაში), ვაგნერი კი, იმის მაგივრად, რომ ტაქტიკადად დადუმებულიყო, წყენით და მუქარით აღსაყვე წერილებს უგზავნიდა ცოლ-ქმარს – როგორ თუ ჩემს „ტრისტანს“ არ დაესწრებოთ! ბოლოს, ისევე ოტო დანებდა – ყოვლისმცოდნე ბავარიული პუბლიკა (მოჭორავითა ქორო) ფეხებზე დაიკიდა და თავისი ოჯახური დრამის მოსასმენად გადაწყვიტა წასვლა, თუმცა აქ უკვე მათილდე იმარჯვა – ვაგნერს თავისივე ცრემლებით დამბალი ბარათი მისწერა და ბიულოვისა არ იყოს, მანაც, როგორც ღმერთს, ისე სთხოვა პატიება: პრემიერას ვერ დავესწრებით, მაგრამ გპირდები, მე და ოტო პარტიტურით მოვისმენთ „ტრისტანსო“.

ღმერთ-ვაგნერის რისხვა კომპოზიტორ კორნელიუსსაც დაატყდა თავს:

ვერც ამ უბედურმა ჩამოუსწრო მიუნხენურ „ტრისტანს“ და მერე მთელი თვეების განმავლობაში პატიებას ითხოვდა. „ტრისტანზე“ კი იმის გამო ვერ ჩამოვიდა, რომ, საუბედუროდ, სწორედ იმ დღეს ჰქონდა თავისი ოპერის, „ბალდადელი დალაქის“ პრემიერა...

ფრიდრიხ ნიცშესაც ასე არ დაემართა? არა, არა, ცოლი არ ჰყოლია, ნუ აღელდებით – ამ მხრივ გადარჩა... აქ სხვა ამბავია. ჯერ ვაგნერის მეხოტბე და მეგობარი იყო (რიხარდსა და კოზიმას თავადვე უკითხავდა „ტრაგედიის დაბადებას“ ვილა „ვანფრიდში“), აღფრთოვანებული ესწრებოდა „ნიბელუნგების ბეჭედს“ ბაიროითის პირველ ფესტივალზე (შეშინებული პეტრე ჩაიკოვსკის გვერდით იჯდა), მერე კი, როცა „პარციფალი“ მოისმინა, მოულოდნელად მტრად მოეკიდა თავის ძველ კერძს (როგორც ჩანს, წარმართობიდან ქრისტიანობაში „გადასვლა“ არ აპატია) და კომპოზიტორის გარდაცვალებიდან სამ წელიწადში ღვარძლიანი და უცნაური წიგნი „NIEZSCHE CONTRA WAGNER“ („ნიცშე ვაგნერის წინააღმდეგ“) დაწერა, სადაც არავინ იცის, გულწრფელად თუ ვაგნერიანელთა გასაბრაზებლად, მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა: ჭეშმარიტება ბიზეს „კარმენში“ ვპოვე, ვაგნერი ყალბაბანდიაო. თუმცა უკვე ტურინში, როცა ცოტალა უკლდა გონების სრულ დაბნელებამდე, კოზიმა ვაგნერს სრულიად გიჟური ბარათი გაუგზავნა და თავისი ინკარნაციების ჩამოთვლის შემდეგ („ინდოეთში ბუდა ვიყავი, საბერძნეთში დიონისე...“) რიჰარდ ვაგნერობაში გამოუტყდა კომპოზიტორის ქვრივს. ეს უნიკალური ტექსტი ასე სრულდება: „ჰო, მინდა, იცოდე... მე ჯვარზეც ვეკიდე“ (ამ პერიოდში დაწერილ წერილებს ნიცშე ასე აწერდა ხელს: დიონისე, უფრო ხშირად კი – ჯვარცმული, მხოლოდ კოზიმასადმი მიწერილი წერილი დაასრულა სხვაგვარად: რიხარდ ვ.), ხოლო სიკვდილის წინ, ისევ ეს ორი სიტყვა თქვა: „რიჰარდ ვაგნერი“. ეს მისი ბოლო სიტყვები იყო.

მოკლედ, ისე ჩანს, თითქოს სამყაროს ყველაზე მრისხანე ფილოსოფოსმა, ნიცშემაც კი აღიარა დამარცხება ვაგნერის წინაშე... და თუ ასეა, მაშინ

მასზე ბევრად ნაკლებად მრისხანე ბიულოვ-ვეზენდონკ-ლისტ-კორნელიუსისგან რაღა გვიკვირს?

მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა, დამარცხებები ვაგნერსაც ბლომად ეგემა. მანამდე, თითქმის მთელი ცხოვრება, მიუსაფრობისა და მუდმივი დევნილობის გამო, თავს სიკვდილის მიძიებელ „მფრინავ ჰოლანდიელს“ უწოდებდა და რომ არა ერთი მეტად უცნაური და საბედისწერო საღამო, ალბათ, ვერც თავის „სენტას“ მიაგნებდა ვერასდროს და ვერც მუსიკალურ ვალჰალას წამოჭიმავდა დაბა ბაიროითის ერთ-ერთ ბორცვზე.

ამბავი შტუტგარტში ხდებოდა. ვაგნერი ჩვეულებრივ ინკოგნიტოდ, ფარულად შეპარულიყო ქალაქში – მას კრედიტორები და „საქსონიის მეფის აგენტები“ ემუქრებოდნენ ციხით – ვაგნერს დრეზდენის რევოლუციურ ამბოხებაში მონაწილეობა არ ეპატია (განა, აბსურდული ისტორია არაა? ვაგნერის ოპერებს გერმანულ ქალაქებში ასრულებდნენ, თავად მას კი გერმანულ მიწებზე ფეხის დადგმის უფლება არ ჰქონდა).

მაგრამ ვაგნერი უცნაური პოლიტიკენილი იყო – თითქოს ყველამ იცოდა ხოლმე მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ გადამწყვეტ ნუთს ყოველთვის ახერხებდა გაქრობას. ოდესღაც, ტერორისტ ბაკუნინთან საუბრისას, ამ უკანასკნელმა ბრძნულად ურჩია: სხვენში, მივარდნილ ქოხში ან მსგავს ველურ ადგილებში დამალვას არანაირი აზრი აქვს, უფრო მოგაგნებენ, სჯობს, ისევ კომფორტულ სასტუმროს შეაფარო თავიო.

დამფრთხალ ვაგნერს ბავარიის მეფის მდივანმა, ბ-ნმა პფისტერმაისტერმა სწორედ ერთ-ერთ ასეთ კომფორტულ სასტუმროში მიაგნო და მისი უდიდებულესობა ლუდვიგ მეორეს წერილი გადასცა ბეჭდითურთ.

ლუდვიგი ვაგნერის ოპერებზე გაზრდილი ბიჭუნა გახლდათ (ყველაზე მეტად „ლოენგრინი“ უყვარდა) და ან, მამის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ასულმა, პირველ განკარგულებად ვაგნერის მიუნხენში ჩამოყვანა ბრძანა.

თქვენს ტანჯვას ბოლო მოელოო, – სწერდა კომპოზიტორს, – ამიერიდან მე

დაგიცავთ, თქვენ კი მხოლოდ მუსიკაზე იფიქრეთო.

ვაგნერს ცრემლიც წამოსვლია, ეს წერილი რომ წაუკითხავს, ბავარიისკენ კი მეორე დღესვე გამგზავრებულა.

ლუდვიგმა სრულად გაისტუმრა ვაგნერის ვალები – მთელი ეტლი აუვსიათ ოქროთი და ასე გაუგზავნიათ კომპოზიტორისთვის, მას კი უკვე თავად გადაუწვინილვია კრედიტორებზე (ვაგნერი ასე ამბობდა: ვალი მარტო იმას უნდა დაუბრუნო, ვინც ფულის დაბრუნებას გთხოვს, ვინც არ გთხოვს, იმის დაგინწყებაც შეიძლებაო).



კოზიმა ვაგნერი



რიჰარდ ვაგნერი, შვილთან, ჯიბჯირითან ერთად



ადრულ პიტლარი და ვინიფრედ ვაბნარი, ბარბანა, ბაიროითის ფასტივალი, 1939

არც ერთ სხვა
საოპერო თეატრში არ
დაფუთავია მსგავსი
ბანსლა: აქ თითქოს
მხოლოდ მსახეული კი
არა, რაღაც უსწავრი
პილიბრიმის ხარ
– ჩადენილი თუ
ჩაუღწეული სოდუვის
მოსანანიებლად
მოსული კომპოზიტორ
ვაბნერთან!



პარბან ბარბანა და ვინიფრედ ვაბნარი, ბარბანა, ბაიროითის ფასტივალი, 1936

II

ეს კაცი ჯადოქარი იყო.
ორ ვეებერთელა საქმეს ერთდროულად უმკლავდებოდა: გრანდიოზული ტეტრალიგიის, „ნიბელუნგების ბეჭდის“ წერის პარალელურად, მისივე ოპერებისთვის განკუთვნილ საფესტივალო თეატრს აშენებდა.
ვაგნერის ოპერის თეატრი ყველა არსებული თეატრისგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ყველაფერი, რაც

ბაიროითში, კერძოდ კი, ამ შენობაში მოხდებოდა, სრულ შესაბამისობაში უნდა მოსულიყო ვაგნერის მუსიკალურ-ფილოსოფიურ კონცეფციასთან.
არქიტექტორმა გოდფრიდ ზემპერმა ბეჯითად შეისწავლა ვაგნერის თეორიული ნაშრომები და კომპოზიტორის უშუალო მითითებებისა და ჩანახატების მიხედვით შეუდგა შენობის დაპროექტებას.
რა პრაქტიკული ცვლილებები განხორციელა ვაგნერმა?
1. დარბაზს მთლიანად მოაშორა საოპერო თეატრებისათვის დამახასიათებელი ზიზილ-პიპილოები და სისადავითა და სიმკაცრით, ერთი მხრივ, ანტიკურ ტაძარს, მეორე მხრივ, გოთიკურ მონასტერს დაამსგავსა.
2. გააქრო გვერდითა ლოჟები.
3. ორკესტრი ღრმა ორმოში ჩამალა (ისე, რომ მაყურებელს არათუ ორკესტრანტები, დირიჟორიც ვერ დაენახა – მაყურებელი მხოლოდ სცენაზე განვითარებულ დრამაზე და მუსიკაზე უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული).
4. გააღრმავა და გააფართოვა საორკესტრო ორმო (ორმო ნახევარმთავრესავით ერკალება პარტერს).
5. გაზარდა ორკესტრის შემადგენლობა (მარტო არფა რვა ცალი დავითვალე).

6. მაყურებელი პირდაპირ ეზოდან შეიყვანა დარბაზში (რად უნდა ტაძარს დიდი ფოიე?).
7. პარტერი საგრძნობლად დახარა სცენისკენ (თითქოს მთიდან მოსრიანლებ).
8. დაამონტაჟა პატარა და, ერთი შეხედვით, მოუხერხებელი სკამები (ჩაიკოვსკი წერს: „ეს სკამი ისევე არ გაძლევს მოდუნების ან ჩათვლემის საშუალებას, როგორც ვაგნერის მუსიკა“); ამჟამად ძველი სკამებიდან მხოლოდ ერთი ცალია დარჩა და ამასაც სამუზეუმო ექსპონატივით წარმოადგენენ.
დროთა განმავლობაში, პრაქტიკულ ცვლილებებს სხვაგვარი, მე ვიტყვოდი, წმინდა ბაიროითულ-ეგზისტენციური ცვლილებები შეემატა. დღეს ეს „ცვლილებები“ ტრადიციას.
მაგალითად, „პარციფალის“ პრემიერის დროს, თუ არ ვცდები, მესამე მოქმედების დაწყების წინ, ვაგნერი თავად გამოვიდა ავენსცენაზე და მსმენელს სთხოვა, ოპერა-მისტერიის (ასე უწოდა მან თავის „პარციფალს“) დასრულების შემდეგ აპლოდისმენტების გარეშე, სრულ სიჩუმეში დაშლილიყვნენ.
„პარციფალი“ დღემდე სიჩუმეში მთავრდება.
აქ პუბლიკის დარბაზში მომხმობი ზარიც სხვანაირია – სასულეთა მცი-

რე ჯგუფი აივანზე ადის და მომდევნო მოქმედების მთავარ მუსიკალურ თემას უკრავს...

ფესტივალი ას წელზე მეტს ითვლის და აქ დღემდე ყველაზე უკეთ ასრულებენ ვაგნერს.

ზემოთ რვა არფა ვახსენე და, წარმოიდგინეთ, რა საოცრებაა, როცა მიწის (თუ პარტერის ქვეშ) ჩამალული ვეებერთელა ორკესტრი ვაგნერის მუსიკალურ იდეებს ამოაფრქვევს ხოლმე! შემდეგ ორკესტრიცა და მომღერლებიც ერთ მთლიანობად იქცევიან და შენც გითრევენ ამ ფანტასტიკურ მორევში...

არც ერთ სხვა საოპერო თეატრში არ დამუფლებია მსგავსი განცდა: აქ თითქოს მხოლოდ მსმენელი კი არა, რაღაც უცნაური პილიგრიმიც ხარ – ჩადენილი თუ ჩაუდენელი ცოდვების მოსანანიებლად მოსული კომპოზიტორ ვაგნერთან! აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო, როცა თუ მთლად ორი ათასს არა, ათას ხუთას მოქვითინე, საკუთარ პანია სკამზე ჩამხობილ ადამიანს მაინც ხედავ შენს გვერდით და ამაზე მნიშვნელოვნად – ვაგნერის ცოცხლად მოსმენაზე მნიშვნელოვნად – აღარაფერი გეჩვენება ამქვეყნად. კათარზისია, სხვა რა დავარქვა? მარტო ჩემი სუბიექტური განცდები რომ იყოს, კიდეც, ჰო, იმპულსურ მელომანად ჩამთვლიდით, მაგრამ ყველა რომ ასეთ დღეშია?

ვაგნერის შემთხვევაში ასეა: როცა მის მუსიკას მოუსმენ, სიამაყისა და კმაყოფილების განცდა გეუფლება; გეჩვენება, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი და უჩვეულო ეტაპი გადაგელახოს შენს ცხოვრებაში, სხვა კომპოზიტორთა შემთხვევაში კი ასე არაა – სხვებთან, თუნდაც ვაგნერზე არანაკლებ (თუ მეტად) გენიალურებთან, თითქმის არასდროს გეფიქრება წამის მნიშვნელოვნებაზე და ვერც ისე ამაყად და თავმომწონედ გადი-გამოდიხარ, ვთქვათ, დონიცეტის რომელიმე ოპერის ანტრაქტში, როგორც ეს „ვალკირიის“ პირველ და მეორე მოქმედებებს შორის გამოგდის!

მარტივად რომ ვთქვათ, ვაგნერთან სულ სხვა კაცი ხდები...

ფესტივალის ასოცდაცამეტწლიანი არსებობის მანძილზე მრავალი რამ შეიცვალა ამ შენობის გარეთ: ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულმა კოზიმა ვაგნერმა შვილს, ზიგფრიდს გადააბარა ფესტივალის მართვა, თუმცა ზიგფრიდი დედის გარდაცვალებიდან ოთხ თვეში მიიცვალა (ზიგფრიდ ვაგნერი თავადაც წერდა ოპერებს, მაგრამ დღეს მისი თოთხმეტივე ოპერა პირწმინდადაა მივინყებული), ამის შემდეგ ზიგფრიდის ცოლმა, ვინიფრედმა ითავა ფესტივალის გაძლოლა. ეს ყველაზე შავი პერიოდია ბაიროითისთვის. ვინიფრედი ფანატიკოსი ჰიტლერიანელი გახლდათ და, ფაქტობრივად, ძია ადის (ასე უწოდებდნენ მას მისი შვილები, ფესტივალის მომავალი პატრონები, ნორჩი ვილანდ და მოლფგანგ ვაგნერები) არჩევინებდა დირიჟორებსა და მომღერლებს. ჰიტლერს ყველაზე მეტად ტენორი მაქს ლორენცი ჰყვარებია, ცხონებული ზიგფრიდ ვაგნერის კრიტიკას კი საჯაროდაც არ ერიდებოდა – ამ ბიქესულმა ებრაელი მუსიკოსები მოამრავლა ბაიროითშიო. ვინიფრედისა და ჰიტლერის ეპოქის დასრულების მერე ბაიროითის ნახევრად დანგრეულ თეატრს (მოკავშირეთა თვითმფრინავების

ბომბებმა დრეზდენივით მიწასთან გაასწორეს მუსიკალური ბაიროითი) ვაგნერის შვილიშვილები, ხსენებული ვილანდი და ვოლფგანგი ალადგენენ. დღეს ორივე რეფორმატორეფისორად ითვლება. ვოლფგანგი, ბებია კოზიმას მსგავსად, ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა გასულ წელს, დღეს კი ფესტივალს მისი ორი ქალიშვილი, კრიტიკოსთა მიერ მრავალგზის გაათახული ევა და კატარინა ვაგნერები მართავენ. კატარინა სკანდალურ სპექტაკლებს დგამს – „მაისტერზინგერების“ პერსონაჟებს თავისი დიდი ბაბუების, ვაგნერისა და ლისტის უშველებელი ნიღბებით დაარბენინებს სცენაზე, ხოლო კრიტიკოსების პროტესტს ასე პასუხობს: ჩემს ბაბუებს რასაც მოვისურვებ, იმას ჩამოვაცვამ თავებზე, თქვენ თქვენს ბებია-ბაბუებს მიხედეთო. თუმცა მარტო კრიტიკოსები რომ ჩიოდნენ, კიდეც არაფერი, სხვებიც ხმაურობენ – ვაგნერების „კლანი“ ფესტივალის მართვის სადავეებს უნდა ჩამოვასწოროთ, ბაიროითი მარტო მათ კი არა, მთელ მსოფლიოს ეკუთვნისო.

>>> ბაზრქილება გვ. 110





თეთრი ადამიანის ბილიკებით

<<< ღასანყისი გვ. 40

გარანტია მივეცი, თუმცა დიდად დარწმუნებული არ ვიყავი. შეიძლება, შემეტყო და ეჭვის თვალთ დამინყეს ცქერა. ყაზბეგისკენ მიმავალ გზაზე დაძაბულობის განსამუხტავად ერთ-ერთს ვკითხე: სად მუშაობ-მეთქი და არ მიპასუხა, რაღაც ჩაიბუზღუნა – ბევრი სხვადასხვა სამსახური მაქვს გამოცვლილი... როჭო პირველ სალამოსვე ვნახეთ და ჯგუფს გამოცოცხლება დაეტყო, მეორე დილას შურთხიც დაგვენახა და ხასიათი ყველას გამოუხსნორდა და იმავე სალამოს დიდი წანწალის შემდეგ გერმანელებმა დიდი კოჭობაც იხილეს.

– მე მას ვხედავ, შესანიშნავი მამალია, – თქვა კლიენტმა, მერე ტელესკოპს თვალი მოაცილა და გამიღიმა, – შენ მეკითხებოდი, თუ სად ვმუშაობ? „ბოშის“ ქარხანაში ვმუშაობ, ოცი კაცი მყავს დაქვემდებარებაში... და ამის მერე დავმეგობრდით, კიდევ ოთხი დღე ვიყავით ერთად და შესანიშნავი დრო გავატარეთ. მართლა კარგი კაცი აღმოჩნდა და მაგრა მოვიწყინე კიდევ, როცა ტური დამთავრდა და აეროპორტისკენ მიმავალ შარაგზას დავადექით – აი, იმას ვაშინგტონელი დიდი თეთრი მამის სახელი რომ ჰქვია.

ის მოგზაურობა იმითაც იყო შესანიშნავი, რომ ფრინველების გარდა ვნახეთ ოთხი მამალი ჯიხვიც, რომლებიც სულ უფრო ძნელი და იშვიათი სანახავია ჩვენს მთებში...

იყო დრო, როდესაც სიტკა ჩარლი ნადირობდა და ხორციც მიჰქონდა სახლში. ოღონდ ეს იმდენად დიდი ხნის წინ იყო, რომ ახლა ასე ეჩვენე-

ბა, თითქოს სხვა ადამიანი ხარობდა მარჯვე გასროლით, სხვა მღეროდა სანადირო სიმღერებს და მოკლულ ფეხმარდ ნადირს სხვა ებოდიშებოდა. ახლა თითოეული მოკლული ნადირი ჩარლის ისე აგონდება, თითქოს ადამიანი მოეკლას. სიტკა ჩარლის ახსოვს სანადირო კოცონებთან მოყოლილი ამბები იმ დროზე, როცა მისმა ტომმა ზომიერება იცოდა, როცა მონადირეები საუკეთესო რქებს ღვთაებებს სწირავდნენ, რომ ნადირობაში ხელი მომართვოდათ, ყველაზე იღბლიანები კი ბოლოს მიწაში მარხავდნენ თოფს, რომ აღარასოდეს გაესროლათ, რადგან ნადირის ცოდვისა ეშინოდათ. ეს ყველაფერი ჩარლის გაუგია, მაგრამ თავის თვალთ არ უნახავს. როდესაც სანადირო ბილიკზე გავიდა, მის ტომს უკვე დაკარგული ჰქონდა ზომიერება, ამიტომაც ჩარლის მარტოს უყვარდა ნადირობა. სწორედ მაშინ, თოფით ხეტილისას ისწავლა ნადირის და ფრინველის ქცევები და ალაგები, რომლებიც ასე გამოადგა თეთრი ადამიანის მეგზურობისას და თუმცა მთასა და ბარში უკვე აღარ იყო იმდენი ნადირი, რამდენიც მისი წინაპრების დროს, მაგრამ სიტკა ჩარლის სამყოფი მაინც იყო და ეს მაინც კარგი დრო, კარგი ნადირობა იყო, რადგან ჰაერში ჯერ არ დაფრინავდნენ სიკვდილის მთესველი რკინის მანქანები. მერე კი მისი ტომის დანიშნულებულმა სამხედრო ბელადებმა ჰაერიდან დაიწყეს ნადირის ხოცვა. სიტკა ჩარლის უჭირს წარმოდგენა, თუ რას გრძნობენ ეს ადამიანები, როდესაც ამაყ და ძნელად მოსახელთებელ ნადირს სულ იოლად და დაუნდობლად წინილებივით ყუჟავენ, სიტკა ჩარლის

ამ ხალხის სახეების წარმოდგენაც უჭირს – მისთვის ისინი უსახურები არიან და კიდევ კბილებამდე შეიარაღებულები და სახიფათოები. სიტკა ჩარლი ისევე მიწაზე დადის მამა-პაპის ნასწავლი ბილიკებით, ისინი კი ცაში ფრენენ და არ იციან სიბრალული, ფრენენ ხან ჩრდილოელი ქერა ხალხის დანატოვარი მანქანებით, ხანაც ვაშინგტონელი დიდი თეთრი მამის ნაჩუქარი „იროკეზებით“ (იროკეზი აშშ-ში და კანადაში მაცხოვრებელ ანტიკანურ ენებზე მოლაპარაკე ოდესლაც ძლევამოსილ ინდიელთა ტომების კრებითი სახელია) და ცაში, მთაში არ გაისმის ხმა უფრო საზარელი, ვიდრე ამ მანქანების ხრიალი, ვიდრე მისი ფანჯრებიდან გადმოყოფილი ავტომატური იარაღის ბაბანი.

და სიტკა ჩარლიმ ნადირობა შეიძულა, იარაღიც შეიძულა და შაშხანაც გაყიდა, თუმცა სჯობდა, დაემარხა და საფლავის ადგილიც დაევიწყებინა. თავის ტომის ახალგაზრდა ხელსწრაფ მონადირეს მიჰყიდა იაფად და ძველი ანდაზაც „თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსო“ – დააყოლა. ახალგაზრდა მონადირე კმაყოფილი ჩანდა, ერთი სული ჰქონდა, თოფს როდის გამოცდიდა, იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ მონივნების და სიამაყის გარეშე არც ნადირობას და არც სხვა რამეს რომ არ აქვს აზრი.

ამიტომაც უყვარს სიტკა ჩარლის უცნაური ჭოგრიტიანი თეთრი ადამიანების მეგზურობა, რადგან თვისტომებში ვერ ხედავს მსგავს პატივისცემას ბუნებისა და მისი შვილების მიმართ. თეთრი ადამიანები ფრინველთა ხილვით არიან ბედნიერნი და იარაღისკენ არასოდეს გაექცევათ ხელი და კიდევ სიტკა ჩარლის მათი განვლილი ცხოვრების, მათი უსისხლო თავგადასავლებისა შურს.

სულ ცოტა ხნის წინ, აგვისტოს ბოლოს, ჰოლანდიელ ცოლ-ქმარს ვემგზურობდი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბერდვორინგი, მეტწილად, კაცების გასართობია. ბერდვორინი ქალები უფრო საკუთარი ქმრების დღემდე მოსიყვარულე ხნიერი მეუღლეები არიან ხოლმე. მათი ხართით ჰკიდიათ კისერზე არცთუ მიძიმე

დურბინდი და ჩანთით თხელყდიან ფრინველთა საძიებელ წიგნსაც დაატარებენ. ქმრებთან ერთად უტყვად იტანენ მეჩიტის ბილიკის ყველა სირთულესა და გასაჭირს (სიტკა ჩარლის მოსწონდა ასეთი ქალები).

აგვისტო ბერდგოჩინგისთვის მკვდარი სეზონია, ბარტყები უკვე დაფრთიანებული არიან, ბუდეები ცარიელია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მტაცებელთა მასიური მიგრაცია (რაც ასე ახარებს თეთრი ადამიანის თვალს) ჯერ არ დაწყებულა... ჰოლანდიელებმა ეს იცოდნენ, მაგრამ მაინც წამოვიდნენ სამოგზაუროდ და იმის ნახევარიც ვერ ნახეს, რასაც გაზაფხულზე ნახავდნენ, მაგრამ იმდენად კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ, რომ აქეთ მამშვიდებდნენ: ვიცოდით, რა ავანტიურაზე მივდიოდით, ვიცოდით, სეზონი რომ არ იყო და 2012 წლის გაზაფხულზე აუცილებლად დაბრუნდებითო...

მოკლედ, ჩვენ დავმეგობრდით. ძალიან თბილი ხალხი იყო – მეტადრე კაცი... იშვიათი ჩიტების ძებნაში მასაც მოვლილი ჰქონდა მსოფლიო და გალაპაგოსის კუნძულებზეც კი იყო მოხვედრილი. იმდენი მაინც არ ენახა, რამდენიც უცნაურ ბელგიელს, მაგრამ მისი სმენაც საამო იყო, თანაც ჰქონდა რალაც, რაც ჩვეულებრივ მიზანსწრაფულ მეჩიტე ტურისტებისგან გამოარჩევდა. აი, რა მოყვა მაღალმა ჰოლანდიელმა:

– ოციოდე წლის წინ მაროკოში მცირე კრონშნეპი მყავს ნანახი. იცი, ალბათ, ეს ფრინველი აღარ არსებობს – გადაშენდა. მაშინ უკვე აღარ არსებობდა. მაინც ვნახეთ. ვიცოდით, რომ იქ ჯერ კიდევ შეიძლებოდა, გვეპოვა და ვიპოვეთ კიდევ... ძალიან გამიჭირდება ჩემი გრძნობების გადმოცემა. მე ვუტყქერდი ფრინველს, რომელიც უკვე აღარ არსებობს, რომელსაც უკვე ვეღარავინ ნახავდა. მეგონა, გამიხარდებოდა, მაგრამ ეს არ იყო სიხარული... სევდა უფრო იყო. ეს მოხდა მაროკოში 1991 წელს. ადგილს, სადაც ფრინველი ვნახე, მერჯ ზერგდი ერქვა...

მერე მე და ჰოლანდიელი გაშავებულ მყინვარწვერს შევცქეროდით, რომელიც სულ აღარ ჰგავდა ჩემი ბავშ-

ვობის საოცნებო დიდ თეთრ მთას. ხელი მისკენ გავიშვირე და თანამგზავრს ვუთხარი, – ოცდაათი წელია ამას ვუყურებ და, დაუჯერებელია, მაგრამ მყინვარები ჩემს თვალწინ პატარავდებიან და ქრებიან. მეშინია, ჩემმა შვილიშვილებმა ეს მთა მთლად შავი არ იხილონ.

ჰოლანდიელმა ხელი ჩაიქნია, თითქოს ამაზე საერთოდ არ უნდოდა საუბარი, მაგრამ მაინც თქვა:

– ვინ იცის, რა პლანეტას ვუტოვებთ ჩვენ შვილიშვილებს, სამხუხაროდ ამაზე თითქმის არ ვფიქრობთ...

და თუმცა ინდიელის გონება ყველაზე ნაკლებად განზოგადობისკენაა მიდრეკილი, სიტკა ჩარლის მაინც გლობალურმა ფიქრებმა დარიეს ხელი. ეს მძიმე ფიქრები იყო – პლანეტის მომავალზე, ყველა ტომის, ყველა ადამიანის, ბუნების ყველა შვილის საერთო მომავალზე. რალაც ხანი ამ ფიქრებით დამძიმებულმა იარა ჩარლიმ, სანამ ძალიან უცნაური რამ არ შეემთხვა, სანამ ჩარლიმ პირველად არ იხილა თავის ცოცხალი თანამოძმე...

ეს სექტემბრის ბოლოს მცხეთის სალობიში მოხდა. ჩემი უკანასკნელი კლიენტი სიმპათიური ამერიკელი პროფესორი, მოყვარული მეჩიტე იყო. სულ სხვა საქმეზე იყო ჩამოსული და დურბინდი მაინც წამოეღო თან. იმ საქმეებმაც კარგად ჩაიარა და ფრინველებიც დაგვენახნენ ალაგ-ალაგ. ორივე კმაყოფილი და ვალმოხდილი მივირთმევედით სალობის მენიუს, როდესაც მონღოლური გარეგნობის უზარმაზარი კაცი წამოგვადგა თავზე.

– თქვენ გვერდით მაგიდაზე ვიჯექი და შენში ამერიკელი ამოვიცანი, – მიმართა მან პროფესორს. – საიდანა ხარ?

– სიტელიდან, თქვენ?
– მე მონტანას შტატიდან, კრის ტომის რეზერვაციიდან ვარ.

და, აჰა, ჭეშმარიტების მომენტი – გულზეხელებდაკრეფილი ცოცხალი ინდიელი მაღდა თავზე. კრის ტომზეც რალაცები მქონდა წაკითხული...

– აქ რას აკეთებთ? – ჰკითხა სიტელელმა პროფესორმა.

– ინგლისურის მასწავლებლად ჩამომიყვანეს სახელმწიფო პროგრამით, –

იყო ღირსეული პასუხი და ინდიელი გაგვმორდა, ამაყად გაემართა გასასვლელისკენ. კრის ტომის მეომარი ერთ-ერთი იყო ათი ათას მამაცთა შორის, რომელთაც სიტკა ჩარლის ქვეყანა ბნელეთიდან უნდა ეხსნა...

და რა ქნა სიტკა ჩარლიმ? გგონიათ, გაეკიდა „ზემლიაკ“, „ზემლიაკის“ ძახილით და გულში ჩაიკრა? არა, სიტკა ჩარლი ადგილზე დარჩა, „მაგარ შარში ხარ, ძმაო!“ – ესლა გაიფიქრა კრის ზურგის მაცქერალმა და მიხვდა, რომ მისი გლობალური ფიქრები დამთავრდა, რომ სიტკა ჩარლი სახლში დაბრუნდა. სიტელელი პროფესორიც თავისას ფიქრობდა, ოღონდ ხმამაღლა. აი, დაახლოებით რა ჩაილაპარაკა:

– ეს კაცი, ალბათ, სულ სხვა ამერიკის შესახებ მოუყვება თავის ქართველ სტუდენტებს. ამათთვის ამერიკის ისტორიის ყველაზე მთავარი მოვლენა დღემდე ლითლ ბიგ ჰორნის ბრძოლა (1876 წლის 26 ივნისს მონტანის შტატის ტერიტორიაზე მომხდარი ბრძოლა „მჯდომარე ხარის“ და „ცოფიანი ცხენის“ მეთაურობით საომარ ბილიკზე გამოსული დაკოტების და ჩრდილოეთის ჩეიენების გაერთიანებული რაზმის და ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე კავალერიის შენაერთებს შორის, რომელიც ამ უკანასკნელთა სრული განადგურებით დამთავრდა)... ვერც გაამტყუნებ. ჩვენ ძალიან, ძალიან დამნაშავეები ვართ მათ წინაშე... მაგრამ, იცი, კანადა კიდევ უფრო უარესად ექცეოდა ბუნებრივ ამერიკელებს – ინდიელებს, რასიზმი იქ კიდევ უფრო მძინვარებდა, ვიდრე – ჩვენთან. კანადის პრემიერ-მინისტრმა მხოლოდ 2008 წელს მოიხადა საჯარო ბოდიში...

მაგრამ სიტკა ჩარლი მას უკვე ვეღარ უსმენდა, სიტკა ჩარლი შინ იყო – განათებულ მთა-ბარში. პლანეტური ხიფათები და თეთრი ადამიანების ნაამბობები სადღაც შორს დარჩა. ჩარლი ახლა მხოლოდ საკუთარი ბეღების სიბრძნეზე ფიქრობდა და კიდევ თავის ქვეყანაზე, რომელიც ვითომ თეთრი ადამიანების წაბადვით შენდებოდა, ოღონდ თეთრი ადამიანის მთავარი ჯადოქრობა, მისი მთავარი ძალა – კანონი და ღირსება ჯერ არსად ჩანდა.



„რაფაელ ზა რეპოტკოი“

<<< ღასაწყისი გვ. 50

„ეს არ არის შემოქმედება, კაცმა ნახა რალაც ინტერნეტში, გადააკეთა-გადმოაკეთა, გამოიტანა, გაყიდა – ეს ბალი ამის ადგილია“. ორიგინალური და ფასეული ნამუშევრები, ძირითადად, სახლში აქვს. მაინც იშვიათად ყიდულობენ. თანაც, კიჩის და ხელოვნების ათქეფა არ უნდა. თუმცა ერთი-ორი მაგარი ტილო მაინც აქვს გამოტანილი. როცა ცოტა ფული ჩამივარდება, აუცილებლად ვიყიდი. კაპიტალდაბანდება. დარწმუნებული ვარ, ოდესმე ძალიან ძვირი ელირება, ჰენრი მილერის ნახატებით.

მისი ნამუშევრები მოთხრობების ერთგვარი გაგრძელებაა. ამ პატარა გროტესკულ ფიგურებში და ნაივიზმის ესთეტიკის ტილოებში გასაოცარი ამბები იკითხება. ზოგჯერ სასტიკი, ზოგჯერ კომიკური ამბები. სახელწოდებებიც მთელი ნარატივია: „დირიჟორი ფეხზე ეამბორება მეგიოლინე ქალს ვირტუოზული დაკვირისთვის“, „კონტროლიორი ქალი სელენიოვა შიდაგანანეს არღვევს – გასეირნების დროს ქვედაბოლოს ისწორებს“. ისევე, როგორც მოთხრობებში, აქაც, ზურაბ ლეჟავა დეტალების ხარჯზე აღწევს ექსპრესიულობის მაღალ დონეს. პატარა დეტალები აცოცხლებენ ამბავს. არ ვიცი, როგორ ახერხებს, მაგრამ ხანდახან ისეთ დეტალს ან მეთაფორას მოხვევს, სადაც არ ელი, რომ ერთი მხრივ, სახტად დაგტოვებს, მეორე მხრივ კი, განანებს – ეს აქამდე მე როგორ ვერ დავინახეო.

ბერნარდინთა ორდენის გოთიკური მონასტერი. აქა-იქიდან საკნებში გამოწყვედილი ადამიანების გმინვა ისმის. სარკმლიდან დღის შუეი ძლივ-ძლივობით აღწევს. აქ მზე ვარდს და ნეხვს სწორად არ მოეფინების. აქ მზე სტატიკურად ერთ ალაგს ეცემა, ისიც – დღის მცირე მონაკვეთში. თითქოს კედელზე გიგანტური ლოკოკინა გაცოცდა, ისე ბრჭყვიალებს ეს ერთი ზოლი. ვირთხა გვერდს უვლის მზიან ადგილს, როგორც რალაც უცხოვს და საშიშს. დერეფანში ელექტრონათურები ბუჭუტავენ; გვირაბში აწყვეტილად მიმავალი მატარებლის ვაგონში გეგონება თავი. შემდეგი გაჩერება – ჯოჯოხეთი.

გარედან გასროლის ხმა აღწევს. სახელდახლოდ გამოჩარხული ტყვია მიფრინავს. მიფრინავს, როგორც უნდა მიფრინავდეს თავისუფლების სიმბოლო – ვიუტად და უმიზნოდ. დერეფანში მძიმე ნაბიჯების ხმა ისმის. რკინის ჟღარუნი. ის წინ მოიწევს. სადაცაა, ლოკოკინის ბილიკზე გაიღვევს. ნახევარ მეტრზე გრძელი მისი ხმლიდან არეკლილი სინათლე ობიექტივს ეცემა. ნელ-ნელა გამოიკვეთა უცხოვს სილუეტი. მხარზე მბოლავი ფოლადის მილი. მაიაკოვსკის ენასავით ბასრი სატეფარი. მეორე კიდური ფარსუკან შეუმაღავს. მუხლები და მხრები რეზინის აბჯრითაა დაცული. უცხოვს ზურგს ნაჭერი უფარავს, რომელზეც ჯვარია ამოქარგული. საინჟინრო ჩაფხუტსა და აირწინაღს შორის მხოლოდ

ორი თვალი მოჩანს. უპეებში შეხიზნული თვალები, რომელიც მხოლოდ ერთ რამეს გეუბნებიან – დაგენძრა!

განგაშის გამაყრუებელი ხმა. დერეფანში ორი ფორმიანი შემორბის. უცხო ერთ-ერთ მათგანს მაშინვე დაიფრენს. მეორეს ხმლით სახეს უსერავს. მას პირიდან ოთხი ოქროს კბილი ცვივა, როგორც საზამთროს კურკები. სისხლის შხეფის და მფრინავი კბილების შენელებული კადრი მსხვილი პლანით. ფორმიანი ძირს ეცემა, გოჭივით ჭყვიტინებს და ფეხებს იქნევს. ხმლის ერთი მოქნევა და მის ფეხსაცმელს ძირი ესხიბება ლურსმნებიანად. უცხოვს მომხდურის თავზე აღუმართავს სიკვდილის იარაღი. იგი ჰგავს ჯოშუას იერიქონთან, ან საჰელოუნიოდ დარტანიანის სამოსში გამოწყობილ დართ ვეიდერს, რომელმაც, ეს-ესაა, ობი ვან კინობი უნდა განგმიროს. თვალს თუ დაახამხამებ, ყველაფერს გამოტოვებ და....

ეს არ არის რობერტ როდრიგესის მომდევნო პროვოკაციული ბლოკასტერის სცენარი. ეს ზურაბ ლეჟავაა, გაიცანით! ამ გენიალური პერფორმანსისთვის მას თავდაპირველი განაჩენი თითქმის გაუორმაგეს. ბერნარდინთა ორდენის აშენებული და შემდგომში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსაკუთრებულად მკაცრი რეჟიმის საპყრობილედ მოდიფიცირებული, როგორც ზურამ თქვა – ოთხი სვეტიცხოვლისხელა ნაგებობა – უკრაინაში მდებარეობს. ბერნარდინთა მონასტერში დღე ასე დასრულდა: „ის პრაპორშიკი კარგი კაცი იყო. ცუდი არ იყო. სამსუხაროდ, მაინცა და მაინც კაი კაცი გხვდება, რა. რალაცნაირად შემეცოდა ადამიანი, ვერ გავიმეტე. გადავაგდე ხმალი. ოქროს კბილები რომ გავაყრევი, რალაც სხვანაირად იმოქმედა. მე რომ იმისთვის და მეორესთვის თავი მომეჭრა... აბა, რა აზრი ჰქონდა. ის კაცი არაფერ შუაში იყო. ის ჩემს წინაშე არ იყო დამნაშავე. თავიდან გგონია, იმას ვერ მივწვდები, მაგრამ ამას დედას ვუტირებო. მერე დაინახავ ფეხებს როგორ იქნევს და, არ გამოდის, რა!“ – ამბობს და ლუდს იყუდებს.

ხმალი რომ გადააგდო სამზარეულოში შევარდა და ჩაიკეტა. სპეციალურად ახალი ბოტასები ჰქონდა ნაყიდი, რომ კარგად ერბინა. მაგრამ სტრატეგიუ-

ლი სვლით მოახლოებულ სპეცრაზმს დაუტენავი თვითნაკეთი თოფით დიდხანს ვერ შეაყოვნებ. დანარჩენი უკვე დროის ამბავი იყო.

სასტიკად გაუსწორდნენ: „მოგდის სისხლი, გაჭრილი არ გაქვს, არც დალურჯებული, მაგრამ კანიდან ჟონავს სისხლი და რაღაც სითხე. თან აპრილი იყო და რომ გავიღვიძე იზოლატორის იატაკზე მიწებებული ვიყავი“. თვითონაც არ იცის, რატომ არ დაამტვრიეს ხელფეხი და მიუგდეს საჯიჯგანდ ევრაზიულ ავჩარკა ნელმას. „ვიცი, ჯვრის მიმართ ცოტა სხვა დამოკიდებულება აქვს თქვენს თაობას, მაგრამ მე, მაგალითად, შველა მიგრძენია. დიდი მორწმუნე არ ვარ, მაგრამ მქონია შემთხვევები, ჯვარს უშველია. ამ შემთხვევაშიც ჯვარმა მიშველა“. არა, მართლა ძალიან კეთილია ზურა. ბოლოს თქვა, მაგრამ ხომ მცემეს, მაგრამ იმ ხალხს მაინც პატივს ვცემ, ხელსაც ჩამოვართმევ და ერთ-ორ ჭიქაზეც დავპატიჟებ თუ შემხვდნენო.

ეს ამბავი 1990 წლის 11 აპრილს მოხდა. 9 აპრილის წლისთავს უმიზნებდა. რამდენიმე თვის მანძილზე ემზადებოდა. პრომზონაში აბაჟურისგან ფარს ჩარხავდა, სამართებელივით ბასრ ხმაღს დრეკადი ფოლადით, 9 მმ ნახურეტს მიღში თვითნაკეთი თოფის, ე.წ. „სამაპალის“ დასამზადებლად, ამ თოფის ერთადერთ ტყვიას, სამუხლებს „ტრანსპორტიორის ლენტისგან“, სამხრებს რბილი რეზინისგან. ჯვარიც კი მოიქარგა, რომ მოესხა.

ქვეყანას გაუბრაზდა. „როგორც ჩვენთან პოლიცია მიემხრო ხალხს, იქ ხალხი მიემხრო პოლიციას. ლაპარაკობდნენ — „ვოტ ბლიაძი! პიდარასტი! ტაკ ი ნადაო!“ 9 აპრილს ვაპირებდი ამის გაკეთებას. გამოვიცვალე, კაი სუფთა ტანსაცმელი ჩავიცვი. ცხრაში ვერ გავბედე, ათშიც ვერ გავბედე, თერთმეტში გავბედე“.

ამ და სხვა „დარღვევების“ გამო, ზურას, საბოლოო ჯამში, 23 წელი მიუსაჯეს. ათწლიან განაჩენს კიდევ ცამეტი წელი დაემატა. 22 წლის იყო, როცა დაიჭირეს. კავკასიური გარეგნობის ბიჭის გაჩხრეკა მოინდომა ერთმა მილიციონერმა. ზურამ იუკადრისა, შელაპარაკების დროს რკინა მოუქნია და თავში მოარტყა. ალაღბედად მანცდამანც თავში მოხვდა. პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფა გაუფორმეს. თექვსმეტი წელი მოიხადა.

ციხეში შეამჩნიეს. 1994-95 წლებში მონაწილეობა მიიღო ჯგუფურ გამოენაში, რომელიც სოროსის ფონდმა ჩაატარა პატიმრებისთვის. კონკურსში რომ გაიმარჯვა, ციხის ადმინისტრაციას ზევიდან მითითება მიუვიდა. ზურას სახელოსნო გამოუყვეს, სადაც უკვე ხეზე მუშაობა შეეძლო. კიევის გალერეებში დღემდე ინახება მისი 50-მდე ნამუშევარი. მერე საბჭოთა კავშირი დაიშალა, კანონი გამოვიდა, პატიმრები სამშობლოს ციხეში გაამწესეთო და ზურაც საქართველოში გამოამგზავრეს.

გაზეთს მიწვდის, „გაზეთები, რომელშიც ჩემზე ეწერა, მანსარდაზე მენყო. ვირთხამ შეჭამა. ქართულს პირი არ დააკარა და უკრაინული ყველა შეჭამა. ერთი იყო, „ზდრასტეუი ზურაბ ილი რაფაელ ზა რეშოტკოი-ო“.

ქართულ გაზეთში მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მიმართვაა ედუარდ შევარდნაძისთვის, თხოვნით ზურაბ ლეჟავას შეწყალებაზე. 1998 წლის გამოცემა. „პატიმარი კი ხარ, მაგრამ / „შვილო ზურაბ, სადამი?“ / ნუ შეკრები იყავ მაგრამ / გამოგიყვანთ ვადამი“-ო, — წერს ჯანსუღ ჩარკვიანი.

ასე ჩამოაკლდა ექვსი წელი ზურაბ ლეჟავას განაჩენს. 1998 წელს ის ციხიდან გამოვიდა. ბუნება უყვარს და ციხეშიც პატარა, იაფფასიან მინის ნაკვეთზე ოცნებობდა, სადაც სოფლის ცხოვრებას მიჰყოფდა ხელს. „დაახლოებით ასე კი ვარ. პატარა ეზო, პატარა სახლი. მაგრამ არც ისე ადვილია. სათქმელადაა ადვილი. ძროხა კვდება, ქათმებსაც ჭირი ემართებათ, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. რაღაც საშუალო გამოინახა. რამდენიმე ქათამი მყავს და ხეები — ათასნაირი“.

ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. უფროსი რვა წლისაა, უმცროსი — ოთხის.

წერისთვის დრო აღარ რჩება. დიქტოფონი სჭირდება, რომ ის ზღაპრები ჩაიწეროს, ბავშვებს რომ უგონებს ძილის წინ. „რადიო თავისუფლებიდან დისკი გამომიგზავნეს. ჩემს შესახებ რაღაც გადაცემა ყოფილა. ორი წიგნიც მოაყოლეს — „თავისუფლების დღიურები“. იქა ცნობილი პიროვნებების ჩანაწერები, აი, ორშაბათს ნავედი რაღაც სიმპოზიუმზე, სამშაბათს ნავედი რაღაც ფონდში,

რომელიც ამას აფინანსებს. მწერალია, იქიდან რაღაც, აქედან რაღაც... მერე ის კაცი ზის და წერს. ეს რაღაცები ჩემთვის არის, როგორც ბნელი ტყე. რომ წერო ხომ უნდა იარსებო, ოჯახი უნდა არჩინო. უბრალოდ არ მრჩება ამის დრო“.

აი, ასეთი გახლავთ ზურაბ ლეჟავა. საინტერესო ავტორი და ჩემი მოკრძალებული აზრით, რაც უფრო მთავარია, საინტერესო პერსონაჟი. მხატვარი, მოქანდაკე, მწერალი, რომელიც აღწერს სამყაროს, სადაც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ, მაგრამ რატომღაც, იშვიათად ვხედავთ. სწორედ ეს აღწერა აკლია დღეს ყველაზე მეტად ქართულ კულტურას. მაგრამ სინამდვილეს, რომელიც ფანტაზიაზე უცნაურია, ავტორებიც და მკითხველებიც სიმულირებულ რეალობას ამჯობნიებენ. მწერლები ცდილობენ, ამერიკელებს საქართველოში გამოემცხვარი ჰამბურგერი მიჰყიდონ. მხატვრები დასავლური თუ აღმოსავლური კონტექსტების კალკირებას ეწევიან. ავიწყდებათ, რომ ლექსიც, მათემატიკური ფორმულაც და საერთოდ, სილამაზე, უკვე არსებობს. ავტორი მათ არ იგონებს და არ ქმნის. ქმნის ღმერთი, კოსმოსური კანონზომიერება, თუ ბუნებრივი ევოლუცია. ავტორი უბრალოდ ხედავს და აღწერს. ამისთვის, ლოკალური კონტექსტი კი არ უნდა დააიგნორო, როგორც საზიზღარი, ბანჯგვლიანი უფროსის ხალი, არამედ დაინახო და გაისიგრძეგანო. როგორც ჩემი საყვარელი ქართველი მწერალი იტყოდა: „თუ ხარ მარტო, თუ უბედობა დაგბედა, თუ სამყოფლად გრგები ადგილი, რომელსაც ყველა გაურბის, თუ შენ გარშემო შეკრებილი, ერთი შეხედვით, შენაირ არსებათა შორისაც ვერ გიპოვნია შენი ადგილი და ცოტაოდენი ცვალებადობაც კი გაფრთხობს, ჩაქნეული გაქვს ხელი წარსულზე, ანმყოსა და, რაც მთავარია, მომავალზე, მაშინ შენ ბედნიერი კაცი ხარ, რამეთუ შეგიძლია დაინახო ის, რაც შენამდე ჯერ შეიძლება, არავის დაუნახავს, რის დანახვაც შენს გარდა არავის ძალუძს, რადგან მხოლოდ ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, შეიძლება დანახვა ყოველივე ამის!“

ჰო, კინაღამ დამავიწყდა. მთელი გულით ვულოცავ ზურას. მისი მოთხრობა „მაცივარი სექსისა წილ“ შევა საუკეთესო ევროპულ მოთხრობათა კრებულში, რომელიც შეერთებულ შტატებში გამოიცემა.



კოსმონავტი ბელა კუპრაშვილი და ავანგარდული მოდის ასამბლეა

<<< დასაწყისი გვ. 54

მერე კი შოზო შიმამოტომ უსაფრთხოების ქამარი მაგრად მოიჭირა, საკუთარ ასისტენტებსაც მოეხმარა. ერთი ასისტენტი მარგო კორაბლიოვას თეატრის მსახიობიც იყო, ლაშა მიქაბერიძე. ამნეს კალათა მათ სათითაოდ ეწეოდა ჰაერში, ლამის შეველმფრენის სიმაღლეზე და ისინი იქიდან ნამდვილი სპორტული ოვაციების ფონზე სხვადასხვა ფერის საღებავებით სავსე ქილებს ისროდნენ ქვემოთ. ჯეკსონ პოლოკის სამუზეუმო აკადემიური ელფერისგან განსხვავებით, შოზო შიმამოტოს, ისევე, როგორც საერთოდ თანამედროვე იაპონურ ხელოვნებას, დიზაინის გაღმერთებასთან ერთად, ასეთი უშუალოების და იუმორის გრძნობაც აქვს გამოყენებული, თითქოს ეს სპორტი ყოფილიყო და არა ხელოვნება.

შოზო შიმამოტოს ამნეს პერფორმანსების ნახატები დღეს საშუალოდ 25 ათას ევროდ არის შეფასებული მსოფლიოს არტ-მარკეტებზე.

შემდეგ, ახლადგახსნილ იაპონურ სახლში იყო მიღება. ეს სახლი ჯერ კიდევ იაპონიის არარსებული საელჩოს ფუნქციას ასრულებდა. შოზო შიმამ-

ოტომ რამდენიმე ორგანიზატორს საკუთარი ლითოგრაფიები გადმოგვცა საჩუქრად, ხოლო დიდი ფერწერული ტილო ავანგარდული მოდის ასამბლეს საკუთრებაში გადავიდა.

მეორე ასეთი საერთაშორისო ვარსკვლავი ალტერნატიული მოდის სცენიდან ანდრეი ბარტენევი იყო, ვინც ცოტა ადრე, ავანგარდული მოდის მეორე ასამბლეაზე ესტუმრა თბილისის 1996 წელს. მოსკოველი ტანსაცმლის თეატრის არტისტული დირექტორი პეტლიურა თბილისში ორჯერ მონაწილეობდა ამ ფესტივალში. ის საკმაოდ დიდი ჯგუფით ჩამოვიდა თბილისში თავის მომავალ მეუღლე ნატაშასთან ერთად და მათ, როგორც განმარტებული მეტრების, გამოსვლას ყველა მოუთმენლად ელოდა. პეტლიურას ჩვენება იყო კარგი მაგალითი კლოუნადის და არტისტული ალტერნატიული მოდის, ალბეჭდილი უბრალოებით, სისადავით და უშუალო მეგობრული იუმორით გაჯერებული. ეს ჯერ კიდევ მანამდე იყო, სანამ „ნიუ იორკ ტაიმსი“ ბარტენევზე, უკვე როგორც ვარსკვლავზე დაწერდა და სანამ ის და პეტლიურა რობერტ ვილსონის ნიუ იორკის თეატრის საპატიო

სტუმრები გახდებოდნენ რუსეთიდან.

მაინც ყველაზე ხმაურიანი პირველი ფესტივალი იყო 1995 წელს. სექტემბერი იყო და ჯერ კიდევ თბილი ამინდები იდგა, ამიტომაც შუალამედე არ წყდებოდა „ექსპო-ჯორჯიას“ ტერიტორიაზე ხმაური, მუსიკა და სახელდახელო კაფეებში ჭურჭლის წკრიალი. ირაკლი ჩარკვიანიმ სწორედ აქ შეასრულა საკუთარი საუკეთესო კონცერტი, სადაც ირმა ლეჟავასთან ერთად ნამღერი „მანონი“ მის ერთ საუკეთესო პიტად იქცა. მესამე პავილიონში მარგო კორაბლიოვას თეატრი ერთი თვის განმავლობაში ამზადებდა პერფორმანსს, ღია ტერიტორიაზე მხატვრების ნამუშევრებისა და ინსტალაციების მონტაჟი მიმდინარეობდა. ზუსტად პერფორმანსის გახსნის წინ, ნახევარი საათით ადრე ჩვენს დარბაზში გიჟი შემოვიდა. წელსზემოთ შიშველი იყო და ხელში უზარმაზარი პურის დანა ეჭირა. ყვიროდა და ამ დანას კარატისტისტიკით იქნევდა. რამდენიმე წუთში პოლიციის არცთუ პატარა რაზმი გამოემართა მწყობრი ნაბიჯით ჩვენი პავილიონისკენ. ცოტა ხანში გიჟი სრულიად დაწყნარებული გამოიყვანეს და ასე გაიხსნა მარგო კორაბლიოვას თეატრის პერფორმანსი ავანგარდული მოდის პირველ ასამბლეაზე. სხვა ექსცესებიც იყო, კაკადუ მოვარდა გაგიჟებული ირაკლი ჩარკვიანის კონცერტის დაწყების წინ და დრამის ჯოხები გვთხოვა, სწორედ ეხლა დამემტვრა და გამოსვლა ჩაგვეშლუბაო. ასე ვიხსენით ჩარკვიანის ლეგენდარული გამოსვლა იმ ღამით. კორაბლიოვას თეატრს კი ექსცესები ისედაც არ აკლდა, მასხოვს პისტოლეთითაც კი მოვიდა ვიდაც ერთხელ, რაღაცას ითხოვდა თუ ვიდაცის მოკვლა უნდოდა. ნარკომანებმა და შპანამაც მოიყარა თავი და აინტერესებდათ, ვინ იყვნენ ეს ექსტრავაგანტული გოგონები, ანდა სხვები, ჩვენი პავილიონის წინ რომ ისხდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. მოსწონდათ ეს, მაგრამ მათი კანონები დღესასწაულის ღიად მიღებას კრძალავდა. როგორც დავით ბუხრიკიძე იხსენებდა ერთ მაშინდელ სტატიიაში, სპექტაკლის დამთავრების მერე გასასვლელში ორ რუსულენო-

ვან მაყურებელ ბიჭს ასეთი დიალოგი ჰქონიათ: „ღირს ასეთ სპექტაკლებზე იარო, თითქოს არაბეთის ემირატებიდან დავბრუნდი“.

გელა განდი, მერე და მერე, ინდოეთში დადიოდა, ჰიმალაებში, კრიშნამ გაიტაცა, ოღონდ ისე არა, სექტანტები რომ გახდებიან ხოლმე. ესეც მისთვის მორიგი შინაგანი ტრიუკი იყო, მუდმივად მოეძებნა რამე თავისუფალი და ესთეტიკური. ასეთი იყო მისი ეთიკა, არასოდეს დაესაკუთრებინა, არც ნივთი, არც ღმერთი. მე არ მახსოვს, რომ მას ოდესმე საკუთარი სახლი ჰქონოდა, ანდა, საერთოდ, ეზრუნა ამაზე. მერე მისი სახლი გზა გახდა, საქართველოდან ინდოეთამდე. ხანდახან მომწერდა ხოლმე იმიეილზე და ეს წერილები განსაკუთრებით მიხაროდა.

ერთხელ, ადრე, 90-იანებში კრიშნას ტაძარში მივედი, ავჭალაში რომ არის, ნახევრად აგრარულ გარემოში

მოქცეული. თბილისია, მაგრამ სოფელია. მერე გელამ მათი სამოსის მსგავსი ქსოვილი იყიდა და საჩუქრად მიუტანა იქ მცხოვრებ რელიგიურ პირებს. საჭმელს იქ, როგორც წესი, ტრადიციულად ხელით ჭამენ, გელას კი კაპრონის თეთრი ხელთათმანები ეცვა და არ გაუხდია, ისე მიირთვა საჭმელი. ამაზე ვიდაც სერიოზული სექტანტი შემოსწყრა, მკრეხელობააო თუ რაღაც ასეთი. გელა განდის ხელთათმანები არ გაუხდია. მისი მშვიდი ხასიათის სიმტკიცე მეტი იყო, ვიდრე შეშინებული მრევლის მუხანათური ფანატიზმი.

ახლა კი, თითქოს „ათას ერთი ღამის“ პერსონაჟად გადაიქცა, ალარავის უნახავს დიდი ხანია, მხოლოდ დიზაინერთა მთელ თაობას ახსოვს ის და, ალბათ, კი უფრო ავანგარდული მოდის ასამბლეა, ვიდრე თვითონ გელა კუპრაშვილი.

მერე აზერბაიჯანის ციხეში მოხვდა რამდენიმე წლით, კეთილი ავანტი-

ურისტი გელა კუპრაშვილი არეულმა და მტრობით აღსავსე ცხოვრებამ გზიდან ააცდინა, როგორც ჩანს, მაგრამ ის კრიმინალი არასოდეს ყოფილა. პირიქით, მისი აქ ყოფნა თავისუფლებისა და ტოლერანტობის ცოცხალი ემბლემა იყო თითქოს ამ ქალაქისთვის, რომელმაც ის დაკარგა, ვერ შეინახა, ვერ შეიგუა. მათ სხვანაირი დიზაინერები სჭირდებოდათ – ვინც მაღალ მოდაზე და არარსებულ მარკეტინგზე ტყუილად ოცნებობს და მხოლოდ პროვინციული პრესტიჟისა და უსაფუძვლო აროგანტულობის იმედად დარჩენილა. ავანგარდული მოდის ასამბლეა ოდესმე თუ დაბრუნდება, თბილისს კიდევ ერთი შანსი მიეცემა, საკუთარი ურბანული განვითარების პარალელურად, ის მცირე ჰისტორიული და არტისტული გარემოც შეინარჩუნოს, რის გარეშეც თანამედროვე დასავლური ტიპის ქალაქი მხოლოდ კეთილმოწყობილ, დიდ დასახლებად დარჩება.



ფეისბუქის სახე

<<< სასაწყისი გვ. 60

სორკინმა ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჰოლივუდის ვერსიაში ფეისბუქის შექმნა წარმოდგენილია, როგორც „მეგობრობის, ერთგულების,

ღალატისა და ეჭვიანობის კლასიკური ამბავი“. მისი დახასიათებით, ცუკერბერგი არის „ბრწყინვალე ადამიანი, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობები უჭირს და სოციალური ცხოვრების მოდელი აღიზიანებს. როგორც ჩანს,

მას ძალიან უნდოდა, რომელიმე კლუბის წევრი გამხდარიყო ჰარვარდში“. ის იმ ჰარვარდულ კლუბებს გულისხმობდა, რომლებსაც გამორჩეული, სუპერ-ელიტური რეპუტაცია ჰქონდათ. უნიკლვოსები მათ შორის ყველაზე პრესტიჟულის – „პორსელიენ კლაბის“ წევრები იყვნენ.

ინტერნეტში გაჟონილი სცენარის მიხედვით, ფილმის პირველ სცენაში ცუკერბერგი და მისი შეყვარებული, ბოსტონის უნივერსიტეტის სტუდენტი ერიკა ჰარვარდის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ბარში სხედან და ერთმანეთს დამამცირებელი ფრაზებით აღიზიანებენ. მარკი შეყვარებულს ეუბნება: „შენ სწავლას არავინ გთხოვს“. „საიდან იცი, რომ სწავლას არავინ მთხოვს?“ – ეკითხება გოგო. „შენ ხომ ბოსტონის უნივერსიტეტში სწავლობ!“ ერიკა მის ხელს ხელში იღებს, თვალებში უყურებს და ამბობს: „მომისმინე! შენ მდიდარი და წარმატებული იქნები. მთელი ცხოვრების მანძილზე იმას იფიქრებ, რომ გოგოებს არ მოსწონხარ, რადგან კომპიუტერებზე ხარ ჩაციკლული. მინდა, იცოდე – ამას

ბაბრქელა

გულწრფელად ვამბობ – რომ ეს ასე არ არის. ამის მიზეზი ყოველთვის ის იქნება, რომ კრეტინი ხარ“.

ფილმი ბენ მეზრიჩის ნიგნს, „შემთხვევით მილიარდერებს“ ეფუძნება, რომელიც ფეისბუქის დაარსების ისტორიას მოგვითხრობს. მეზრიჩი 2003 წელს გამოსული იმ ბესტსელერის ავტორიცაა, რომლის მთავარი გმირებიც მოულოდნელად გამდიდრებული სტუდენტები არიან. ნიგნს „უსაზღვრო წარმატება“ ჰქვია და მასში გამოგონილი სცენები, შეთხზული პერსონაჟები და დიალოგებია. მეზრიჩმა ბოლო ნიგნში ასეთი მეთოდების გამოყენებისთვის კრიტიკაც დაიმსახურა. ავტორის თქმით, „შემთხვევით მილიარდერები“ ფეისბუქის დაარსების „ენციკლოპედია“ აღწერას კი არ წარმოადგენს, არამედ „იმ ნამდვილ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც ცუკერბერგს ურჩევნია, არასდროს გამჟღავნდეს“. ის თვლის, რომ იგი „თრილერის სტილში“ დაწერა. ნიგნში გაკვრით არის ნახსენები საუბრები მეზრიჩსა და ფეისბუქის პირველ აგენტს ედუარდო სევერინს შორის, ვინც ცუკერბერგს სასამართლოში უჩივლა მას შემდეგ, რაც მასთან ჩხუბი მოუვიდა. მეზრიჩს მარკთან არ უსაუბრია („სოციალური ქსელის“ პროდიუსერი სკოტ რუდინი ცუკერბერგთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო). ავტორმა ნიგნის ეკრანიზაციის უფლება მანამდე გაყიდა, სანამ მასზე მუშაობას დაასრულებდა. მან სორკინს თავისი „პირველი მკითხველი“ უწოდა და როგორც კი ნიგნის წერა დაასრულა, მაშინვე მას გადასცა.

სორკინის თქმით, ცუკერბერგის პერსონაჟის შექმნა ნამდვილი გამოწვევა იყო. მან აღნიშნა, უნივერსიტეტის სტუდენტები ყველაზე ახალგაზრდები არიან მათ შორის, ვისზეც კი ოდესმე დამინერიაო. 49 წლის სორკინი ამბობს, რომ ახლაც ძალიან ცოტა რამ იცის სოციალურ ქსელებზე, ბლოგოფერო და სოციალური მედია კი მასში უკიდურეს ანტიპათიას იწვევს. „ფეისბუქზეც იმდენი რამ გამოვიცა, რამდენიც კარბურატორზე, მაგრამ მანქანაში მისი ძებნა რომ დავინეო, არც კი ვიცი,

როგორ უნდა ვიპოვო“, – მითხრა მან. სორკინმა ფილმს „სოციალური ქსელი“ ირონიულად უწოდა, ფეისბუქის შემქმნელებზე საუბრისას კი მითხრა: „ასეთი თუ ისე, სოციალური დისფუნქციით გამორჩეულმა რამდენიმე ადამიანმა მსოფლიოს უდიდესი სოციალური ქსელი შექმნა“.

სორკინი დაჟინებით მიმტკიცებდა, რომ „ფილმი მარკ ცუკერბერგზე თავდასხმად არ ჩაუფიქრებიათ“. მიუხედავად ამისა, მისივე თქმით, მარკი „ფილმში საათისა და 55 წუთის მანძილზე ანტიგმირია და ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში – ტრაგიკული გმირი“. მან დაამატა: „არ მინდა, უსამართლოდ მოვექცე იმ კაცს, ვისაც არც კი ვიცნობ და ვისაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია. ის სილის განვნას არ იმსახურებს. გულწრფელად მჯერა, რომ მე ეს არ გამიკეთებია“.

ამ დროს სორკინის „თეთრი სახლი“ (The West Wing) ცუკერბერგის ერთ-ერთი საყვარელი ტელესერიალია. მარკმა ის მაშინ აღმოაჩინა, როცა ჩენთან ერთად ესპანეთში მოგზაურობდა – ჩენი ხომ 2003 წლიდან მისი შეყვარებულია ერთ ხანმოკლე განშორებას თუ არ ჩავთვლით. მადრიდში ორივე ავად გახდა და სერილის პირველ სეზონს სანოლში ჩანოლილებმა უყურეს. მათ ესპანურ სუპერმარკეტში დანარჩენი ექვსი სეზონის DVD იყიდეს და ბოლოს ყველა სერია ნახეს. ცუკერბერგმა მითხრა, რომ მოსწონდა, თუ როგორ ზუსტად ასახავდა სერიალი სინამდვილეს – ყოველ შემთხვევაში, იმ სინამდვილეს, რომელსაც ვაშინგტონში მომუშავე მისი მეგობრები აღწერდნენ.

სორკინს ვუთხარი, „თეთრი სახლი“ ცუკერბერგის საყვარელი ტელესერიალია-მეთქი. ის მცირე ხნით შეეყოვნდა, ბოლოს კი თქვა: „ნეტა, ეს არ გეთქვიათ!“ როცა სორკინს იმ სერიის გამოცნობა ვთხოვე, რომელიც მარკს ყველაზე მეტად მოსწონდა, მან მიპასუხა, ეს „ლემონ-ლაიმანის სერია“ უნდა იყოსო. იგი მესამე სეზონის ერთ-ერთ სერიას გულისხმობდა, რომელშიც ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ჯომ ლაიმანი, ვისაც ბრედლი უიტფორდი ასახიერებს, აღმოაჩინს, რომ ერთ-ერთ ინტერნეტ-ფორუმზე მომხრეები ჰყავს

და მეტად უგუნურად მოიქცევა, როცა ამ ფორუმის მომხმარებლებს საუბარს გაუბამს.

სინამდვილეში კი ცუკერბერგის საყვარელი სერია, მისივე თქმით, „ორი ტაძარია“. ის მეორე სეზონის ბოლო სერიაა, რომელშიც მარტინ შინი, ვინც პრეზიდენტ ჯოუსაია ბარტლეტს ასახიერებს, ძველი და ერთგული მდივნის გარდაცვალებას გლოვობს და მას შემდეგ, რაც აღმოაჩინს, რომ გაფანტული სკლეროზი აქვს, იმაზე დაფიქრდება, მომავალ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს თუ არა. პრეზიდენტი ვაშინგტონის კათედრალურ ტაძარში იმყოფება და ბრძანებას გასცემს, რომ ის დროებით დაკეტონ, მერე კი ღმერთს ლათინურად აგინებს და სიგარეტს უკიდებს. „ჩვენთან, ფეისბუქის გუნდშიც ყოფილა მსგავსი მომენტები, ჩვენც გვქონდა ძალიან სერიოზული წარმატებები და წარუმატებლობები“, – მითხრა ცუკერბერგმა.

მარკის თქმით, ძალიან ბევრი რამ, რაც ფილმშია და რის შესახებაც ნაიკითხა, უბრალოდ, სიცრუეს წარმოადგენს (მაგალითად, მას ჰარვარდის კლუბების წევრობის სურვილი არასდროს ჰქონია). როცა ფილმის შესახებ უფრო მეტის თქმა დაჟინებით ვთხოვე და ვკითხე, თქვენს პროფესიულ იმიჯზე ეს ყველაფერი როგორ აისახებამეთქი, მიპასუხა: „მე ხომ ნამდვილი ამბავი ვიცი“.

ჩვენი საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ცუკერბერგმა ფეისბუქის პროფილი შეცვალა და საყვარელი ტელესერიალების სიიდან „თეთრი სახლი“ ამოშალა.

ცოტა ხნის წინ, ერთ ხუთშაბათს, ნამუადღევს ცუკერბერგმა პელოუ ელტოუს შემოგარენში გამასეირნა – ის სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობს და მუშაობს. ოფისიდან მდიდრული სახლებით სავსე ქუჩაში გამოსულმა სილიკონ ველიში პირველი მოგზაურობის შესახებ მომითხრო. ეს 2004 წელს, ზამთრის არადადეგებზე მომხდარა, ფეისბუქის ამუშავებამდე ერთი თვით ადრე. მაშინ მარკი 19 წლის იყო. „მახსოვს, როგორ ჩავფრინდი, ტაქსი 101-ე ქუჩაზე გავიდა და ისეთი კორპორაციების ოფისებს ჩავუარე, როგორც Yahoo-

ა!“, – მითხრა მან. ბიჭის ნაცრისფერ მასხურს სიტყვა „ჰაკერი“ ამშვენებდა. „მასხოვს, ვფიქრობდი, იქნებ ერთ დღეს ასეთი კომპანია ჩვენც შევექმნათ-მეთქი. ეს ჯერ არ გაგვიკეთებია, მაგრამ ერთ დღეს მართლაც გავაკეთებთ“, – დაამატა ცუკერბერგმა.

მის სახლთან მივედით. გარეთ შავი Acura TSX იყო გაჩერებული. ის რამდენიმე წლის წინ შეიძინა, მას შემდეგ, რაც მეგობარს სთხოვა, ისეთი მანქანა ერჩია, რომელიც იქნებოდა „უსაფრთხო, კომფორტული და ნაკლებად თვალში მოსახვედრი“. მეგობრების თქმით, მარკი, განტვირთვისა და დასვენების მიზნით, მანქანას ხშირად ატარებს, ბოლოს კი, ჩვეულებრივ, ჩენის ბინაში აღმოჩნდება ხოლმე. ჩენი გოლდენ გეით პარკთან ცხოვრობს და მესამე წელია, მედიცინას სწავლობს კალიფორნიის უნივერსიტეტში, სან ფრანცისკოში. ისინი შაბათ-კვირას, უმეტესწილად, ერთად ატარებენ: პარკში სეირნობენ, ნიჩბოსნობით ერთობიან (მარკი ყოველთვის ითხოვს, რომ ნავებში ცალცალკე ჩასხდნენ), ხან ბოჩს თამაშობენ, ხან კი – სამაგიდო თამაშ „კოლონიზატორებს“. კვირა აზიური სამზარეულოს დღეა. დეკემბერში, როგორ წესი, ისინი ორი კვირით საზღვარგარეთ მიემგზავრებიან ხოლმე. წელს ჩინეთის მონახულებას აპირებენ.

ცუკერბერგმა ყველა სახლი კრეიგლისტის მეშვეობით იპოვა. თავიდან უცნაურ ერთსაძინებლიან ბინაში ცხოვრობდა, რომელიც, მისი მეგობრის სიტყვებით, შეშლილის ბუნაგს უფრო ჰგავდა. მომდევნო ბინა ორსაძინებლიანი იყო, საიდანაც ის იმ ორსართულიან და ოთხსაძინებლიან სახლში გადმოვიდა, რომელიც ახლა ცხოვრობს და რომლის შესახებაც მითხრა, მეტისმეტად დიდი. მან ეს სახლი იქირავა („ის ყველაზე ღარიბი მდიდარია, ვინც კი ოდესმე მინახავს“, – თქვა ტაილერ უინკლვოსმა). სახლისკენ მიმავალი გზიდან რომ გადავუხვიეთ, ეზოში ჩენი შევნიშნეთ, რომელიც სკამზე იჯდა, ხელში ყვითელი მარკერით და სახელმძღვანელოს კითხულობდა – ის ხომ პედაგოგობას აპირებს. იქვე, ახლოს ჰამაკი და ბარბექიუს მაყალი იყო. გაკვირვებული მარკი ჩენთან მივიდა და

მარჯვენა მხარზე ხელი მოუთათუნა. „არ ვიცოდი, თუ აქ მოსვლას აპირებდი“, – უთხრა მან. გოგომ მარჯვენა ხელზე ხელი დაადო და გაუღიმა.

ცუკერბერგი სახლში შევიდა, რომელიც ერთიანად ცისფერ და კრემისფერ ნახევარტონებშია შეღებილი. გამონაკლისს სამზარეულო წარმოადგენს – ის კაშკაშა ყვითელია. მარკისთვის ფერებს მნიშვნელობა არა აქვს; რამდენიმე წლის წინ ინტერნეტში ტესტი გააკეთა და აღმოაჩინა, რომ დალტონიკია: ნითელს და მწვანეს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ფეისბუქზე ნამყვანი ფერი ცისფერია, რასაც თავისი მიზეზი აქვს. მარკმა მითხრა: „ჩემთვის ცისფერი უმდიდრესი ფერია – ცისფერს მთელი სისხვით აღვიქვამ“. სამზარეულოში, ონკანთან დახრილმა მკითხა, წყალი ხომ არ გნებავთ.

შემდეგ ის ისევ 2004 წლის ზამთარს დაუბრუნდა და მომიყვა, თუ როგორ იკრიბებოდნენ მეგობრები და ადგილობრივ პიცერიაში, „პინკოიში“ მიდიოდნენ: „ჩვენ ტექნოლოგიის სფეროში არსებულ ტენდენციებზე ვსაუბრობდით. ვამბობდით: „განა ნათელი არ არის, რომ ყველა ადამიანი ინტერნეტის მომხმარებელი გახდება? განა გარდაუვალი არ არის უზარმაზარი სოციალური ქსელის შექმნა? რალაც ასეთს ველოდით. ფეისბუქთან მიმართებაში ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ – მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ – ამას ჩვენ თუ არ გავაკეთებდით, ვინმე სხვა გააკეთებდა“.

რა თქმა უნდა, ეს ცუკერბერგმა გააკეთა და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჩანაფიქრი ბოლომდე მიიყვანა, ის არის, რომ ფულის შოვნა მისთვის პრიორიტეტული არასდროს ყოფილა. 2005 წელს MTV networks-მა ფეისბუქის ყიდვა 75 მილიონ დოლარად დააპირა. მალევე „იაჰუ“ და „მაიკროსოფტმა“ ცუკერბერგს უფრო მეტი შესთავაზეს, მაგრამ მან ყველა უარით გაისტუმრა. „იაჰუს“ ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა ტერი სემელმა, რომელსაც 2006 წელს ფეისბუქის ყიდვა მილიარდ დოლარად სურდა, მითხრა: „არასდროს მინახავს ვინმე – დავავიწყოთ ასაკი: მაშინდელი 22, ახლანდელი 26 წელი – არასდროს მინახავს ვინმე,

ვინც მილიარდ დოლარს გულგრილად შეხედავდა. მან კი ასეთი რამ მითხრა: „საქმე ფასს არ ეხება. ეს ჩემი შვილია და მინდა, ჩემთან იყოს, ჩემთან გაიზარდოს“. ყურებს არ ვუჯერებდი“.

ძველი ამბების გახსენებისას ჩენმა გამომხილა, რომ, მისი აზრით, მარკის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე პერიოდი მაშინ დადგა, როცა „იაჰუმ“ ფეისბუქის გაყიდვის წინადადებით მიმართა. „მასხოვს, ძალიან დიდხანს ვსაუბრობდით „იაჰუს“ შემოთავაზებაზე“, – მითხრა მან. მოგვიანებით კი ჩენმა ასეთი რამ თქვა: „ვცდილობთ, ჩვენს მიზნებს არ დავცილდეთ – იმას, რისიც გვჯერა და რისი კეთებაც სიამოვნებას გვანიჭებს. მარტივ, უბრალო რამეებს ვგულისხმობ“.

მეგობრები ელიან, რომ ჩენი და მარკი დაქორწინდებიან. სექტემბრის დასაწყისში ცუკერბერგმა ფეისბუქში, თავის გვერდზე დაწერა: „ამ შაბათ-კვირას პრისილა ჩენი საცხოვრებლად ჩემთან გადმოდის. ახლა ყველაფერი ორჯერ მეტი გვაქვს. ასე რომ, თუ გჭირდებათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ჭურჭელი, ჭიქები და ა.შ. გთხოვთ, შემოგვიაროთ და წაიღოთ, სანამ სხვებს ვაჩუქებთ“.

ფეისბუქის ოფისი ორსართულიან შენობას წარმოადგენს იმ წყნარი ქუჩის ბოლოში, რომლის ორივე მხარესაც ხეებია დარგული. ცუკერბერგმა მას „ბუნკერი“ დაარქვა. ფეისბუქი ისე სწრაფად გაიზარდა, რომ ექვს წელში კომპანია უკვე მეხუთე ოფისში გადავიდა, პელოუ ელტოუში კი ეს მისი მესამე ოფისია. გარეთ ვერანაირ მინიშნებას ვერ ვნახავთ იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს ბუნკერი. თუმცა როცა შიგნით შეაბიჯებთ, მაშინვე შეგეგებებათ, ის რასაც „ფეისბუქის კედელი“ ჰქვია. ეს ერთგვარი ვირტუალური დაფაა, რომელიც მომხმარებლებს პროფილებთან ერთად აქვთ. აგვისტოს დასაწყისში ეს „კედელი“ ერთ-ერთი თანამშრომლის გაცხადებით დაიფარა, რომელიც მუდმივად კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა საიტზე პირადი ინფორმაციის მართვის მექანიზმთან დაკავშირებით. მან დაწერა: „როგორ ნავშალი ჩემი შეტყობინება?“ „რატომ არ გაელევათ ჩემი პირადი ცხოვრების უსაფრთხოება?“ „რატომ ითხოვს ყვე-

ლა ისეთ პროგრამას, რომელიც მისი პირადი ცხოვრების უსაფრთხოებას დაიცავდა?“ და ა.შ. შიგნით მაგიდების ზღვაა – არანაირი ინდივიდუალური განყოფილებები, არანაირი გატინგოვანი ოთახები, მხოლოდ ღია სივრცე პატარა საკონფერენციო დარბაზებით, რომლებსაც ბენდების სახელებს უწოდებენ (Run-DMC, New Edition, ZZ Top) და ცუდი იდეების გამოხატველ გამოთქმებთან აკავშირებენ („სროლის დროს დანის ამოღება“, ნაკლებად საიმედო კლიენტისთვის კრედიტის მიცემა, ბიკონი – ეს ის საეჭვო სარეკლამო სისტემაა, რომელიც ფეისბუქმა 2007 წელს დაანერგა და შემდეგ მოიშორა).

ცუკერბერგის მაგია დაახლოებით ოფისის შუაში დგას – მინისკედლებიანი საკონფერენციო დარბაზიდან რამდენიმე ნაბიჯში და ხელის განვდენაზე იმ თანამშრომლებისაგან, რომლებსაც მაღალი თანამდებობები უკავიათ. ყოველ დღით, სამსახურში მოსვლამდე, ის პირად ინსტრუქტორთან ერთად მუშაობს და ჩინურს სწავლობს: ჩინეთში მოგზაურობისთვის ემზადება. ცუკერბერგი თითქმის ყოველი ახალი პროდუქტისა თუ დეტალის შემუშავებაშია ჩართული. სამუშაო განრიგის მიხედვით, 2-დან 6 საათამდე თავისუფალია. ამ დროს მარკი იმ სპეციალისტებს ხვდება, რომლებიც ახალ პროექტებზე მუშაობენ. შეხვედრებზე ძირითადად კამათობენ – სულ ცოტა, ათზე მეტ თანამშრომელს მაინც წამოსცდა, თუ როგორი „გულმოდგინე მსმენელია“ ცუკერბერგი. ხშირად ის ოფისიდან ყველაზე ბოლოს გამოდის. სურათზე, რომელიც ქსელში ფეისბუქის ერთ-ერთმა თანამშრომელმა შრომის დღეს განათავსა, მარკ ცუკერბერგი გრძელ მაგიდასთან ზის საკონფერენციო დარბაზში, მის ირგვლივ კი თანამშრომლები სხედან – ყველა თავის კომპიუტერს მისჩერებია და პროგრამებზე მუშაობს.

პირველ წლებში ფეისბუქმა უამრავი მთავარი ადმინისტრატორი გამოიცვალა. „თანამშრომლების ხშირი ცვლა – ეს შერბილებული გამონათქვამია. სინამდვილეში, ძალიან არასტაბილური სიტუაცია იყო,“ – მითხრა ბრეიერმა. მისივე თქმით, ადმინისტრატორის

დაქირავებიდან ათ დღეში ცუკერბერგი მას ურეკავდა ან იმილს უგზავნიდა იმის სათქმელად, რომ ახალი თანამშრომელი უნდა გაეთავისუფლებინათ. ყველაფერი 2008 წლის მარტში მოგვარდა, როცა ცუკერბერგმა შერილ სენდბერგი დაიქირავა – გუგლის ძველი, გამოცდილი თანამშრომელი, რომელიც ლოურენს სამერსის ადმინისტრაციის უფროსი იყო იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი ფინანსთა მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა. მან მთავარი ადმინისტრატორის თანამდებობა დაიკავა, მას კი ადმინისტრატორები ისეთი კომპანიებიდან მოჰყვნენ, როგორებიცაა „ბიი“, „ჯენენტეკი“ და „მოზილა“. მალევე ფეისბუქს გუგლის ყოფილი თანამშრომლების ნაკადიც მოაწყდა.

ამასობაში ცუკერბერგის მეგობრების უმრავლესობა – ისინი, ვინც თავიდანვე მასთან მუშაობდნენ – სამსახურიდან წავიდა. ედემ დ’ენჯელოუ, რომელიც მარკთან ექსტერში სწავლის პერიოდიდან მეგობრობდა (ისინი ერთად ჰაკერობდნენ და პროგრამებს წერდნენ), ფეისბუქის კიდეც ერთ ყოფილ თანამშრომელს, ჩარლი ჩივერს დაუკავშირდა და მათ ერთად შექმნეს Quora.com – სოციალური ქსელი, რომელიც შეკითხვებსა და პასუხებს აგროვებს სხვადასხვა თემაზე. კრის ჰიუზი, მარკის ჰარვარდელი მეგობარი, ვინც საერთო საცხოვრებლის ოთახში მასთან ერთად ცხოვრობდა, სამსახურიდან იმის გამო წავიდა, რომ ობამას საპრეზიდენტო კამპანიას შეერთებოდა. მოგვიანებით მან ფილანტროპიული საიტი Jumo.com შექმნა.

ასეთი მასობრივი წასვლა, გარკვეულწილად, იმ მაღალი რეპუტაციის გამოძახილია, რომელიც ფეისბუქის ყოფილმა თანამშრომლებმა ტექნოლოგიების სამყაროში მოიპოვეს. თუმცა ეს იმ სირთულეზეც მიანიშნებს, რაც ზოგ თანამშრომელს ცუკერბერგთან მუშაობის დროს ექმნება. ძნელია, როცა შენი მეგობარი შენი ბოსია, განსაკუთრებით კი ის, ვინც ამ საიტს დასაწყისიდანვე „მარკ ცუკერბერგის პროდუქციად“ აღიქვამდა. ეს სიტყვები ხომ ფეისბუქის დაარსების პირველ ხანებში თითოეულ გვერდს ზოლად გასდევდა. „საბოლოო ჯამში, ეს „მარკის შოუა“, –

მითხრა მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა.

ივლისის ბოლოს ფეისბუქმა ახალი პროდუქტი დაანერგა – კითხვა-პასუხის შემგროვებელი „შეკითხვები“, რომელიც Quora-ს პირდაპირ კონკურენტად მოჩანს. ბევრმა ეს ნაბიჯი შურისძიებად და მეგობრებსა თუ ყოფილ თანამშრომლებზე თავდასხმად აღიქვა. ერთ-ერთ ინტერვიუში ჩივერმა ამ საკითხზე კომენტარისგან თავი შეიკავა. ასევე მოიქცა მეთ კოლერი – მარკის კიდეც ერთი მეგობარი, რომელმაც ფეისბუქი მიატოვა და ფული Quora-ში დააბანდა.

კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა კრის კოქსმა მითხრა, რომ ფეისბუქზე „შეკითხვების“ დაანერგვა Quora-ზე თავდასხმას არ ნიშნავს: „ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით იმაზე, რომ მომავალში ხალხი ყველაფერს ონლაინ-შეკითხვების მეშვეობით მოძებნიდა. უბრალოდ, დროის ამბავი იყო, ამას როდის გავაკეთებდით. ამ შემთხვევაში, პირველობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ყოველთვის საქმის კეთებაა. ყოველთვის!“

ცუკერბერგის საბოლოო მიზანი სხვადასხვა ტიპის კომპიუტერული ქსელების შექმნა და მართვაა. გუგლი და სხვა საძიებო სისტემები ვებ-საიტებზე მიგითითებენ, მარკი კი ამბობს: „ჩვენთვის ღირებული ინფორმაციის დიდი ნაწილი თავში გვაქვს, არ მეთანხმებით? და მათზე გარეთ მითითება შეუძლებელია, ხომ მართალი ვარ?“ ცუკერბერგი სკოლის მოსწავლე იყო, როცა გუგლმა ფუნქციონირება დაიწყო და როგორც ჩანს, მას უდიდესი სურვილი აქვს, რაღაც ისეთი შექმნას, რითიც გუგლს უკან მოიტოვებს. „თითქოს ჩვენში რაღაც არის ჩამონტაჟებული: ყველას გვინდა იმის შეტყობა, რა ხდება იმ ადამიანების თავს, ვინც ჩვენს ირგვლივაა“, – მითხრა მან.

2007 წელს ცუკერბერგმა განაცხადა, რომ ფეისბუქი „პლატფორმა“ გახდებოდა, ანუ გარე პროგრამისტები შეძლებდნენ დამატებითი პროგრამების (აპლიკაციების) შექმნას, რომლებიც საიტზე დაინერგებოდა და იმუშავებდა. ამ ნაბიჯმა შედეგი გამოიღო. სოციალური თამაშების კომპანია „ზინგა“ (FarmVille-სა და Mafia Wars-ის შემქმ-

ნელი) ნელს, სავარაუდოდ, 500 მილიონ დოლარზე მეტს იშოვის, ამ თანხის დიდ ნაწილს კი – იმ ხალხის დამსახურებით, ვინც ფეისბუქზე თამაშობს. 2008 წელს ცუკერბერგმა გახსნა „ფეისბუქ კონეკტი“, რომლის საშუალებითაც ფეისბუქზე დარეგისტრირებულ მომხმარებლებს რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ სხვა ვებ-საიტებზე, სათამაშო სისტემებში და მობილურ მექანიზმებში. მათი „ფეისბუქ ეკაუნტი“ ერთგვარ ციფრულ პასპორტს წარმოადგენს. გაზაფხულზე ფეისბუქმა კიდევ ერთი სიახლე დანერგა, რასაც ცუკერბერგმა Open Graph უწოდა. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: იმ მომხმარებლებს, რომლებიც, მაგალითად, CNN.com-ზე სტატიებს კითხულობენ, შეუძლიათ ნახონ, თუ რომელი სტატია წაიკითხეს, მოიწონეს ან სხვებს გაუზიარეს მათმა ფეისბუქელმა მეგობრებმა. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ ბოლოს მომხმარებლები სტატიების წაკითხვისას, რესტორნებში სიარულისას თუ ფილმების ნახვისას სწორედ მეგობრების რეკომენდაციებს დაეყრდნობიან და არა იმ ჩამონათვალს, რომელსაც მათ გუგლის ალგორითმი მიანვდის. ცუკერბერგს წარმოუდგენია, რომ ფეისბუქი ადგილს თითქმის ყველა ელექტრონულ მოწყობილობაში დაიკავებს. წარმოიდგინეთ: ტელევიზორს რთავთ და ხედავთ, რომ ამ დროს 14 ფეისბუქელი მეგობარი „ანტურაჟს“ უყურებს, მშობლებს კი თქვენთვის „60 წუთი“ ჩაუწერიათ; ახლათახალ ტელეფონს ყიდულობთ, საკუთარი პარამეტრები შეგყავთ და რას ხედავთ: ყველა მეგობარი იქაა, თან ის ადგილებიც აღნიშნულია, რომლებიც ცოტა ხნის წინ ერთად თუ ცალ-ცალკე მოგინახულებიათ.

იმისათვის, რომ ეს გეგმა ოპტიმალურად განხორციელდეს, ხალხმა ფეისბუქსა და მის პარტნიორებს სულ უფრო მეტი პირადი ინფორმაცია უნდა მიანოდოს. ამ პროცესის დასაჩქარებლად, 2009 წლის დეკემბერში ფეისბუქმა ცვლილებები შეიტანა პირადი ინფორმაციის მართვის პოლიტიკაში. თუ მთელ რიგ რთულ მექანიზმებთან ბრძოლას არ შეუდგებოდით, თქვენი ინფორმაციის ძალიან დიდი ნაწილი, მათ შორის, სახელი, გვარი, სქესი, სურათი, მეგობრების

სია, ავტომატურად საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა. მომდევნო თვეში ცუკერბერგმა განაცხადა, რომ პირადი ცხოვრება იმ „სოციალურ ნორმას“ წარმოადგენდა, რომელიც ვითარდებოდა.

საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა. სამოქალაქო უფლებების დაცვის ამერიკულმა კავშირმა და ელექტრონულ მედიაში პირადი ინფორმაციის დაცვის ცენტრმა ფეისბუქი კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში დაადანაშაულეს. აღმოფთვებული მომხმარებლები აცხადებდნენ, რომ კომპანია იმ სოციალური ხელშეკრულება დაარღვია, რომელსაც აქამდე ეფუძნებოდა. ამ ყველაფერს დიდი კამათი მოჰყვა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს, იყო კერძო პიროვნება საჯარო იდენტობით. გაზაფხულზე ცუკერბერგმა გამოაცხადა, რომ ფეისბუქზე პირადი ინფორმაციის მართვის გამარტივებული მექანიზმი ინერგებოდა.

ამაზე მარკს პელოუ ელტოუში სეირნობის დროს ვკითხე. ინტერნეტში პირადი ინფორმაციის დაცვა ისეთი „ხელშეუხებელი საკითხია“, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარებაო, – მითხრა მან. მოგვიანებით კი დაამატა: „ბევრი, ვისაც პირადი ინფორმაციის დაცვა და ასეთი საკითხები ალელვებს, ჩვენს მიერ დაშვებულ უმცირეს შეცდომასაც კი ყურადღების მიღმა არ ტოვებს და რაც შეიძლება, დიდ საკამათო საგნად აქცევს ხოლმე“. შემდეგ ბოდიში მომიხადა იმის გამო, რომ iPhone 4-ზე შეტყობინების ტექსტს კრეფდა: დედამისის შეტყობინებისთვის უნდა ეპასუხა. „ვაცნობიერებთ, რომ ამის გამო ხალხი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგვაკრიტიკებს, მაგრამ ჩვენ გვჯერა: სწორად ვიქცევით“.

ცუკერბერგის კრიტიკოსები ირწმუნებიან, რომ ღიაობისა და გამჭვირვალობის მისეული აღქმა და ინტერპრეტაცია გამარტივებულია, თუ სრულიად ნაივური არა. „როცა 26 წლის ხართ, ბრწყინვალე ბავშვობა გქონდათ, მთელი ეს წლები სიმდიდრეში გაატარეთ, მთელი ცხოვრების მანძილზე პრივილეგიებით სარგებლობდით და ყველაფერში წარმატებას აღწევდით, რა თქმა უნდა, ვე-

რასდროს იფიქრებთ, რომ შესაძლოა ვინმეს რაიმე ჰქონდეს დასამალი“, – ამბობს ანილ დევი, ბლოგოსფეროს პიონერი, 6A-ს პირველი თანამშრომელი და Movable Type-ის შემქმნელი. დენა ბოიდი, რომელიც სოციალური მედიის მკვლევარი გახლავთ „მაიკროსოფტ რისერჩ ნიუ ინგლენდში“, აცხადებს: „ეს ფილოსოფიური ბრძოლაა. ცუკერბერგი ფიქრობს, რომ სამყარო ბევრად უკეთესი გახდებოდა – და როგორც ხშირად ამბობენ, უფრო წესიერი და სამართლიანი – ადამიანები რომ უფრო გახსნილები და გულწრფელები ყოფილიყვნენ. მე კი ვგრძნობ, რომ ბევრ ადამიანს ეს, უბრალოდ, არ უღირს“.

მარკს იმაზეც ვესაუბრე, თუ როგორ დაერეგისტრირდი 2006 წლის სექტემბერში ფეისბუქზე. სოციალური ქსელის მომხმარებლებს სთხოვენ, შესაბამის გრაფაში აღნიშნონ, კაცები აინტერესებთ თუ ქალები. ცუკერბერგს ვუთხარი, რომ რამდენიმე საათი ვიფიქრე იმაზე, თუ რომელი გრაფა აღმენიშნა. თუ ფეისბუქზე განვაცხადებდი, რომ კაცი ვარ, ვისაც კაცები აინტერესებს, მაშინ ჩემი ყველა ფეისბუქელი მეგობარი ამ განცხადებას ნახავდა, მათ შორის ნათესავები, თანამშრომლები, ინფორმაციის მომწოდებლები. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანისთვის ჰომოსექსუალიზმი მისაღები არ ყოფილიყო.

– ბოლოს რა ქენი? – მკითხა ცუკერბერგმა.
 – კაცები აღვნიშნე.
 – საინტერესო ამბავია. როგორც ვიცი, დღემდე ეს საკითხი არავის შეუსწავლია, მაგრამ ვფიქრობ, ფეისბუქი შეიძლება ისეთ ადგილად გადაიქცეს, სადაც ბევრი ადამიანი პირველად აღიარებს იმას, რასაც მალავდა. ეს ჩვენ არ დაგვიგეგმავს – ზოგადად, საზოგადოება აღმოჩნდა მზად ამისათვის. ჩემი აზრით, რაზეც ახლა ვისაუბრეთ, ზოგადი ტენდენციის ნაწილია: საზოგადოება უფრო ღია ხდება და ვფიქრობ, ეს კარგია.

ამ დროს მას ვუთხარი, რომ ორი კვირის შემდეგ აღნიშვნა გავაუქმე და ორივე გრაფა ცარიელი დავტოვე. ფეისბუქზე დამეგობრებულმა რამდენიმე ნათესავმა ჩემი სექსუალური ორიენტაციის შესახებ მკითხა, გარდა

ამისა, იმხანად სულაც არ მინდოდა, რომ ყველა ინფორმაციის მომწოდებელს, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა მქონდა, სცოდნოდა, ჰომოსექსუალისტი რომ ვიყავი.

– ის გრაფა ისევ ცარიელია? – მკითხა მარკმა.

– ჰო, ისევ ცარიელია.

პასუხად გაცემის გამომხატველი „ჰა?“ აღმოხდა, მხრებში მოიხარა და მომამტერდა: გულწრფელად შეშფოთებული და საგონებელში ჩავარდნილი ჩანდა. მე ხომ ფეისბუქმა ისეთი პირადი ინფორმაციის გამოქვეყნება მომთხოვა, რომლის გასამხელადაც მზად არ ვიყავი.

ბოლო ინტერვიუს დროს (რომელიც ტელეფონით შედგა), ცუკერბერგს „ენდერის თამაშზე“ ვკითხე – სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში დაწერილ წიგნზე, რომლის პატარა გმირიც საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გენიოსია.

– ეს ჩემი საყვარელი წიგნი სულაც არ არის, – მიპასუხა მარკმა, ვისაც გაკვირვება ემჩნეოდა, – უბრალოდ, დანარჩენ ინფორმაციას დავამატე, რადგან მომწონს. არა მგონია, მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ის არის დასახელებული და სხვა წიგნები არა. რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი წიგნები, მაგალითად, „ენეიდა“, რომლებიც უფრო დიდი სიამოვნებით წამიკითხავს.

მან მითხრა, რომ „ენეიდა“ პირველად მაშინ წაიკითხა, როცა სკოლაში ლათინურს სწავლობდა, მერე კი ენეასის ამბავი მომითხრო: მის ძიებებსა და იმ ქალაქის აშენების სურვილზეც მესაუბრა, რომელსაც – ამ დროს ინგლისური თარგმანის ციტატა მოიყვანა – „არ აქვს საზღვრები დროსა თუ სივრცეში“. როგორც ცუკერბერგის ოჯახის წევრებმა გამიმხილეს, მას გული ყოველთვის კლასიკური ენებისა და ლიტერატურისკენ მიუწევდა (მარკის ახლო მეგობარმა შონ პარკერმა, რომელიც ფეისბუქის პრეზი-

დენტი იყო, როცა კომპანიას კორპორაციის სტატუსი ჰქონდა, მითხრა: „მასში არის რაღაც იმპერატორისეული... ეს მაშინაც იგრძნობოდა, 20-21 წლის რომ იყო; ბერძენ ოდისეესა და ასეთ ვინმეებს ჰგავდა). რამდენიმე წლის წინ თანამშრომლებთან შეხვედრაზე ცუკერბერგს „ენეიდას“ რამდენიმე სტრიქონიც კი წარმოუთქვამს.

ტელეფონზე საუბრის დროს მარკი ცდილობდა, გაეხსენებინა, ლათინურად როგორ ჟღერდა პოემის ესა თუ ის სტრიქონი. იმავე ღამეს მესწავერში მომწერა, რომ ორი ფრაზა გაახსენდა. ისინი ჯერ ლათინურად დამიწერა, მერე კი ინგლისური თარგმანი მოაყოლა: „ფორტუნას უყვარს მამაცები“ და „ერი/იმპერია საზღვრებს გარეშე“.

სანამ მივუთითებდი, თუ რა უცნაურად ეხმიანებოდა ისინი მის ახლანდელ ამბიციებს, მომწერა: „ყველაზე ცნობილი ფრაზებია „ენეიდაში“. რაიმე განსაკუთრებული არ აღმომიჩენია“.



სოლიდარობის კოლონაჟი

<<< **დასაწყისი** გვ. 74

ასე წავიდნენ მოუსავლეთში გენერალური მდივნები, ყველანაირი ორდენით მკერდდამშვენებული, ლიტერატურის დარგში ლენინის პრემიის ლაურეატი, „აღორძინებისა“ და „გატეხილი ყამირის“ ავტორი, ლეონიდ

ილიას ძე ბრეჟნევი, დიდი ჩეკისტი, ჰუმანისტი პოეტი და სამხრეთკორეული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამომგდები იური ვლადიმირის ძე ანდროპოვი და კონსტანტინ უსტინის ძე ჩერნენკო, რომელიც იმით გამოირჩეოდა ყველასაგან, რომ არავისგან არაფრით გამოირჩეოდა. ასევე წავიდნენ

ამ ცხოვრებიდან „გენერალურებთან“ თითქმის გათანაბრებულები – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ალექსეი ნიკოლოზის ზე კოსიგინი, რუხი კარდინალი და უძრაობის ჭაობის მთავარი იდეოლოგი მიხაილ ანდრეის ძე სუსლოვი, მეცხრამეტე საუკუნეში დაბადებული, პარტიის წევრი 1915 წლიდან, სტალინური კადრი, ლატვიელი არვიდ იანის ძე პელშე (ნეკროლოგში კოლეგები გულწრფელად წერდნენ, უდროო იყო შენი სიკვდილი) და თავდაცვის მინისტრი, მარშალი დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვი.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდანი წლები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისთვის. 1979 წლის 24 დეკემბერს ავღანეთში შეჭრის შემდეგ საბჭოთა კავშირის ისედაც შერყეული ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში ნულოვან ნიშნულამდე დაეცა. საბჭოთა პოლიტიკას მხარს აღარ უჭერდნენ მისგან ნალოლიავები, ნაფერები და, რაც მთავარია, ჭარბად დაფინანსებული მსოფლიო კომუნისტური პარტიებიც კი. საერთაშორისო არენაზე მარცხი მარცხს მოსდევდა, აღმოსა-

ვლეთ ევროპის „მომძე“ სოციალისტურმა ქვეყნებმაც („სხვაგან“ გახედვა დაიწყეს, ეკონომიკურმა გასაჭირმა თავად ქვეყანაში შინაგანი პრობლემები და დაძაბულობა წარმოშვა, საბჭოთა კავშირი აშკარად აცდა დიადი და ნათელი მომავლისკენ, კომუნისტების მიმავალ გზას და უძრაობის ქაობში საშვილიშვილოდ ჩაეფლო. ასეთ კონტექსტში და უკიდურესად ნერვულ ვითარებაში იხილებოდა კრემლში ახალი ავანტიურა, პოლონეთში სამხედრო ინტერვენციის საკითხი, რათა დაბადებისთანავე გაესრისათ ახალი და მზარდი საფრთხე, ოპოზიციური პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობა“.

1979-1984 საბჭოთა კავშირში ოპოზიციური აქტივობის დათრგუნვის ნლები იყო. ხელისუფლება არ მოერიდა ღია და აშკარა რეპრესიებს დისიდენტების წინააღმდეგ. ანტისაბჭოთა აქტივობისთვის სასჯელი გამკაცრდა, ხოლო ახალგანთავისუფლებულ პოლიტპატიმრებს კვლავ ციხეებსა და პოლიტიკურ ბანაკებში აბრუნებდნენ. კაგებემ იური ანდროპოვის მეთაურობით ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობასთან ბრძოლაში დიდი გამოცდილება შეიძინა და კიდევ უფრო გაზარდა დამსჯელი ფსიქიატრიის როლი: ცნობილ დისიდენტებს ფსიქიკურად არანორმალურებად აცხადებდნენ (აბა, ნორმალური და ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი საბჭოთა სისტემის კრიტიკას როგორ გაბედავდა, არ შეეშინებოდა მინაც?!), „საეჭვო“ ადამიანებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ფაქტობრივად კი, ფსიქიატრიულ საპრობილებებში ათავსებდნენ, სადაც გამოჩენილი საბჭოთა ფსიქიატრები მათი ფსიქიკის „კორექციაზე“ მუშაობდნენ.

1980 წელს დაბადებულმა „სოლიდარობამ“ ირიბი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკაზე. კომუნისტი ლიდერები თვალნათლივ ხედავდნენ, თუ რა ხდებოდა ბოროტების იმპერიის ევროპულ საზღვარზე. სუკი და დაზვერვის სამსახურები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ პოლონელი მშრომელების ხმას საბჭოთა

კოლეგებამდე ვერ მიეღწია და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა არ აეფეთქებინა. „სოლიდარობის“ პირველ ყრილობაზე და იქ მიღებულ „აღმოსავლეთ ევროპის მშრომელთა დემიარტავაზე“ საბჭოთა პოლიტიკური ისტებლიშმენტის რეაქცია ნერვოული, უხეში, გაუნონასნორებული და არათანმიმდევრული იყო.

როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, საბჭოთა კავშირში დაიწყო მომდევნო მასობრივი შემოღობა, რომელმაც მოიცვა მთელი ქვეყანა. გამოცდილება დიდი იყო – გენიალური რომანის დაწერისთვის, ამ რომანისთვის ნობელის პრემიის მინიჭებისთვის ბორის პასტერნაკის „საზოგადოებრივი“ დევნიდან დაწყებული და მილიონთა ტკივილის მომცველი ენციკლოპედიის, „არქიპელაგ გულაგის“ შემოქმედის, ალექსანდრე სოლჟენიცინის ქვეყნიდან გაძევებით დასრულებული, არ დარჩა არც ერთი სანარმო, დაწესებულება, უნივერსიტეტი თუ ინსტიტუტი, სადაც პარტიულმა ბოსებმა არ მოანწყვეს საპროტესტო გამოსვლები იმ „უპასუხისმგებლო“ პოლონელი ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა მშრომელების, სახელგანთქმული მუშათა კლასის შინაგან საქმეებში ჩარევას. ასობით და ათასობით ადამიანი იძულებული იყო გამოსულიყო და ხმამაღლა გაეკიცხა „სოლიდარობა“, როგორც მშრომელთა ინტერესების მოლალატე და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეებში ჩარევის მოსურნე ბოროტი და იმპერიალისტური ძალა, რომელიც, რა თქმა უნდა, ოკეანის გაღმიდან, კერძოდ კი, პოტომაკის ნაპირებიდან იმართებოდა.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში არც საქართველო იყო გამონაკლისი და „ქართული მუშათა კლასის“ პოლონელი მოლალატეები ჯერ 31-ე ქარხანაში გაასწორეს მინასთან, მერე თბოელექტროცენტრალში, ხოლო კოლეგების საჯარო დაკრძალვის ფინალური აკორდი მაუდ-კამეოლის კომბინატმა იკისრა. არც აკადემიური წრეები დარჩენილან კომუნისტურ პარტიას ვაღში, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა, მაშინ ერთადერთმა,

შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა უნივერსიტეტმა და სხვა უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, დოსააფმა, საზოგადოება „ცოდნამ“, მწერალთა კავშირმა, კომპოზიტორთა კავშირმა, მხატვართა კავშირმა და მონადირეთა კავშირმაც კი ერთხმად დადგეს პოლონეთის მუშათა კლასის მუნუქები (ვალენსა, ვალენტინოვიჩი, კურონი და სხვები) და მათთან მიტმასნილი „ვაი-ინტელიგენტები“ (რომაშევსკი, მაზოვეცკი, გერემეკი და სხვები).

ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამს ქართველ ხალხს. ამ ჭირმაც მოიტანა სარგებლობა – ინფორმაცია პოლონური ამბების შესახებ დაგმობის დროს უფრო გასაგები გახდა ხალხისთვის. ზოგმა მაშინ გაიგო პირველად, რომ „სოლიდარობას“ წინ უძლოდა კოს-კორის აქტივობა, რომ ამ მოძრაობას თავისი გაზეთი ჰქონია, რომ სამხედრო მდგომარეობის დროს ცოლქმარმა რომაშევსკებმა ვარშავაში „სოლიდარობის“ იატაკქვეშა რადიო აამუშავეს, რომ შეერთებულ შტატებში ირენა ლასოტამ აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიის ინსტიტუტი შექმნა და „სოლიდარობის“ მხარდამჭერთა რიგებში ცნობილი ამერიკელი მოღვაწეები გააერთიანა, მათ შორის, სახელგანთქმული რეჟისორი ვუდი ალენი და მსახიობი რიჩარდ გირი.

ბევრმა არ იცის, რომ „სოლიდარობა“, როგორც მასობრივი მოძრაობა, რომელიც მუშებმა და ინტელექტუალებმა ერთობლივად შექმნეს, ეყრდნობოდა კონკრეტულ ფილოსოფიურ საფუძვლებს – რომ, ბოლოს და ბოლოს, კომუნისტური სისტემა არა მხოლოდ თავდადებულ ადამიანთა გმირობამ და გამძლეობამ, არამედ ფილოსოფოსთა ნააზრევმაც, კერძოდ კი, ერთი ადამიანის ნააზრევმაც დაანგრია. ეს ადამიანი იყო დიდი პოლონელი ფილოსოფოსი და იდეების ისტორიკოსი ლუშეკ კოლაკოვსკი. იგი, ძირითადად, ცნობილია, როგორც ანტიკომუნისტი და მარქსიზმის კრიტიკოსი მეცნიერი. განსაკუთრებით სახელგანთქმულია მისი სამტომიანი ისტორიულ-ფილოსოფიური ეპოპეა „მარქსიზმის ძირითადი მიმდინარეო-

ბები“, რომელსაც „ბიბისი“-ს კორესპონდენტმა, ცნობილმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა ადამ ისტონმა 2009 წელს, ფილოსოფოსის გარდაცვალებისას დაწერილ ნეკროლოგში სრულიად სამართლიანად „მეოცე საუკუნის პოლიტიკური თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი“ უწოდა.

სხვათა შორის, 1984 წელს პოლიტიკურ ბანაკში ჩასვლისას ადგილობრივმა მკვიდრებმა, ანუ სტაჟიანმა ძველმა პატიმრებმა საგარეო ამბებზე, მათ შორის კი, პოლონეთის მოვლენებზე მოხსენება შეგვიკეთეს მე და ჩემს ძმას. ჩემი პირველი ზეპირი გამოსვლა ზონაში დავიწყე სწორედ ლეშეკ კოლაკოვსკის მოხსენიებით და იმის ხაზგასმით, რომ ისიც, იზაბელა პორტუგალიელის, პიერ ლარუსის, ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს (პელეს), თამაზ გამყრელიძის და ჩემს მსგავსად, 23 ოქტომბერს იყო დაბადებული.

კოლაკოვსკი უაღრესად უცნაური ადამიანი იყო. დავიწყეთ იმით, რომ მას სკოლაში არ უვლია, რადგან მისი მონაფეოების ხანა მეორე მსოფლიო ომის წლებს დაემთხვა, მაგრამ წიგნებს კითხულობდა და რამდენიმე კერძო გაკვეთილიც მიუღია, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ სავალდებულო გამოსაშვები გამოცდები ბრწყინვალედ ჩაებარებინა. ომის შემდეგ ლოდის უნივერსიტეტში ფილოსოფიას სწავლობდა და 1953 წელს სპინოზას ფილოსოფიაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ვარშავის უნივერსიტეტში, რომლის პროფესორი და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე იყო 1959-1968 წლებში.

როგორც მოაზროვნემ, კოლაკოვსკიმ საინტერესო გზა გაიარა მხურვალე სტალინისტი კომუნისტიდან „რევიზიონისტ მარქსისტამდე“, რომელიც მარქსის მოძღვრების ჰუმანისტურ ინტერპრეტაციას უჭერდა მხარს; ბოლოს და ბოლოს, კოლაკოვსკი მედგარ ანტიკომუნისტად და ყველა ტიპის ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული ფილოსოფიური აზრის მთავარ მატარებლად ჩამოყალიბდა. ახალგაზრდობაში, 1947-1966 წლებში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრიც კი

იყო, მაგრამ რევიზიონისტობის გამო უნივერსიტეტიდანაც გააგდეს და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიიდანაც გარიცხეს.

1956 წლის საყოველთაო მღელვარებისას, რომელიც „პოლონური ოქტომბრის“ სახელითაა ცნობილი, კოლაკოვსკიმ პოლონურ ჟურნალ „ახალ კულტურაში“ გამოაქვეყნა საბჭოთა-მარქსისტული დოგმების, მათ შორის, ისტორიული დეტერმინიზმის, ოთხნაწილიანი კრიტიკა.

საბოლოოდ, კოლაკოვსკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სტალინისტის ტოტალიტარული სისასტიკე იყო არა აპერაცია და მხოლოდ სტალინის პიროვნული ახირება, არამედ მარქსიზმის თანმიმდევრული საბოლოო ლოგიკური პროდუქტი, რომლის გენეალოგიაც მან გამოიკვლია თავის 1976-78 წლებში გამოქვეყნებულ მთავარ ნაშრომში „მარქსიზმის ძირითად მიმდინარეობები“.

მას სულ უფრო და უფრო აინტერესებდა ის განსაკუთრებული წვლილი, რომელიც ქრისტიანობამ შეიტანა დასავლეთის კულტურასა და, განსაკუთრებით, თანამედროვე აზროვნებაში, იგი დიდი სიმტკიცით იცავდა და ხაზს უსვამდა იმ როლს, რაც თავისუფლებას შეუსრულებია ტრანსცედენტულობისაკენ ჩვენს მიდრეკილებაში.

1968 წლიდან კოლაკოვსკი უცხოეთში დამკვიდრდა, იგი პროფესორობდა ჯერ ბერკლის, შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტეტებში; საბოლოოდ კი ოქსფორდის სტუდენტებს გაუღიმა ბეჭედი, რადგან სწორედ მათ უნივერსიტეტში დაიდო ბინა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა ჰუმანისტმა და ფილოსოფოსმა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომები ოფიციალურად იყო აკრძალული, ისინი იატაკქვეშეთში მაინც ვრცელდებოდა და პოლონეთის ინტელექტუალურ ოპოზიციაზე გავლენას ახდენდა. 1971 წელს დაინერა მისი „თეზისები იმედისა და უიმედობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც თვითორგანიზებული და დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფები ნაბიჯ-ნაბიჯ გააფართოებდნენ სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო არეს ტოტალიტარულ სახელმწიფოში. სწორედ ამ

ნაშრომიდან დაიბადა „სოლიდარობა“, რომელსაც სახელგანთქმული ფილოსოფოსი ყოველნაირად ხელს უწყობდა. ამ მართლაც რომ ისტორიულ და „ბედისმატარებელ“ ნაშრომში გამოითქვა აზრი, რომ თავისი უკიდევანო შეიარაღებით, დამსჯელი მანქანის გამართულობით, საიდუმლო და ღია აგენტების ენთუზიაზმით გაძლიერებულ, ერთი შეხედვით, უკვდავ ტოტალიტარიზმს დაანგრეს პატარა თვითორგანიზებული სოციალური ჯგუფები (მაგალითად, სიმღერის ან ცეკვის წრეები, ცხოველთა მოყვარული საზოგადოება, ფილატელისტთა კავშირი და ა.შ.), თუკი ისინი სახელმწიფოს გავლენას თავს დააღწევენ და ერთმანეთისკენ გაიწევენ, ერთმანეთს გაეცნობიან, ერთმანეთისადმი სოლიდარული იქნებიან. საყოველთაო ფრუსტრაციისა და უიმედობის წინააღმდეგ მიმართული მთავარი „იმედიანი“ თეზისი დღევანდელი გადმოსახედიდან მართლაც რომ გასაოცრად ჟღერდა: „სოლიდარობა დაამარცხებს ტოტალიტარიზმს“. ამ სიტყვების ავტორი არც მუცლითმეზღაპრე მეოცნებე ყოფილა და არც მომავლის ირაციონალური ჭვრეტის ვანგასეული ნიჭით დაჯილდოებული მედიუმი, არამედ სრულიად რაციონალური, გენიალური ფილოსოფოსი, რომელმაც თავისი დიდი მასწავლებლის, პლატონის ოდინდელი ოცნება აღასრულა და ფილოსოფიური აზროვნება სახელმწიფოს მშენებლობის, მომავლის კონსტრუირების სამსახურში ჩააყენა.

ლეშეკ კოლაკოვსკის ამ ნაშრომს გვერდით დაუწყენებდი მეოცე საუკუნის კიდევ ერთი სასწაულმოქმედი ავტორის, უდროოდ დაღუპული ანდრეი ამალრიკის 1969 წელს დაწერილ და 1970 წელს გამოქვეყნებულ სახელგანთქმულ ბროშურას „გაძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ თავდაპირველად ამალრიკს საბჭოთა იმპერიის დაცემის თარიღად 1980 წლის დასახელება სურდა, როგორც, ასე ვთქვათ, „მრგვალი თარიღისა“, მაგრამ მეგობრის რჩევით ორუელისეულ 1984 წელზე აიღო ორიენტაცია. ამალრიკის წინასწარმეტყველებით, საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა 1980 და

1985 წლებს შორის. ყველა საბჭოთა დისიდენტმა ზეპირად იცოდა სამიზდატის ამ წმინდა წიგნის თითოეული თეზისი. უშიშროების გამომძიებლებიც კი იმდენად დიდ პატივს სცემდნენ ამალრიკს, რომ 1984 წლის იანვარში გამომძიებელმა გია ცინცაძემ სწორედ საახალწლოდ დაპატიმრებულ კაცს ახალი წელი ირონიულად მომილოცა და მომახარა, ხომ გავძელით 1984 წლამდეო! მე მისი ენთუზიაზმი ვერ გავიზიარე: საბჭოთა კავშირის დღეები თუ არა, წლები მაინც დათვლილი იყო – არც გეოგრაფიულ შეცდომას (ამალრიკი ჩინეთთან ომს ვარაუდობდა და საბჭოთა კავშირმა მხოლოდ ავღანეთი „გაახერხა“) და არც 5-7 წლიან სტატისტიკურ შეცდომას მნიშვნელობა არ ჰქონდა მარადიულობის თვალსაზრისით: კომუნიზმის განაჩენი ისტორიას გამოტანილი ჰქონდა. ასე რომ რომის

პაპის იოანე პავლე მეორის, პოლიტიკოსების – რეიგანის, ტეტჩერის, ვალენსას, კურონისა და რომაშევსკის გვერდით კომუნიზმს ფილოსოფოსი კოლაკოვსკი და დისიდენტი ფუტუროლოგი ანდრეი ამალრიკიც ანგრევდნენ.

* * *

1978 წელს თბილისის უნივერსიტეტის 104-ე აუდიტორიაში ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში ლექციას ვკითხულობდი. ლექცია დასრულდა და სტუდენტები დავითხოვე. მოულოდნელად პირველივე მერხში დიდი ზომის ფოტოქალაქის კარგა მოზრდილი შეკვრა აღმოვაჩინე. გაირკვა, რომ ეს იყო ფოტოასლი (ასლგადამღები მანქანები ჯერ კიდევ არ იყო ჩვენში დამკვიდრებული) კოლაკოვსკის ნაშრომისა „თეზისები იმედისა და უიმედობის შესახებ“. მართალია,

ავტორი მითითებული არ იყო, მაგრამ თარგმანი რომ იყო, წყალი არ გაუვიდოდა. ოდნავ დაუდევარი სტილის მიხედვით აშკარად იგრძნობოდა, რომ სახელდახელოდ და ნაჩქარევად იყო თარგმნილი ინგლისურიდან (რამდენიმე ინგლისური ტერმინი უცნობ თარგმანს უცვლელად ჰქონდა გადმოტანილი). შემდგომში ბევრი ვეძებე, მაგრამ ამ პატარა გამირობის შემოქმედი, კოლაკოვსკის ტექსტის ქართველი მთარგმნელი ვერსად აღმოვაჩინე (იქნებ ახლა მაინც გამოგვეჩვენა). ზემოთ ჩემ მიერ ჩამოთვლილ დიდ ადამიანებთან ერთად ეს უცნობი მთარგმნელიც თავისუფლებისთვის იბრძოდა, მეთოდურად და ჯიუტად ანგრევდა კომუნიზმის მაღალ კედელს, რომლის მიღმაც ყველას „ახალი მშვენიერი სამყარო“ გვეგულებოდა.



მთარგმნელობითი ხელოვნებისთვის

<<< დასაწყისი გვ. 80

ინდოევროპულ ბერძნულს და პალეოკავკასიურ ქართულს ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებული ლატენტურ-სემანტიკური ანაგობა გააჩნია. ერთი ადგილი ტექსტში შესაძლოა, მოითხოვდეს უფრო შეკუმშულ სინტაქსს და სიტყვების მნიშვნელობის დაუშლელობას, მეორე – უფრო განვრცობილ სინტაქსს და სიტყვების მნიშვნელობის დაშლას. ამიტომაცაა,

რომ ქართული ფსალმუნი ხშირად ორიგინალური ქართული ნაწარმოები გვეგონია და არა თარგმანი. აქ მაქსიმალურადაა განხორციელებული ის მოთხოვნები, რომელსაც ციციერონი უყენებდა თარგმანს, როდესაც წერდა: „თარგმანი ნიშნავს დედნის ტექსტს როგორც საზრისის, ისე – სტილის მხრივ, სათარგმნ ენაზე დაუპირისპირო საუკეთესო და ბუნებრივი ქმნილება“. ამიტომაც აღემატებოდა მე-19 საუკუნის ენციკლოპედიურად განსწავლული მოღვაწის, პლატონ იოსელიანის თვალში ქართული ფსალმუნი როგორც ლათინურ ვულგატას, ისე – ლუთერისეულ, იტალიურ და სხვა ენებზე შესრულებულ თარგმანებს.

ძველი აღთქმის ქართული წიგნები თარგმნილია არა ბნელ-საკრალური, ძნელადგასაგები შვიდბეჭდიანი ებრაული თაურტექსტიდან, არამედ ნათელი გასაგები სინტაქსით თარგმნილი ბერძნული სეპტუაგინტადან. ქართულ სინამდვილეშიც, ტრადიციულად, სეპტუაგინტასეული სახელები და ტოპონიმიკა დამკვიდრდა: ისააკი და არა იცხაკი, ბერსაბე და არა ბარშაბაყ, რებეკა და არა რიბკა, ელეაზარი და არა ელყაზარი, იერუსალიმი და არა ერუშალიმი. ქართული ენობრივ-კულტურული ინდივიდუალობა ადრექრისტიანულ ეპოქაში, ერთი მხრივ, იმდენად ელინიზირებული პართიის პირდაპირი მემკვიდრის, ქართულზე მეტად თუ არა, არანაკლებ ძველი, ხოლო იმჟამინდელი მსოფლიოს საზომებით კიდევ უფრო მეტადაც დაწინაურებული სომხური კულტურის მიერ. მეორე მხრივ, ყოველისმომცველი იყო ბერძნული კულტურის ზეგავლენა, რომელიც საკმაო

ხნის წინ გამხდარიყო უნივერსალური მნიშვნელობის მქონე.

სომხური კულტურისგან ჩვენი ემანსიპირება მოხერხდა იმით, რომ ივერიის ეკლესიამ აიღო ქალკედონური ორიენტაცია და დიოფიზიტურ რწმენას გაჰყვა. ხოლო დიოფიზიტურ მართლმადიდებლური ბიზანტიური გავლენის ველიდან ჩვენი ემანსიპირება კი მოხდა სწორედ ქართული ენის მნიშვნელობის წინ წამოწევი, რაშიც ლომის წილი მთარმენელობით საქმიანობაზე მოდის. ბიბლიასთან ერთად აქ იგულისხმება საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური თხზულებების თარგმანა და მათი კომენტირება. გასაოცარია ის, რაც შეძლეს ეფრემ მცირემ და იოანე პეტრიწმა თავიანთი თარგმანებით: შექმნა ქართული სამეცნიერო ენისა თავისი პრეციოზული ტერმინოლოგიით. ამის წყალობით ქართულში შემოდის გონისმისმეირი, აპოლონური ელემენტი, ახალი დროის აზროვნების-მიერი ცხოვრებისა, რომელიც გამოიხატება აზრის ურთულეს წიაღსვლებში და მკაფიოდ ჩამონაკვთულ სიტყვა-თწყობებში.

მაგრამ აღმავლობას თავისი საზღვარი აქვს ხოლმე დადებული, და გამონაკლისი არც ჩვენ ვყოფილვართ, „მინდობილი ღმერთსა და საკუთარ მკლავს“. გვიანი შუასაუკუნეების კულტურულმა კრიზისმა, რომელმაც მეტადრე ბიზანტიის დაცემის და ჩვენ მახლობლად აგრესიული სამხედრო-დესპოტური ვეშაპების გაჩენის შემდეგ იჩინა თავი, მთარგმნელობით სფეროშიც სტაგნაცია გამოიწვია: შეფერხდა მოღვაწეობა, რომელიც ესოდენ სანუგეშოდ დაიწყო ათონის მთის, სინაის, იერუსალიმის, დავით-გარეჯის სავანეებში. მდგომარეობას არ ცვლიდა არც ის, რომ ქვეყანას განათლებული ადამიანები არ აკლდა. რომლებსაც შეეძლო, მეფე თეიმურაზის მსგავსად, დამტკბარიყვნენ სპარსული ენის მუსიკობით.

განათლების მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა, კულტურული აღმავლობის ვერცხლის ხანაში ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობას რომ მიჰყვა. სულხან-საბას მიერ ვირტუოზულად გამართული და გამშვენებული „ქილი-

ლა და დამანა“ გვერდს თავისუფლად დაუმშვენებს „ვის-ო-რამინის“ ძველ ქართულ თარგმანს, მართალია, არსებობდა სხვა თარგმანებიც, მაგალითად, გადმოქართულებული „ყარამანინი“, „როსტომიანი“, „ბეჟანინი“ და ა.შ., რომლებიც უფრო ჩანერულ ქართულ ხალხურ თქმულებებს ჰგავდა, მაგრამ მათი ენა ვერ გაუტოლდებოდა ფირდოუსის ურთულესი ალეგორიებით და ალიტერაციებით დატვირთულ ტროპულ მეტყველებას.

ვახუშტი კოტეტიშვილისეულ თარგმანებამდე საქართველოში არ თარგმნილა ომარ ხაიამის არცერთი რობაი, ჰაფეზის არცერთი გაზელი, არც ჯალალ ედდინ რუმის და სხვა პოეტების ქმნილებები.

უარესი ვითარება იყო დასავლური კულტურის მიღწევებთან მიმართებაში, რასაც, ალბათ, გეოგრაფიული სიმორე, თვით ევროპის მეფეების და ვატიკანის პოლიტიკური სისუსტე და საქართველოს ბედის მიმართ მათი გულგრილი დამოკიდებულება განაპირობებდა. ამიტომაც რჩებოდა ჩვენთვის დასავლეთი არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ კულტურულად დაშორებულ სამყაროდ. ცალკეული პიროვნებები აქ ვეღარ თამაშობდნენ გადაწყვეტ როლს, როგორც, მაგალითად, სულხან-საბა, რომლის ლათინურად თარგმნილ თხზულებებსაც ქართულ-მართლმადიდებლური საზოგადოება უფრო მეტი ინტერესით და მეტი შემწყნარებლობით მოეკიდებოდა, რომ არ გაკათოლიკებულიყო. იგივე ითქმის, ანტონ კათალიკოსზეც, ქართული აზრის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელზე მე-18 საუკუნეში, რომლისთვისაც ქართულ-მართლმადიდებლური სულიერების გადარჩენა-განვითარება ევროპული სქოლასტიკის და მეცნიერების მიღწევათა ათვისებას უკავშირდებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ენაზე არ ამეტყველებულა არც თომა აკვინელის, არც ალბერტუს მაგნუსის, არც ნიკოლოზ კუზანელის რომელიმე თხზულება, ხოლო იმავე მე-18 საუკუნეში, როდესაც პეტრიწის რთული ენა ბევრს აღარ ესმოდა, იყენებდნენ პროკლეს „უკავშირის“ გვიანდელ თარგმანს, რომელიც ტრაქტატის

სომხური თარგმანიდან იყო შესრულებული.

არც მე-19 საუკუნეში ჩანს შესაძლებლობა იმისა, რომ საქართველო პირდაპირ ეზიაროს ევროპული კულტურის მიღწევებს, ამიტომაც ოპტიმალური გამოსავალი არის ევროპასთან ზიარება რუსული ენის და კულტურის საშუალებით. თეორია თარგმნის ხელოვნების შესახებ, ბუნებრივია, არ არსებობდა. მისი დაბადების თარიღად, ალბათ, 1861 წელი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვითგან „შეშლილის“ თარგმანზედა“. აქ წამოჭრილი საკითხებიდან უმთავრესია ჯერ ენის, შემდეგ კი ლიტერატული მიმდინარეობის, ანუ ეპოქალური სტილის აქტუალობის საკითხი, ზოგადად აღებული სტილი, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი — იგულისხმება ბაროკული, კლასიცისტური, რომანტიკული და ა.შ.

ის, რასაც ენას უწოდებენ, სინამდვილეში არის სხვადასხვა ენობრივ სახესხვაობათა ჯამი. აქ, პირველ რიგში, გამოირჩევა მწიგნობრული ენა და მეტნაკლებად მისით აღბეჭდილი მეტყველების ტიპი, შემდეგ მოდის რეგიონული და სოციალური დიალექტები; და ბოლოს გამოიყოფა სხვადასხვანაირი მეტყველების ტიპები, ვითარების შესაბამისად. საზეიმო მეტყველება რაღაც დიდსა და ამაღლებულზე ვერ იქნება ისეთივე, როგორც საქმიანი, ლაპიდარული საუწყებო სტილი. მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ჩამოსული ორი სულიერი მამა, ერთმანეთთან ვერ ისაუბრებს იმავე სტილით, როგორითაც ორი მეგობარი თანამედროვე მეგაპოლისის კაფეში მაგიდასთან მყუდროდ მიმჯდარი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დისკუსიაც დღევანდელი გადასახედიდან, ფაქტობრივად, სტილის გარშემო ტრიალებს, რადგან საბოლოო ჯამში სტილი სხვა არაფერია, თუ არა თვით „ენა“.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ენის საკითხის ახლებურმა დაყენებამ შეძრა იმდროინდელი ქართული საზოგადოება. 60-იანი წლების დისკუსიის მთავა-

რი საკითხი – რა ენით უნდა გვეწერა და გვეთარგმნა. ცხადია, თემატურად შეცვლილი, დღემდე აქტუალური რჩება. ილიას წერილზე კონსერვატორულად განწყობილი ლიტერატორი თავადების მხრიდან კამათი ენის და სტილის გამო იყო. მათში დაგმობილია „უშვერი, გარყვნილი და ბიჭბუჭების“ გამოთქმები და აღნიშნულია, რომ „ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას“. რამდენადაც მონინალმდებელთა არგუმენტაცია ხშირად კომიკურ ელფერს იღებს, გასაკვირი არ არის, რომ ასეთ არც თუ დამაჯერებელ კრიტიკას ილია ჭაჭავაძე საოცარი ელეგანტურობით, ოხუნჯობით და თამაშ-თამაშით იგერიებდა. თუმცა სამართლიანი არც ილიას კრიტიკა ყოფილა ჩახრუხადის სტილის განქიქებისას, როდესაც წერდა, რომ მათში არც აზრია, არც სურათი არც არაფერი, გარდა „ზედმესრულების რახარუხისა“, ე.ი. უშინაარსო ვირტუოზობისა.

ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი შეიმჩნევა ევროპული ლიტერატურისადმი და თარგმნაც ჩვეულებრივი ამბავი ჩანს. თარგმნიდნენ ილია, აკაკი, ივანე მაჩაბელი, სერგეი მესხი, დიმიტრი ყიფიანი, მოგვიანებით, ამ მხრივ, სახელს გაითქვამენ თედო სახოკია, ივანე მაჭავარიანი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვანი. უმეტესწილად ითარგმნებოდა ფრანგული ლიტერატურა. მე-19 საუკუნის საქართველოში გავრცელებული ჩანს „გადმოქართულების“ ტიპი, სადაც ხშირად თითქმის ნახევარი ორიგინალისა არ ითარგმნებოდა. თარგმნის ეს მანერა ძალიან წააგავს მე-18 საუკუნის საფრანგეთში გავრცელებულ მთარგმნელობით მიმდინარეობას, რომელსაც უწოდებენ „Belles infidèle“, ანუ სიტყვა-სიტყვით „მშვენიერი არაერთგულნი“. ეს სტილი სათავეს იღებს მე-16 საუკუნიდან, როდესაც უკე ამიომ ფრანგულად თარგმნა პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“. კრიტიკოსების თქმით, მან ანტიკური სამყარო თავისი მკითხველის საგარაუდო ჰორიზონტს მოარგო. Belles infidèle გულისხმობს სათარგმნ ტექსტთან

თავისუფალ მიმართებას, ცალკეული ადგილების გადაადგილებას, გამოტოვებას, შეცვლას, რისი მიზანიც ბუნებრიობის მიღწევა იყო. ამ სტილმა საფრანგეთში თითქმის მე-18 საუკუნის ბოლომდე იარსება. თუმცა იმ დროის საქართველოში არის ისეთი თარგმნებიც, სადაც დაცულია ტექსტისადმი ერთგულება და ადეკვატური სტილი. ასეთია თუნდაც ვიქტორ ჰიუგოს „93 წელი“ და ივანე მაჭავარიანის მიერ თარგმნილი დიუმას „სამი მუშუკეტერი“.

თანამედროვე მეცნიერულ კრიტიკაში მთარგმნელის სტილი ცალკე ფენომენადაა აღიარებული. ამ შემთხვევაში საკითხავია, თუ რამდენად ადეკვატურია იგი ორიგინალთან. რამდენადაც მთლიანად გამსაღებელ ბაზარზე დამოკიდებული მთარგმნელობითი ცეხი იძულებულია წელიწადში სულ ცოტა 4-5 წიგნი მოითხოვოს თითოეული მთარგმნელისაგან, პროდუქტს ხშირად აკლია შემოქმედებითობა და ეს საიდუმლო არ არის მათთვის, ვინც სისტემატურად ეცნობა ამგვარ ლიტერატურას. გერმანელი მთარგმნელი ირენე კუნი წერს დღევანდელ ცაიტნოტში მოყოლილ მთარგმნელზე: „მთარგმნელმა თავი ბედნიერად უნდა იგრძნოს, თუკი კრიტიკა ხშირად ახსენებს ენასა და სტილს. მაგრამ რომელი ენის სტილს? რა თქმა უნდა, მისას. ენა და სტილი ამოიცნობა, როგორც ავტორისეული ქმნილება და თუ მათ აღნიშნავენ სიტყვებით „კარგი“, „მოქნილი“ და „სასიამოვნო“, აქ საგულისხმოა ქება. თუკი სტილს უწოდებენ ცუდს, კიჩს, ზედაპირულს, სასტიკს, არადიფერენცირებულს და ა.შ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ, მათი თვალსაზრისით, თარგმანი არ ვარგა.“

თუ ილიასეული კრიტიკა მაინც ქართული ენის რეფორმირების წრეში დარჩა, წმინდად თარგმანის თეორიის საკითხები უფრო გამოიკვეთა მათ ნააზრევეში, ვინც ასპარეზზე მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. ერთ-ერთი პირველი რეფლექსია გამოიკვეთა არჩილ ჯორჯაძესთან, იმ ქართველ ინტელექტუალთან, ვინც ფრანგულ ლიტერატურას ორიგინალში ეცნობოდა; შემდეგ იგი უფრო ჩამოყალიბებულ

სახეს მიიღებს ერეკლე ტატიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, გრიგოლ რობაქიძის ესეისტიკასა თუ კრიტიკულ წერილებში. მათი საორიენტაციო აქცენტები ფრანგულიდან გერმანულ-ანგლოსაქსურ სამყაროზე გადაადგილდება. აქ უკვე ჩნდება შეკითხვა, თუ როგორი უნდა იყოს ან როგორი არ უნდა იყოს თარგმანი, რა მიმართებაში უნდა იყოს ის ორიგინალთან და ა.შ.

ნამდვილმა მეცნიერებამ თარგმანის შესახებ შუა და დასავლეთ ევროპაში ფეხი მე-20 საუკუნიდან აიდგა, თუმცა თავისი ადგილი თავიდან ენათმეცნიერების სფეროში ჰპოვა. იგი თვით მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც კი ერთხანს ენათმეცნიერების ნაწილად რჩებოდა, თუმცა თანდათანობით მოხდა მისი გამოყოფა და მეცნიერება თარგმანის შესახებ ლიტერატურათმცოდნეობის ნაწილი გახდა. იქ, სადაც არსებობს უმაღლესი დონის თითქმის კონგენიალობის მიჯნას მიღწეული მთარგმნელობითი ლიტერატურა, ბუნებრივად ჩნდება ამ ფენომენის შესწავლის, შეფასების და კლასიფიკაციის მოთხოვნილება. მიუხედავად ბაზრის და წიგნის ფაქტორისა, შილერი, ბაირონი ან აკაკი წერეთელი, ალბათ, გაოგნებული დარჩებოდნენ თუნდაც ფრანკფურტის წიგნის მესხის გრანდიოზულობით და აქ წარმოდგენილი კოლოსალური ოდენობის ლიტერატურით – დღესაც საკმარია ისეთი მაღალხარისხოვანი თარგმანები, რომლებიც იმდენად შეესისლბორცა თარგმანის ენას, რომ ძნელი წარმოსადგენიც კი არის მათი უცხოური წარმომავლობა. ასეთია, თუნდაც ბურკჰარდ კროებერის მიერ იტალიურიდან გერმანულად თარგმნილი უმბერტო ეკო, მეტადრე მისი რომანები „ვარდის სახელი“ და „ფუკოს ქანქარა“.

ამ რაოდენობის ლიტერატურა, თანაც მზარდი, ცხადია, მოითხოვს აღწერას. დღეს არსებობს თარგმანების მეტნაკლებად სრული ბიბლიოგრაფიები. ჯერ კიდევ 1932 წელს გამოვიდა ინდექს ტრანსნაციონუმ, რომელიც თავიდან მოიცავდა მხოლოდ გერმანიას, ესპანეთს,

აშშ-ს, საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს. 1949 წლიდან იგი უკვე იუნესკოს მფარველობის ქვეშაა. ხოლო დღეისთვის ამ ინდექსში ჩართულია 56 ქვეყნის ნაციონალური ბიბლიოთეკები და მონაცემები ელექტრონული საშუალებითაა დაფიქსირებული. ქართული ლიტერატურა არ არის ცალკე წარმოდგენილი ამ ნუსხაში, თუმცა ქართული ენა 50 ორიგინალურ ენათა შორის ერთ-ერთია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თვით საქართველოში არ არსებობს ქართულ ენაზე ყველა თარგმანის ნუსხა. 1974-1977 წლებში დანერგილი ზურაბ კიკნაძის სტატია „შენიშვნები ჰერმან ჰესეს ბროშურაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ (იხ. ზ. კიკნაძე, „ავთანდილის ანდერძი“ თბ. 2001) მცდელობაა ყველა მნიშვნელოვანი ქართული თარგმანის მოხსენიებისა. ამ მიმოხილვამ წარმოაჩინა ქართული მთარგმნელობითი სკოლის როგორც მიღწევები, ისე ჩავარდნები. რამდენადაც 2005 წელს ევროპაში აღინიშნა შილერის გარდაცვალებიდან 200 წლის იუბილე, დავძენ, რომ ქართულად არ არსებობს შილერის დრამების სრული გამოცემა, ასევე მსოფლიო ლიტერატურის სხვა ბევრი კლასიკოსისა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შემოქმედთაგანი, მერაბ კოსტავა, ამის თაობაზე წერდა: „ქართული კულტურისა და ენის მაღალი პრესტიჟისთვის აუცილებელია მშობლიურ ენაზე ვიქონიოთ ყოველივე მნიშვნელოვანი: რაც სადმე თუ ოდესმე შექმნილა. ამით და მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია კულტურის სფეროში დავეფუძნოთ საყრდენთა შორის ყველაზე საიმედოს, საკუთარ თავს.“

დღეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ რუსული მთარგმნელობითი სკოლის მიღწევებთან ქართული სკოლა ახლოსაც ვერ მივა – უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე რუსები არნახულად დანიშნაურდნენ პროზის, პოეზიის, ფილოსოფიის და თვით სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საქმეში და ამ ფაქტორმა საქართველოსთვისაც კეთილისმყოფელი როლი

შეასრულა მსოფლიო კულტურასთან კონტაქტის თვალსაზრისით. თუმცა საქართველოსაც გააჩნია მაღალი დონის მთარგმნელობითი ლიტერატურა. ავილოთ თუნდაც ერეკლე ტატიშვილის 20-იან წლებში შესრულებული „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ნიცშესი, მართებულად თარგმნილი არქაული ელფერის მქონე ქართულით, რადგან ნიცშემ სწორედ ლუთერისეული ბიბლიის ენა ააღორძინა; კიდევ დავასახელებდი კონსტანტინე გამსახურდიას დანტესეულ „ღვთაებრივ კომედიას“, ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვას „დავით კოპერფილდს“ დიკენსისა, შოთა ჩანტლაძის „ირლანდიურ საგებს“, მანანა გიგინეიშვილისა და კარლო ქილარჯიანის „სალამბოს“ ფლობერისა, თამაზ ჩხენკელის „გიტანჯალს“ თავორისა, რომან მიმინოშვილის „ილიადას“, ჯონათან სვიფტის მოსე ქარჩავასეულ „გულივერს“, ზვიად გამსახურდიას ოსკარ უაილდისეულ ზღაპრებს, მისივე გოგოლის „საშინელ შურისგებას“ და ბოდლერის პროზაულ ლექსებს, დავით წერეთლისეულ ფრანსუა ვიიონის პოეზიას, ძმები გრიმების ზღაპრებს, დალი კოკაია-ფანჯიკიძის „ჯადოსნურ მთას“ თომას მანისა, ჯემალ აჯიაშვილის ებრაულ პოეზიას და სხვებს.

როგორც ქართველი მკითხველი, ისე კრიტიკოსი დედნის ერთგულების საკითხში პოეტურ თარგმანზე მეტნდობას პროზაულ თარგმანს უცხადებს. ითვლება, რომ პოეზიაში გადახვევები, ასე თუ ისე, მოხდება და ეს მთარგმნელს უფრო მეტად ეპატიება, ვიდრე პროზაული ტექსტის შემთხვევაში. ამავე დროს პროზაში არც თუ იშვიათია შემთხვევითობები, დაუდევრობა, ვერგაგება. ზოგჯერ გაჩენილა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ესა თუ ის თარგმანი შესრულებულია არა ორიგინალიდან, არამედ რუსული თარგმანიდან, რადგან რუსული ენა სხვა ენებზე უფრო ხელმისაწვდომი იყო. თუკი ქართულად თარგმნილ ამა თუ იმ ქმნილებას თან ახლავს ეპითეტი „ქართული“ (როგორც, მაგალითად, ქართული „ვისრამიანი“, ქართული „ბალავარიანი“ და სხვა), ეს ნიშნავს, რომ ქართველი მკითხველის თვალ-

ში მოცემული ნაწარმოების თარგმანი ნამდვილად შედგა. მაგრამ ასეთი მიზნის დასახვისას მთარგმნელს დიდი სიფრთხილე მართებს, რამდენადაც აქ ერთი ხიფათია ჩასაფრებული: იგი შესაძლოა, იმდენად ეცადოს ბუნებრივი გახადოს თარგმანის ენა, რომ დაუშვას ზედმეტი გადახვევები ორიგინალის სიტყვიერი ნყობიდან.

ლექსის თარგმნის დროს გასათვალისწინებელია, რომ სურათ-ხატი უნდა გადმოვიდეს სურათ-ხატივით, ინტერტექსტური შენიშვნა – ინტერტექსტური შენიშვნითვე, სიტყვის თამაში – სიტყვის თამაშივითვე, არქაიზებული მეტყველება — არქაიზებული მეტყველებითვე. ცხადია, ეს „უნდა“ შესაძლებლობის ფარგლებში რჩება, რადგან პოეტურ თარგმანზე მუშაობისას ორიგინალის ტექსტიდან გადახვევა ხშირად აუცილებლობას წარმოადგენს ენების განსხვავებულობის და მათი ლატენტური სემანტიკური ანაგობის გამო. პროზაში საქმე სხვაგვარადაა: აქ უფრო მნიშვნელოვანია სიზუსტის დაცვა, მეტყველების და დიალოგების განსხვავებულ სტილთათვის ეკვივალენტების შექმნა, ასევე ეპოქალურ-ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, რომლისაგან მოწყვეტილად შეუძლებელია ნაწარმოების განხილვა. კატარინა რაისი, თარგმანის შესახებ მეცნიერების დამფუძნებელი გერმანულენოვან სამყაროში, აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის ტექსტი პრინციპულად არ უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც მე-20 საუკუნისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მთარგმნელი მე-20 საუკუნის ადამიანია. თარგმნისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყველა ენას გამოხატვის სრულიად ორიგინალური საშუალებები გააჩნია, ყოველი მორფოლოგიის და სინტაქსის ელასტიურობას – თავისი საზღვრები. ასე მაგალითად, ავილოთ ერთი ფრაზა 20-იანი წლების ქართული ექსპერიმენტული რომანიდან „გველის პერანგი“ – „ქვის ლომი ფარია ჰამადანის“. მთელს რიგ ენებზე თარგმნისას, შესაძლოა, მიგველო დაახლოებით ასეთი წინადადება: „ქვის ლომი არის ჰამადანის ფარი“, რადგან ბევრი ენა ვერ იტანს ვერც ზმნის

შერწყმას სახელთან, ვერც სიტყვების რობაქიძისეულ მიმდევრობას. ასეთ შემთხვევაში ორიგინალის მომხიბვლელობა მთლიანად დაიკარგებოდა. ასეთივე მაგალითია შემდეგი ფრაზა 30-იანი წლების რომანი ტრილოგიიდან „მთვარის მოტაცება“ – „ლაინისფერი გადაჰკვროდა ზღვას, მშვიდად მთვლემარეს“. ინტერლინგვალური დამუშავების შედეგად შესაძლოა დაახლოებით ასეთი წარმონაქმნის მიღება: „მუქი ლურჯი ფერის ზღვა მშვიდად თვლემდა“. ამით კი აღარაფერი დარჩებოდა ფრაზის მთელი პოეტურობისგან.

ნამდვილი თარგმანის უნივერსალური და ამომწურავი განსაზღვრება ჯერჯერობით არ არსებობს. სხვადასხვა პოსტულატების, თეორიების და მოსაზრებების შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ეს არის ლიტერატურული ფენომენი, რომელიც ორ საზღვარს შორის მოძრაობს: ერთ საზღვარს წარმოქმნის პირვანდელი ტიპის თარგმანი, სადაც მაქსიმალური მცდელობაა ორიგინალის ზედმიწევნითი ერთგულებისა და მისი ყველა თავისებურების შენარჩუნებისა, მეორე საზღვარს კი წარმოქმნის ინტერლინგვალური დამუშავების პროდუქტი, სადაც თარგმანის ენის სასარგებლოდ ხდება ტექსტის ნაწილის მეტ-ნაკლები თვითნებობით შეცვლა.

თარგმანები, სადაც ხდება ცალკეული პასაჟების შეგნებულად გამოტოვება ან გადასხვაფერება მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც არის, მაგალითად კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“. გამოტოვებული ადგილები არის აგრეთვე დიკენსის „დავით კოპერფილდის“ ქართულ თარგმანში. გამოტოვება, მსგავს შემთხვევებში, უფრო ინდივიდუალური სტილის შენარჩუნებისთვის ხდება და არ არის ორიგინალის ენის უტოლინრობის ბრალი. ასეთი რამ არც თანამედროვე ევროპაშია უცხო: ასე მაგალითად, ფლობერის „სალამბოს“ გერმანულად მთარგმნელი გეორგ გოიერტი მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აღნიშნავდა, რომ იგი ცდილობდა გერმანელი მკითხველისათვის თავი-

დან აერიდებინა შენობების, ბალების, ლანდშაფტების და იარაღის გადაჭარბებული აღწერები. ხოლო რომან ზერტი, ინგლისელი მთარგმნელი მილან კუნდერას რომანისა „The Joke“ მკითხველისთვის ნაწარმოების მეტისმეტად რთული დროითი სტრუქტურის გასაადვილებლად რომანის თავებს ქრონოლოგიის შესაბამისად გადააჯგუფებდა.

თარგმანის პირველი ტიპი უფრო მეცნიერულია და საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, მეორე კი უფრო მწერლურია, ამდენად უფრო შემოქმედებითი. დაახლოებით იმავე აზრს ავითარებდა გოეთე, როდესაც ახსენებდა თარგმნის 2 მაქსიმას: ერთი მოითხოვს, რომ ავტორმა უცხოტომელი ავტორი ჩვენამდე მოიყვანოს ისე, რომ ჩვენიანი გვეგონოს. მეორე კი, ამის საპირისპიროდ, გვიყენებს მოთხოვნილებას, რომ ჩვენ თვითონ გადავინაცვლოთ უცხო სამყაროში და ჩვენი თავი ვპოვოთ უცხო ვითარებაში, აღმოვაჩინოთ იქაური მეტყველების მანერა და თავისებურებანი. ხოლო თარგმანის ბრიტანელი თეორეტიკოსი და ისტორიკოსი თეოდორ სეიერი თავის წიგნში „თარგმნის ხელოვნება“ (ლონდონი, 1968) ჩამოთვალის თარგმნის ძირითად მაქსიმებს, რომელთაგანაც ყოველი მეორე წინასწინააღმდეგება:

- თარგმანი უნდა გადმოსცემდეს ორიგინალს სიტყვასიტყვით;
- თარგმანი უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის აზრობრივ შინაარსს;
- თარგმანი უნდა იკითხებოდეს, როგორც ორიგინალი;
- თარგმანი უნდა იკითხებოდეს, როგორც თარგმანი;
- თარგმანმა უნდა შეინარჩუნოს ორიგინალის სტილი;
- თარგმანმა უნდა აჩვენოს მთარგმნელის სტილი;
- თარგმანი უნდა იკითხებოდეს ისე, თითქოს ის შეიქმნა ორიგინალის ეპოქაში;
- თარგმანი უნდა იკითხებოდეს, როგორც თანამედროვე ტექსტი;
- თარგმანი შესაძლოა, იყოს ჩამატება და გამოტოვება;
- თარგმანში დაუშვებელია ჩამატება

და გამოტოვება;

ლექსი შესაძლოა, ითარგმნოს პროზაული ფორმით;

ლექსი უნდა ითარგმნოს ლექსისავე ფორმით.

სტილის რეპროდუქციების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ლიტერატურული თარგმანის კრიტიკოსთა ნაზრევში. სტილი, გავრცელებული შეხედულებით, არის ერთგვარი ფარდა, დეკორაცია მის უკან დამალული შინაარსისა, საზრისისა. თუმცა სტილის ამგვარი გაგება ცალმხრივია და ბევრჯერ იქნა უკუგდებული თანამედროვე კრიტიკაში. სტილი თავადაა ნაწარმოების სული, მისი განხორციელების „როგორ“, რისი წვდომაც უმოკლესი გზაა მისი „რა“-ს შემეცნებისკენ. თუ როგორი სტილი უნდა მიუსადაგო ამა თუ იმ ორიგინალურ ნაწარმოებს, დამოკიდებულია მთარგმნელის დაკვირვების უნარზე ასევე გემოვნებაზე.

ზოგჯერ ტექსტი სხვადასხვა ლიტერატურული ხერხების სირთულისა და პოლივალენტობის გამო ძალზე ვიწრო სამოქმედო სივრცეს ტოვებს სტილის რეპროდუქციისთვის. ასეთ შემთხვევაში, ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, მსგავსი ტექსტები თარგმნილიყო პროზაული ფორმით. ეს საკითხი რამდენიმეჯერ წამოჭრილა ქართულ კრიტიკაში. ასეთი თარგმანის საუცხოო მაგალითია ციურხელი ქართველოლოგი ქალბატონის, რუთ ნოიკომის პროზაული „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულად, რომელიც 1974 წელს გამოსცა შვეიცარიულმა მანესეს ბიბლიოთეკამ.

მსოფლიო ლიტერატურიდან სტილის ბევრი ნაირსახეობაა ცნობილი: მცხოვანი გოეთეს სტილი, დახვეწილი ფრანგული მეტყველების სტილი, ბაროკული სიტყვამრავალი სტილი და ა.შ. ასევე ქართული ლიტერატურაც იცნობს ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის და ნიკო სამადაშვილის ძალზე ინდივიდუალურ სტილებს. თუმცა, დღევანდელ დღეს თარგმნა რომელიმე დასახელებული სტილით, ალბეჭდილი იქნება ეპიგონობის და არაბუნებრიობის ელფერი.



გაბრძელების დღიური

<<< ლასაწყისი გვ. 86

თუმცა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ხმაურობენ, ხმაურობენ და მალევე წყნარდებიან. „კლანიც“ ისევე თავის ადგილზე რჩება.

გასულ წელს სწორედ აქ მოხვდით

ჩემს სამ მეგობართან ერთად, ოთხ დღეზე გაშლილ თოთხმეტსაათიან „ნიბელუნგების ბეჭედს“ დავესწარი და როგორც ზემოთ აღვნიშნე, სხვების არ იყოს, მეც ვაღიარე დიდი რიჰარდის უპირობო ღვაწაბრიობა. ბედმა გაგვიღიმა – ტეტრალოგისა

ვაგნერის მუსიკის უპირველეს შემსრულებლად აღიარებული, ახალგაზრდა ქრისტიან ტილემანი დირიჟორობდა. ეს შესრულება დღეს უკვე დისკოს სახითაც არის გამოცემული და, შესაბამისად, ყურადღებიან მსმენელს დარბაზში მსხდომების, ანუ ჩვენ ოთხის ალელვებული ქშენის მოსმენის შესაძლებლობა აქვს – სხვა თუ არაფერი, იქნებ, ასე მაინც შევიდეთ ისტორიაში...

არ ვიცი, რამდენად უნდოდა ეს თავად ვაგნერს, მაგრამ პუბლიკა დამთრგუნველად თუ არა, საკმარისად ბურჟუაზიულია. მდიდარ ევროპელებს წინასწარ აქვთ შეძენილი ათ და ოცწლიანი აბონემენტები. ცენტრში კი მთლად მეძვირეები სხედან – ისეთები, ფურცვენგლერის ან კნაპერსბუშის შესრულებული ვაგნერიც რომ ახსოვთ; როცა ორმოცწლიანი აბონემენტის მფლობელი კვდება, მისი ადგილისკენ ოცწლიანი ბილეთის მფლობელი მიჩოჩავს, მას კი, თავის მხრივ, „ათწლიანი“ მიჰყვება უკან. დათო საყვარელიძის წყალობით ჩვენც „ოლიმპოელთა“ ადგილებზე აღმოვჩნდით და გერმანელთათვის დამახასიათებელი, „შეგუბებული“ ინტერესი გამოვიწვიეთ: ჩემს გვერდით დრაკულასავით გამოწყობილი მოხუცი კაცი იჯდა და რომ ვერ გარკვეია, რა ენაზე ველაპარაკებოდი ჩემს თანამემამულეებს, მორიდებით და ერთგვარი შიშით მკითხა: რა ენაზე საუბრობთ, რუმინეთიდან ხომ არ ბრძანდებითო? მე უსწრაფესად ამოვიღე ჯიბიდან სპეციალურად ასეთი შემთხვევებისთვის მომზადებული ფურცელი და გარკვევით, თამამად წავეუკითხე ზედ დანერილი: Georgien, Kaukasus!, „ჰო-ლა-ლა“, გაამღერა მოხუცმა და ღიმილით ჩამჩურჩულა: ათწლიანი აბონემენტი გაქვთო? მე, ცხადია, კვლავ ფურცელზე დანერილი გავეუმეორე – Georgien, Kaukasus (დათო საყვარელიძისგან სასტიკად ვიყავი გაფრთხილებული, რომ ზედმეტი არ მელაპარაკა)! მან კი – „ეჰ, მე კიდევ ოცი წელი მომიწევს აქ სიარულიო,“ – ამოიკვნესა და მისგან ხელმარცხნივ მჯდომი ცოლისკენ გაიხედა – თითქოს ამბობდა,

აი, სულ ამ მეტიჩარა ქალის გამოო. სახეზე ეწერა – ეს კაცი ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა ვაგნერის მსმენელად, ხანგრძლივი და უძვირესი ბილეთი სოციალური სტატუსისა და მაღალ საზოგადოებაში გამოჩენის სურვილით შეპყრობილი ცოლის გამო ჰქონდა შეძენილი. მრავალნი ბილეთების მფლობელები კი, ძირითადად, სწორედ ასეთები არიან. თუმცა მრავლად გვხვდებოდნენ ვაგნერით დაავადებული მელომანებიც: ერთი, მაგალითად, კომპოზიტორის ვეება ბიუსტთან გვეცა თეატრის ბაღში და როცა გაიგო, საიდანაც ვიყავით, სხაპა-სხუპით ჩამოგვიტვალა ის წლები და ადგილები, თუ როდის და სად შესრულებულა ვაგნერი საქართველოში (გამოგიტყდებით, ეს ამბები ჩვენც არ ვიცოდით). თვითონაც აღტაცებული იყო თავისი ცოდნით – ბედნიერი სიცილით გვამცნობდა ვაგნერთან და საქართველოსთან დაკავშირებულ საკრალურ თარიღებს.

ოპერის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ – ზოგჯერ ძალიან გიჟირს ემოციების მოთოკვა, უსმენ მუსიკას და თუკი მეტისმეტად გიტაცებს შესრულება, შეიძლება დირიჟორობისგანაც ვერ შეიკავო თავი, – აღფრთოვანებულმა უჩურჩულო რამე გვერდით მჯდომს, რაღაცაზე მიუნიშნო, ყურადღება მიაქცევინო ან, თქვენ წარმოიდგინეთ, საერთოდ, ამღერდე ან აყვირდე კიდეც (როგორც ეს ხანდახან იტალიურ საოპერო თეატრებში ხდება). ხმამაღალი ლაპარაკის უფლება არასდროს მიმიცია საკუთარი თავისთვის, მაგრამ დროდადრო მეც კი ვცქმუტავ ხოლმე, შთაბეჭდილებებს გამოვთქვამ და, არ დაგიმაღავთ, ვდირიჟორობ კიდეც, ამის გამო კი არაერთხელ მიმიღია შენიშვნა. მოგეხსენებათ, აგრესიულ შენიშვნებს საკონცერტო დარბაზში (და, სხვათა შორის, ეკლესიაშიც), როგორც წესი, დილეტანტები იძლევიან და მეც სწორედ ასეთები გადამეკიდებიან ხოლმე: ბარსელონას „ლისეოში“ ყოფნისას მთელი პირველი მოქმედების განმავლობაში მომსისინებდა ჩემს ზურგს უკან მჯდომი

გერმანელი ტურისტი: „შტეს-შტეს“, (ვერც მივხვდი, რა უნდოდა – ჩვენთან ხომ სხვანაირ ბგერებს გამოსცემენ, როცა შენი გაჩუმება უნდათ), სპექტაკლის ბოლოს კი გაღიზიანებულმა მომადახა: შენ ვინ შემოგიშვა ოპერაში, პოპკორნი უნდა იყიდო და კინოში წაეთრიო. თავად ეს ქალი კი მეტად უცნაურად შერისხა ჩემს გვერდით მჯდომმა დათო ტურაშვილმა: კინო რა, დაბალი ლობია, პოპკორნი იქაც არ უნდა ჭამო.

ზიზლი მომაგებეს პრალის სამარცხვინო საოპერო თეატრშიც (ამაზე კომპარული „აიდა“ მანამდე არსად მომესმინა), ერთი ქალი გადამეკიდა – ნუ იქნევ თავს იქეთ-იქით (!), გამართულად იჯექით... ნაღდად გუსტავ ჰუსაკის დროინდელი პარტმუშაკი იქნებოდა. ხოდა, წარმოიდგინეთ, რა შიშით ჩავიდოდი ბაიროთში: პრალის უგვან ოპერაში ამავსეს შენიშვნებით და ვაგნერის „მექაში“ რას მიზამენ-მეთქი! ქართულმა ჯგუფმა ერთმანეთს შევფიცეთ: რაც უნდა მომხდარიყო, გაქვავებულები უნდა ვმსხდარიყავით ჩვენ-ჩვენს ადგილებზე. თუმცა რას ვხედავ: დაიწყო ეს შენი „რაინის ოქრო“ და როცა ტილემანმა წარმოუდგენელ ფორტეზე ააჟღერა თავისი ორკესტრი (ნიბელუნგებთან ჩასვლის თემა), ორმოცნლიან და ოცნლიან აბონემენტთა მფლობელების გარდა, მთელი დარბაზი ცქმუტვას, თავის ქნევასა და შეკავებულ (თუმცა ვნებიან) დირიჟორობას შეუდგა. „ვალკირიის“ ფინალში კი – როცა ვოთანის ცეცხლოვან რკალში მძინარე ბრუნვილდეს ემშვიდობება – მეც წარმოვადგინე ჩემი „მანუალური ტექნიკა“ და გვერდით მჯდომ „ოცნლიან“ დრაკულას თამამად ვკარი მუჯლუგუნი – Viva Romania!

დათო საყვარელიძემ აბსოლუტურად მშვიდად თავი მხოლოდ მეოთხე საღამოს, „ღმერთების დაღუპვაზე“ იგრძნო: ჯერ იყო და, მანქანის ნავიგატორ უჯვითეს ქალთან (ქალის ხმა იყო) კამათით გაითანგა, მერე დათო დოიაშვილის ლურჯ ბოტასებზე და დაკარგულ ბილეთებზე ინერვიულა (ამ უკანასკნელს ასე, ჭრელ ფერებში

გამოწყობილს უნდოდა დრაკულათა შორის ჩაჯდომა, კაპელდინერების ბილეთის ჩვენებაზე კი ნორდიული სიფითქინისა და ქერა თმის გამო აღარ უზრუნია – ისედაც უშვებდნენ, ჩვენიანი იქნებოდა, მესამე დღეს კი, „ზიგფრიდზე“, ორიათასკაციან დარბაზში მაინცდამაინც მის გვერდით მჯდომ ხნიერ ქალბატონს წაუვიდა გული (ყველას კი არ ძალუძს კათარზისის გაგლა!). ბრუნვილდე და ზიგფრიდი თავის ვნებიან დუეტს ასრულებდნენ, როცა დავინახე, თუ როგორ გაათრიეს დათომ და ვილაც ხმელმა კაცმა (როგორც მოგვიანებით გამოირკვა, გულწასულის ქმარი ყოფილა) და მსმენელთა მდუმარე საყვედურიც დაიმსახურეს – რაღა ახლა კვდება ეს ქალი, ამ გენიალური დუეტის დროსო! მე და დოიაშვილივით არიული სიფითქინის მქონე ზაზა ბიბილაშვილი სულ რაღაც სამი რიგით ზემოთ ვისხედით დათოსგან და ღმერთს მაღლობას ვწირავდით, რომ მასსავით „ორმოცნლიანთა“ სკამებზე არ მოგვახვედრა – ამ რიგებში, თურმე, ხალხი პანტა-პუნტით კარგავდა გონებას. ვაგნერების შთამომავლებმა ჰაერის გამაგრილებლების დაყენება აკრძალეს დარბაზში – თეატრი ისეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს, როგორც ბაბუა რიჰარდმა ჩაიფიქრაო (მართალი გითხრათ, გამაგრილებლების საჭიროებას ვერც მე ვხედავდი – ბავარიის წინწარიდან მონაბერი ქარი ნებისმიერ ვენტილაციას მერჩია). დათო ყვებოდა, რაც სკოლაში მასწავლეს, ყველაფერი პირიქით გამაკეთებინა გერმანელმა ექიმმაო; ვიყვირე, კარი გააღეთ, იმან კი – არ გააღოთ, დაუბერავსო; ვთქვი, ზურგზე დავანვინოთ, – აჰ, ზურგზე როგორ შეიძლება, გვერდზე უნდა დანვესო, თუმცა საბოლოოდ მაინც დათოს გამოუცოცხლებია: იმ სანყალ კაცს (ქმარს) აღარაფრის თავი არ ჰქონია უკვე (ფეხზე ძლივს მდგარა) და ექიმს ისევე ამისთვის უთხოვია, ჯანმრთელი ბიჭი ჩანხართ, ეგებ ხელოვნური სუნთქვით გამოაფხიზლოთო. ეს ქალი ბოლო საღამოს, „ღმერთების დაღუპვის“ ანტრაქტში, ვეებერთელა სასადილო-

ში წამოგვადგა თავზე (ანტრაქტები აქ საათზე მეტხანს გრძელდება და აქაური კერძებიც ვაგნერის ოპერებზე დიდრონია), თავის მშველელს, დათოს, ზიგმუნდზე შეყვარებული ზიგლინდესავით გადაუხადა მადლობა და, ალბათ, მარადიულ ერთგულებასაც შეჰფიცებდა, ის ხმელი კაცი, ქმარი რომ არ მდგარიყო მის გვერდით. ქმარმა ამაყად გვითხრა, დანიელი გახლავართ და როცა კოპენჰაგენში მოხვდებით, აუცილებლად შემომეხმიანეთ, ლუდზე დაგპატიჟებთო. ჩვენ, ამ დროს, ბონგისხელა ბავარიულ ტახს შევექცეოდით და ცოლიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა – ამ ღონიერ ბიჭებს ნამდვილად არ ეყოფათ თითო-თითო კათხა ლუდიო და შტერი ქმრის ნათქვამი სწრაფოდ, კისკის-კისკისით გამოსასწორა: „ლუდზე არა, ლანჩზე!“

უნდა ჩავსულიყავით, ღირსი იქნებოდა.

III

ყველაფერი აღვწერე მისი მუსიკის გარდა. თუმცა როგორ აღწერ? არ გამოგივა.

ეს კი ზუსტად მახსოვს: მართალია, ოთხი დღის განმავლობაში, თოთხმეტი საათი ვისმინე ვაგნერის მუსიკა, მაგრამ მაინც უკმარისობის გრძნობა დამრჩა. და არა იმიტომ, რომ მუსიკალური დაუცხრომლობითა და სიმსუნაგით ვარ დაავადებული, მართომე კი არა, არც ერთს არ გვინდოდა იქიდან წამოსვლა. მგონი, მუსიკაშიც აღარ იყო საქმე. ვაგნერის TERRA INCOGNITA იდეალურ, ბუნებრივ და დაცულ თავშესაფრად იქცა ჩვენთვის და კუთვნილ ბიოგრაფიებთან მიბრუნება გვეზარებოდა.

ვაგნერი ამბობდა: მე ვქმნი მო-

მავლის მუსიკას. ზუსტად აღარ მახოვს, თომას მანს უწერია თუ ჰანს გალს – ვაგნერს ახალი ერა კი არ დაუწყია მუსიკაში, თავად მუსიკა დაასრულაო. მართლაც, რალამ უნდა გაგაკვირვოს მის მერე? ცოტა რთულია ვაგნერის შემდეგ სხვა „ტალღაზე“ გადასვლა – მოისმენ კი სადმე „ტანჰოიზერის“ პილიგრიმთა გუნდზე ან „წითელი პარასკევის სასწაულზე“ უფრო საოცარს?

2013 წელს ორასი წელი შესრულება რიჰარდ ვაგნერის დაბადებიდან (სხვათა შორის, მისი მთავარი მეტოქე, ჯუზეპე ვერდიც 1813 წელსაა დაბადებული), მაგრამ რა არის ორასი წელი ვაგნერისთვის? წამი. ჰა, ორი. ვუსმენდი „ლოენგრინს“ და ცხადად ვხედავდი: ამ დარბაზში ათასი წლის შემდეგაც ასე ვისხდებით.

ამქვეყნად არაფერია ვაგნერზე მეტად სტაბილური.

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

კოვა

მარჯანიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

დრამატული

თეატრი



პრემიერა



ბრანდ ფრილი

ბრმა მხედველი



(მოლი სუინი)

რეჟისორი თემურ ჩხეიძე

ბანკის პარტნიორი

საუნის პარტნიორი

საინჟინერო პარტნიორი



პარტნიორი

www.marjanishvili.ge

FM
სენტი
98.0



Make Kvareli Lake Resort a unique place to stay...



m|group

Kvareli 4800, Georgia
Reservation: (+995 32) 30 30 30
welcome@kvarelilakeresort.ge
www.kvarelilakeresort.ge

27-30 OCTOBER 2010

27.10.10 / 22:00

TBILISI STATE CONCERT HALL

McCOY TYNER QUARTET

FEAT: GARY BARTZ

CHRISTIAN SCOTT QUINTET

TBILISI EVENT HALL

OMAR

28.10.10 / 22:00

TBILISI STATE CONCERT HALL

DIANNE REEVES "STRINGS ATTACHED"

FEAT: RUSSELL MALONE AND ROMERO LUBAMBO

THE JAZZ CRUSADERS

FEAT: JOE SAMPLE, WAYNE HENDERSON

TBILISI EVENT HALL

HOUSE BAND

29.10.10 / 22:00

TBILISI STATE CONCERT HALL

THE SYNDICATE

"TRIBUT TO JOE ZAWINUL"

RACHELLE FERRELL

TBILISI EVENT HALL

HOUSE BAND

30.10.10 / 22:00

TBILISI STATE CONCERT HALL

L'IMAGE

FEAT: MIKE MAINIERI, DAVID SPINOZZA, WARREN BERNHARDT, TONY LEVIN, STEVE GADD

THE "ORIGINAL" BLUES BROTHERS BAND

"BOTH ANNIVERSARY OF THE BLUES BROTHERS MOVIE"

TBILISI EVENT HALL

HOUSE BAND

TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL

